ვლადიმერ სიჭინავა

ბათუმის ისტორიიდან

(რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1878-1907 წლებში)

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი—1958

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი დაიკავა ქალაქების ისტორიის შესწავლამ. ავტორთა კოლექტივმა უკვე გამოაქვეყნა მოსკოვის მრავალტომიანი ისტორია. ქვეყნდება ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების ისტორიები.

საქართველოში ამ ბოლო წლებში ყურადღება მიექცა თბილისის, გორისა და სხვა ქალაქების ისტორიის შესწავლას.

საქართველოს მშრომელებმა მიმდინარე წელს იუბილე გადაუხადეს მშობლიურ ქალაქ თბილისს, მისი დაარსების 1500 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. ჩვენი ისტორიკოსები გამოსაცემად ამზადებენ თბილისის ისტორიას სამ ტომად.

ქალაქების ისტორიის შესწავლით დაინტერესება შემთხვევითი როდია. ქალაქები, საერთოდ, ყოველი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენენ.

საქართველოს ქალაქთა შორის ბათუმს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ამიტომ მისი წარსულის საფუძვლიანი შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მშენებლობის პერსპექტივების გათვალისწინების მიზნითაც ბათუმის ისტორიის შესწავლა თეორიულთან ერთად, ერთგვარ, პრაქტიკულ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული.

ჩვენ განვიზრახეთ დაგვეწერა მონოგრაფიული გამოკვლევა ქ. ბათუმის წარსულზე, რომ ამით მცირე წვლილი მაინც შეგვეტანა საქართველოს ქალაქთა ისტორიის შესწავლის საპატიო საქმეში.

ბათუმის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა მხოლოდ დასაწყის სტადიაშია, სათანადო დოკუმენტების მისაგნებად და სისტემაში

მოსაყვანად არქივთსაცავებში ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო, მაგრამ ამ მხრივ მკვლევარი აწყდება სერიოზულ დაბრკოლებას. როგორც გამოირკვა, ოსმალო დამპყრობლებმა 1878 წელს ბათუმიდან გაიტაცეს დიდი სახელმწიფოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობის არქივი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია. ასეთ პირობებში ბათუმის ისტორიის მთლიანი გადმოცემა ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა. ამჯერად კვლევა-ძიების არე გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვაქციეთ და უმთავრესად მე-19 საუკუნის მიწურულითა და XX ს. დამდეგით შემოვიფარგლეთ.

ბათუმის ისტორიის შესახებ დღემდე არ დაწერილა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით გაშუქებული მეცნიერული გამოკვლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა გზამკვლევებსა და ცალკეულ წერილებს.

1906 წელს საქალაქო საბჭოს თვითმმართველობამ, აჭარის შეღოერთების 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, გამოსცა სტატიების კრებული „Батум и его окрестности". ამ კრებულში მოცემულია საყურადღებო მასალები ბათუმის ეკონომიური განვითარების შესახებ. კრებულში შესული წერილების უმეტესობა სენატის კომისიის მიერ შედგენილ სტატისტიკურ ცნობებსა და მოხსენებებს ემყარება. მასში არაფერია ნათქვამი ბათუმის სოციალური განვითარების შესახებ. სტატიის ავტორებს უმთავრესად ფაქტიური მასალის ასე თუ ისე აღნუსხვა აინტერესებდათ. მათი უმრავლესობა თავიანთ სტატიებში იცავდა არსებულ წყობილებასა და ბურჟუაზიული კლასების ინტერესებს.

წინამდებარე, ნაშრომი ანგარიშს უწევს თითქმის ყველა ნარკვევს, რაც კი უშუალოდ ამ თემაზე ან მასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოქვეყნებულა, მაგრამ ძირითადად იგი, მაინც პირველწყაროებს ეყრდნობა. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში, სახელმწიფო მუზეუმის და ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ფონდებში, ნ. ნიკოლაძის პირად არქივში (ინახება საქ. სახ. საჯარო ბიბლიო-

ფეკაში) დაცული დიდძალი მასალა. შევისწავლეთ და გამოვიყენეთ, აგრეთვე, თითქმის ყველა უმთავრესი დოკუმენტალური მასალა, რომელიც კი გამოქვეყნებულა.

იმის გამო, რომ წიგნის გამოსაცემი მოცულობა შეზღუდული იყო, თავი შევიკავეთ ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურული წყაროებისა, ნარკვევებისა და საარქივო მასალების კრიტიკული განხილვისაგან. ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ წიგნს თან არ ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომში მთავარი ყურადღება ექცევა ბათუმის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო იფარგლება 1878-1907 წლებით.

ბათუმის ახალი ისტორია ოსმალთა ბატონობისაგან მისი განთავისუფლების დროიდან იწყება. აღებულ პერიოდში ბათუმი არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით იზრდება, პირველხარისხოვან ბურჟუაზიულ ქალაქად იქცევა და მსოფლიოს ნავსადგურთა შორის ენერგიულად იბრძვის პირველობის მოსაპოვებლად. ბათუმის პროლეტარიატი კი რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მუშათა კლასის ერთ-ერთ მოწინავე რაზმად ფორმდება. ეს მან დაამტკიცა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. 1907 წლიდან ბათუმის ცხოვრებაში გარდატეხის ხანა იწყება. ადგილი აქვს ქალაქის ეკონომიურ დაქვეითებას. ეცემა რევოლუციური მოძრაობა და დროებით იმარჯვებს რეაქცია.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კაპიტალისტური ხანის ბათუმის ისტორიის მთავარ მოვლენათა შესწავლის ცდას, რომელსაც სისრულის პრეტენზიები არ აქვს.

თემაზე მუშაობის დროს მეცნიერული მითითებების მოცემით დიდი დახმარება გამიწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა, პროფ. შ. ჩხეტიამ, პროფ. ტ. ხუნდაძემ და ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. დუმბაძემ. დახმარება გამიწიეს

აგრეთვე შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ს. ქუთათელაძემ და ისტორიის კათედრის წევრებმა.

ძველი ბათუმის ყოფის ამსახველი ილუსტრაციების შერჩევაში თავაზიანი დახმარება გამიწიეს აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა — ისტორიკოსმა ხ. ახვლედიანმა და არქიტექტორმა დ. კომახიძემ.

ყველა მათგანს გულითად მადლობას მოვახსენებ.

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (ავტორები ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია და პ. რატიანი). ახალი სახელმძღვანელო გვაძლევს გზის გამკვლევ მითითებებს საქართველოს ისტორიის ძირითად პროცესებზე.

ვ. სიჭინავა.

1958 წ.
ბათუმი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე-16 საუკუნიდან საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა. ოსმალეთისა და ირანის აგრესიული სახელმწიფოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ მას. უთანასწორო ბრძოლისა და საშინაო განხეთქილების შედეგად სამხრეთი საქართველო მოწყდა დედა-სამშობლოს. დაიწყო ამ კუთხის „გათურქების“ პროცესი.

მე-18 საუკუნის მიწურულს, პოლიტიკური დაშლილობით ძალაგამოლეულ ფეოდალურ საქართველოში ეკონომიურმა კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ქართველ ხალხს ფიზიკური და სულიერი გადაშენება მოელოდა.

დიდი ეროვნული განსაცდელის ჟამს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ერთმორწმუნე, კულტურითა და ეკონომიკით დაკავშირებული, ძლიერი მეზობლისაკენ — რუსეთისაკენ გადაიხარა. რუსეთის მფარველობაში შესვლა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს სამშობლოს გადარჩენის მთავარ საშუალებად მიაჩნდათ.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ამის შემდეგ მეფის რუსეთმა თანდათანობით შემოიერთა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიც.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ამ პროგრესიულ ისტორიულ მოვლენას თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებმა სასტიკი წინააღმდეგობით უპასუხეს.

რუსეთის დამკვიდრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეუთავსებელი იყო აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის ინტერესებთან არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთშიც. ამიტომ ინგლისი და საფრანგეთი ირან-ოსმალეთის მეშვეობით ცდილობდნენ რუსეთის განდევნას საქართველოდან და მათ სამხედრო-ეკონომიურ დახმარებას უწევდნენ.

ოსმალეთის იმპერია, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალითა და ინსტრუქციებით აღჭურვილი, გაბედულად მოქმედებდა: დივერსანტებს, ჯაშუშებსა და პროვოკატორებს აგზავნიდა არა მარტო ჩრდილო კავკასიის მაჰმადიან ხალხებში, არამედ საქართველოშიც, მაგრამ ამ ვერაგულმა ცდებმა დიდი მარცხი განიცადა. ქართველმა

ხალხმა რუსეთის მხედრობას დაუჭირა მხარი, რადგან მან მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით იცოდა, რომ მხოლოდ რუსეთის დახმარებით შესძლებდა ირან-ოსმალეთის მტაცებლური სახელმწიფოებისაგან თავის დახსნას.

შავ ზღვაზე ბატონობისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა ბრძოლა, რამაც მე-18 საუკუნიდან გააფთრებული ხასიათი მიიღო. ამ დროს რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი, წინა საუკუნეებთან შედარებით, ძალზე დიდი იყო. ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ პეტრე პირველის გეგმის განხორციელებას ახლა კარგი პირი უჩანდა.

ოსმალეთი დასუსტებული იყო, მაგრამ თავის ძველ პოზიციებს უბრძოლველად არ თმობდა. იგი მე-16 საუკუნიდან ენერგიულ იდეოლოგიურ ბრძოლას ეწეოდა, სამცხე-საათაბაგოს გამუსლიმანებით არ დაკმაყოფილდა და ჩრდილო კავკასიის მთიელი ტომების გამაჰმადიანებაც მოახერხა.

რუსეთს არ შეეძლო გულცივად ეცქირა თურქეთის ასეთი პოლიტიკისათვის და ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებში საპასუხო პროპაგანდა გაშალა, თავისი პოზიციების გასამტკიცებლად ბრძოლა გააჩაღა.[1]

შავ ზღვაზე ბატონობისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის ბრძოლა „აღმოსავლეთის საკითხის“ გართულებასთან ერთად სულ უფრო მწვავდებოდა. 1801 წლიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გართულდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო ფოთი, სოხუმი, ანაპა და სხვა ნავსადგურები, რომელთა გამაგრებისათვის იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა.

ოსმალეთი ინგლის-საფრანგეთის დახმარებით ცდილობდა, რომ რუსეთისათვის კავკასიისაკენ მიმავალი გზები ჩაეკეტა. 1804 წლიდან რუსთა ჯარები დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპიროებზეც დაბანაკდნენ.

---

1 რუსეთმა მე-19 საუკუნის 20-ანი წლებიდან გააძლიერა პროპაგანდა ბალკანეთის ხალხებში. ცარიზმი თითქოს უსამართლობას ებრძოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-ს შენიშვნა: „ყოველნი კეთილმძრახველნი კაცნი განათლებულთა მხარეთა შინა სოფლისათა ისურვებენ წარმატებათა რუსეთისათა, რომელმანაც აღიღო საჭურველი მხოლოდ დაფარვისათვის სამართალთა თვისთა და შეეიწროებულისა კაცობრიობისა. რვა წელიწადია საბერძნეთი ცურვებულ არს სისხლთა შვილთა თვისთათა და ამპარტავანთა ოტტომანთა (ოსმალთა) არა ჰნებავს სმენა მათთან შერიგებისათვის და გარდწყვეტისათვის სისხლის ღვრასა“... („ტფილისის უწყებანი“, № 9, 1829 წ., დ-ს მარტისა).

ცხადია, რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის ნავსადგურების თურქეთის ხელში დატოვებას ვერ შეურიგდებოდა.

რუსეთი ცდილობდა ესარგებლა იმ გარემოებით, რომ დასუსტებული ოსმალეთი მასთან იძულებით კავშირში იმყოფებოდა. „მეგობრობის“ ნიღაბს ამოფარებული ცარიზმი ანმტკიცებდა თავის პოზიციებს დასავლეთ საქართველოში. რუსთა ჯარების დაბანაკება ყულევში შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებიდან ოსმალეთის საბოლოო განდევნის საწინდარი გახდა.[1]

რუსეთი თანდათანობით ანმტკიცებდა ბატონობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, სადაც ქმნიდა პლაცდარმს თავის აღმოსავლური პოლიტიკის (კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაპყრობის) განსახორციელებლად. რადგან ფოთის ნავსადგური და ციხე-სიმაგრე ოსმალების ხელში იყო, რუსეთის ჯარი სამეგრელოში 1804 წელს გადმოსხეს მდინარე ხობის შესართავთან, ყულევში, სადაც ჯარებისათვის გაშენდა თავშესაფარი სიმაგრე „რედუტი“ და პატარა ნავსადგური (აქედან წარმოსდგა სახელწოდება რედუტ-კალე).[2]

შავ ზღვაზე გაბატონებისათვის საჭირო იყო ხმელეთზე ფეხის მტკიცედ მოკიდება. საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა პ. ციციანოვმა სულთანის წინააღმდეგ აჯანყებულ სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ხიმშიაშვილი და ციციანოვი ერთმანეთს დახმარების ხელს უწვდიდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ.[3]

რუსული პრესა სპეციალურ სტატიებს აქვეყნებდა შავ ზღვაზე სავაჭრო ნავსადგურებისა და საზღვაო ნაოსნობის მნიშვნელობის საკითხებზე, იგი პროპაგანდას ეწეოდა ევროპელი კონკურენტების წინააღმდეგ.[4]

როგორც გენერალ ციციანოვის მიერ შედგენილი მოხსენებებიდან ჩანს, რუსეთი თავგამოდებით იბრძოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მტკიცე სავაჭრო და სამხედრო ბაზების შესაქმ-

---

1 ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957 წ., გვ. 176.

2 Н. А. Шавров, О сравнительном значении Черного и Каспийского морей, Сборник Извест. Имп. Общ-ва для содействия р. т. м., Вып: XVII, 1884 г., стр. 12. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გამონახულიყო ისეთი საშუალება, რომ ფოთის დაკავებით პორტა ნაწყენი არ დარჩენილიყო. ალ. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955 წ., გვ. 22.

3 Акты, Собр. Кавк. Археогр. Ком., т. 2, 1868 г., стр. 892.

4 «Тифл. ведомости», № 47, 10-го ноября, 1829 г.

ნელად. 1805 წ. დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა ყულევში. ყულევს ბუნებრივი პირობები ხელს არ უწყობდა, რომ იქ კეთილმოწყობილი ნავსადგური შეექმნათ. მაგრამ სხვა გზა არ იყო. ფოთი ოსმალებს ეკავათ. რუსეთი ძალაუნებურად უნდა დასჯერებოდა ყულევის ნავსადგურს და იქ გემების მისაღებად მინიმალური პირობები მაინც შეექმნა. ამ მხრივ განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვის დროს. საუკეთესო ინჟინრები აწარმოებდნენ გამოკვლევებს მდ. ხობის შესართავში ნავსადგურის ასაშენებლად, მაგრამ ამ მუშაობამ სასარგებლო შედეგი ვერ გამოიღო.

1822 წელს იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა მთავარსარდალ გენერალ ერმოლოვს წარუდგინა პატაკი, რომელშიაც ყულევს უსარგებლო ნავსადგურად თვლიდა და მის მიტოვებას მოითხოვდა. დაისვა ფოთში ზღვის სანაპიროს ერთი ნაწილის დაკავების საკითხი იმ ვარაუდით, რომ თურქები დათმობაზე წავიდოდნენ, მაგრამ არც ეს განხორციელდა. იძულებული გახდნენ ხელახლა დაეწყოთ მდ. ხობის შესართავთან ნავსადგურის გაშენების შესაძლებლობის გამოკვლევა. 1824 წელს დამტკიცებულ იქნა სათანადო გეგმაც, რომელიც აგრეთვე ვერ განხორციელდა. მდგომარეობა არც იმის შემდეგ შეცვლილა, როცა (1828 წ.) რუსეთმა ფოთი შეიერთა. განახლდა მეფის ბიუროკრატიისათვის ჩვეული გაუთავებელი მიმოწერები ფოთში ნავსადგურის მოწყობის შესახებ. ნიკოლოზ პირველმა საჭიროდ ცნო, რომ ფოთი ამიერკავკასიის სავაჭრო ნავსადგურად გამოეცხადებინა. მიზნად დაისახეს სამდინარო ნაოსნობის გახსნა კასპიისა და შავ ზღვებს შორის.

იმპერატორის ნების განხორციელების მიზნით, სათანადო გეგმის შესადგენად, გამოგზავნილ იქნა კაპიტანი ჩადაევი. ამავე მიზნით 1831 წელს გამოგზავნეს აგრეთვე გენერალ-მაიორი პოტიე. მათ შეადგინეს ფოთის ნავსადგურის, შავი და კასპიის ზღვების მდინარეებით დაკავშირებისა და ნავიგაციის პროექტი. მთავარმართებელმა როზენმა აღიარა რა ფოთის უპირატესობა, 1832 წლის ივლისში ბრძანა: რედუტ-კალედან ფოთში გადაეტანათ საბაჟო და იქ გადაესახლებინათ ქალაქის მთელი მოსახლეობაც. შეუდგნენ მუშაობას ფოთის კლიმატისა და ნავსადგურის გასაუმჯობესებლად, მაგრამ დასახული გეგმა სახსრების უქონლობის გამო ვერ განხორციელდა.

1836 წ. როზენისდროინდელი ძველი გეგმა შეასწორეს, მაგრამ

ფოთში ნავსადგურის გაშენების გეგმა ძალაში რჩებოდა. ამ გეგმის მიხედვით ფოთის ნავსადგურის მშენებლობას სჭირდებოდა 10 მილიონი მანეთი, თუკი მუშახელად ჯარისკაცებს გამოიყენებდნენ. მუშაობა დაწყებულ იქნა 1838 წელს, მაგრამ ამავე წელს, მთავარმართებლად გენერალ გოლოვინის დანიშვნასთან დაკავშირებით, ფოთში ყველა სამუშაო შეწყვიტეს. ფოთის ციხე-სიმაგრე გაუქმებულ იქნა. ქალაქის ყველა მოსახლე ფოთიდან ხელმეორედ გადმოასახლეს რედუტ-კალეში. დაიწყეს ზრუნვა რედუტ-კალეს მოსაწყობად, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო მთავარი სამუშაო შეუსრულებელი იყო. მხოლოდ 1847 წელს მეფისნაცვლის ვორონცოვის განკარგულების თანახმად შედგენილ იქნა რედუტ-კალეს მშენებლობის ახალი გეგმა, რომელიც ლონდონში გადაუგზავნეს ინგლისელ ინჟ. რენუს ნავსადგურის მშენებლობის სრული პროექტის შექმნისათვის. აღნიშნული გეგმა ლონდონიდან საქართველოში მიიღეს 1849 წელს. გეგმის განხორციელებას სჭირდებოდა 5-7 მილიონი მანეთი. მისი სისრულეში მოყვანა მაშინდელ პირობებში შეუძლებელი შეიქნა.[1]

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1856 წელს, ამიერკავკასიაში შავ ზღვაზე ნავსადგურის შექმნისათვის ზრუნვა ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა გახდა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნავსადგურის გაშენების შესახებ არჩევანი იდგა: სოხუმი თუ ფოთი. სოხუმს კარგი ბუნებრივი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ იგი ნაკლებად იყო დაკავშირებული ქვეყნის შიგნით ეკონომიურ რაიონებთან. ფოთი მდებარეობდა ღია ზღვაზე, მაგრამ რიონზე ნაოსნობის განვითარება მას უპირატესობას ანიჭებდა და მთავრობაც იძულებული გახდა, ფოთი აერჩია. 1856 წელს დაინიშნა განსაკუთრებული კომისია პოლკოვნიკ ივანოვის თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა მდ. რიონის ხეობისა და ფოთის შესწავლა იქ ამიერკავკასიის სავაჭრო ნავსადგურის გასაშენებლად. კომისიამ მუშაობა გააგრძელა 1858 წლამდე, როდესაც ფოთში მივლინებულ იქნა ინჟინერ-კაპიტანი ბოგუჩაევიჩი. მან შეადგინა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელიც ჯერ განიხილა გენერალ-მაიორმა ივანოვმა, ხოლო შემდეგ კონტროლისათვის გადაეცა ინგლისელ ინჟინრებს ბელსა და გაბბუს.

1860 წელს ინგლისელმა ინჟინრებმა დაამთავრეს კასპიისა და

1 საქ. სსრ ცსსა, ფ. 5, საქმე 8123-ბ, ასლი ლენინგრადის ისტ. არქივიდან, ფურც. 5-8.

შავ ზღვებს შორის რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით ქვეყნის შესწავლა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქ. ფოთი არ გამოდგებოდა მოხერხებულ ნავსადგურად. მათ წამოაყენეს მდ. სუფსის შესართავთან ნავსადგურის მშენებლობის წინადადება და პროექტი. მათი აზრით აქ ყველაზე სასარგებლო ადგილი იყო სანავსადგურო ქალაქის გასაშენებლად. ეს პროექტი 1861 წლის დამდეგს წარედგინა მეფისნაცვალ ბარიატინსკის, რომელმაც იგი მოიწონა.

სუფსის ნავსადგური სულ რაღაც 15 ვერსით იქნებოდა დაშორებული თურქეთის საზღვრიდან და მტერს ექნებოდა შესაძლებლობა, რომ იგი, ომის შემთხვევაში, ხელთ ეგდო. მტრის თავდასხმისაგან სუფსის ნავსადგურის დასაცავად საჭირო იქნებოდა იქ მუდმივი ჯარის ჩაყენება, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდანაც. ინგლისელი ინჟინრების პროექტის განხორციელება ძვირი ჯდებოდა. ნავსადგური უნდა აეგოთ რკინისა და თუჯისაგან; ჩვენში კი ეს მასალები ნაკლებად იშოვებოდა. ასეთი მასალებისაგან ნავსადგურის მშენებლობას გაურბოდნენ თვით ინგლისშიც, სადაც რკინა და თუჯი შედარებით ბლომად და იაფიც იყო. წარმოდგენილი პროექტი რუსი ინჟინრების კომისიამ ყოველმხრივ შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ინგლისელი ინჟინრების პროექტი მეტად საეჭვო იყო. ომის შემთხვევაში მსგავსი ნაგებობა მტრისაგან ადვილი დასანგრევი იყო.[1]

პირდაპირი საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ ინგლისელი ინჟინრების შეცდომა გულუბრყვილობის ან უცოდინარობის შედეგი ყოფილიყო. ვფიქრობთ, ინგლისელი ინჟინრები საკუთარი ქვეყნის დიპლომატიური და სამხედრო უწყების დავალებით მოქმედებდნენ. როგორც წყაროებიდან ჩანს, ინგლისელების პროექტით ნავსადგური ზღვაში შეჭრილი იქნებოდა ორი კილომეტრით და ხმელეთს ვიწრო გზით დაუკავშირდებოდა. ამიტომ, მტერს ყოველთვის შეეძლო უმნიშვნელო ფლოტის ძალებით მისი აღება. ერთი გემიც კი საკმარისი იყო, რომ დაენგრიათ გზა, რომელიც ნავსადგურს ხმელეთთან აკავშირებდა.[2]

როგორც ჩანს, ინგლისელი ინჟინრები ცდილობდნენ შავ ზღვაზე რუსებს გაეშენებინათ ისეთი ნავსადგური, რომელიც ინგლის-თურქეთის პოლიტიკურ გეგმებს შეეფერებოდა. მათი გეგმა რუსმა ინჟინრებმა ჩაშალეს.

---

1 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 105 б, л. 5—10.
2 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 105б, л. 14.

რუსეთის განვითარების ინტერესები ამიერკავკასიაში, უკვე დაყოვნებას ვეღარ ითმენდა. აფშერონის ნახევარკუნძულზე, სურუხანაში, 1859 წელს ამიერკავკასიის სავაჭრო საზოგადოებამ გახსნა ნავთის პირველი ქარხანა. იქ 1860 წელს ნავთობის გადამუშავებამ ფართო მასშტაბი მიიღო.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბუნებრივი რესურსები და განსაკუთრებით აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთის შადრევანი შავი ზღვით უცხოეთში გასავალს ეძებდა. ნავსადგურის გააფთრებულ ძიებაში არჩევანი ისევ ფოთზე შეჩერდა. კვლავ დაიწყო ფოთის შესწავლა.

1862 წელს კაპიტანი შავროვი ქალაქ ფოთში მიაღწინეს. მას უნდა შეესწავლა რიონის ხეობა და ფოთში ნავსადგურის აგების ადგილობრივი პირობები. შავროვმა გამოარკვია, რომ ფოთთან ზღვა ღრმა ორმოს ქმნიდა და იქ ნავსადგურის აგება მოსახერხებელი იყო. ამ ახალმა დაკვირვებამ მდგომარეობა შეცვალა, ძველი ეპვები გაფანტა.[2]

ფოთის ნავსადგურის მშენებლობით თვით კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვიც დაინტერესდა. მისი განკარგულებით, 1863 წელს დაიწყო ფოთის ნავსადგურის მშენებლობა. არსებული პროექტის თანახმად, ნავსადგურის აშენება ჯდებოდა 2.065.470 მანეთი, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის დიდი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობისათვის ეს თანხა უმნიშვნელო იყო. იმასთან დაკავშირებით, რომ მალე გაიხსნებოდა ფოთი-თბილისის რკინიგზა, საჭირო გახდა ნავსადგურის გაფართოება და მისი მშენებლობის დაჩქარება.

მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დასამთავრებლად (1870-1871 წ.წ.) უმაღლესი მთავრობისაგან დამატებით 646.430 მანეთი მოითხოვა.[3]

ფოთის ნავსადგურის სრულყოფისათვის ზრუნვა შემდეგშიც გრძელდებოდა, მაგრამ ღია სანაპიროზე, სათანადო ტექნიკურ აღჭურვას მოკლებული, ფოთის ნავსადგური ამიერკავკასიის სწრაფად მზარდი ექსპორტ-იმპორტის მოთხოვნებს მხოლოდ მინიმალურად აკმაყოფილებდა.

---

[1] С. И. Гулишамбаров, «Современное состояние фотогенового производства Бакинского района», г. Баку, 1879 г., стр. 1—4.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10. д. 105 б, л. 14—20.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 105 б, л. 28—30.

ცარიზმი და რუსეთის კაპიტალიზმი ბათუმს უმიზნებდნენ.

თავისი სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობისა და საქართველოს ისტორიული ავბედობის შედეგად ბათუმი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბათუმი კოლხეთის ძლიერების ეპოქაში მნიშვნელოვანი სამხედრო და სავაჭრო ნავსადგური იყო ბერძნების მიერ „სტუმართმოძულედ" წოდებულ შავ ზღვაზე. ბერძნული კოლონიზაციის დროს ბათუმი უკვე „სტუმართმოყვარე" შავი ზღვის ნავსადგური გახდა.[1] რომაელთა ბატონობის დროს ბათუმსა და გონიოში შეიარაღებული ჯარი იდგა. ბათუმი ბერძენთა და სპარსელთა შემოსევების ხანაში და შემდეგშიაც, ციხისძირთან ერთად, თავდაცვისა და შეტევის ზღუდეს წარმოადგენდა.[2]

მე-12-13 საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს—წინააზიის ამ ძლიერ სახელმწიფოს — ცხოვრებაში ბათუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც სავაჭრო ნავსაყუდელი და სატრანზიტო პუნქტი.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის ხანაში ბათუმი გურიის მთავრის სამფლობელოში შედიოდა. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან უტევდა. ქართველთა თავგანწირულმა ბრძოლამ დიდი ხნის განმავლობაში შეაჩერა ოსმალთა ურდოები მდ. ჭოროხთან, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მტრებმა მაინც სძლიეს.[3]

უკვე მე-18 საუკუნის დასაწყისში თურქების ხელში იყო ბათუმი, ქობულეთი და ციხისძირი,[4] მაგრამ ბრძოლა ქალაქ ბათუმის განთავისუფლებისათვის არ შენელებულა. ქართველი ხალხის შურისძიების გრძნობა თურქ მოძალადე დამპყრობთა მიმართ სულ

---

1 ისტორიის სხვადასხვა მიჯნაზე შავი ზღვის სხვადასხვა სახელწოდება — „სტუმართმოძულე" და „სტუმართმოყვარე" — არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ეს ცნობილი ბერძნული ტერმინები ისტორიული კატეგორიისანი ჩანან. შავ ზღვაზე ბერძენი მოთარეშეების წინააღმდეგ მრისხანედ მებრძოლი კოლხების ზღვას, ბუნებრივია, რომ ბერძნები „სტუმართმოძულეს" დაარქმევდნენ. კოლხეთის ძლიერების დაცემის შემდეგ ბერძენი კოლონისტებისათვის შავი ზღვა და მისი ნავსაყუდლები უშიშარი გახდა. ის ახალ ისტორიულ ვითარებაში დამშვიდებული, მშვიდობიანი, „სტუმართმოყვარე" შეიქნა.

ამ საკითხზე წაკითხული გვაქვს ვრცელი მოხსენება ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის საჯარო სხდომაზე 1947 წელს.

2 Л. А. Ельницкий. «Из исторической географии Древней Колхиды», жур. Вестн. Др. Ист., № 2, 1938 г., стр. 311.

3 ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება", 1913 წ., გვ. 298.

4 Большая Советская Энциклопедия, том. I. стр. 399, 1950 г., Аджарская АССР. «Исторический очерк». Акад. Н. Бердзенишвили.

უფრო ღვივდებოდა. ამის შესახებ კაპიტანი სტეფანოვი წერდა: „თითქმის 250 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დონის კაზაკები თავიანთი მცირე ნავებით „არასტუმართმოყვარე“ შავ ზღვაზე სეირნობდნენ და შიშის ზარს ჰგვრიდნენ ანატოლიის სანაპირო ქალაქებს. ბოლოს, 7-8 ვერსის მანძილზე ახლანდელი ბათუმიდან, გადმოსხდნენ ნაპირზე და დაიპყრეს ციხე გონიო. ეს იყო 1654 წელს. იმ დროს ბათუმი ეკუთვნოდა თურქებს, რომლებმაც ეს ქალაქი ასი წლის წინათ გურიის მფლობელებს ჩამოგლიჯეს და მაშინვე იქვე ძლიერი ციხე ააშენეს. მას შემდეგ მუსლიმანობამ თანდათან იწყო გავრცელება ჭოროხის აუზში მცხოვრებ ძირითად ქართულ მოსახლეობაში... დონის კაზაკების თავდასხმას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ჩვენთვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონოდა. რუსეთის მიწა-წყლის ერთი მუჭა გულადი პიონერები, მრავალრიცხოვან თურქთა ურდოებით გარემოცულნი, სამშობლოსათვის გამოუსადეგარი, მაგრამ გმირული სიკვდილით დაიღუპნენ“.[1]

როგორც ზემოთ ითქვა, შავი ზღვის ნავსადგურებისათვის ბრძოლა რუსეთ-თურქეთის ომების ერთ-ერთი მამოძრავებელი ღერძი იყო. კერძოდ, ბათუმი შავ ზღვაზე ბატონობისათვის ომის ერთ სერიოზულ კვანძს წარმოადგენდა.

ბათუმის მომავლის, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ რუსეთის მთავრობას ტრაპიზონელი კონსული წერდა: „ჩვენი გემების გამოჩენამდე ვაჭრობა ბათუმში იყო უმნიშვნელო და ეს ნავსადგური მხოლოდ თავშეფარების საქმეს ემსახურებოდა, რედუტ-კალეში მიმავალ ან იქიდან ტრაპიზონში მომავალ გემებისათვის. სანაოსნო ხაზის გახსნამ ბათუმის გზით ვაჭრობას ფართო ხასიათი მისცა. ტრაპიზონ-ბათუმს შორის სავაჭრო ბრუნვა 1.143.039 მან. და 25 კაპ. უდრის. ბათუმი ფლობს პატარა, მაგრამ უშიშარ და იმდენად მოხერხებულ ნავსადგურს, რომ ჩვენი გემები თვით ნავსადგურთან ჩერდებიან; აგრეთვე, ის მდებარეობს სპარსეთის სატრანზიტო გზაზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ გადის ტრაპიზონისაკენ, რომ ბათუმის მიდამოებში მშვიდობიანობა არაა. მომავალში, კავკასიაში ტრანზიტის მოწყობის შემდეგ, ბათუმი მალე დაიკავებს ტრაპიზონის ადგილს; მით უფრო, რომ ნავსადგუ-

[1] Капитан Т. Т. Степанов, исторический очерк «Вступление русских войск в город Батум, 25 августа 1878 г., «Батум и его окрестности», 1906 г., Батум. стр. 90. აგრეთვე, საქ. სსრ ცსსა, ფ. 19, საქმე 131-ა, ფურც. 1, «Обзор Батумской области за 1910 год».

რის გაშენება ფოთში (თუ ეს შესაძლებელია) დიდ დროს და კაპიტალს მოითხოვს. მანამდე კი ბათუმი წარმატებით მიიზიდავს კავკასიის ტრანზიტს, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის მთავრობა შესძლებს აჭარის საბოლოოდ დამშვიდებას. რუსეთი რომ ბათუმს შეიძენდეს გაცვლის ან შესყიდვის საშუალებით, ასეთ შენაძენს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სავაჭრო და წმინდა ეკონომიური დამოკიდებულებისათვის"...[1]

რუსეთის ძლიერი სახელმწიფო მრისხანედ აღიმართა თურქული აგრესიის წინააღმდეგ. სლავი და კავკასიელი ჩაგრული ხალხები რუსეთს შეჰყურებდნენ, როგორც „გამანთავისუფლებელ მესიას". ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ანატოლიის ფაშებიც იბრძოდნენ. ახლა, მე-19 საუკუნეში, ბათუმს ოსმალეთისათვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვიდრე მანამდე. ბათუმის დაკარგვის შემთხვევაში თურქეთი შავ ზღვაზე ფაქტიურად ჰკარგავდა ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან პლაცდარმს. ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთს შორის ომები შავ ზღვაზე, მნიშვნელოვანწილად, ბათუმისათვის წარმოებდა. მტაცებელი ოსმალეთი ცდილობდა მსხვერპლი ბრჭყალებიდან არ გავარდნოდა, ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა, რომ ბათუმის ხელში ჩაგდებით კონსტანტინოპოლისაკენ შემდგომი შეტევა მოემზადებინა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველი წლებიდანვე ქალაქ ბათუმის თურქებისაგან განთავისუფლება და მისი შემოერთება მეფის მთავრობის სამხედრო გეგმაში ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად იყო აღიარებული. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარონი ბუდბერგი ჯერ კიდევ 1806 წ. 25 სექტემბერს გენერალ გუდოვიჩს საიდუმლოდ სწერდა: „შავი ზღვის ნაპირებზე ოსმალეთთან ჩვენი საზღვრების მდგომარეობაში მოჩანს ის უხერხულობა, რომ ტამანის ნახევარკუნძულიდან დაწყებული რუსეთის მფლობელობა წყვეტილი ხდება ანაპის, სუხუმ-კალეს, იზგაურის, ანაკლიის ციხე-სიმაგრეებით, შემდეგ იწყება სამეგრელოს სანაპირო, რომელიც ეკუთვნის რუსეთს რიონის შესართავამდე. მდინარის გადაღმა კვლავ იწყება თურქეთის სანაპირო სამფლობელოები: ფოთი, ბათუმი, გონიო. ყველა ეს ძველთაგანვე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს. მაშასადამე, არ შეიძლება არ ვისურვოთ შესაძლებ-

[1] Акты, т. XII, стр. 574—575.

ლობა რუსეთის სახელმწიფოში ყველა ამ ადგილის გაერთიანებისა, რომ ამით საქართველო უფრო უზრუნველვყოთ რუსეთისათვის და დავამშვიდოთ ყუბანის მიღმა მოსახლე ხალხები, რომლებიც თავშესაფარს პოულობენ ანაპასა და თურქეთის სხვა ქალაქებში".[1]

სხვათა შორის რუსეთისათვის ბათუმი არა მარტო სამხედრო საფრთხეს წარმოადგენდა, არამედ, ის ევროპულ სახელმწიფოთა ხელში უცხოური საქონლის კონტრაბანდისათვის საქართველოში შეღწევის ერთ-ერთი საიმედო პუნქტიც იყო. ბათუმიდან აუარებელი კონტრაბანდა შემოდიოდა. რუსეთის მრეწველობა თავისი სისუსტის გამო ევროპულ საქონელთან კონკურენციაში ვერ ჩაებმებოდა. რუსეთის სახელმწიფო კანონმდებლობის გზით ცდილობდა დაეცვა რუსი მრეწველი კაპიტალისტების ინტერესები. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის ნავსადგურებზე დაწესებული მაღალი საბაჟო ტარიფები, მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთმა ამიერკავკასიის ბაზრის მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა, ხოლო ბათუმიდან კონტრაბანდის გზით საქართველოს საკმაოდ დიდძალი საქონელი მოაწყდა, მთავრობამ შეიმუშავა დროებითი სპეციალური ღონისძიება და, ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობისა და როლის შემცირების მიზნითაც, ერთადერთ რუსულ ნავსადგურს ამიერკავკასიაში რედუტ-კალეს 1821 წლის 8 ოქტომბერს შეღავათიანი საბაჟო ტარიფი დაუწესა. ამან დიდი ზარალი მიაყენა რუსეთის მრეწველობას და ფინანსთა მინისტრი კანკრინი იძულებული გახდა ახალი პროექტი წარედგინა მთავრობისათვის. მთავრობა საკუთარი მრეწველობის მფარველობის გზას დაადგა. შეღავათები გააუქმეს და უცხოურ საქონელზე კვლავ გაავრცელეს საიმპერიო ბაჟები (1831 წ.).

შეღავათიანი ბაჟების დაწესებას, აგრეთვე, მიზნად ჰქონდა შეექმნა რედუტ-კალეს დიდი ნავსადგური, რომელიც ბათუმიდან საქონლის კონტრაბანდულ შემოზიდვას საზღვარს დაუდებდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო, ყულევმა თავისი მნიშვნელობა ვერ დაუკარგა ბათუმის ნავსადგურს.

ბათუმის განთავისუფლება ოსმალებისაგან კვლავ პირველი რიგის სამხედრო ამოცანად იდგა. „ოცნება ბათუმის შესახებ ხელახლა წამოიჭრა როგორც კი გურია შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში. ჩვენი ბუნებრივი სურვილი იყო იმისი დაბრუნება, რაც უძველესი

[1] Акты, т. III, стр. 525.

დროიდანვე გურიის საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო გარდა ამისა, ბათუმს ჰქონდა ჩინებული სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც საუკეთესო ყურეს, რადგან შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს მთელს სიგრძეზე, ყველა დანარჩენი ხვეული ზღვის სახმელეთო ნაპირებისა ძალზე უმნიშვნელოა და ხელოვნური მოწყობის გარეშე არ შეუძლია თავშესაფარისათვის სამსახური გაუწიოს დიდ გემებს, კარგი ამინდის დროსაც. ამ ნავსაყუდელის წყალობით ბათუმი მთავარ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენს თურქების მოქმედების დროს, როგორც ჩვენი შავი ზღვის სანაპიროს წინააღმდეგ, აგრეთვე აფხაზეთის, გურიისა და იმერეთის წინააღმდეგაც. ჩვენი მხრივ კი ჩვენც თურქეთთან ყველა ომში ვისწრაფოდით დავუფლებოდით ბათუმს, მაგრამ მისასვლელ გზაზე მრისხანე დარაჯად იდგა ციხისძირის სიმაგრე და ჩვენს ცდებს... წარმატება არ ჰქონდა. ამიტომ გვიხდებოდა დავკმაყოფილებულიყავით იმით, რომ დაგვეცვა მხოლოდ ჩვენი საკუთარი საზღვრები."[1]

ოსმალეთისათვის ბათუმის შენარჩუნებას პირველხარისხოვანი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმის დაკარგვის შემთხვევაში ოსმალეთი მთელი ანატოლიის აშკარა დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა და მას შემდეგ, რაც მან ფაქტიურად დაჰკარგა ეგვიპტე და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ანატოლიის ვრცელი და მდიდარი ტერიტორიის დაკარგვა მისთვის უკანასკნელად დარტყმული სასიკვდილო ლახვარი იქნებოდა.

რუსეთიდან სამხედრო შემოტევის შემთხვევაში, ბათუმის საშუალებით თურქეთს შავ ზღვაზე ბატონობის დიდი საშუალება ეძლეოდა. მაშინ, როდესაც რუსეთს შავ ზღვაზე არ გააჩნდა ძლიერი ფლოტი, ოსმალეთს ზღვის სანაპიროების სიახლოვის გამო ბათუმიდან ძალზე სწრაფად შეეძლო დესანტის გადმოსხმა ფოთსა და სოხუმს შუა, და თვით ნოვოროსიამდეც კი.[2] ამიტომ იყო, რომ რუსეთის მეფეები მუდამ ცდილობდნენ ბათუმის დაპყრობას.

ფ. ენგელსი, რომელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს რუსეთ-თურქეთის ომთან (1853—1856 წწ.) დაკავშირებულ

---

[1] Капитан Т. Т. Степанов, под. ред. Ген. Лейт. Потто, сборник «Батум и его окрестности», стр. 90-91, 1906 г., Батуми.

[2] Записки генерал-ад'ютанта графа Лорис-Меликова о значении для нас Батума, 27 апреля 1878 г., საქ. ცსსა, ფ. 521, აღწ. 10, საქმე 21, ფურც. 19-22.

ამბებს, ქ. ბათუმის სამხედრო, სტრატეგიული, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ წერდა: საომარ მოქმედებათა ასპარეზის გასაღებს აზიაში ორივე მხრიდან წარმოადგენს ბათუმი, და, თუ მხედველობაში მივიღებთ ამას, აგრეთვე მის მნიშვნელობას ვაჭრობისათვის, გასაკვირი როდია, თუ მუდამ რატომ ცდილობდა მეფე მის დაპყრობას. ბათუმი წარმოადგენს საომარ მოქმედებათა სარბიელს და თვით მთელი აზიური თურქეთის გასაღებს, რადგან იგი ბატონობს სანაპიროდან ქვეყნის შიგნით მიმავალ ერთადერთ გზაზე, რომლითაც შეიძლება თურქეთის ყველა პოზიციის შემოვლა არზრუმის წინ. და შავ ზღვაზე მოქმედი ორი ფლოტიდან, ის რომელიც მოწინააღმდეგეს უკან თავის ნავსადგურში შერეკავს, ბათუმის მფლობელი იქნება.[1]

ამგვარად, როგორც ფ. ენგელსი ამბობს, ბათუმი გაბატონებული იყო სანაპიროდან ქვეყნის შიგნით, რადგან სახმელეთო და საზღვაო გზები მხოლოდ ბათუმის გავლით მოემართებოდნენ. ბათუმის, ამ „საომარ მოქმედებათა სარბიელისა და მისი გასაღების“, გარშემო არსებობდა სხვადასხვა გზები: ერთი მიემართებოდა ზემო მტკვრის გასწვრივ, ახალციხეზე გავლით, მეორე — უფრო ზემოთ, ერევნის გასწვრივ ყარსისაკენ. ბათუმიდან გზა თბილისისაკენ მიმავალ გზას არზრუმიდან სულ რაღაც თხუთმეტი მილის მანძილზე უერთდებოდა. თუ რუსეთის კორპუსი ზემოთ ნაჩვენები გზით გაემართებოდა, მას შესაძლებლობა მიეცემოდა ადვილად გადაეჭრა თურქთა სამიმოსვლო გზები, და თუკი ის საამისოდ ძლიერი იქნებოდა, არზრუმის დაპყრობასაც ადვილად შესძლებდა, მით უფრო, რომ არზრუმი ძველი უბადრუკი აზიური წესით იყო გამაგრებული და მას არ შესწევდა არავითარი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი.[2] ბათუმი სამიმოსვლო გზებით ართვინის, არტაანისა და ყარსის უმდიდრეს რაიონებს უკავშირდებოდა.

ბათუმი რომ „საომარ მოქმედებათა გასაღები იყო“, კარგად იცოდნენ პირველობისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა. ამ მხრივ საქმის ვითარების შესახებ კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული თვით რუსეთის იმპერატორი ნი-

[1] Ф. Энгельс, Избранные военные произведения, т. II, Москва, 1938 г., стр. 26.
[2] იქვე.

კოლოზ პირველი, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წლების ომთან დაკავშირებით, კავკასიის მაშინდელ მეფისნაცვალს ვორონცოვს სწერდა რუსეთის მიმართ ინგლისის მტრობის შესახებ. იმპერატორი აფრთხილებდა ვორონცოვს შავ ზღვაზე თურქეთის დასახმარებლად ინგლის-საფრანგეთის გემების მოსალოდნელ შემოჭრაზე და იძლეოდა წინადადებას, დაწყებულიყო იერიშები ყარსისა და ბათუმის დასაპყრობად![1] მაგრამ, როგორც ცნობილია, ნიკოლოზ პირველის ოცნებას ბათუმის ხელში ჩაგდებაზე, 1878 წლამდე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამის უმთავრესი მიზეზი იყო რუსეთ-თურქეთის ომებში ინგლის-საფრანგეთის ჯერ ფარული, ხოლო შემდეგ აშკარა მხარდაჭერა თურქეთისათვის.

ინგლის-საფრანგეთის ფინანსური წრეები თავიდანვე დაინტერესებული იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შავ ზღვასა და კასპიის ზღვაზე რუსებს ფლოტი არ შეექმნათ, მაგრამ რუსეთის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების მთავარი ძალები, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, უმთავრესად, სწორედ შავი ზღვის მისივე სანაპიროებზე იყრიდნენ თავს. რუსეთის ბრძოლას შავი და კასპიის ზღვების დასაუფლებლად აღმოსავლეთის ხალხებისათვის ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. 1851 წ. ერთ-ერთ წერილში ფ. ენგელსი სწერდა კ. მარქსს: რუსეთი ჯერ-მარიტად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ... რუსეთის ბატონობა ასრულებს ცივილიზატორულ როლს შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის მიმართ.[2] ამ თვალსაზრისითაც ცარიზმის მიერ ბათუმის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბათუმის ნავსადგური,—წერდა მარქსი,—შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გემებისათვის ერთ-ერთ საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს; ამიტომ მისი დაპყრობა რუსეთის მიერ თურქეთს გამოაცლიდა პონტოზე უკანასკნელ საზღვაო სადგურს და მას გახდიდა მხოლოდ რუსულ ზღვად. რომ რუსეთი ყარსთან... ერთად დაეუფლებოდეს თვით ბათუმსაც, მაშინ მას შეეძლება ინგლისსა და სპარსეთს შორის ტრაპიზონით მიმავალი ვაჭრობა შეწყვიტოს და შექმნას თავისთვის საოპერაციო ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის წინააღმდეგ.[3]

---

[1] Акты, т. X, Тифлис, 1774 г., стр. 769.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс соч., т. XXI, 1929 г., стр. 211.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, 1933 г., стр. 400.

უფრო გვიან ამავე საკითხზე ისტორიკოსი ფადაევი წერდა: „შავი და კასპიის ზღვების დასაკუთრება, ან უკიდურეს შემთხვევაში, ამ ზღვების ნეიტრალიტეტი, წარმოადგენს მთელი სამხრეთ რუსეთის ნახევრის სასიცოცხლო ინტერესებს, ოკიდან ყირიმამდე, რომელშიც უფრო მეტად და მეტად თავს იყრიან იმპერიის მთავარი, კერძო და მატერიალური ძალები. ეს ნახევარი სახელმწიფო შექმნილია, შეიძლება ითქვას, შავი ზღვით".[1]

რუსეთში კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ისტორიაში ბათუმმა, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურმა, უდიდესი როლი შეასრულა.

[1] Фадаев, соч., т. I, 19, С. П. Б., 1889 г., стр. 5—6.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ბათუმის რუსეთთან შეერთება

1. რუსეთ-თურქეთის ომები მე-19 საუკუნეში და ბრძოლა ბათუმისათვის

1801 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, რუსეთის ძალა-უფლება სწრაფად ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოშიც. ამ გარემოებამ რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დააჩქარა. ომი დიდხანს გაჭიანურდა (1806 — 1812 წ.წ.), რადგან ინგლის-საფრანგეთი, რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას უწევდნენ თურქეთს.[1]

მიუხედავად ამ არახელსაყრელი გარემოებისა, რუსეთმა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციები ჩაატარა როგორც ბალკანეთში, ისე შავი ზღვის სანაპიროებზე.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, თურქებისაგან შავი ზღვის ნავსადგურების, კერძოდ, ბათუმის განთავისუფლება გადაუდებელ ამოცანად იყო მიჩნეული.[2]

როგორც ირკვევა, 1810 წლის დეკემბერში, სელიმ ხიმშიაშვილს ბათუმთან ერთად დაუკავებია ციხისძირის ციხე-სიმაგრეც. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სარდლობა ცდილობდა ბათუმის მოსახლეობის სიმპათიები გამოეყენებინა, იქ დროებით მმართველად გაეგზავნა შერვაშიძეების გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელსაც თავის მხარეზე უნდა გადაებირებინა ხალხი და დაეთანხმებინა ისინი რუსეთთან შეერთებაზე.[3]

---

1 ომის გაჭიანურების მიზეზი, აგრეთვე ისიც იყო, რომ რუსეთს მეორე ფრონტი ჰქონდა ირანთან (1805 — 1813 წ.წ.), რომელსაც ინგლის-საფრანგეთი ეხმარებოდა.

2 Акты, т. III, стр. 525.

3 Акты, т. IV, стр. 339. ხ. ახვლედიანი, სახალხო-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956 წ., გვ. 89.

ამ ომში თურქეთი ცდილობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების დასაკუთრებას და რუსების მიერ ყულევში აშენებული ნავსადგურის ძირფესვიანად მოშლას. თურქეთს საფრანგეთის დახმარებამ ვერ უშველა, ხოლო ინგლისი, იმის გამო რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთთან კავშირს აბამდა, იძულებული გახდა აქტიური მოქმედებისაგან თავი შეეკავებინა.

ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რუსეთმა განსაკუთრებული წარმატებანი მოიპოვა მას შემდეგ, რაც ფრონტის . მთავარსარდლად 1811 წელს დაინიშნა ფელდმარშალი მ. ი. კუტუზოვი. კუტუზოვის მხედართმთავრულმა ნიჭმა, რუსი ჯარისკაცების მაღალმა საბრძოლო უნარმა და თავგანწირულებამ რუსეთს ბრწყინვალე წარმატება მოუპოვა. რუსეთის 7-ათასიანმა ჯარმა ალყა შემოარტყა თურქეთის 70-ათასიან არმიას დუნაის ნაპირზე და აიძულა იგი განიარაღებულიყო. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიამ ძლიერი დარტყმა აგემა თურქეთის მრავალრიცხოვან არმიას, რომელსაც იუსუფ-ფაშა სარდლობდა. რუსებმა აიღეს ანაპა, ფოთი, სოხუმი და ახალქალაქი. ამ ბრძოლებში ქართველ მეომრებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდათ.

რუსეთს ბრძოლა მოელოდა ნაპოლეონის ძლიერ არმიასთან, ამიტომ ზავის დადება თურქეთთან მისთვის საჩქარო და აუცილებელი იყო. თურქეთის დიპლომატიამ რუსეთისათვის საგარეო ურთიერთობაში შექმნილი საფრთხე, სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს, თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

1812 წლის 16 მაისს, ბუქარესტში, რუსეთ-თურქეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. რუსეთის მიერ დაპყრობილი ფოთი, ანაპა, ახალქალაქი თურქებმა უკან დაიბრუნეს. ეს იყო თურქული დიპლომატიის „მოგება“. ბათუმი ისევ თურქებს დარჩათ, მაგრამ რუსეთის ხელში სოხუმის გადასვლა ოსმალეთს მოთმინებას აკარგვინებდა. თურქეთი სამჯერ (1813, 1821, 1824 წლებში) შეეცადა მიეტაცებინა სოხუმი, მაგრამ მარცხი განიცადა.

„უძლეველობით“ ცნობილ ნაპოლეონის არმიასთან შეჯახებაში რუსეთმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ინგლისის ვარაუდი, რომ რუსეთი ნაპოლეონის არმიასთან ბრძოლის შემდეგ დამოუკიდე-

ბელი პოლიტიკის წარმოებას ვეღარ შესძლებდა, არ გამართლდა. აწ მოვლენამ ინგლის-საფრანგეთის ინტერესები რამდენიმედ ერთიმეორეს დაუკავშირა. ისინი „დაჩაგრულ“ თურქეთს გვერდში ამოუდგნენ და რუსეთის წინააღმდეგ „საღვთო“ ომისათვის ემზადებოდნენ. რუსეთმა დაასწრო და 1828 წლის 2 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. ომი ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდა, როგორც ბალკანეთში, ისე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. რუსთა ჯარი უტევდა სამი მიმართულებით— ყარსისაკენ, ახალციხე-ახალქალაქისაკენ და ციხისძირ-ბათუმისაკენ.

ციხისძირ-ბათუმის მიმართულებით ბრძოლაში ქართულმა მილიციამ თვალსაჩინო როლი შეასრულა.

რუსებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ ომი. მას შემდეგ, რაც ყარსიდან შეწყდა პურის შემოტანა, მოუსავლიანობის პირობებში, საქართველოს შიმშილი აწუხებდა. დარიალის გზით რუსეთიდან, მართალია, მოდიოდა სურსათ-სანოვაგე, მაგრამ არც ეს გზა იყო მაინცდამაინც საიმედო, რადგან მთიელი ტომები რუსეთის წინააღმდეგ იარაღს ისხამდნენ და მოსალოდნელი იყო ამ გზის ჩაკეტვაც. თვით საქართველოში აქა-იქ მღელვარება იგრძნობოდა. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით 1828 წლის 15 მაისს კავკასიის სარდლობამ სპეციალური ღონისძიება შეიმუშავა ქვეყნის შიგნით მშვიდობის დასაცავად, რასაც დიდძალი სამხედრო საჭურველი და ადამიანთა რეზერვები დასჭირდა.[1]

კავკასიის ჯარების სარდლობა ამ ომს მოუმზადებელი შეხვდა. ამიტომ, გენერალმა პასკევიჩმა გადასწყვიტა არ აჩქარებულიყო. იგი ცდილობდა, ცხარე საომარი ოპერაციები რაც შეიძლება გვიან დაწყებულიყო.

რუსეთის სარდლობამ იცოდა, რომ ხრწნადი ოსმალეთის სახელმწიფო გამარჯვების იმედებს უმთავრესად დივერსიაზე, ჯაშუშობასა და საერთოდ რუსთა ზურგის შერყევაზე ამყარებდა.

თურქეთის სახელმწიფოს ამ შინაგანი ბუნების შესახებ 1853 წლის მარტში დაწერილ სტატიაში — „ეროვნებანი თურქეთში“ კ. მარქსი წერდა: თურქეთი იხრწნება და იგი სულ უფრო მეტად გაიხრწნება, ვიდრე იარსებებს ახლანდელი სისტემა „ევროპული წონასწორობისა“ და „Status quo“.[2]

[1] Ушаков, История военных действий в Азиатской Турции в 1828-1829 годах, часть I, 1843 г., стр. 160. «Тифлисския ведомости» № 13, 1829 г.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, 1933 г., стр. 373.

თურქეთი დასავლეთ საქართველოს მთავრებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა და მათი მხარდაჭერით ფიქრობდა ხალხის გულის მონადირებას, მაგრამ ხალხი ქრისტიანული რუსეთის მხარეზე გამოვიდა. განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები. სამეგრელოს მთავარმა ოსმალთა წინააღმდეგ ოთხი ათასი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი გამოიყვანა. იმერეთის თავადებმაც შეკრიბეს სახალხო რაზმები.[1]

საქართველოში შეჭრის მიზნით თურქეთის სარდლობა იერიშებისათვის ბაზას ბათუმში იქმნიდა. ოსმალეთიდან ბათუმში დამატებით გაიგზავნა 16 ქვემეხი და სპეციალურად გაწვრთნილი ჯარი. მიუხედავად განსაკუთრებული ვითარებისა, არც გურიაში ჰქონდათ წარმატება თურქეთის აგენტებს. მართალია, გურიის მაშინდელი მთავარი სოფიო გურიელი რუსეთს არ ერთგულებდა და თურქეთში გადაიხვეწა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გურიის მოსახლეობა არამცთუ გვერდში არ ამოუდგა თურქებს, არამედ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მათ.[2]

კავკასიის ფრონტზე რუსებს მეტად მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ. ჯარისა და შეიარაღების სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობი იყო შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმის მიმართულებით.[3] ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სარდლობა სამხედრო ოპერაციების გაშლის დაგვიანებას ამჯობინებდა, მაგრამ მდგომარეობა მალე საგრძნობლად გაუმჯობესდა. რუსეთის შედარებით მცირერიცხოვან ჯარს ადგილობრივი მამაცი, ბრძოლისუნარიანი სახალხო მილიცია შეუერთდა. გრაფ პასკევიჩის მითითების თანახმად, გენერალ-ადიუტანტმა სიპიაგინმა გასცა სათანადო განკარგულება და უკვე 1828 წლის 3 მაისისათვის შეგროვილი იყო: ბორჩალოში და მის ახლომახლო მიდამოებში 500 კაცი, გორის მიდამოებში 150 ცხენოსანი და 400 ქვეითი ჯარისკაცი, რომლებიც სავსებით შეიარაღებული იყვნენ და რომელთა უფროსობა დაევალა პოლკოვნიკ თა-

[1] Батум и его окрестности, 1906 г., стр. 117. ნახეთ, აგრეთვე: Ушаков, История военных действий в Азиятской Турции в 1828—1829 гг., часть I, изд. второе. Варшава, 1843 г., стр. 163.

[2] Ушаков, «История Восных действий»... стр. 151.

[3] «Батум и его окрестности», 1906, г., стр. 117, Батуми. „ტფილისის უწყებანი". № 12, 1828 წ.

საყურადღებოა უშაკოვის მითითება იმაზე, რომ თურქები მაჰმადიანებსაც არ ენდობოდნენ და ასახლებდნენ ქვეყნის სიღრმეში 100 კილომეტრის დაშორებით საზღვრიდან. ხოლო სომხებს აუკრძალეს იარაღის ტარება. უშაკოვის დასახელებული შრომა გვ. 150.

ვად შანშე ერისთავს. გენერალ გუსესა და სამეგრელოს მთავრის საერთო ღონისძიებებით სამეგრელოში მოგროვდა 10 ათასი ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლი.

ადგილობრივი მილიციის მობილიზაცია შემდეგშიც გრძელდებოდა და მილიციელთა რაოდენობა იმდენად დიდი შეიქმნა, რომ სარდლობამ, საშემოდგომო სამუშაოებთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩათვალა მათი დროებით დათხოვნა. სარდლობის ასეთი ღონისძიება ნაკარნახევი იყო იმ გარემოებითაც, რომ ამით შესაძლებელი ხდებოდა ჯარისათვის შექმნილიყო სურსათით მომარაგების ადგილობრივი ბაზა.[1]

სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე 1828 წლის 14 ივლისს დაიწყო. გადალახულ იქნა მდ. არფა-ჩაი და ქ. ალექსანდროპოლი. რუსეთის მხედრობა თურქებს ყარსის მიმართულებით უტევდა.

ბათუმში მტრის 10-ათასიანი შეიარაღებული ჯარი იდგა. თურქები ფიქრობდნენ შეჭრილიყვნენ გურიაში, რომელიც მათი ვარაუდით რუსთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მოკავშირე გახდებოდა. თურქების ერთი რაზმი გურიიდან უნდა შეჭრილიყო სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო მეორე რაზმს ალექსანდროპოლით თბილისზე უნდა გაელაშქრა. ძალიან მალე თვით თურქმა ბეცმა პოლიტიკოსებმაც გაიგეს, რომ მათი ვარაუდი ყოვლად უსაფუძვლო იყო. გურულები იჩენდნენ სიმშვიდეს და გაბედულად გამოუცხადეს თურქებს, რომ ისინი არ უღალატებდნენ რუსეთს და მზად იყვნენ მათთან ერთად ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ.[2]

გურულების ასეთი მოქმედება ოსმალებისათვის მოულოდნელი იყო. თურქ მოხელეთა გულისწყრომა კარგად ჩანს ახმედ-ბეგის იმ მუქარით სავსე წერილში, რომელიც მან გურულებს გაუგზავნა. ახმედ-ბეგის დეკლარაციაში ვკითხულობთ: „მე ახმედ-ბეგი, თქვენდამი კეთილგანწყობილი, ამით წინასწარ გაფრთხილებთ — თუ თავის დაღუპვა არ გსურთ, ამის მიღებისთანავე გამოცხადდით ჩემთან და შეურიგდით მფლობელს... ჩემს მოთხოვნას უარი არ უთხრათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვუბრძანებ აჭარლებს, რომ თქვენ თავს დაგესხათ. და ამის შემდეგ თქვენ ვეღარ იპოვით თავშესაფარს ვერც ოსმალეთსა და ვერც საქართველოში“.[3] ახმედ-ბე-

1 საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. № 3, 1828 წ., საქმე 95, ფუც. 1-10.
2 Акты, т. VII, стр. 412.
3 Акты, т. VII, стр. 413.

გის მუქარის მიუხედავად, გურიის მოსახლეობა და თვით მოწინავე თავადებიც აღფრთოვანებით შეხვდნენ რუსეთისა და ქართველების მხედრობას და შეუერთდნენ თავიანთი შეიარაღებული რაზმებით.[1] დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რუსთა მხარეზე ერთსულოვანი დარაზმვის შესახებ გენერალმა პასკევიჩმა სპეციალური მოხსენება წარუდგინა უმაღლეს მთავრობას.[2]

ამის მიუხედავად, მთავარსარდალი იძულებული გახდა დიდძალი ჯარი დაეტოვებინა კავკასიის ვრცელი ტერიტორიის დასაცავად. მოქმედ არმიაში რჩებოდა არა უმეტეს 12 ათასი კაცისა. (8.561 ქვეითი, 3.443 ცხენოსანი და 70 ზარბაზანი).[3]

ბათუმის მიმართულებით შემტევი ჯარების მეთაურობა დაევალა გენერალ-მაიორ გესეს. რუსთა რეგულარულმა ჯარმა ქართული მილიციის აქტიური მონაწილეობით შეუტია ფოთში დაბანაკებულ თურქთა გარნიზონს და 7-დღიანი ალყის შემდეგ, 1828 წლის 15 ივლისს, იერიშით აიღო ციხე-სიმაგრე, ხოლო თურქები ზღვაში გადაყარა. ფოთში დაბანაკებული თურქული გარნიზონის წინააღმდეგ ლაშქრობამ რუსები დაარწმუნა ქართველების არა მარტო გულადობაში, არამედ ერთგულებაშიც.[4]

2 ოქტომბერს რუსეთის ჯარებმა მშვიდობიანად დაიკავეს ოზურგეთი, ნაგომარი, ასკანა და ლიხაური. გენერალ გესეს ამოცანა იყო ბათუმის დაუფლება, მაგრამ ჯარის სიმცირე და ბრძოლი-

---

[1] Батум и его окрестности. 1906 г., стр. 118.

[2] Акты, т. VII, стр. 753-754.

[3] Лукianович, Описание турецкой войны 1828 и 1829 годов, ч. 2, С. П. Б., 1844 г. стр. 129.

[4] Лукianович, Описание Турецкой войны, ч. II, г. г. С. П. Б., 1844 г., стр. 238.

როგორც „ტფილისის უწყებანი“-დან ჩანს, ფოთის ციხიდან ოსმალების განდევნისათვის...“ „უმოწყალესად ებოძათ კავალერობა და ელადმერის ორდენი მეგრელიის ჯარში, თავადს ტარიელ დადიანს, მისივე ორდენის ხარისხის ბანტით, 44-ის ეღერის პოლკის მაიორს თავადს მიქელაძეს, მეგრელიის ჯარის კაპიტანს თავად ნ. დადიანს და პოლკოვნიკს თავად ბენო გელოვანს; მასვე ორდენისასა და ხარისხისა უბანტოთ მაიორს თავად ლევან ჩიჩუას; წმინდა ანას III ხარისხის ორდენისა ბანტით... ბრიგადის პროპორჩიკს ყორღანოვს... იმერეთის თავადს როსთომ ერისთავს, ორდენი ხარისხისა უბანტოთ, თავადს გიორგი დადიანს და გურიის ჯარის პროპორჩიკს. თავადს იოსებ ნაკაშიძეს, მისივე ორდენსა და ხარისხსა. მეგრელთა ქვეით პოლკის პროპორჩიკს თავადს დადიანს ალმასის ნიშნები მასვე ორდენისა. მეორე ხარისხისა,... პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთელს, ოქროს ხმალი წარწერით მხნეობისათვის ალმასით გამშვენებული, მეგრელთა ჯარის ლენერალ-მაიორს თავად ნიკოლოზ დადიანს.

უმაღლესად დამტკიცებულია ივ-ს თებერვალს აზრითა სახელმწიფოს არჩევისათა გვარი ჯორჯაძეებისა მიღებულ არს თავადის ღირსებასა შინა“. „ტფილისის უწყებანი“, 1828 წ., № 12.

სათვის არახელსაყრელი სტრატეგიული პირობები ჯერ საშუალებას არ აძლევდა მას ციხისძირის სიმაგრის გადასალახავად დაეწყო გენერალური შეტევა. ამავე დროს რუსთა ჯარები ყარსისა და ბაიაზეთის მიმართულებით წარმატებით უტევდნენ მოწინააღმდეგეს. 4 დღის გარემოცვის შემდეგ, 1828 წლის 23 ივლისს, გააფთრებული იერიშებით მეფის ჯარებმა ქ. ყარსი დაიკავეს. სამი თვის განმავლობაში პასკევიჩის არმიამ ზედიზედ ერთიმეორეზე დაიკავა ყარსის, ახალციხისა და ბაიაზეთის საფაშოები. შემოდგომაზე რუსეთის ჯარები გავიდნენ ევფრატის ნაპირზე და ერზერუმიდან 90 ვერსის დაშორებით აღმოჩნდნენ.[1] თურქები ახლა განსაკუთრებული ენერგიით იბრძოდნენ ახალციხის დასანარჩუნებლად. თურმე ისინი იმდენად დარწმუნებული იყვნენ ამ ციხე-სიმაგრის ძლიერებაში, რომ ამბობდნენ: „ვიდრე მთვარეს ზეციდან არ ჩამოიღებენ, მანამდის შეუძლებელი იქნება მისი ჩამოხსნა ახალციხის მეჩეთიდანო“.[2] მიუხედავად ამისა, აბეზარი ნახევარმთვარე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ეკიდა ახალციხეში მეჩეთის თავზე, 15 აგვისტოს, დილის 8 საათზე, რუსთა და ქართველთა მხედრობის ფეხქვეშ ეგდო ძლევამოსილი გამარჯვების ნიშნად.

ახალციხის აღება მოხერხდა ძლიერი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, რომელიც 5 აგვისტოდან 15 აგვისტომდე მიმდინარეობდა.[3] ახალციხის დაუფლებისათვის გაფთრებული ბრძოლების შესახებ სამხედრო მიმომხილველი შენიშნავდა, რომ ახალციხის ბრძოლის მსგავსი რამ მას „საფრანგეთის კამპანიის“ შემდეგ (იგულისხმება ომი ნაპოლეონთან — ვ. ს.) არ უნახავს.[4]

თურქებისაგან ახალციხის განთავისუფლების შემდეგ კავკასიის ჯარების სარდალი პასკევიჩი საზეიმოდ თბილისში გაემგზავრა, მას გრანდიოზული შეხვედრა მოუწყეს. მტერზე გამარჯვებას

---

1 Батум и его окрестности, стр. 119-120.

2 Б. С. Эсадзе, Летопись Грузии, выпуск I, 1913 г., стр. 120.

3 გ. ტოგაძე, ოსმალეთის დევრიშობა და გლეხთა აჯანყებანი მე-16 საუკუნეში, 1946 წ., გვ. 234.

ახალციხიდან მტრის განდევნამ მებრძოლ ჯარისკაცთა პატრიოტული აღტყინება და სიამაყის გრძნობა გამოიწვია. მათ სპეციალური ლექსი შეთხზეს, რომელიც შემდეგ სამხედრო სიმღერად იქცა. ეს ლექსი ახალციხის გმირული ბრძოლის მონაწილე ჯარისკაცებმა გაზეთ „Тифлиския ведомости“-ს რედაქტორს პ. სანკოვსკის გამოუგზავნეს გამოსაქვეყნებლად. პ. სანკოვსკიმ მებრძოლთა თხოვნა დააკმაყოფილა (ნახეთ დასახ. გაზეთი, 1828 წ., № 41).

4 გაზ. „ტფილისის უწყებანი“. № იდ. ოთხშაბათს, დეკემბრის გ-სა, ჩუკც წელსა (ე. ი. 3 დეკემბერი, 1828 წ. ვ. ს.).

განსაკუთრებით ზეიმობდა ქართველი ხალხი. მას ახარებდა მშობლიური მიწა-წყლის მტრის ხელიდან გამოგლეჯის შესახებ მიღებული ახალი ცნობა. სხვა მრავალ ნადაელთა შორის რუსებმა ახალციხეში ხელთ იგდეს მდიდარი წიგნთსაცავი, რომლის გატანა თურქებმა ვერ მოასწრეს. ეს ბიბლიოთეკა პასკევიჩმა პეტერბურგის აკადემიას უძღვნა.[1]

სამხედრო საქმეში კარგად ჩახედული გენერალი პასკევიჩი ბათუმის გარშემო შექმნილ სერიოზულ საფრთხეს საკმაოდ სწორად ითვალისწინებდა; ამიტომ, ის ბრძოლის ამ უბანზე აუჩქარებელ მოქმედებას მოითხოვდა. პასკევიჩის აზრით, ბათუმი საუკეთესო ნავსადგური იყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, განსაკუთრებით, გემების გამოზამთრებისათვის. მისი დაპყრობა, ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებით, უნდა მომხდარიყო ადრე გაზაფხულზე. ამისათვის საჭირო იქნებოდა ორი ან სამი სამხედრო გემის გაგზავნა სახმელეთო ჯარებთან ერთად მოქმედებისათვის, რადგან უამისოდ მეტად გაძნელდებოდა იმ ვიწრო გზის გადალახვა, რომელიც მიემართებოდა ხმელეთზე, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, და რომელიც უკვე თურქებმა რამდენიმე ადგილას ჩახერგეს.[2] მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ პასკევიჩი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმის აღება პირდაპირი იერიშებით არ მოხერხდებოდა და ამიტომ სამხედრო ოპერაციები უნდა წარმოებულიყო მანევრირებით, შემოვლით. პასკევიჩმა სამხედრო ოპერაციის გეგმიდან მთლიანად გამორიცხა ბათუმზე პირდაპირი შეტევა.[3] ამის შესახებ მან უმაღლეს მთავრობას აცნობა კიდეც, მაგრამ საერთოდ იღბლიან პასკევიჩს აქ ბედმა უმტყუნა.

ბათუმ-ციხისძირის მიმართულებით ოსმალებმა დიდძალი ჯარისო დაჯგუფება შექმნეს და პროვოკაციული თავდასხმა დაიწყეს, გურია-იმერეთში ფართო ლაშქრობისათვის განემზადნენ.[4] პასკევიჩიც იძულებული გახდა „ბათუმის სამხედრო ოპერაციების გეერდის ავლის“ გეგმა შეეცვალა და ბათუმის მიმართულებით

1 გაზ. „ტფილისის უწყებანი“, № ის, 1828 წ., № ი.პ., (ე. ი. 18 ოქტომბერი, 1828 წ., № 14, 15 ნოემბერი, 1828 წ. ვ. ს.).

2 გენერალ პასკევიჩის პატაკი 1828 წლის 21 ნოემბერს, Акты, т. 7. стр. 772.

3 Акты, т. 7, стр. 7773.

4 1829 წლის 15 მარტისათვის თურქებმა ქობულეთიდან დაიწყეს გურიის სოფლებზე მძარცველური თავდასხმები, ამ ოპერაციებს ტრაპიზონის ფაშა ჭელია-ოღლი ხელმძღვანელობდა.

შეტევაზე გადასულიყო. გენერალ გესეს ებრძანა დაეწყო შეტევა ქობულეთ-ბათუმის რაიონების მიმართულებით.

ოსმალებმა რუსების შემოტევის შიშით ბათუმი კიდევ უფრო გაამაგრეს. რუსთა ჯარი ე. წ. „ნიკოლოზის სიმაგრიდან“ (შეკვეთილი) ვიწრო გზით მიემართებოდა; მარჯვნივ შავი ზღვის ნაპირები, ხოლო მარცხნივ გაუვალი ტყე და ჭაობი იყო, რომელიც მტერს ჰყოფდა რუსთა ჯარისაგან. ყველაფერი ეს დიდ დაბრკოლებას ქმნიდა საომარი ოპერაციებისათვის.[1] გენერალმა გესემ შეტევა დაიწყო 5 მარტს. ბრძოლა კინტრიშის მიდამოებში წარმოებდა, გესეს განკარგულებაში იყო ეგერთა 44-ე და მეგრელთა ქვეითი პოლკი 1.216 კაცითა და 4 მსუბუქი ქვემეხით, აგრეთვე, ორი შორს მსროლელი ზარბაზანი, 1.315 ჯარისკაცი და მოხალისეთა მილიცია.

5 მარტს გესემ რეგულარული ჯარის გვერდით ბრძოლაში ჩაება გურიის მილიცია. გურიის მილიცია გაიყვანა მდ. ნატანებზე, საიდანაც მოადგა ზღვის სანაპიროებს. ნაბრძანები იყო თვალ-ყური ედევნებინათ მაღლობის გზისათვის, რომელიც ტყისაკენ მიიმართებოდა. გადასასვლელიდან 3 კილომეტრზე თურქებმა რუსებს ტყვეები დაუშინეს, ხოლო შემდეგ გაიქცნენ... მტერი გარბოდა ხშირ ტყესა და გაუვალ ჭაობში, შავი ზღვის ნაპირებით. ამას გარდა უკუქცეულ მტერს დაბრკოლებას უქმნიდა ის, რომ გზა რამდენიმე ადგილას გადათხრილი იყო დიდი არხებით. მტერმა ძალა მოიკრიბა და რუსთა რაზმს შეხვდა ძლიერი ცეცხლით. ოთხი საათი გაგრძელდა გააფთრებული ბრძოლა. ბოლოს გენერალმა გესემ მოაწყო ბატარეა, რომელიც წარმატებით მოქმედებდა. გესემ ბრძანა იერიშით აეღოთ მტრის ბანაკი. ბრძანება შესრულებულ იქნა, როგორც ცხენოსანი მილიციის, ასევე ქვეითების მიერ. სანგრებიდან განდევნილმა მტერმა დასტოვა მთელი ქონება, მრავალრიცხოვანი იარაღი, 163 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. მთელ ამ ბრძოლაში მტერმა მოკლულთა და დაშრილთა სახით დაჰკარგა 1.000 კაცი. რუსთა და ქართველთა დანაკარგი იყო: ერთი ობერ-ოფიცერი, 3 თავადი და აზნაური, 33 ჯარისკაცი, 3 მილიციელი. დაიშრა: შტაბის

1 პროფ. კოლიუბაკინი ჩაქვის, ციხისძირის, კინტრიშის, ლეღვას, ლიხაურის, ჭაჭუთის, ჩოლოქის და სხვა მიდამოებს გაუვალ ტყიან ადგილს უწოდებს, ხოლო ქობულეთს ახასიათებს, როგორც სახიფათო ჭაობს.Б. Колюбакин (Ординарный профессор Николаевской Академии Генерального штаба, Русско-Турецкая война в 1877—1879 гг., ч. I, стр. 37—39.

2 Акты, т. 7, стр. 779.

2 ოფიცერი, 6 ობერ-ოფიცერი, 11 თავადი და აზნაური, 142 ჯარისკაცი და 9 მილიციელი.[1]

გენერალმა გესემ გაითვალისწინა ბათუმ-ციხისძირის აღების მთელი სირთულე და შეტევა ახლო მომავლისათვის გადადო. შექმნილი მდგომარეობის მიხედვით, იგი იძულებული იყო ჯერჯერობით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებით დაკმაყოფილებულიყო. ბათუმის მიმართულებით რუსეთის ჯარის ცვალებადი წარმატება თურქებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა დამორჩილებული მოსახლეობის გადასაბირებლად. მტერი არა მარტო აგიტაციას, არამედ დაშინებისა და შანტაჟის მეთოდებსაც მიმართავდა. ოსმალთა აგიტაციას ერთგვარი წარმატება ჰქონდა აჭარა-ლაზისტანის გაბატონებულ ფენებში. ახმედ ბეგი და მისი ხელქვეითები სულ უფრო და უფრო თურქებისაკენ იხრებოდნენ.[2]

ჯარის სიმცირით შეშინებულმა გენერალმა გესემ დაკავებული პოზიციები დატოვა და უკან, ქუთაისისაკენ დაიხია. ოსმალებმა ისარგებლეს გესეს უკანდახევით. შავი ზღვის ნაპირებიდან კინტრიშის მიდამოებს ზედიზედ მოსდიოდა ტრაპიზონიდან ჯარისკაცებით ღტვირთული გემები. მაისის დასაწყისში თურქებს შზად ჰყავდათ 7-ათასიანი მეწინავე ჯარი სათანადო რეზერვებით და სამეგრელო-იმერეთის დასაპყრობად ემზადებოდნენ. მაგრამ რუსთა ჯარებმა არტაანისა და ყარსის მიმართულებით ოსმალეთს დიდი საფრთხე შეუქმნეს. ამიტომ, მტერი იძულებული გახდა მთელი ძალები ახლა იქით გადაესროლა.[3]

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი პასკევიჩი კარგად ხედავდა, რომ შეტევის ერთიანი გეგმის ინტერესებისათვის საჭირო იყო ბრძოლის განახლება ბათუმის მიმართულებით. არზრუმის დაპყრობის შემდეგ გენერალ-მაიორ გესეს 1829 წლის 7 ივლისს ებრძანა: დაეწყო მოლაპარაკება ქობულეთის ბეგებთან და მამასახლისებთან და თუ ისინი ნებაყოფლობით მორჩილებას არ გამოაცხადებდნენ, მაშინ იარაღით დაესაჯა. გესეს ცდას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ქობულეთის ბეგებს თავი გამომწვევად ეჭირათ; ამიტომ, 4 აგვისტოს მთავარსარდლის განკარგულებით რუსეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა[4]

---

[1] Акты, т. VII, стр. 779.
[2] Акты, т. VII, стр. 815. სარდლობის მიერ 1829 წლის 13 აგვისტოს შედგენილი პატაკი.
[3] «Батум и его окрестности», 1906 г., стр. 123.
[4] Акты, т. VII, стр. 819.

საფიქრებელია, რომ კავკასიის მთავარსარდლის განკარგულება დროულად იცოდა მტრის სარდლობამ, რომელმაც ფრონტზე დამატებით გადმოისროლა ახალი, 8-ათასიანი ჯარი. ომის წინ გენერალ გესეს განკარგულებაში იყო: ეგერთა 44-ე პოლკი, გურულთა და იმერთა მილიცია, მეგრელთა პოლკის ორი ბატალიონი 6 ზარბაზნით და მეგრელთა მილიცია 3 ათასი კაცის შემადგენლობით.

4 აგვისტოს ოპერაციებში პირველ კოლონას მეთაურობდა პოლკოვნიკი პაცოვსკი. კოლონა შედგებოდა 44-ე ეგერთა პოლკისა, 4 საარტილერიო ქვემეხისა და 2 ბატალიონისაგან. მეორე კოლონა შემდგარი იყო მეგრელთა 2 ქვეითი პოლკისაგან, 6 საარტილერიო იარაღისა და დაახლოებით 2.500 კაცისაგან. გენერალმა გესემ სახალხო მილიციის ერთი ნაწილი გააგზავნა შეკვეთილიდან ზღვის ნაპირებით ლიმანის (კინტრიშის მიდამოებია) ხერგილებისაკენ. ქართული მილიციის მეორე ჯგუფს გესე თვით გაუძღვა წინ და ღამით მიიყვანა მტრის მიერ გამაგრებულ სოფელ მუხაესტატესთან. გესემ ვიწრო ბილიკებით ფარულად შემოუარა თურქეთის ჯარის დაჯგუფებას და 6 აგვისტოს მოხერხებულად მოექცა მტრის მიერ გამაგრებულ მაღლობის მარცხენა ფლანგზე. მტერზე იერიში მიიტანეს ორივე მხრიდან. სახალხო მილიციამ მტერს შემოუარა ზურგიდან, ხოლო მეგრელთა სამი ასეული გენერალმა გესემ გაგზავნა იმ ხერგილებისაკენ, რომელიც იმყოფებოდა მოწინააღმდეგეთა პოზიციებს შორის, შუა გზაზე.

შეტაკება რუსთა და ქართველთა ჯარების გამარჯვებით დასრულდა. მილიციამ შეწყობილად დაარტყა მტერს ზურგიდან, ძლიერი ცეცხლით შეავიწროვა იგი და აიძულა დაეტოვებინა ხერგილები. მტერმა დატოვა ყველაფერი და პანიკით შეპყრობილმა ტყეს შეაფარა თავი. ამიტომ შემდგომი დევნა შეუძლებელი შეიქნა. რუსებს ნადავლად დარჩათ ერთი ზარბაზანი, ორი დროშა და ბანაკის მთელი სურსათ-სანოვაგე. ბრძოლაში თურქებმა დაჭრილთა, დახოცილთა და ტყვეთა სახით 5.068 კაცი დაჰკარგეს. რუსებმა და ქართველებმა დაჰკარგეს 4 რიგითი ჯარისკაცი და 15 მილიციელი. დაიჭრა 5 მეთაური და 85 მილიციელი. დევნილი მტრის გადარჩენილ რაზმში იმყოფებოდა 2 ათასამდე კაცი.[1]

რუსთა მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ მტერს თავზარი დასცა. მტრის მეორე რაზმი, რომელიც იქვე ახლო, ლიმანში გა-

[1] Акты, т. VII, стр. 819—820.

მაგრებულ ადგილებში იდგა, რუსთა პოლკის გამოჩენისთანავე იძულებული გახდა გაქცეულიყო. პოლკოვნიკ პაცოვსკის რაზმმა ფიცხლად შეუტია უკანდახეულ მტერს და სდია ზღვის ნაპირების გასწვრივ, კინტრიშის სიმაგრემდე. მტერმა კინტრიშის პოზიციებზეც ვერ გაბედა შეჩერება, ხანძარი გაუჩინა საკუთარ ყაზარმებს და გაქცევით უშველა თავს. თურქებს კინტრიშში დარჩათ 4 ქვემეხი და მთელი საარტილერიო მოწყობილობა.

9 აგვისტოს მეფის ჯარებმა დაიკავეს კინტრიშის სიმაგრე.[1]

გზა ბათუმ-ციხისძირისაკენ თითქმის გაწმენდილი იყო და გენერალ გესეს შეეძლო, სანამ მტერი გონს მოვიდოდა, განევითარებინა სწრაფი შეტევა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ადგილზე მდგომარეობის შესწავლისა და მტრის განლაგების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, 15 სექტემბერს დაიწყო შეტევა ციხისძირის ასაღებად. მაგრამ, სამწუხაროდ, გენერალ გესეს ყალბი ცნობა მიაწოდეს, რის შედეგად მტრის განლაგების, რაოდენობისა და სხვათა შესახებ მან დანამდვილებით არაფერი იცოდა.[2]

გენერალმა გესემ ციხისძირის ასაღებად გაილაშქრა 2.400 ქვეითი ჯარისკაცით, 7 ზარბაზნით, 100 კაზაკით და 3-ათასიანი სახალხო მილიციით. 15 სექტემბერს რუსები ციხისძირს მიუახლოვდნენ, ოსმალებმა მათ ცეცხლით უპასუხეს. 17 სექტემბერს დაიწყო სასტიკი ბრძოლა სანგრების ასაღებად, მაგრამ მტრის განდევნა შეუძლებელი შეიქნა. ოსმალებმა რუს-ქართველთა ჯარს ტყიდან ზურგით შემოუარეს და მოულოდნელად დაარტყეს. გენერალ-მაიორმა გესემ დაინახა, რომ დიდი მსხვერპლის მიუხედავად რედუტის აღება შეუძლებელია და გასცა განკარგულება რუსების საკუთარ პოზიციებზე დაბრუნების შესახებ. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. აღსანიშნავია, რომ მძიმე ჭრილობის შედეგად მოკვდა ახმედ-ფაშის შვილი. ციხისძირის ბრძოლამ რუსთა და ქართველთა მხრიდან მოკლულ-დაჭრილთა სახით, მსხვერპლად შეიწირა 660-ზე მეტი კაცი.

მტერმა ციხისძირის გარნიზონი 4.500 კაცით გაამაგრა. ციხეს ზღვიდან უხვად აწვდიდნენ სურსათ-სანოვაგესა და მაღალი ტექნიკის სამხედრო აღჭურვილობას. ამიტომ, გენერალი გესე იძულებული გახდა თავისი ჯარით უკან, კინტრიშისაკენ, დაეხია.

[1] Акты, т. VII, стр. 819, газ. «Тифлисския ведомости», № 26, июня 18-го, 1829 г.
[2] Акты, т. VII, стр. 829.

გენერალი პასკევიჩი ციხისძირის დაუფლებისათვის ბრძოლაში რუსთა ჯარის დამარცხების მიზეზად იმას თვლიდა, რომ ახალციხის კორპუსის აჭარაში შეჭრა ოსტენ-საკენის მეთაურობით და შეტევა ციხისძირის პოზიციებზე ერთდროულად არ მოხდა.[1] მაგრამ ეს ახსნა ცალმხრივია. საქმე იმაშია, რომ ოსტენ-საკენის ლაშქრობას აჭარაში თავიდანვე წინდაუხედაობა ახასიათებდა. მან მშვიდობიანი მოსახლეობის ოცამდე სოფელი ცეცხლს მისცა, რამაც ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. ამ გარემოებით ისარგებლეს აჭარის გაბატონებულმა წრეებმა და ოსტენ-საკენის რაზმს მწარე დამარცხება აგემეს.[2] ციხისძირში რუსთა ჯარის დამარცხების ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მტერი ბატონობდა ზღვაზე. პასკევიჩის მოთხოვნა, რომ ციხისძირისა და ბათუმის ასაღებად მიეშველებინათ საზღვაო ესკადრა, არ იქნა დაკმაყოფილებული. არც ის შეიძლება მხედველობის გარეშე დავტოვოთ, რომ ციხისძირის ძლიერი პოზიციები ქ. ბათუმის დაცვის გასაღები იყო. ამიტომ ოსმალები მას პირველხარისხოვანი ტექნიკით, სურსათ-სანოვაგითა და მრავალრიცხოვანი ქარგად გაწვრთნილი ჯარით ამარაგებდნენ.[3] სურსათის ნაკლებობა, დაბალი სანიტარული და საექიმო მომსახურება, მძიმე კლიმატური პირობები და სხვა ხელს უშლიდა რუსეთის შემტევი ჯარის წარმატებებს. დიდ საფრთხედ გადაიქცა შავი ჭირი, რომელიც ფართოდ გავრცელდა და მუსრს ავლებდა ჯარისკაცებს.[4] გარდა ამისა, რუსთა სარდლობის დაზვერვა მტრის ბანაკში ყოვლად უსუსური იყო.

ციხისძირთან რუსთა ჯარის დამარცხება ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო. საერთოდ კავკასიის ფრონტზე მოქმედმა არმიამ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. პასკევიჩის არმიამ ზედიზედ და-

---

1 Акты, т. VII, стр. 830. გენერალ პასკევიჩის ამ ცალმხრივ მოსაზრებას სიტყვა-სიტყვით იმეორებს სამხედრო ისტორიკოსი პოტოც. იხ. «Батум и его окрестности», стр. 127, 1906 г.

2 Акты, т. VII, стр. 816—818.

3 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბილისი, 1949 წ., გვ. 39.

ერთ-ერთი ჟურნალისტი, საომარ მოქმედებათა მიმომხილველ სტატიაში „ჩუენის დროის ისტორია“, იძულებულია აღიაროს შავი ზღვის ფლოტის უმოქმედობა და სისუსტე 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მთელ პერიოდში. იხ. „ტფილისის უწყებანი“ № 9, 1829 წ., დ-სა მარტსა.

როგორც გამორკვეულია, აღნიშნული წერილი ეკუთვნის გაზეთის რედაქტორს პ. სენკოვსკის. იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე,“ 1948 წ., გვ. 246.

4 საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 449, ფურც. 9, 10, 15, 18.

Капитан Лукьянович, Описание Турецкой войны 1828 и 1829 годов, ч. II, С. П. Б., 1844 г., стр. 236.

ამარცხა თურქები და დაიკავა ყარსი, არზრუმი, ბაიაზეთი,[1] ახალციხე, ახალქალაქი, აწყური. ამ წარმატებებმა რუსეთის არმიას გზა გაუხსნა აზიაში.

ბალკანეთის ასპარეზზე რუსეთის წარმატება უფრო ძლევამოსილი იყო. მთავარსარდალ გენერალ დიბიჩის არმია კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან იდგა. ოსმალეთის ტირანიით სულშეხუთული მოსახლეობა შფოთავდა. კატასტროფული დამარცხების შედეგად თურქეთში ანარქია სუფევდა. იქ ფაქტიურად არმია არ არსებობდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სათადარიგო ჯარის ნაწილში დარჩენილი რაღაც 15-ათასიანი „არმია“ საომედო არ იყო. პროვინციებში გაფანტული იანიჩარები მოხერხებულ დროს ელოდნენ და მზად იყვნენ აჯანყებისათვის.[2]

სულთანი მუჰამედ მეორე იმედს არ ჰკარგავდა. მას ეგონა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია შეიქმნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.[3] ინგლისს ცეცხლელებას გვრიდა კონსტანტინოპოლის დაკარგვის შიში, მაგრამ სხვისი ხელით ნარის გლეჯის დიპლომატია სდუმდა. საფრანგეთი და ინგლისი საიდუმლო ხელშეკრულებათა ძალით რუსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

კონსტანტინოპოლში მოვლენილმა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა თურქეთის სულთანს დაბეჯითებით ურჩია დაუყოვნებლივ დაედო ზავი რუსეთთან, როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ის. სხვა უკეთესი გამოსავალი მდგომარეობიდან ახლა არ იყო. სულთანიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა თურქეთის „ჰკუის მასწავლებელთა“ ნებას.

1829 წ. 2 სექტემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის ადრიანოპოლში ხელშეკრულება დაიდო. ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ „მომრიგებელ-მოსამართლის“ როლი შეასრულა ხელშეკრულების შემუშავებაში და ამით რუსეთს საკმაოდ დიდი დათმობებისაკენ წაუბიძგა. თურქეთს დაუბრუნდა რუსეთის მიერ დაპყრობილი ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი (მოლდავეთი, ვალახეთი, რუმინეთი, ყარსი). რუსეთს დარჩა დუნაის შესართავის ნაპირები

---

1 ბაიაზეთის საფაშოს დამორჩილებაში სამხედრო ოპერაციებს მეთაურობდა გენერალ-მაიორი პოეტი ალ. ჭავჭავაძე. რომელიც ჯარში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. Капитан Лукьянович. Описание Турецкой войны 1828-1829 годов, ч. II, 1844 г., стр. 225-226.

2 Газ. «Тифлисския ведомости», № 43, октябрь, 1829 г.

3 Газ. «Тифлисския ведомости», № 43, октябрь, 1829 г.

და კუნძულები, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო — მდინარე უუბანიდან მდინარე ჩოლოქამდე. შავი ზღვის ნაპირებზე რუსეთს გადაეცა ანაპა და ფოთი. ამიერკავკასიის ფრონტზე, რუსეთის მიერ დაპყრობილი მნიშვნელოვანი ტერიტორიებიდან რუსეთს დარჩა მხოლოდ ახალციხე და ახალქალაქი. თურქეთმა სცნო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების — იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს, აგრეთვე ერევნისა და ნახჭევანის სახანოების რუსეთთან შეერთება. ადრიანოპოლის ხელშეკრულებამ უდიდესი როლი შეასრულა თურქეთის ტირანიისაგან ბალკანეთის ხალხების განთავისუფლების საქმეში.[1]

ადრიანოპოლის ხელშეკრულება ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის მარცხს გამოხატავდა. პეტერბურგის „მესია" ბალკანეთის ხალხებს „განმათავისუფლებლად" მოევლინა. ამ გარემოებამ რუსეთის მსოფლიო ავტორიტეტი და ხვედრითი წონა ერთი-ორად გაზარდა.

ბათუმისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა სწორედ იმ დროს, როდესაც ადრიანოპოლის ხელშეკრულება უკვე დადებული იყო (1829 წლის 2 სექტემბერი). ბათუმის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარის ნაწილებს ზავის შესახებ ცნობა დაგვიანებით, 29 სექტემბერს, მოუვიდათ[2] და ბრძოლები მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა. ამიტომ, 2 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე ჩატარებული სამხედრო ოპერაციები, რომელსაც მრავალი მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა, არსებითად, შედეგების მიხედვით, უმიზნო სამხედრო ოპერაციად უნდა იქნეს მიჩნეული.

თურქეთთან ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიც ეწერა: „მებრძოლთა დაღვრილი სისხლი ანაზღაურებულია ჩვენი იმპერიისათვის მნიშვნელოვანი სარგებლიანობით. დარდანელი და ბოსფორი გახსნილია ყველა მოვაჭრე სახელმწიფოსათვის. რუსეთის საზღვრების ხელუხლებლობა დაცულია განსაკუთრებით აზიიდან ისეთი ციხე-ქალაქების შემოერთებით, როგორიცაა: ანაპა, ფოთი, ახალციხე, აწყური და ახალქალაქი".[3]

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, მიუხედავად ძლევამოსილი გამარჯვებისა და თურქების მიერ მიტაცებული მი-

[1] Большая Советская Энциклопедия, том I, второе изд., стр. 419.
[2] Батум и его окрестности, პოტოს წერილი, 1906 г., стр. 131.
[3] Газ. «Тифлисския ведомости», № 41, 1828 г.

წა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებისა, აჭარა, ჭანეთი, ბათუმი და სხვ. ისევ მტრის ხელში რჩებოდა, მათი გამოხსნის საქმე მომავლისათვის გადაიდო.

ბათუმის განთავისუფლებისათვის მნიშვნელოვანი მსხვერპლი იყო გაღებული. ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმაც.[1]

გენერალ პასკევიჩის შუამდგომლობით მეგრელთა და გურულთა მილიცია დაჯილდოებულ იქნა სიგელით და ძვირფასი აბრეშუმის წითელი დროშით, რომელსაც ორივე მხრიდან, რუსულ და ქართულ ენებზე ჰქონდა ოქროს წარწერა: „Милиции нашего верно-любезного Мингрельского народа за верность и храбрость в компании 1828-1829 годов против турок".

გურული მილიციისადმი ბოძებულ დროშას ეწერა: „Милиции нашего верно-любезного Гурийского народа за верность и храбрость. Взятие Турецкого лагеря при урочище Лимана 5-го марта 1829 года".

გურულების ჯილდო დიდხანს ინახებოდა შემოქმედის მონასტერში, როგორც რუსეთისა და საქართველოს საბრძოლო მეგობრობის სიმბოლო.[2] სარდლობამ რუს მებრძოლებთან ერთად დაჯილდოვა ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები და ბრძოლის უშუალო მონაწილენი. მათ შორის სამეგრელოს მთავარი, გენერალ-ლეიტენანტი ლევან დადიანი ბრძოლაში ვაჟკაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის დაჯილდოვა წმიდა ანას 1 ხარისხის ორდენით, ალექსანდრე ნეველის ორდენითა და 600 მანეთით.[3] გრაფ პასკევიჩს მეფემ უმაღლესი ხარისხის ორდე-

---

1 კავკასიის ფრონტის ყველა მონაწილეთათვის უმაღლესი მთავრობის ბრძანებულებით დაწესდა წმიდა გიორგის სახელობის მედალი. იხ. Газ. «Тифлисския ведомости», № 44, 1828 г.

1828-1829 წლებში თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის ბოძებულ სიგელისა და დროშის გადაცემა გურიის მოსახლეობისათვის, როგორც ეს 1831 წ. 10 ნოემბერს იმერეთის მმართველ გენერალ-მაიორ ვაკულსკის მიერ კავკასიის მთავარმართებლის სახელზე შედგენილი პატაკიდან ჩანს, საზეიმო ვითარებაში მომხდარა. დროშა და სიგელი ჭუთაისიდან გურიაში ჩაუტანია ვაკულსკის და მის თანმხლებ პირებს. პრაპორშჩიკის დიმიტრი ერისთავის ხელმძღვანელობით გურიის თავადაზნაურობა სტუმრებს „საზღვარზე" დახვედრია, ხოლო შემდეგ ისინი მოწიწებით მიუცილებიათ ოზურგეთამდე, სადაც მოსახლეობისათვის დროშისა და სიგელის გადაცემის ცერემონიალი მომხდარა. ხალხი მხურვალედ შეხვედრია მთავრობის მაღალ ჯილდოს; დროშა და სიგელი შეუნახავთ შემოქმედის მონასტერში (საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 828 ფურც. 35-37).

2 Потто «Кавказская война»..., т. IV, 1888 г., стр. 407.

3 საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 828, ფურც. 5, 8, 17.

ნი უბოძა ჯილდოები გადაეცა ოფიცრებსაც.[1] ომის დამთავრების შემდეგ მრავლად იქნენ დაჯილდოებული ის პირები, რომლებმაც მთავრობის მიმართ ერთგულება გამოიჩინეს და მოქმედ არმიას ზურგში დახმარებას უწევდნენ. მათ დაურიგეს ოქროსა და ვერცხლის მედლები. მედლები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხვდათ თბილისელ მოქალაქეებს.[2]

* * *

ოსმალეთმა შესძლო ბათუმის შენარჩუნება. თურქეთისა და მისი სამხედრო მოკავშირეებისათვის ბათუმი კვლავ ინარჩუნებდა თავის ძველ მნიშვნელობას. ცხადია, ხელსაყრელი მომენტის დადგომის შემთხვევაში მტერი უსათუოდ აქედან შეეცდებოდა დასავლეთ საქართველოზე გამოლაშქრებას. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ადრიანოპოლის ხელშეკრულება ხანგრძლივი მშვიდობის დამამყარებელი ხელშეკრულება არ იყო. იგი ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთისათვის კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, დროის მოსაგებად, გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი იყო. ხელშეკრულების დადების მეორე დღიდანვე მოწინააღმდეგე მხარეები, ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აშკარად, მომავალი ახალი ომისათვის გამალებით ემზადებოდნენ. ადრიანოპოლის ხელშეკრულებით რუსეთი კიდევ უფრო ძლიერი და საშიში ძალა ხდებოდა მსოფლიოში პირველობისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შორის. ინგლისი რუსეთის ყველაზე უფრო საშიში მოწინააღმდეგე იყო, რადგან საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია, ომებითა და რევოლუციებით დასუსტებულნი, მხოლოდ ახლა ითქვამდნენ სულს. აღმოსავლეთში ინგლისელ კაპიტალისტთა ეკონომიური მოგებანი დამოკიდებული იყო საზღვაო მიმოსვლათა გასაღების—კონსტანტინოპოლის, ბოსფორისა და დარდანელის, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „ოქროს ხიდის"[3] დაუფლებაზე. ექსპანსიონისტუ-

1 საქ. ცსსა, ფ. 546, აღწ. I, საქმე 113, ფურც. 9 — 47.
საგულისხმოა, რომ თურქების წინააღმდეგ 1828-1829 წლების ომში პატრიოტული თავგანწირვით იბრძოდა მეფის ბრძანებით კავკასიაში გადმოსახლებული მრავალი დეკაბრისტი, მაგრამ ისინი ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ და, პოლიტიკური უნდობლობის გამო, ჯილდოზე არ წარუდგენიათ (საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. I, საქმე 95, ფურც. 2).
2 საქ. ცსსა, ფ. 548, აღწ. I, საქმე 119, ფურც. 68-69.
3 К. Маркс и Ф. Энгельс соч., т. IX, 1933 г., стр. 441.

რი ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე ალტერანტივა იდგა — ან ხელში ჩაეგდო აღმოსავლეთის გასაღები, ან, თუ ამას ვერ მოახერხებდა, ახლო მომავალში კონკურენტებთან ბრძოლაში დამარცხებულის მძიმე ხვედრს შეიგებოდა. ინგლისის ფინანსური წრეების ნერვიულობა და მოუსვენრობა გამოწვეული იყო საფრთხით, რომელსაც რუსეთის ძლიერი იმპერიის განუხრელი ზრდის შედეგები იწვევდა. ფ. ენგელსი 1858 წლის 18 ნოემბერს დაწერილ სტატიაში „რუსეთის წარმატებები შორეულ აღმოსავლეთში“ პირდაპირ წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთი ჩქარა გახდება პირველხარისხოვან აზიურ ქვეყნად და ძალზე ჩქარა გადასწევს ინგლისს ამ კონტინენტზე მეორე რიგშიო.[1]

ინგლისის ბურჟუაზია კარგად ხედავდა აზიური „არწივისაგან“ მოსალოდნელი საფრთხის სერიოზულობას, ამიტომაც აზიაში ტერიტორიებისა და სავაჭრო ბაზების დაპყრობა ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად ესახებოდა. ინგლისის ინტერესების რუსეთთან ამ შეურიგებლობის შესახებ კ. მარქსი და ფ. ენგელსი 1853 წელს წერდნენ: ინგლისს არ შეუძლია დათანხმდეს იმაზე, რომ რუსეთი ფლობდეს დარდანელსა და ბოსფორს. ამ ამბავს ბრიტანეთის ძლიერებისათვის, როგორც სავაჭრო, ისე პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ, თუ სასიკვდილო არა, დიდი დარტყმა შეეძლო მიეყენებინა.[2]

ბოსფორისა და დარდანელის ხელში ჩაგდება ინგლისს, აგრეთვე, გზას გაუხსნიდა შავი ზღვისაკენ, ბათუმისაკენ და აქედან მთელი კასპიისპირეთის, წინა და შუა აზიის სატრანზიტო და სავაჭრო გზებისაკენ, მდიდარი ბაზრების და სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმებისაკენ. მოპირდაპირე მხარეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ კასპიის ზღვასთან მისვლა მხოლოდ შავი ზღვით შეიძლებოდა.[3]

არც ინგლისთან შედარებით სუსტი საფრანგეთი იყო უპრეტენზიო. ნაპოლეონ III-ს თავისი სახელოვანი ბიძის ნაპოლეონ ბონაპარტის აჩრდილი ელანდებოდა. მისი მისწრაფება იყო ევროპაში საფრანგეთს ხელახლა დაბრუნებოდა გაბატონებული მდგომარეობა. ის მზად იყო რუსეთს შებრძოლებოდა, ხოლო ინგლისისა და გერმანიისათვის ემტრო. ავსტრიას შიშის ზარს ჰგვრიდა ბალკა-

1 К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XI, часть I, 1933 г., стр. 372.
2 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, 1933 г., стр. 382.
3 იქვე.

ნეთში რუსეთის გაძლიერება. ინგლისი პირველი გადავიდა შეტევაზე რუსეთის წინააღმდეგ. 1841 წელს ლონდონის კონვენციით ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთს დაუხშეს გზა ბოსფორსა და დარდანელში. მათ იცოდნენ, რომ შავი ზღვის „მკვდარ ზღვად“ გადაქცევას მეფის რუსეთი ვერ შეურიგდებოდა. „საქართველოს როლი მომწიფებულ კონფლიქტში სრულიად განსაკუთრებული იყო. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი ხელმძღვანელი, აღმოსავლეთის ომის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი ლორდი პალმერსტონი 1854 წელს წინადადებას იძლეოდა ჯარები გადაესხათ არა ყირიმის ნახევარკუნძულზე, არა სევასტოპოლში, არამედ საქართველოს სანაპიროზე, და მხოლოდ ნაპოლეონ მესამის ენერგიულმა წინააღმდეგობამ შეაცვლევინა ინგლისს მისი პირვანდელი ტაქტიკური გეზი. აქ პირველად გამომჟღავნდა ის ბზარი, რომელიც მალე დაუსრულებელ მტრობად და ქიშპობად გადაიქცა ევროპელ „მოკავშირეებს“ შორის“.[1]

რუსეთის წინააღმდეგ ევროპული კოალიცია შედგა. კოალიციის მიზანი იყო კოლონიებისა და გავლენის სფეროების განაწილებისათვის მსოფლიო ომის გაჩაღება.

ომის გამჩაღებლები „დაჩაგრულ“ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის ამზადებდნენ. ევროპის მზარდ კოალიციას რუსეთის დიპლომატიამ დაასწრო. მეფის მთავრობამ, რომელიც ომში ეძებდა ბატონყმობის კრიზისიდან გამოსვლას, ფაქტიურად ომი იმით დაიწყო, რომ 14 ივნისს ნიკოლოზ I გამოსცა მანიფესტი დუნაის სამთავროს დაკავების შესახებ. რუსეთის არმიამ, რომელსაც გორჩაკოვი ხელმძღვანელობდა, გადალახა მდინარე პრუტი და მოლდაველეთისა და ვალახეთის ოკუპაციას შეუდგა. ამის საპასუხოდ ინგლისის „ყმადნაფიცმა“ თურქეთმა კოალიციის უშუალო მითითებითა და წაქეზებით დუნაიზე და კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ გაშლილი შეტევითი ოპერაციები დაიწყო. მალე საომარი ოპერაციების მთავარი კერა გადატანილ იქნა ყირიმის ნახევარკუნძულზე. ომში ევროპის სახელმწიფოებიც ჩაებნენ და იგი გაფართოვდა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ინგლისელი და თურქი მზვერავები გულდასმით სწავლობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს და განსაკუთრებით კი საქართველოს ნაპირებს.

1 ე. ბურჯულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, სახელგამი, თბილისი, 1953 წ., გვ. 37.

ომის დასაწყისში თავადი ვორონცოვი სამხედრო მინისტრს წერდა: „ჩვენმა მზვერავმა სოფელ ქაქუთში (ამჟამად ქობულეთის რაიონში შედის, მაშინ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე მდებარეობდა — ვ. ს.) ნახა ერთი ემიგრანტი, რომელიც დურბინდით ათვალიერებდა ჩვენს ზოგიერთ პოზიციას, განსაკუთრებით ჩვენს მთავარ — ოზურგეთის პოზიციას — ექვდიის სიმაღლეებს, სადაც ავაგეთ დროებითი სიმაგრე. შემოწმებისას ემიგრანტმა განაცხადა, რომ დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ მას განზრახვა აქვს რეგულარული ქვეითი ჯარის ათი ბატალიონით და 15 ქვემეხით დაიკავოს აღნიშნული პოზიცია“.[1]

თურქები და ინგლისელები ომის დროს მაქსიმალურად იყენებდნენ ბათუმსა და მის მიდამოებს თავიანთი ჯარის შესავსებად და სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად.

ინგლის-საფრანგეთის აგენტები ძალიან ცდილობდნენ, რომ გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობა აემხედრებინათ რუსეთის წინააღმდეგ. ქობულეთში მოკალათებულმა ინგლის-საფრანგეთის რეზიდენტებმა, გურულებისა და მეგრელების გადმობირების მიზნით, თურქებს უბრძანეს — არათუ არ მიაყენონ მათ შეურაცხყოფა, არამედ მოამარაგონ ბათუმში შემოზიდული დიდძალი სურსათ-სანოვაგით. გაიცა ბრძანება თურქეთის მიერ წაყვანილი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ და ბევრი მათგანი კიდეც დაბრუნდა.[2] რა თქმა უნდა, ინგლისელი კოლონისტების ეს საქციელი „ჰუმანიზმის“ შედეგი არ ყოფილა. როგორც პროფ. ე. ბურჭულაძე ამტკიცებს, თურქეთის საექსპედიციო არმიის მთავარსარდალი ომერ-ფაშა ინგლის-საფრანგეთის აგენტურის მითითებით ავრცელებდა პროკლამაციებს, რომლითაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა შეერთებოდნენ ოსმალებს. საბატონო გლეხებს ამავე დროს ოსმალეთის ხელისუფლება განთავისუფლებას ჰპირდებოდა.[3] ომის მსვლელობაში ომერ-ფაშასა და შამილს შორის ცხოველი ურთიერთობა დამყარდა. როგორც ირკვევა, ინგლის-საფრანგეთის აგენტურამ აჯარის მაჰმადიანურ მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის

1 საქ. ცსსა, ფ. 1087, საქმე 472, ფურც. 533. ციტირებულია ე. ბურჭულაძის დასახელებული წიგნიდან, გვ. 44.

2 Акты, т. XI, стр. 189.

3 ე. ბურჭულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, 1953 წ., გვ. 48.

გაშლა შამილს დააკისრა,[1] მაგრამ შამილის აგენტების აგიტაციამ აჭარაში პოპულარობა ვერ ჰპოვა, რადგან გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობაში მტრის ოინები მღელვარებასა და საყოველთაო ზიზღს იმსახურებდა. მოსახლეობა ერთსულოვნად დაირაზმა მტრის ურდოების წინააღმდეგ. არასრული ცნობით, მხოლოდ გურიის მილიციაში ჩარიცხულთა რიცხვი 1853 წელს 3 ათას კაცს აღწევდა, ხოლო თბილისის გუბერნიაში გაწვეული იყო 2.930 ქვეითი და 800 ცხენოსანი მილიციელი. 1854 წელს გაწვეული იყო 11.134 ქვეითი და 1.850 ცხენოსანი, 1855 წელს — 6.495 ქვეითი და 500 ცხენოსანი მებრძოლი.[2] თურქეთის წინააღმდეგ სახალხო მილიციაში მონაწილეობა მიუღიათ თუშ-ხევსურების ცხენოსან რაზმელებსაც.[3]

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის იმედი თურქებს მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდათ, ისინი უმთავრესად შინაგან ძალებს უნდა დაყრდნობოდნენ. თურქებმა ყარსში თავი მოუყარეს ანატოლიის არმიის ძირითად ძალებს, ამავე დროს ბათუმში იწყეს შავი ზღვის სანაპიროზე ცალკეული კორპუსების ფორმირება.

1853 წლის 19 სექტემბერს, ღამით, თურქების სამხედრო დესანტი ნავებით მოადგა წმ. ნიკოლოზის საგუშაგოს და ნაპირზე გადმოვიდა. მტრის მეორე ნაწილი დაბანაკდა ნატანების ხეობაში. თურქთა ბატარეა 8 ქვემეხისაგან შედგებოდა. თურქები გადმოსხდნენ რუსთა სიმაგრის პირდაპირ იმ ანგარიშით, რომ გარნიზონს უკან დასახევი გზა არ ჰქონოდა. თურქეთის თავდამსხმელ საექსპედიციო რაზმს, რომელიც 5 ათასამდე ჯარისკაცს აერთიანებდა, რენეგატი ალი-ბეგ თავდგირიძე წინამძღოლობდა. რუსთა სასაზღვრო გარნიზონი მცირერიცხოვან გურულთა მილიციისა (გიორგი გურიელის ხელმძღვანელობით) და ორი ასეული ჯარისკაცისაგან შედგებოდა.

მტრის მოულოდნელი თავდასხმით რუს-ქართველთა გარნიზონი არ დაბნეულა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, გურულთა რაზმის ხელმძღვანელმა გიორგი გურიელმა ზედიზედ მიიღო სამი

1 ძველი მწიგნობრის, ბათუმელი მოქალაქის პატ. ზექერია შერვაშიძის გადმოცემით, მას ხშირად გაუგონია, რომ შამილს ყირიმის ომის დროს აჭარაში ბლომად მოუვლენია თავისი კაცები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ხალხს „გიაურების“ წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდებდნენ და შამილისა და ისლამის რჯულის ერთგულებაზე აფიცებდნენ.

2 Акты, т. XII, стр. 1.

3 Батум и его окрестности, პოტოს წერილი, გვ. 138.

ჭრილობა, რომელთაგან უკანასკნელი სასიკვდილო იყო. სიკვდილის წინ მან მგზნებარე სიტყვით მიმართა რაზმს — ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. უნდა აღინიშნოს, რომ გ. გურიელის ანდერძი — მოწოდება კარგად გამოხატავს თურქების წინააღმდეგ მებრძოლი მაშინდელი ქართველი მეომრების თავდადებასა და პატრიოტულ განწყობილებას.[1] მოწოდებამ მებრძოლები კიდევ უფრო აღაფრთოვანა. ისინი გმირულად იცავდნენ სასაზღვრო პოზიციებს. მესაზღვრეთა მისაშველებლად ოზურგეთიდან სასწრაფოდ გაიგზავნა ორი ბატალიონი და გურულთა მილიციის რამდენიმე ასეული, რომლებმაც თურქები დაამარცხეს. ისინი იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ჭაობიანი ადგილებისაკენ. მტერმა მდინარე სკურდებზე დაანგრია ხიდი და იქვე გამაგრდა. ბრძოლაში მესაზღვრეთა საგრძნობი ნაწილი დაიღუპა, თურქებმა კი ათასამდე ჯარისკაცი დაჰკარგეს. თვითონ თავდგირიძე დაიჭრა. თავდგირიძის რაზმი წარმოადგენდა ოსმალეთის დიდი კორპუსის ავანგარდს, რომელიც ბათუმში ყალიბდებოდა.[2]

ბათუმის მიმართულებით თურქები დროებით თავდაცვაზე გადავიდნენ. ახლა მტერმა რუსებს ახალციხიდან შემოუტია. ეს იყო 1853 წლის ნოემბერში. ალი-ფაშას არმია ყარსიდან გამოემართა გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთის შესახვედრად. მტერი ახალციხეში მტკიცედ გამაგრდა. დაზვერვა იტყობინებოდა, რომ იგი ახალ-ახალ შევსებას ღებულობდა ყარსიდან, არტაანიდან და აჭარიდან. გენერალ ანდრონიკაშვილის აზრით, ასეთ პირობებში დაყოვნება მხოლოდ მტრისათვის იქნებოდა სასარგებლო. 14 ნოემბერს დაიწყო საარტილერიო ბრძოლა, რომელიც განუწყვეტლივ ხუთ საათს გაგრძელდა. თურქები ენერგიულად პასუხობდნენ. დილის 11 ½ საათზე გენერალი ანდრონიკაშვილი დარწმუნდა, რომ მარტო არტილერიით მტრის შეუპოვრობას ვერ გასტეხდა და ამიტომ ბრძანა იერიშზე გადასვლა ხიშტით. მიუხედავად იმისა, რომ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო სულ ცოტა ორნახევარჯერ ნაკლები ჯარი, შეტევა ისეთი ერთსულოვანი და გმირული იყო, რომ მო-

1 გ. გურიელმა ბრძოლის ველზე თქვა: „გურია ყოველთვის იყო აუღებელი ციხე-სიმაგრე და ახლა, მით უმეტეს, ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ ჩვენ სიცოცხლის დაუზოგავად არ უნდა მოვითმინოთ, რომ თურქები დაუსჯელად გაიქცნენ ჩვენი მიწა-წყლიდან. ეუანდერძება ჩემს ხალხს, მოკვდნენ აქ, მაგრამ არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიონ უკან“ (პოტოს დასახ. წერილი, გვ. 133).

2 იქვე, გვ. 133 — 135.

წინააღმდეგე ძლეულ იქნა. საღამოს, მზის ჩასვლამდე, მტერი გაიფანტა და ახლო-მახლო არსად ჩანდა.[1]

თურქების ჯარი, რომელსაც ალი-ფაშა სარდლობდა, 18-20 ათასამდე აღწევდა, მაშინ, როცა გენერალ ანდრონიკაშვილის ჯარი 8 ათასს არ აღემატებოდა.[2]

რუსეთის ჯარის ეს ბრწყინვალე ოპერაცია მაშინვე საერთაშორისო ამბების მიმომხილველთა სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა და იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან ფ. ენგელსის განსაკუთრებული ყურადღებაც კი დაიმსახურა. ფ. ენგელსი წერდა: გენერალ ანდრონიკაშვილის კორპუსმა გაათავისუფლა ალყაშემორტყმული ახალციხის ციხე და დაამარცხა მტერი გაშლილ ველზე ამ ქალაქის ახლოს.[3] ყარსის მიმართულებით რუსეთის შემტევ ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ. ბაშკადიკლარში მტერი სასტიკად დამარცხდა და მორალურად გატყდა. რუსეთის გამარჯვებულ მხედრობას ტექნიკისა და სურსათის სახით დიდძალი ალაფი დარჩა.

ნიკოლოზ პირველი, რომელიც ბავშვური გატაცებით ადევნებდა თვალ-ყურს კავკასიის ჯარების ოპერაციებს, თავად ვორონცოვს უბრძანებდა — დაუყოვნებლივ დაწყებულიყო ერთდროული შეტევა ყარსისა და ბათუმის მიმართულებით, მაგრამ გაცილებით უფრო ადვილი იყო ასეთი ბრძანების გაცემა, ვიდრე მისი შესრულება.[4] ვორონცოვმა იცოდა, რომ ბათუმის გარშემო მტრის დიდი ძალები იყო დაჯგუფებული. მან, მისთვის ჩვეული დიპლომატიური მანევრებით დაიყოლია დიდების მაძიებელი მეფე და ნაჩქარევ იერიშებზე თავი შეიკავა. ფრონტზე შექმნილმა მდგომარეობამ სავსებით დაადასტურა ვორონცოვის მოსაზრების სისწორე.

1854 წლის გაზაფხულზე ბათუმში ფორმირებულმა 36-ათასიანმა კარგად შეიარაღებულმა თურქთა კორპუსმა ქობულეთის სანჯაყი დაიჭირა. საქართველო, რომელიც სამხედრო მოქმედებათა ბაზა იყო, ოკუპაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქებს რუსეთის სარდლობამ 10-ათასიანი რუსი და ქართველი მხედრობა დაუპირდაპირა, რომლის მეთაურადაც ვორონცოვის წინადადებით გენერალი ივ. ანდრონიკაშვილი დანიშნეს. ბრძოლა მდ. ჩოლოქთან

1 ვ. დუმბაძე, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, თბილისი, 1943 წ., გვ. 8 — 10.

2 Акад. Е. В. Тарле, «Крымская война» ,т. I, 1950 г., стр. 301.

3 К. Маркс и Ф. Энгельс, т. IX, 1933 г., 591.

4 ტარლე, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

მოხდა. 4 ივნისს უთანასწორო ბრძოლაში 10 ათასი კაცისაგან შემდგარმა რუსთა და ქართველთა ჯარებმა გაანადგურეს მუშირ სელიმ-ფაშის 34 ათასიანი კორპუსი.[1] ჩოლოქთან ბრძოლის ღროს ქართველმა ლაშქარმა თავგანწირული ბრძოლით, რუს მხედრობასთან ერთად, დიდად ასახელა თავისი სამშობლო.

გენერალ ანდრონიკაშვილის მეთაურობით რუსული რეგულარული ჯარისა და ქართული სახალხო მილიციის ბრწყინვალე წარმატებათა საპასუხოდ, 1854 წლის 3 აგვისტოს საქართველოში მიურიდების ჯარი შემოიჭრა იმ მიზნით, რომ თურქებსა და მის მოკავშირეებს ფრონტზე სამხედრო ოპერაციები გაადვილებოდა. შამილი ცდილობდა გაჭრილიყო სამხრეთისაკენ, რათა უშუალოდ დაკავშირებოდა თურქებს.[2]

შამილის „სასოწარკვეთილი ცდა" მარცხით დასრულდა. საქართველოში მას ისე შეხვდნენ, როგორც დამპყრობელს. ამიტომ იგი იძულებული გახდა სწრაფად გაცლოდა აქაურობას და ნადავლით დატვირთული დაღისტანში წასულიყო.

1855 წ. რუსეთის ძლევამოსილმა არმიამ ყარსის ციხე-სიმაგრეში მრავალრიცხოვანი მტერი ძლიერ მარწუხებში მოამწყვდია. მდგომარეობის გამოსასწორებლად ოსმალებმა ინგლისელების დახმარებით ზღვიდან აფხაზეთში მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოსხეს და იქიდან კოლხეთის მდიდარ. ველებს შეუსიეს. ამიერიდან ბრძოლის მთავარი ასპარეზი ერთი მხრივ ყარსი, ხოლო მეორე მხრივ სამეგრელოს ტერიტორია გახდა.[3] ბათუმის მიმართულებით ბრძოლებმა დაჰკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა. გურიის მიმართულებით დაბანაკებული მუსტაფა-ფაშის ჯარი პოზიციურ თავდაცვითს ბრძოლებზე გადავიდა, ბათუმი ომერ-ფაშისათვის მხოლოდ დასაყრდენი და სურსათ-სანოვაგითა და ჯარით მომმარაგებელი ბაზა გახდა.

---

[1] Акты, т. X, стр. 798.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, 1933 г., стр. 611.

[3] სამეგრელოში ომერ-ფაშის ლაშქრობის შესახებ ვრცელი გამოკვლევა ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ნ. ჭეიშვილს. იხ. Чеишвили Н., К истории Грузии I-й половины XIX века. Мингрельское мтаврство в 1853—1867 гг., Тбилиси, 1956 г., Автореферат докторской диссертации.

ირკვევა, რომ ოსმალებს ბათუმიდან საქართველოში პირდაპირ შეკრის ფართო გეგმა ჰქონდათ შემუშავებული, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ეს ჩანს აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის მიერ ვ. ბებუთოვისადმი გაგზავნილი წერილიდან: „მაისის თვეში ჩვენ წელსა (1855) შემოველ რა სამთავროსა შინა ჩემსა, თვით იმა დღესა, რომელსაცა შემოუველ ოჩამჩირეს, წაიყუანეს სოხუმიდამ პარახოდით 500 თავადნი და აზნაურნი აფხაზეთისა და წებელდისაგან და რაოდენიმე სამურზაყანოელნიცა. ამათ რიცხვში ერივნენ გამოცხადებულ რეკრუტად 120 კაცი. ესენი მიჰყავდათ იმ ჰაზრითა, რომელ მათ შემდეგ კვალად უნდა შეეკრიბნათ ნიზამით რეკრუტები 1500 აფხაზეთისა, წებელისა და სამურზაყანოსაგან, 250 ჯიქეთისაგან და 1500 უბიხისაგან. ვსცან რა განკარგულება ესე მათი, დაუყოვნებლივ გავგზავნე სანდო კაცი ბათუმს და შევუთვალე თავკაცებს, რომელ მე უკვე შემოვიქეც აფხაზეთში და იგინი დაუყოვნებლივ მოსვლას ეცადნონ. გაიგონეს რა ჩემი შემოთვლილება, მაშინვე ერთპირად გამოუცხადეს მუშირ. მუსტაფა-ფაშას, რომელნი მთავარი ჩვენი მოსულა აფხაზეთში და უსათუოდ უნდა წავიდეთ მასთან სანახავათო. ფაშამ პირველი უარი უყო, გარნა ნახა შფოთობდნენ, წამოიყვანა და თვითცა მოვიდა სოხუმს“.[1]

წააწყდნენ რა ადგილობრივი მოსახლეობის მრისხანე წინააღმდეგობას, მტრის ურდოები პირველი წარმატების შემდეგ ლაფში ჩაფლულნი კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ.[2]

ოსმალებს წარმატება ვერ მოუპოვა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ფლოტის მიერ ყულევის ნავსადგურის სასტიკმა დაბომბ-

1 საქ. ცსსა, განსაკ. საქმეთა ფონდი, საქმე 42, ფურც. 160-162. ამ დოკუმენტზე მიმითითა პროფ. შ. ჩხეტიამ, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

2 თვით უცხოელი სამხედრო პირებიც დიდი ირონიით უთვალთვალებდნენ თურქების უნიჯო ცდას, თბილისი დაეყუენებიათ მუქარის ქვეშ. გერმანელმა სამხედრო ისტორიკოსმა და კრიტიკოსმა ფონ-რიუსტოვმა პრუსიული პედანტობით გამოიანგარიშა, რომ ომერ-ფაშა მიიწევდა წინ სამეგრელოში საშუალო სიჩქარით ერთ ათას ნაბიჯს დღეში და ასეთი ტემპით მან დაიწყო მოძრაობა თბილისისაკენ. ასეთი წინსვლით ომერ-ფაშას შეეძლო მისულიყო თბილისამდე ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ, ე. ი. 1857 წ. თებერვალში. ის, რაც ცნობილი იყო ფონ-რიუსტოვისათვის, ცხადია, საიდუმლოება არ იქნებოდა რუსეთის მხედრობისათვის. Е. В. Тарле, «Крымская война», т. II, стр. 536 .

ვამ[1] და ვერც ნაწილ-ნაწილად მიწოდებულმა ინგლისურმა სტერლინგებმა.[2]

ყარსის დაცემის შემდეგ ომერ-ფაშა საქმეს წაგებულად თვლიდა და საქართველოს მიწა-წყლიდან ნელ-ნელა აბარგვას შეუდგა. უკან დახეული მტრის წინააღმდეგ ნამდვილი სახალხო ომი კიდევ უფრო გაიშალა. ქართველი ხალხის სახელოვანი მილიცია თურქებს ურტყამდა ყოველ ადგილას, ყოველი მხრიდან. ქართველთა ბრძოლამ თურქეთის მრავალრიცხოვანი არმიის წინააღმდეგ ფართო, სახალხო და გმირულ-პატრიოტული ხასიათი მიიღო.

1856 წლის გაზაფხულზე ყულევის ნავსადგურს მრავალრიცხოვანი თურქული და ინგლისური ხომალდი მოადგა. ამ გემებში ომერ-ფაშის ღონემიხდილი, მცირერიცხოვანი ჯარი ჩაჯდა. მოკავშირეთა გემებს მძიმე ტვირთი მიჰქონდათ. ეს იყო თურქი მეომრების მიერ მშვიდობისმოყვარე ქართველი მოსახლეობის სახლ-კარიდან გაზიდული ნაძარცვ-ნაქურდალი.

11 თვის ბრძოლის შემდეგ გმირული სევასტოპოლი მოკავშირეებმა აიღეს, მაგრამ აზიაში რუსეთის წარმატებებმა და ინგლის-საფრანგეთის შინაგანმა ქიშპობამ ომის დასრულება აუცილებელი გახადა. 1856 წლის 18 მარტს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს პარიზის სამშვიდობო ტრაქტატს. ხელშეკრულებით სევასტოპოლი და სხვა რუსული ქალაქები გაცვლილ იქნა ყარსზე. ბათუმი და მისი მისადგომები თურქმა მტაცებლებმა ისევ დაინარჩუნეს. მიუხედავად ამისა, რუსი და ქართველი ხალხების გმირულმა ბრძოლებმა თურქეთის მთავრობა ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ ბათუმსა და მის მიდამოებში ოსმალთა ბატონობის დღეები დათვლილი იყო.

---

1 ჯერ კიდევ 1854 წლის 8 მაისს ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა სასტიკად დაბომბა რუდუტ-კალე (ყულევი), ინგლისელები მოთმინებიდან იყვნენ გამოსული ომის გამო, რომ რუსეთმა მათ ყულევის ნავსადგური ფაქტიურად XIX საუკუნის 30-ანი წლებიდან ჩაუკეტა, ამის შედეგად ყოველწლიურად საგარეო ვაჭრობის ზარალს ინგლისელები 3 მილიონამდე სტერლინგით ვარაუდობდნენ. А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, ч. I, Сухуми, 1934 г., стр. 164.

2 ოსეთთან ომმა თურქეთი სულ ერთიანად გააკოტრა. უკვე 1855 წლის იენისში პალმერსტონმა (ინგლისის პრემიერ მინისტრი) პარლამენტს მოახსენა, რომ პორტა იმყოფება ფინანსურ ჩიხში და ყველა მისი შემდგომი ოპერაციები დამოკიდებულია იმაზე — მიიღებს თუ არა ის ამჟამად ფულს ინგლისისაგან. პარლამენტმა პალმერსტონის პროექტი დაამტკიცა და 1855 წლის აგვისტოში ოფიციალურად გამოქვეყნდა ცნობა თურქეთისთვის სესხის მიცემის შესახებ. მაგრამ თურქეთისათვის ნებადართული 5 მილიონი გირ. სტერლინგიდან ძლივს იქნა გაღებული 2 მილიონი და ისიც წვრილ-წვრილად — თითო მიღებაზე 100.000 გირვანქა სტერლინგი. К. Маркс и Ф. Энгельс, т. X, 1933 г., стр. 580.

„ყირიმის ომმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც აღრესად გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობა და იძულებული ახადა ცარიზმი, რომ რეფორმების გზას დადგომოდა.

ომის დროს მეფის რუსეთმა თავი დააღწია საქართველოს დაარგვის საფრთხეს. საქართველო-ამიერკავკასიის შენარჩუნება მან ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ენერგიული მხარაპერით შესძლო“.[1]

* * *

ყირიმის ომის შედეგად რუსეთისათვის ძალით თავზე მოხვეული ტრაქტატი მხოლოდ მისი მტრებისათვის იყო სასარგებლო. ის ბოჭავდა რუსეთის ეკონომიურ განვითარებას. ბუნებრიეია, რომ მეფის რუსეთი, როგორც კი მას მიეცემოდა შესაძლებლობა, კანონს გარეშე გამოაცხადებდა მისთვის საზარალო ამ ხელშეკრულებას.

ინგლის-საფრანგეთისათვის ფრიად არასასურველი ნაბიჯი რუსეთმა ომის დამთავრებისთანავე გადადგა.[2]

ყირიმის ომში დამარცხებით დასუსტებულმა და გლეხთა „ბუნტებით“ შეშინებულმა მეფის მთავრობამ ბატონყმობა გააუქმა 1861 წელს. რუსეთი საბოლოოდ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. რუსეთის ბურჟუაზიას XIX საუკუნის 70-იან წლებში საგარეო ბაზარი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე წინათ, ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხი“ უფრო მწვავდებოდა. „თავისი საქონლის გასაღება და სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან კონკურენციაში გამარჯვება“,[3] — ასეთი იყო რუსეთის ბურჟუაზიის მიზანი, რომელსაც წინ ეღობებოდა კოლონიური „სისტემის მამა“ — ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზია. მაგრამ ბატონყმური სისტემის გაუქმების შემდეგ ბევრი რამ რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. აგრეთვე, 1870-1871 წლების ომში პრუსიასთან საფრანგეთის დამარცხება რუსეთს აშკარად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა პარიზის ტრაქტატის გასაუქმებლად. რუსეთმა არ დააყოვნა და ოფიციალურად გა-

1 ვ. დუმბაძე, „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში“ (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბილისი, 1957 წ., გვ. 309.

2 ვგულისხმობთ შავ ზღვაზე 1857 წელს რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო საზოგადოების განყოფილების ჩამოყალიბებას, რომელიც ადრევე შეეცადა ბათუმის ეკონომიურ დაპყრობას.

3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტომი II, 1947 წ., გვ. 328.

მოაქვეყნა ცნობა, რომ სავალდებულოდ არ ცნობდა ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ზღუდავდნენ შავ ზღვაზე მის სუვერენულ უფლებებს. ამის საპასუხოდ ინგლისმა რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის თურქეთის მომზადება დაიწყო და სერბიის წინააღმდეგ ისევ შეტევაზე გადავიდა. თურქეთმა, აგრეთვე, უარყო ლონდონის კონფერენციის ოქმი, რომელიც ბალკანეთში კონფლიქტის უომრად მოწესრიგებას შეეხებოდა. ამის საპასუხოდ, მეორე დღესვე, 1877 წლის 13 აპრილს, რუსეთმა დამატებით კიდევ 7 დივიზიის მობილიზაცია გამოაცხადა. 1877 წლის 24 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა შანიფესტს ოსმალეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ. უფრო გვიან, ივნისის ბოლოს დაიწყო ბალკანეთში აქტიური სამხედრო მოქმედება.[1]

კავკასიის საზღვრებზე სამხედრო ინციდენტი დაიწყო 12 აპრილს, ე. ი. გაცილებით ადრე, ვიდრე ომი ოფიციალურად გამოცხადდებოდა. ქართველ ხალხს კვლავ მიეცა შემთხვევა, რომ თურქეთის მიერ მინატაცები ტერიტორიების დაბრუნებისათვის ებრძოლა, თურქებს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე საყურადღებო ადგილად ბათუმი მიაჩნდათ. რუსეთის სარდლობაც ამ ომში ყველაზე მეტ დაინტერესებას ბათუმის მიმართ იჩენდა. მეფის ისტორიკოსი წერდა: „ბათუმის სიახლოვე ჩვენს საზღვრებთან და კონსტანტინოპოლთან მისი დაკავშირების სიმარჯვე, გვავალებდნენ ჩვენ მისთვის გვეცქირა, როგორც საუკეთესო ბაზისათვის... ამიტომ, მტრისათვის ამ ბაზის წართმევა, ბუნებრივია, ჩვენთვის უნდა გამხდარიყო პირველ და მთავარ საზრუნავად".[2] ბათუმის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში განუხრელად იზრდებოდა. მისი პოტენციალი ყველასათვის საგრძნობი იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე რუსეთის სანაოსნო საზოგადოება ჩამოყალიბდა (1857 წ.) და მან თავისი ერთ-ერთი განყოფილება და გემთმისადგომი ბათუმში გაიჩინა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო სრულიად ახალი წყობის ქვეყანა იყო. ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მიუხედავად, საქართველოს განვითარება პროგრესის გზით მიემართებოდა.

[1] **История дипломатии, т. II, под ред. академика В. П. Потемкина, 1945 г., стр. 36 — 40.**

[2] **Потто, «Батум и его окрестности», Батум, 1906 г., стр. 153.**

ეს გზა იყო სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურად განვითარების გზა. ქართველი ხალხი ერად ჩამოყალიბდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და მხარეებს შორის ეკონომიური კავშირი დამყარდა.

რუსეთის კაპიტალიზმი საქართველოს ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. „ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა“.[1]

ახალი კლასი, ნორჩი ბურჟუაზია, გაჩენისთანავე ნაციონალური ინტერესებით გაიყლინთა და „ნაციონალური ბაზრის“ ძებნას შეუდგა, რადგან „ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს“.[2] არც სხვა კლასები და წოდებანი დარჩენილან გულცივად თურქი მოძალადეების წინააღმდეგ. მიუხედავად კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობისა და სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანებისა, მშობლიური მიწა-წყლისათვის ბრძოლა საერთო ლოზუნგად იქცა, ხოლო ბათუმიდან თურქთა განდევნა — სანუკვარ ოცნებად. ქართველთა ეს გულის წადილი კარგად გამოხატა ჩვენმა საზოგადო მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ, რომელიც 1873 წელს ჩამოვიდა ბათუმში. ნ. ნიკოლაძე წერდა: „საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოლაზში შევყავარ „რუსული კომპანიის“ ხომალდს. ასე მგონია, უცხო კაცს ჩემთვის ხელი მოუვლია და მივუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში. ყოველი ნაბიჯი, თვითეული თვალის გადავლება, მთელი არემარე თითქოს მეუბნება: „დახე აქ, რა სიმდიდრე და ძალა ყოფილა, შეხე, რა გონიერად დაუმზადებიათ და უხმარიათ ეს საუნჯე, და როგორ დაცემულა ახლა ძველი ძლიერება, როგორ აოხრებულა უპატრონობით ეს მშვენიერი სამკვიდრებელი. არ გრცხვენიაო, და მე მართლაც მრცხვენია“.[3]

ნ. ნიკოლაძე ბათუმის დიდი მნიშვნელობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „სტამბოლის და სებასტოპოლის გარდა, შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონდა და არა აქვს, და

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გამოც. IV, 1948 წ., გვ. 704.

2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. II, თბილისი, 1947 წ., გვ.328-329.

3 ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), „სხვათაშორის ნაგრძნობი და განაგონი“, 1873 წ., გვ. 12-13.

ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს, — დაკარგული და მივარდნილია“.[1] როდესაც ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებამ შავ ზღვაზე ნავსადგურის არსებობა გადაუდებელ ამოცანად გახადა და ფოთის ნავსადგურს, თითქმის უშედეგოდ, მრავალი შრომა და მილიონები შეეწირა, დიდი ქართველი მგოსანი ა. წერეთელი მყისვე გამოეხმაურა ქართველი პატრიოტების საერთო ეროვნულ მისწრაფებას, რომ ბათუმი საქართველოს, დედა-სამშობლოს, დაბრუნებოდა. პოეტმა ლექსში „ფოთი“ აღიარა ბათუმის დიდი უპირატესობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკასია ვერ შეასრულებდა მის წინაშე ცხოვრების მიერ დაკისრებულ მისიას, თუ ბათუმი კავკასიისაგან საბოლოოდ მოწყვეტილი დარჩებოდა. აკაკი მწუხარებით ამბობდა:

„ფეხით ვერ ძღება დღეს ფოთი,
ვით დიდმუცელა პოღოზი;
სულ ოცნებაა იმისი;
რკინის გზები და ბოღოზი!..

...ვით სპილო არ ეწვის სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი, —
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!“

აკაკი წერეთელს გულს უკლავდა, რომ ბათუმთან ერთად აჭარის ქართული მიწა-წყალი და მოსახლეობა თურქებს მიეტაცებინათ.[2]

მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა სამშობლოსადმი ქართველი ხალხის მხურვალე სიყვარული მაქსიმალურად გამოეყენებინა თურქეთის წინააღმდეგ მიმდინარე ომში გამარჯვებისათვის. ქართველი ხალხის კანონიერი პრეტენზია — დედა-სამშობლოს დაბრუნებოდა მტრის მიერ მინატაცები მიწა-წყალი — რუსეთის უმაღლეს სარდლობას და მეფის მთავრობას ხელსაყრელ პირობებს

1 ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), სხვათაშორის ნაგრძნობი და განაგონი, 1873 წ., გვ. 13.

ბათუმის ჩამორჩენილობის სალაკვიდაციოდ ერთგვარი ღონისძიებები დაისახა. მაგალითად, 1865 წელს იწყება მშენებლობა და თბილისი ტელეგრაფით უკავშირდება ბათუმს, ტრაპიზონს და ბოლოს კონსტანტინოპოლსაც. საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 771, ფურც. 1-2, 1865 წ.

2 ა. წერეთელი, ტ. I, თბილისი, 1940 წ., გვ. 119-120.

უქმნიდა ოსმალეთის წინააღმდეგ პროპაგანდის გასაშლელად. მეფის მოხელეებმა ამ მიზნით ფართოდ გაშალეს მუშაობა (მოხსენებები, მიმართვები, პროკლამაციები, საიდუმლო მოლაპარაკებანი, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, როგორც რუსული, ისე ქართული და სხვ.). აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ი. ჭავჭავაძის „ივერიამ“ და ს. მესხის „დროებამ“.

გარდა იმ წერილებისა, რომელთაც „ივერია“ საagიტაციო მიზნით, როგორც ომამდე, ისე ომის მსვლელობაში ბეჭდავდა, განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მის მიერ 1877 წლის 21 აპრილს პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი. რომანოვი ფარისევლურად აცხადებდა, რომ რუსეთი მოდის სიმართლის დასაცავად, ხალხის პატივისა და უფლებისათვის, იმ ხალხის დასაცავად, რომელიც „კეთილშობილის საქართველოს ტომისანი“ არის და სხვ.[1]

რუსეთის სარდლობამ სააგიტაციო მუშაობა გაშალა მტრის ზურგის შესარყევადაც. ომის დაწყებისთანავე კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ბრძანებით მიმართა თურქების წინააღმდეგ მოქმედი არმიის კორპუსს, რომ რუსეთის იმპერატორმა აღმართა ხმალი თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ, თურქი ხალხის დასაცავად, სიმართლის დასაცავად. მთავარსარდალი აცხადებდა, რომ თურქეთის სახელმწიფოს რეჟიმით განაწამები ხალხის მდგომარეობა უნდა შემსუბუქებულიყო, მშვიდობიან მოსახლეობას არ უნდა შეხებოდნენ.

მთავარსარდლის ამ მოწოდებას, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო ის შედგენილი, მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ის ადგილებზე ხშირად არ სრულდებოდა.[2] ასეთ პირობებში უფრო არსებითი მნიშვნელობა ქართველი ხალხის თვისტომ აჭარის მოსახლეობასთან დამოკიდებულებას ჰქონდა. თურქეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ისლამის სარწმუნოება რუსი და ქართველი „გიაურების“ წინააღმდეგ გამოეყენებინა. თავისი მიზნის

---

1 გაზ. „ივერია“, № 8, 1877 წ., 21 აპრილი.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგი იყო, მაგრამ საქართველოში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე ამჟამად შექმნილი ისტორიული სიტუაციისა და პირობების მიხედვით მოქმედებდა. მტერზე სრული გამარჯვების უზრუნველსაყოფად დამპყრობელისა და დაპყრობილის ინტერესები დროებით უნდა შეთანხმებულიყო. მხოლოდ ამით შეიძლება ეხსნას გაზ. „ივერიის“ სარედაქციო სტატიის სარეკლამო ხასიათი, რომელიც მთავარსარდლის მოწოდებას აღფრთოვანებით ეხმაურებოდა.

2 საქ. ცსსა, ფ. 555, აღწ. 1, საქმე 4, ფურ. 58-59.

განსახორციელებლად ოსმალნი სხვა უფრო რადიკალურ ღონისძიებასაც მიმართავდნენ: ბათუმსა და მის მიდამოებში რუსთა ბატონობის შედეგად დევნილ მუჰაჯირებს ასახლებდნენ. ასე გაჩნდა, მაგალითად, ბათუმსა და მის ახლომახლო მიდამოებში აფხაზებისა და ჩერქეზების კოლონიები.[1] ოსმალო დამპყრობლები სიამოვნებით ხვდებოდნენ ცარიზმის რეჟიმის შედეგად გადმოხვეწილ ელემენტებს, რადგან ითვალისწინებდნენ, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომში ადვილად შეიძლებოდა მათი გამოყენება. მუჰაჯირები თერქებს ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობის აჯანყების შემთხვევაშიც გამოადგებოდათ, ხოლო ასეთი აჯანყება ამ მხარეში ხშირად იყო.

რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლები მხარდამხარ იბრძოდნენ საქართველოში შემოსეული ოსმალების წინააღმდეგ.[2]

აჭარის მოსახლეობის მისწრაფება — დაბრუნებოდა დედა-სამშობლოს და ეცხოვრა ერთიანი პოლიტიკური ცხოვრებით, განსაკუთრებით ძლიერდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

მოსახლეობის ასეთ მისწრაფებას არსებითი მიზეზებიც ჰქონდა. სულთანის ხელისუფლებამ საგრძნობლად შეარყია აჭარის მოსახლეობის მიწაზე საკუთრების უფლებები. ეს მოსახლეობა, დედა-სამშობლოსთან სიახლოვის გამო, ხედავდა იმ სოციალურსა და ეკონომიურ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში ხდებოდა. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ 1864 წლიდან ქართველმა ხალხმა, დიდ რუს ხალხთან ერთად დაუღალავი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, რუსეთის ცარიზმს ხელიდან გამოჰგლიჯა დიდი ისტორიული მნიშვნელობის დათმობა — საქართველოში ბატონყმობის გაუქმება.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შედარებით სწრაფად განვი-

---

1 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 819, ფურ. 9 — 16.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ოსმალებს აფხაზი ემიგრანტები ბათუმში 1862 წელს დაუსახლებიათ მუჰაჯირ აფხაზებსა და ჩერქეზებს დაუკავებიათ ადგილები: კალტიბაური, ყუშადიე, ანუ ჩალთა, იამაძიე ანუ სალიბაური, ბედენიე, ფუზიე, სოუქ-სუ, იჯადიე, ფერიე ანუ შექრიე, ლეფთიე, ათიე, ადლიე, ნურიე, სოფ. ერგე, მაჰმუდიე, ნამანდრო, ახე უხათიე, ურეხი.

2 მიუხედავად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა, ქართველმა ხალხმა რუსი ხალხის სახით შეიძინა დიდი მეგობარი და დამცველი, ხოლო რუსმა ხალხმა ქართველი ხალხის სახით — ერთგული თანამებრძოლი ცარიზმისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. Проф. Ш. К. Чхетия, Исторические предпосылки присоединения Грузии к России, стр. 295, (труды Сухумск. гос. пединст., 1954 г.).

თარდა საქართველოს სახალხო მეურნეობა, გაჩაღდა ვაჭრობა და მრეწველობა, გაიშალა სარკინიგზო მშენებლობა. ღარიბმა გლეხებმა „საშოვარზე“ იწყეს გასვლა. გაჩნდა მამულის მფლობელი გლეხთა ფენა. ზოგიერთი გლეხი ვაჭრობაში ჩაება და საგრძნობი კაპიტალი დააგროვა. საქართველოში მე-19 საუკუნის 70-იანი წლები მწერალ გ. წერეთლის აზრით, ისეთი დრო იყო, როდესაც ყველა საქმეს ეძებდა და „ვინც ჯერ კიდევ არ გამდიდრებულიყო, მომავალში ელოდა გამდიდრებას“.

საქართველოში, მიუხედავად ცარიზმის ყოვლისჩამხშობი კოლონიური პოლიტიკისა, სწრაფი ნაბიჯით ვითარდებოდა ეროვნული კულტურა. ქართულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურა, ფართოვდებოდა სახალხო განათლების ქსელი, ყალიბდებოდა მოწინავე იდეებით შეიარაღებული ინტელიგენცია. ეს მაშინ, როცა ამავე პერიოდში, როგორც ეს ისტორიკოს დ. ბაქრაძის შრომიდან „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ ნათლად ჩანს, აჭარის მოსახლეობის შეძლებულ ფენასაც არ ჰქონდა შესაძლებლობა შვილებისათვის მიეცა სათანადო განათლება. მეჩეთებთან არსებულ საცოდავ სკოლებს გარდა აჭარაში სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. მოწინავე მელთა შვილების განვითარებისათვის გზა გადაკეტილი იყო[1], ამიტომ აჭარის მოწინავე ადამიანების თვალში ყოველივე ის, რაც იმდროინდელ საქართველოში ხდებოდა, არსებული პირობების მიხედვით საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა.

აჭარის მოსახლეობას საქართველოსთან სოციალური ურთიერთობის ბაზაზე წარმოშობილი პოლიტიკური მოვლენებიც აკავშირებდა. აჭარლებსა და 1841 წელს აჯანყებულ გურულებს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარებულა.[2] უფრო მნიშვნელოვანი იყო 1862 წელს ბატონყმური წყობილებისა და საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ ქობულეთელ და გურულ გლეხთა ერთიანი გამოსვლა. ეს აჯანყება ქობულეთლებს დაუწყიათ.[3] აჯანყება ქობულეთიდან

---

[1] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПБ, 1878 г., стр. 16.

[2] გ. ხაჯაპურიძე, „გურიის გლეხთა აჯანყება 1841 წელს“, თბილისი, 1931 წ., გვ. 36.

[3] ამ აჯანყებიდან გაიცა 10 წელი და ქობულეთის მოსახლეობა 1872 წელს გადასახადების გადიდების გამო კვლავ აუჯანყდა ოსმალებს. ქობულეთელთა გამოსვლას ერთხმად გამოეხმაურა აჭარისა და ლაზისტანის მოსახლეობა (გაზ. „დროება“, 1872 წ., № 26, 7 ივლისი, საქ. ცსსა, ფ. 8, საქმე 3.887, ფურც. 1-2).

გავრცელებულა გურიის სოფლებში. გურიაში გლეხთა შეიარაღებული აჯანყება ჩაუქრიათ რეგულარული ჯარის საშუალებით. წყარო პირდაპირ ცნობას არ იძლევა, მაგრამ აჯანყების წამომწყები ქობულეთლები არანაკლები სისასტიკით უნდა ყოფილიყვნენ დასჯილი თურქეთის მთავრობის მიერ.[1]

ოსმალეთის ტირანიის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავი ქართველობა განუწყვეტლივ იბრძოდა თავისუფლებისათვის და დედა-სამშობლოსთან შესაერთებლად. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ ბრძოლას უფრო მეტი გასაქანი მიეცა. სამხრეთელი ქართველობა უდიდეს იმედებს ამყარებდა რუსეთ-ოსმალეთის ომებზე, რომელთა შედეგად განთავისუფლებას მოელოდა. 1875-1876 წლებში აქარაში ადგილი ჰქონდა საპროტესტო გამოსვლებს, რომლებმაც ზოგ ადგილებში აჯანყების ხასიათი მიიღო.[2]

როგორც ცნობილია, 1875 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე იფეთქა სლავ ხალხთა აჯანყებამ. ამ მოძრაობამ ნამდვილი ომის ხასიათი მიიღო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. რუსმა ხალხმა სლავ მებრძოლებს დიდი დახმარება გაუწია თავიანთ სამართლიან ეროვ-

---

1 ქობულეთში აჯანყების შესახებ ერცელ დოკუმენტებს ჩვენს არქივებში არც უნდა მოველოდეთ. 1862 წელს ქობულეთი თურქებს ეპყრათ და, ბუნებრივია, რომ რუსი მოხელეების მიერ დაწერილ მოხსენებებში ამის შესახებ მხოლოდ გაკვრითაა აღნიშნული. ცხადია, მასალების ასეთი ნაკლებობის პირობებში აღნიშნული ძუნწი ცნობაც ძვირფასი დოკუმენტია. 1862 წლის აჯანყების შესახებ მოკლე ცნობა გამოქვეყნებულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ მასალებში, ტ. 12, გვ. 250. იგივე ცნობა პროფ. ჯ. გუგუშვილმა გადაბეჭდა მის მიერ გამოქვეყნებულ წყაროებისა და მასალების კრებულში: **«Сельское хозяйство и аграрные отношения»**, თბილისი, 1938 წ., გვ. 678.

1862 წ. გლეხთა აჯანყებას გურიაში პირველად ისტორიკოსთა შორის შეეხო პროფ. გ. ხაჭაპურიძე („გლეხთა მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნეში“, 1933 წ., გვ. 73).

ამავე საკითხზე შრომა ეკუთვნის პროფ. შ. ჩხეტიას („გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს“, „საისტორიო მოამბე“, № 7, თბილისი, 1953 წ., გვ. 170 — 228).

2 ნ. ნიკოლაძე, 1857 წელს მომხდარ სლავთა აჯანყებას სპეციალური წერილით გამოეხმაურა. იგი წერდა: „თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ცნობას სიხარულით შეხვდება ყველა, ვისაც თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა აქვს თურქეთში მობინადრეთა გაღატაკებულ მდგომარეობაზე... დუხჭირ, აუტანელ მდგომარეობაზე არა მარტო ქრისტიანებისა, არამედ ბრწყინვალე პორტის მუსლიმან ქვეშევრდომებისაც, რაც არასოდეს არ ყოფილა საიდუმლოება. ყველა მცოდნე ადამიანებმა უხსოვარი დროიდან იციან, რომ ამ უმწეო „ქვეშევრდომებს“ არ გააჩნიათ არავითარი ადამიანური უფლება, რომ მათ მართავენ არა მარტო გაუმაძღარი და უსინდისო, არამედ სულელი და უვიცი დესპოტები. არც პირუტყვი, არც სახლი, არც სიცოცხლე, არც პატრონობა ამ უბედურებისა რაიმე კანონის მაგვარით არ არის დაცული. მათ ძარცვავენ და აწამებენ, ცემენ და სიკვდილით სჯიან, არა მარტო უმიზეზოდ, არამედ განუკითხავადაც“.
(Газ. «Тифлисский вестник», № 88, 1875 г.).

ნულ ბრძოლაში. მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან სლავების დასახმარებლად იგზავნებოდა შემოწირულებანი. სლავთა მხარეზე ომში მონაწილეობდნენ რუსთა მოხალისე რაზმები. სლავთა მოძრაობას მხურვალედ გამოეხმაურა ქართველი ხალხიც. დიდძალი შემოწირულება შეგროვდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სლავი მებრძოლების დასახმარებლად. ქართველი მოხალისე რაზმები სლავთა მხარეზე გმირულად იბრძოდნენ. მათ საყოველთაო სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს.[1]

თურქეთმა აჯანყებული სლავების წინააღმდეგ აჭარლების გამოყენება სცადა. ამ ცდებს აჭარის მოსახლეობა საპროტესტო გამოსვლებით პასუხობდა, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდებოდა. გლეხთა მოძრაობამ აჭარაში თანდათან ფართო ხასიათი მიიღო; იგი მალე ლაზისტანსაც მოედო. თურქეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, აჯანყებულთა მიმართ დათმობაზე წასულიყო.[2]

როგორც საარქივო საბუთებიდან ჩანს, ბათუმში 1876 წელს არსებულა ხალხოსან-რევოლუციონერთა ლიტერატურის გამავრცელებელი ბაზა, რომელსაც მშვედლიძე მეთაურობდა. ხალხოსნებს რევოლუციური ლიტერატურის მისაღები ბაზა ბათუმში გარკვეული, კონსპირაციული მიზნით უნდა ჰქონოდათ. აქედან მათ ადვილად შეეძლოთ გაეტანათ არალეგალური ლიტერატურა ქობულეთის გზით გურიაში და შემდეგ თავისუფლად გაევრცელებინათ. ცხადია, ქართველ ხალხოსანთა ასეთი არჩევანი ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედით იყო ნაკარნახევი.[3] მით უფრო, რომ ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილება და ტრადიცია უკვე არსებულა. ბაკუნინის ერთი ფრიად საყურადღებო წერილიდან რამდენადმე ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1862 წლიდან გერცენის

---

1 გაზ. „დროება", № 91, 1876 წ., 27 აგვისტო, № 45, 1876 წ., 7 მაისი.

2 გაზ. „დროება", № 114, 101, 127, 1875 წ., „დროება", № 15, 16, 25, 1876 წ.

ს. მესხი აჭარის მოსახლეობის ამ აჯანყებას მაღალ შეფასებას აძლევდა, მას იგი ამ მხარის თურქეთისაგან განთავისუფლების საწინდრად მიაჩნდა. იხ. ს. მესხი, წერილები, სოხუმი, 1950 წ., გვ. 196.

3 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 8.419 (4.583), ფურც. 1 — 4.

აჭარის მოსახლეობაში აღნიშნული პოლიტიკური მოძრაობის შესახებ არსებობს სტუდენტ ნ. მეგრელიძის მოკლე მიმოხილვა „ქობულეთის მოსახლეობის აჯანყება თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ 1875 წელს", გამოქვეყნებული თეზისების სახით, (იხ. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მე-4 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1954 წ., გვ. 38).

„კოლოკოლის“ და ლონდონის სხვა კონტრაბანდული ლიტერატურის ბათუმში გადმოტანისა და იქიდან საქართველოში გავრცელების საქმეში მონაწილეობა მიუღიათ ნაოსნობაში ჩაბმულ აჭარლებს და ლაზებს.[1]

დაახლოებით ასეთი იყო აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილება რუსეთ-თურქეთის ომის წინ. აქ არსებული ვითარება ბათუმის მიმართულებით მოქმედ რუსთა და ქართველთა ჯარებისათვის გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარი იყო.

თურქი მოძალადეების წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობას მოუსწრო 1877-1878 წლების ომმა. ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა საომარი ასპარეზის ზოლში მყოფი აჭარის მოსახლეობა. ომის დროს გადაწვეს და ნაცარტუტად აქციეს აჯანყების აქტიურ მონაწილეთა სახლ-კარი. მაგრამ ასეთი სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, თურქებმა მაინც ვერ მოახერხეს მოსახლეობის დამორჩილება. მკაცრი თურქული რეპრესიების პირობებშიც 150 ქობულეთელმა ყურშუმ-აღა ჰყონიას მეთაურობით დატოვა თავისი მშობლიური კუთხე, ოჯახი, ღამის წყვდიადში, ჩუმად გადმოლახა საზღვარი და ქართველობას შემოუერთდა. ქობულეთლები, ქართულ მილიციასთან ერთად, თავგანწირვით იბრძოდნენ თურქებისაგან აჭარის გასანთავისუფლებლად.[2]

არსებული სიტუაციიდან თავიდანვე კარგად ჩანდა, რომ ოსმალეთს კავკასიის ფრონტზე არახელსაყრელი მდგომარეობა ექმნებოდა. აქ რუსეთის არმიის ზურგი ისე ძლიერი იყო, როგორც არასდროს. მთიელთა ტომებში მიურიდიული მოძრაობის კერა ჩამქრალი და, მაშასადამე, ოსმალეთისათვის უიმედო იყო. კავკასიის ხალხები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რუსეთის სარდლობის

---

1 შ. საყაძე, „კოლოკოლი“ საქართველოში“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 13, 1957 წ.).

2 Ген. Макеев. «Историческая записка I-ой пешей грузинской дружины в войну 1877-1878 г. г.», стр. 38 — 45.

თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებულთაგან 38 ოჯახი ქობულეთიდან გურიაში გადავიდა. თურქებმა მათი სახლ-კარი დაწვეს, როგორც „სამშობლოს მოღალატეებისა“ („დროება“, № 46, 1879 წ.). ასეთია ნამდვილი ფაქტები. ყოველივე ეს დაეწუწებას მისცა მუსულმან-ქართველთა განსაკუთრებულმა მოძულემ, მეფის ერთგულმა სატრაპმა, გენერალ-ადიუტანტმა სვიატოპოლკ-მირსკიმ. მან აჭარის მოსახლეობის წინააღმდეგ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც 1878 წლის 15 ოქტომბერს ოფიციალურ მოხსენებად წარუდგინა მეფისნაცვალს კავკასიაში. აღნიშნულ მოხსენებაში სვიატოპოლკ-მირსკი მოითხოვდა, რომ აჭარლებისა და ქობულეთლების უმრავლესობა ოსმალეთში გადაესახლებინათ, ხოლო მ8 ადგილებში რუსი კოლონისტები დაესახლებინათ. საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 1.172, ფურც. 1-2.

დროშის ქვეშ დარაზმული იყვნენ და ისტორიულ მტერზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. ასეთ პირობებში თურქეთი დამხმარე ძალების ძებნას შეუდგა. ეს ძალაც მალე გამოჩნდა. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური სახელმწიფო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1875 წელს თურქეთს „დახმარების“ სახით მისცა 3.928.149 დოლარის, ხოლო 1876 წელს 3.101.074 დოლარის საქონელი. ამ საქონლის უდიდეს ნაწილს საომარი მასალები, სხვადასხვა სახის ცეცხლმსროლელი იარაღი და სხვ. შეადგენდა.[1]

თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ენერგიულად ეხმარებოდნენ ძველი, ისტორიული „მეგობრებიც“: ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრო-უნგრეთი. როგორც ამჟამად ცნობილია, ინგლისის გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის დამარცხებას და ხალიფატის შექმნას ამიერკავკასიაში. ამ გეგმის განხორციელებით ინგლისი პატარა ერებზე გაბატონებას ცდილობდა.

1877-1878 წლების ომში ბათუმის საკითხი რუსეთის სარდლობის სტრატეგიული გეგმის ცენტრში იდგა.

დასავლეთ საქართველოში ბათუმის მიმართულებით მებრძოლი ჯარის განლაგებას მეთაურობდა და სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ოკლობჟიო. ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდლად მიხეილ რომანოვი იყო. ბათუმის ასაღებად ოკლობჟიოს ქ. ოზურგეთში (მახარაძე) 25 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა დაბანაკებული, რომელსაც პირობითად ქობულეთის რაზმი ეწოდა. ჯარის სხვა ნაწილები გაფანტული იყო მთელს დასავლეთ საქართველოში: ფოთში, ორპირში, ქუთაისში, სენაკში, (ცხაკაია), ზუგდიდში, ინგურზე და სხვ. ჯარების ასეთი გაფანტული განლაგება სრულიად გაუმართლებელი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან საჭირო შემთხვევაში ცალკეულ რაზმებს არ ჰქონდათ საშუალება ერთიმეორეს მიშველებოდნენ.[2]

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჯარის განლაგებაში დაშვებული შეცდომა, საყურადღებოა, რომ მიუხედავად ბათუმის მიმართულებით საომარი ოპერაციის არახელსაყრელობისა (ვიწრო ზოლი, გაუვალი ჭაობი და უღრანი ტყე), რუსეთის სარდლობამ იქ მაინც

[1] Ш. В. Мегрелидзе, «Грузия в Русско-Турецкой войне 1877 — 1878 годов», Батуми, 1955 г., стр. 32.

[2] Б. Колюбакин (Ординарный профессор Николаевской Академии Генерального штаба), «Русско-Турецкая война в 1877-1878 г. г. На Кавказе и в Малой Азии», часть I, Петербург, 1906 г., стр. 150.

დიდძალ ჯარსა და სამხედრო აღჭურვილობას მოუყარა თავი. ამ შემთხვევაში რუსეთის მთავრობას ყირიმის ომის დროს მიღებული გაკვეთილები აფიქრებდა. მას ეშინოდა, რომ ინგლისელები ბათუმიდან სამხედრო დესანტს გადმოსხამდნენ. ეს არც ისე უსაფუძვლო იყო. ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა მიხეილ რომანოვმა იცოდა, რომ რუსებს დასავლეთ საქართველოში არ შეეძლოთ უშიშრად ეგრძნოთ თავი, თუ ზღვის სანაპიროები კარგად არ იქნებოდა დაცული, მით უფრო, რომ მაშინ ბათუმში თურქეთს 50-ათასიანი ჯარი ყავდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა შერევაზე გადმოსასვლელად.[1] საშიშროებას კიდევ უფრო აძლიერებდა ის, რომ ოსმალებს ბათუმის მიმართულებით ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ცხადია, ასეთ პირობებში შეტევითი ოპერაციების წარმოება ამ მიმართულებით მეტად სახიფათო ჩანდა. მიუხედავად ამისა, გენ. ოკლობჟიოს დაევალა და შედგენილი იქნა შეტევის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ბათუმის მიმართულებით შეტევაზე 20 ბატალიონ ქვეით ჯარსა და არტილერიასთან ერთად ადგილობრივი მილიციის რჩეული რაზმები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მილიცია იყო ფრიად საიმედო ძალა, შეჩვეული ადგილობრივ პირობებს და ტყეში ადვილად არ კარგავდა ორიენტაციას.[2]

12 აპრილს ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა 15 ბატალიონი 48 ზარბაზნით, ბრძოლაში ჩაბმული იყო ცხენოსანთა 7 ასეული. შემტევი ჯარი ორ კოლონად იყოფოდა. მარჯვენა კოლონას მეთაურობდა გენერალი დენიბეკოვი, ხოლო მარცხენა ფლანგზე შემტევ კოლონას — გენერალი შერემეტევი.[3] შემტევი ჯარი მამაცურად იბრძოდა. რუსებთან ერთად ბრძოლაში გმირული თავდადება, ეროვნული სიყვარული, სიმტკიცე და დისციპლინის

---

1 ოსმალები ბათუმის დასაცავად განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. კავკასიის ფრონტზე მათ გაიჩინეს ოთხი კორპუსი, რომელთა რეზერვების რაოდენობა 600.000 კაცს აღწევდა, მაგრამ აქედან ომისათვის გამოსადეგი იყო მხოლოდ ორი კორპუსი 279.000 ჯარისკაცით და ისიც სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო მომზადებული. **Колюбакин. Русско-Турецкая война в 1877–1878 гг., ч. I, стр. 102–103.**

2 ივ. ურუშაძემ საყურადღებო ცნობები შეაგროვა გურიის სახალხო მილიციის შესახებ. ცნობები წარმოადგენს ომის მონაწილე პირთა მოგონებებს. მკითხველზე ის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და არწმუნებს, რომ უკანასკნელი 1877–1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომში ქართველი ხალხის ბრძოლას მაღალპატრიოტული იდეალები ამოძრავებდა. იხ. ივ. ურუშაძის საკანდიდატო დისერტაცია „რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლის ომი და საქართველო“ (ინახება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

3 **Ф. Арутинов, Исторня I-го Кавказского стрелкового батальона, СПБ, 1898 г., стр. 348.**

საუკეთესო მაგალითი გამოამჟღავნა ქართულმა სახალხო ლაშქარმა.[1] მიუხედავად მამაცური მოქმედებისა, პირველმა ცდებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რუსეთის ჯარის ნაწილებმა სოფ. ხუცუბანი დაიკავეს, მაგრამ მტრის საზღვაო და სახმელეთო კომბინირებული დარტყმების შედეგად იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ მუხაესტატეს გამაგრებული პოზიციებისაკენ. ბრძოლამ ბათუმის მიმართულებით გაჭიანურებული პოზიციური ხასიათი მიიღო. მდგომარეობა ვერ გამოასწორა კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის, ამ „საპატიო სტუმრის“ (როგორც მას მაშინ უწოდეს) მუხაესტატეში მობრძანებამ. ცხადი იყო, რომ ჯარისკაცები და ოფიცრები სამხედრო საქმეში უმეცარ რომანოვს დასცინოდნენ. დიდმა მთავარმა ჯარს გარშემო შემოუარა უხმოდ და ერთი საათის შემდეგ წავიდა იქითკენ, საიდანაც მოვიდა.[2]

მთავარსარდლის მოსვლას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ომის მონაწილეთა გადმოცემით ოსმალები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. შეკვეთილში მათ საზღვაო დესანტი გადმოსხეს და სავსებით დაანგრიეს „ნიკოლოზის სიმაგრე“. იქ მყოფი რუსთა ერთი ასეული იძულებული იყო უკან დაეხია. ბუნებრივი დაბრკოლებაც ყოველდღიურად იზრდებოდა. კოკისპირული წვიმების შემდეგ დაიწყო აგვისტოს ცხელი ამინდები, საშინლად აშმორდა მუხაესტატესა და ზღვას შუა მდებარე ჭაობი და ჯარის ნაწილები ციებცხელებამ შეიპყრო.

თურქთა ჯარის სარდალი დევრიშ-ფაშა პირველ ხანებში ცდილობდა შეტევაზე გადმოსულიყო, მაგრამ რუსთა მხნეობამ და გურულ „მონადირეთა“ სიმამაცემ მტერი ადგილზე შეაჩერა. 1877 წლის 11 ივლისიდან 1878 წლის 18 იანვრამდე მხოლოდ დაზვერვა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა. ამ ხნის განმავლობაში ქართული მილიცია მტერს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. დევრიშ-ფაშა ავრცელებდა ყალბ ხმებს, რომ იგი ვითომც დასავლეთ საქართველოში შემოსევის მიზნით გენერალური შემოტევისათვის ემზადებოდა, მაგრამ რუსების გამარჯვებამ ბაიაზეთში, ყარსის აღებამ, არზრუმის ბლოკადამ და სხვა წარმატე-

[1] В. С. Н., За Чолоком, 1877–1878 гг., «Военный сборник», т. CCXLII. 1898 г., стр. 191 — 206.
ჭობულეთის რაზმში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გურიის მილიციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იასე გურიელი და ჭობულეთის რაზმის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი.

[2] В. С. Н. «Военный сборник», т. CCXLII 1898 г., стр. 160.

ბებმა იგი აიძულა მთავარი ძალები იქით გადაესროლა, ამან მტრის ოინები საბოლოოდ გამოააშკარავა. ამას დაემატა დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ქობულეთის რაზმში მიღებული გამამხნევებელი დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ „ალექსანდროპოლის ჯარებმა დაამარცხეს თურქეთის მთავარი არმია, რომელიც გამაგრებული იყო ალაჯარის სიმაღლეებზე“.[1]

საზეიმო ცნობის მიღებას რუსები ზარბაზნების სალუტით შეხვდნენ. თურქები თავიანთ სანგრებში ხმაგაკმედილები იჯდნენ. ალბათ, მათ სამწუხარო ცნობა უკვე ჰქონდათ მიღებული. დევრიშფაშამ თავისი ჯარი ღამით აბარგა და ქურდულად კინტრიშის მიდამოებში დააბანაკა. რუსებმა სასწრაფოდ დაიკავეს ხუცუბანი. იქ ნახული შენობების მიხედვით შეიძლებოდა ვარაუდი, რომ თურქები 15-ათასმდე იყვნენ.[2]

რუსთა ჯარების საერთო წარმატებების პირობებში კავკასიის ფრონტის სარდლობის წინაშე დაისვა საკითხი, თუ რა უნდა გაკეთებულიყო მომავალში. სარდლობა ვერ ითმენდა ქობულეთის რაზმის წარუმატებლობას. მთავარ შტაბში სპეციალურ თათბირზე გადაწყდა, რომ გაგრძელებულიყო შეტევა ბათუმის დასაუფლებლად ორი რაზმის — ქობულეთისა და ართვინის ერთდროული შეთანხმებული მოქმედებით. ორივე შემტევი რაზმის მეთაურად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი კომაროვი. მან გენერალ დენიბეკოვისაგან 1878 წლის 6 იანვარს ჩაიბარა ქობულეთის რაზმის უფროსობა. არსებული ძალებით ბათუმ-ციხისძირის აღება სრულიად შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ სარდლობამ ამას ანგარიში არ გაუწია. 16 იანვარს კომაროვმა თბილისიდან მიიღო დეპეშა შეტევის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ. გენერალი კომაროვი, რომელიც საქმის ვითარებას კარგად იცნობდა, ასეთი საზარალო და უმიზნო შეტევის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისი მოსაზრება სარდლობამ არ გაიზიარა და შეტევის დღედ დაინიშნა 18 იანვარი.

შემტევი ჯარი სამ კოლონად დაიყო. მარცხენა კოლონას მეთაურობდა გენერალი შერემეტევი (6 ბატალიონი), ცენტრს — გენე-

---

1 (Военный сборник) стр. 206-207.

ბათუმის მიმართულებით სამხედრო ოპერაციების დაწვრილებით მიმოხილვას ჩვენ არ ვიძლევით, მით უფრო, რომ თავის დროზე ასეთი მუშაობა გაწეული აქვთ მეფის ისტორიკოსებს (პოტოს, ესაძეს, სტეფანოვს, არუთინოვს, კოლუბაკინს და სხვებს). ისინი მეთოდოლოგიური ნაკლის მიუხედავად საყურადღებო ფაქტიურ მონაცემებს ემყარებიან.

2 იქვე, т. CCXLII, 1898 г., стр. 208.

რალი დენიბეკოვი (5 ბატალიონი 20 ქვემეხით), მარჯვენა კოლონას — გენერალი შალიკაშვილი (3 ბატალიონითა და 8 საველე ზარბაზნით).

რუსებმა შეტევა დაიწყეს ღამის 3 საათზე. თურქებმა თავისი სიმაგრეებიდან ძლიერი ცეცხლი გახსნეს. გამოიყენეს ყველა სახეობის იარაღი, რომელიც კი მათ გააჩნდათ. ამავე დროს რუსების პოზიციებს ზღვიდან განუწყვეტლივ უშენდა მტრის 4 სამხედრო გემი. რუსთა შეტევა უმიზნო და მსხვერპლის მომტანი შეიქნა. გენერალმა შერემეტევმა ყველაზე კრიტიკულ მომენტში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო, რამაც კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. გენერალი კომაროვი თვით გამოცხადდა ბრძოლის ველზე და იძულებული შეიქნა გაეცა ბრძანება ძველ პოზიციებზე უკან დახევის შესახებ.

ასე მარცხით დამთავრდა ის ბრძოლა, რომელიც რუსებს 1 გენერლის, 44 ოფიცრისა და 1260 რიგითი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.[1]

სამხედრო ისტორიკოსები: კოლუბაკინი, პოტო, სტეფანოვი, არუთინოვი და სხვ. ერთხმად აღიარებენ, რომ ბათუმის მიმართულებით ოსმალებს ძლიერი გამაგრება ჰქონდათ, ამიტომ შეტევა და იერიშით ბათუმის აღება, არსებული პირობებისა და შეიარაღების გათვალისწინებით, სრულიად შეუძლებელი იყოო. კოლუბაკინის აზრით, რუსები ამ უბანზე ორჯერ და სამჯერ ძლიერებიც რომ ყოფილიყვნენ, ბათუმის აღებას მაინც ვერ მოახერხებდნენ.[2]

როგორც გვიან გამოირკვა, რუსების კონტრდაზვერვა სუსტი იყო და მტრის კომუნიკაციების შესახებ მას თითქმის არავითარი ცნობა არ გააჩნდა. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გაიგეს, რომ შტერს ბათუმის მისადგომები გაცილებით უკეთ ჰქონდა გამაგრებული, ვინემ ეს მანამდე ეგონათ. ციხისძირის დაკარგვის შემთხვევაში, მეორე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ოსმალები ჩაქვის პოზიციებზე ემზადებოდნენ. ყველაფერი ეს რუსეთის სარდლობამ ძალიან გვიან გაიგო.[3]

განდიდების მანიით შეპყრობილი მთავარსარდლის მიხ. რომანოვის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, ბათუმის დასაუფლებლად 18 იანვარს დაწყებული უტაქტო შეტევა, როგორც მოსალოდ-

---

1 Пэтто, კრებულიდან Батум и его окрестности, стр. 168 — 171. В. С. Н. «За Чолоком», Воен. сборник CCLII, стр. 210.

2 Б. Колюбакин, Русско-Турецкая война в 1877-1878 гг., ч. I, стр. 52.

3 საქ. ცსსა, ფ. 521, აღწ. 10, საქმე 23, ფურც. 64-65.

წელი იყო, მარცხით დამთავრდა. მაგრამ რუსეთის საერთო წარმატებებმა ბალკანეთისა და აზიის თურქეთში მტერი აიძულა ზავი ეთხოვა. იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობა რუსეთის წინააღმდეგ სასტიკად დაიძაბა, მეფე იძულებული გახდა ზავზე დათანხმებულიყო. 19 თებერვალს (ძვ. სტილით) რუსეთსა და თურქეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ომი დასრულდა.

2. ბათუმის შემოერთება და ქართველი საზოგადოება

სან-სტეფანოს ზავით რუსეთის უფლებები ბალკანეთის ქვეყნების მიმართ საგრძნობლად ფართოვდებოდა. რუსეთმა შეიერთა ბათუმის, ყარსის, არტაანისა და ბაიაზეთის ოლქები. ისტორიული სამხრეთი საქართველოს მიწა-წყლის დიდი ნაწილიც რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გაერთიანდა.

რუსეთის ძალზე გაძლიერებას ინგლისი ვერ ითმენდა, რადგან აქით მის კოლონიურ მიზნებს შუა და ახლო აღმოსავლეთში საფრთხე ემუქრებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა ინგლისის იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ომის ფსიქოზი შექმნა და იარაღის ჭრაქუნით მეფის რუსეთის დაშინება სცადა. ინგლისმა კატეგორიულად მოითხოვა სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვა. ინგლისის ამ მოთხოვნას რუსეთის მოძულე სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოებიც გამოეხმაურნენ. მტაცებელ, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ძლიერი კოალიცია „დაჩაგრული“ თურქეთის დასაცავად ინგლისის მეთაურობით რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. რუსეთისათვის შექმნილი ამ ინგლისური საფრთხის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „1878 წლიდან, როცა რუსეთის ჯარები კონსტანტინოპოლს უახლოვდებოდნენ, ხოლო ინგლისის ფლოტი გაჩნდა დარდანელის წინ და ემუქრებოდა რუსებს დახვრეტით, როგორც კი ისინი „ცარგრადში“ გამოჩნდებოდნენ, — 1885 წლამდე, როცა რუსეთი ბეწვზე ეკიდა ინგლისთან ომისაგან შუა აზიაში ნადავლის გაყოფისათვის (ავღანისტანი; რუსეთის ჯარების მოძრაობა შუა აზიის სიღრმეში ემუქრებოდა ინგლისელების ბატონობას ინდოეთში) — და 1902 წლამდე, როცა ინგლისმა კავშირი შეკრა

იაპონიასთან, ამზადებდა რა მის ომს რუსეთის წინააღმდეგ, — მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინგლისი იყო უძლიერესი მტერი რუსეთის ყაჩაღური პოლიტიკისა, იმიტომ რომ რუსეთი იმუქრებოდა ძირი გამოეთხარა ინგლისის ბატონობისათვის მთელ რიგ უცხო ხალხებზე".[1]

რუსეთი მკაცრი არჩევანის წინაშე დადგა: დათანხმებულიყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, სადაც რუსეთის ინტერესები აუცილებლად შეილახებოდა, თუ ჩაბმულიყო ომში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოალიციის წინააღმდეგ?

მეფის რუსეთი ასეთი ძლიერი კოალიციის წინააღმდეგ ომისათვის მაშინ მომზადებული არ იყო, ქვეყნის საშინაო და საგარეო გართულებებმა იგი იძულებული გახადა დათმობაზე წასულიყო. მებრძოლ სახელმწიფოთა „ცივ ომში" ჩაერია „პატიოსანი მაკლერი" ბისმარკი, რომელიც „მომრიგებლის" როლში გამოვიდა. 1878 წლის 13 ივნისს, ბერლინში, რუსეთ-თურქეთს შორის ახალი საზავო ხელშეკრულების შესამუშავებლად საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა. კონგრესის სხდომები ინგლისის ინიციატივით გაჭიანურებულად მიმდინარეობდა. იგი მთელი ერთი თვე გაგრძელდა და დამთავრდა 1878 წლის 13 ივლისს. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის დაზვერვამ აჯარა-ლაზისტანში გააძლიერა ძირგამომთხრელი მუშაობა (იარაღის მოწოდება, ხალხში აგიტაცია, მოსყიდვა და სხვა) მოსახლეობის საყოველთაო აჯანყების მიზნით, მაგრამ მისი ვერაგული გეგმები ჩაიფუშა. მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ დროულად გაიგო ინგლისელთა ბოროტგანზრახვის ნამდვილი არსი და ზურგი შეაქცია მას. ასეთ პირობებში ინგლისმა უკანდახევა არჩია. ბერლინის კონგრესზე რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას აღნიშნულმა გარემოებამ საშუალება მისცა, ზოგიერთი დათმობის პირობებში, ბათუმი თუნდაც „პორტო-ფრანკოდ" („თავისუფალ" ქალაქად) გამოეცხადებინა. ქ. ბათუმის რუსეთის საკუთრებად გამოცხადება, რომელმაც ხალხებს ომი ააცილა თავიდან, ბერლინის კონგრესზე მიღწეული მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო.

1 ლენინი, თხზ., ტ. 23, IV ქართ. გამოც., 1951 წ., გვ. 159-160.

* * *

1878 წლის 19 თებერვლის სან-სტეფანოს ხელშეკრულებამ კავკასიის მოქმედ არმიას მოუსწრო იმ დროს, როცა იგი დაბანაკებული იყო წინათ (19 იანვარს) დაკავებულ ადგილებზე. გენერალმა კომაროვმა 22 იანვარს მიიღო ცნობა საომარი ოპერაციების შეწყვეტისა და საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ქობულეთის რაზმი 18 იანვრის შეტევის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ იმყოფებოდა მუხაესტატეს ძველ პოზიციებზე. თებერვალსა და მარტის დასაწყისში რუსების მიერ დაკავებულ მხარეში ახალი მმართველობისა და წესრიგის შემოღებით მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ ასეთი განწყობილება შემდეგში რამდენადმე შეიცვალა.

1878 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა უმაღლესი ბრძანება, სანსტეფანოს ხელშეკრულების ძალით ართვინსა და ბათუმში რუსთა ჯარების მშვიდობიანად შესვლის, ხოლო იქიდან თურქების გაყვანის შესახებ. გენერალ-მაიორმა კომაროვმა უმაღლესი ბრძანების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ აუწყა ამის შესახებ თურქეთის — უახლოეს სამხედრო ხელისუფლებას. 17 აპრილს კომაროვმა თავისი ჯარით (4 ბატალიონი), სრული წესრიგის დაცვით, დაიკავა ართვინი. კომაროვის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ მოსახლეობაში ენერგიული აგიტაცია გაშალეს ბათუმის კორპუსის სარდალმა მუშირ დევრიშფაშამ და ადგილობრიემა კაიმაკამმა ვარფი-ბეგმა.

დემარკაციული ხაზი ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი და კომაროვს თურქები აბრალებდნენ ართვინის თვითნებურად დაკავებას, მაგრამ ართვინის და მისი მიდამოების სომხები, აგრეთვე მუსლიმანები სრულ სიმშვიდეს და კარგ განწყობილებას იჩენდნენ რუსეთის ჯარის მიმართ. ამიტომ, თურქებმა ახლა სხვა მეთოდს მიმართეს: ჭოროხის ხეობაში, ლაზისტანში, აჭარასა და სხვაგან ფართოდ გაავრცელეს ცნობა მოლაპარაკების დროს შეუთანხმებლობისა, განხეთქილების მოახლოებისა და ართვინიდან რუსების გაძევების გარდუვალობის შესახებ. დაიწყო მილიციის შეგროვება და „მოხალისეები"-ს შეიარაღება ახალი სისტემის თოფებით. თურქი აგენტები სოფელ-სოფელ დაეხეტებოდნენ და მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ წინასწარ შედგენილ საპროტესტო წერილზე ხელის მოწერას. საპროტესტო მოთხოვნაში გატარებული იყო აზრი, რომ მოსახლეობა აღელვებულია და არ სურს რუსეთთან შეერთება. და ბოლოს მოსახლეობაზე გავლენის მოსახდენად

აჭარასა და, კერძოდ, ჭოროხის ხეობაში ბათუმიდან გაიგზავნა რეგულარული ჯარის ნაწილები.

თურქი ხელისუფალნი მიმართავდნენ ეკონომიურ იძულებას. მაგალითად, ართვინს შეუწყვიტეს ბათუმიდან ყოველგვარი საქონლის მიწოდება. აგრეთვე გაავრცელეს ხმა, რომ მალე აკრძალავდნენ ყოველგვარი საქონლის შემოზიდვას ყარსიდან და არტაანიდანაც. ინგლისისა და თურქეთის აგენტებმა მოსყიდული ადამიანების საშუალებით პროვოკაციული გამოსვლები მოაწყვეს ზემო აჭარაში, მდგომარეობა დროებით გართულდა და ისეთი გავლენიანი პიროვნება, როგორიც იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი აჭარიდან გაიხიზნა, რადგან პროვოკატორებმა დაარბიეს მისი სახლ-კარი.[1]

ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რუსეთის საგარეო ურთიერთობაში შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას და გერმანულ გაზეთ „Politische Correspondentz“-ის სტატიიდან ამონაწერით ამხილა ინგლის-თურქეთის ბლოკის პროვოკაციული საქმიანობა. გაზეთი წერდა: „თუმცა შეთანხმება ჯეროვნად ხელმოწერილია, დევრიშ-ფაშამ ჯერ ისევ რვა იცლისს ჰიიღო ოფიციალური ბრძანება, რომ შეუდგეს ბათუმიდან ჯარების გამოყვანას და ბათუმის დაცლას. ეს ბრძანება მოუვიდა თუ არა, რასაკვირველია, აცნობეს რუსებსაც, მაგრამ იბრაჰიმ-ფაშა მოვიდა ბათუმს და საიდუმლო ბრძანება მოუტანა დევრიშ-ფაშას. თუმცა მან ბათუმში დიდხანს არ დაჰყო, მაგრამ მისმა ყოფნამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და მალე გამოიჩინა თავი ძალიან აშკარად და მკაცრად...

იბრაჰიმ-ფაშამ მარტო რამდენიმე საათით ინახულა ლაზების თავკაცები, ბათუმის ახლო-მახლოდან მოწვეულნი და ამ ნახვამ მალე ახადა ზეწარი დაფარულ განზრახვას. ლაზებმა ხელახლა „დაწერეს“ პროტესტი რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ, გადასცეს იგი პროტესტი დევრიშ-ფაშას, აქაურ ინგლისის მთავარ კონსულს და გაუგზავნეს თვით ოსმალეთის მთავრობასაც. ლაზები ამბობენ პროტესტში, რომ თავის დღეში არ დაუმორჩილდებიან რუსეთს, რომ მათი სარწმუნოება და სხვა საერთო სიკეთე საღვთო ვალსა სდებს ყოველს ზომიერება იხმარონ, რათა მათი ქვეყანა რუსმა არ დაიპყროს და თუ ოსმალოს მთავრობა არ დაგვეხმარა ამაში, ჩვენ თვითონ ვეცდებითო ჩვენი სისხლით და ძვლებით დავიცვათ ჩვენი რჯული და თავისუფლებაო. დევრიშ-ფაშამ, ამ ბე-

1 საქ. ცსსა, ფ. 521. აღწერა 10, საქმე 23, ფურც. 71-76.

ბერმა და ხერხიანმა მოლამ, მოახსენა თავის მთავრობას — ლაზები სწორად ასრულებენ ამ მუქარას, ამას მოჰყვება სისხლის ღვრაო... ხმა გავრცელდა — ოცდათოთხმეტი ათასი ლაზი დაიარაღებულია და სამარს ფეხზედ დგასო... სულ ყველას ინგლისური თოფები აქვთ ახალი აგებულობისა... თვით ოსმალეთში დიდი საომარი მზადებაა, ასე გასინჯეთ თვით მესოპოტამიიდანაც მოერეკებიან ხალხს. სტამბოლიდან ყოველ დღე მოაქვთ გემებს იარაღი და ტანისამოსი, ღამ-ღამობით გადმოტვირთავენ მას და ურმებით გააქვთ.

ინგლისელი ინჟინრები ციხეების ასაშენებლად თვით სომხეთშიაც დაწანწალობენო“.[1]

გაზ. „ივერიის“ რამდენიმედ გაზვიადებული ეს ცნობა ძირითადად რეალური მდგომარეობის სურათს ხატავდა. 10 მაისს რუსეთის ჯარის განლაგების საზღვარზე მოვიდა პორტას მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია. კომისიას უნდა შეესრულებინა თურქეთის დაზვერვის პროვოკაციული დავალება. კომისია მოდიოდა თითქოს იმ მოტივით, რომ ოსმალებს განზრახული ჰქონდათ ბახარე მშვიდობიანად დაეთმოთ რუსებისათვის. რიონის ჯარების სარდალ ოკლობჟიოსთან მოლაპარაკება უნდა გაემართა თურქეთის გენერალური შტაბის მაიორს ოსმან-ბეგს. მაგრამ ეს მოლაპარაკება არ შედგა. ამავე დროს კონსტანტინოპოლიდან ბათუმს მოადგნენ ტვირთმძიმე სატრანსპორტო გემები, რაც ომის მაჩვენებელი იყო, რომ ოსმან-ბეგის ბათუმში მოსვლას, დიპლომატიურის გარდა, დაზვერვითი, დივერსიული და პროვოკაციული მიზანი ჰქონდა. ის სწავლობდა რუსების სამხედრო მდგომარეობას, ჯარის აღჭურვილობას, განლაგებასა და მომარაგებას. ოსმან-ბეგი ამარაგებდა და აზადებდა თურქეთის აგენტებს, პირველ რიგში — ტერორისტებს.[2]

რუსეთის აგენტურის მიერ სამხედრო უწყებისათვის მიწოდებული ცნობებიდან ჩანს, რომ ინგლისელები და თურქები სან-სტეფანოს ხელშეკრულების დადების შემდეგ ყველაზე უფრო უკიდურესი ზომების მიღებას ცდილობდნენ. 1878 წლის მაისში ინგლის-თურქეთის დაზვერვამ მოსყიდული თურქოფილი ბანდის საშუალებით ჩამოაყალიბა შეთქმულ დივერსანტ-ტერორისტთა არალეგალური ჯგუფები.

შეთქმულთა მიზანი იყო რუსი ოფიცრებისა და მოხელეების

---

1 გაზ. „ივერია“, № 34, 1878 წ., გვ. 7.
2 საქ. ცსსა, ფ. 521, აღწერა 10, საქმე 23, ფურც. 77.

ხელყოფა. შეთქმულებმა გადაწყვიტეს პირველ რიგში მოეკლათ გენერალი კომაროვი. შეთქმულთა ბანდა კარგად იყო მომარაგებული იარაღებითა და დიდძალი ინგლისური ფულით. შეთქმულთა საქმის კურსში იყო ცნობილი კაპიტალისტი როტშილდი, რომელიც მაშინ ლონდონში იმყოფებოდა. შეთქმულებმა გააფართოეს თავისი ორგანიზაციის ქსელი რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. საზოგადოების წევრებს ევალებოდათ ადგილებზე შეექმნათ მკვლელთა ჯგუფი. ივნისის დასაწყისში მკვლელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება საესებით დასრულდა ბათუმში, არზრუმსა და აგრეთვე ართვინში. შეთქმულთა ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ბათუმსა და ართვინში იყო მუსტაფა-ფაშა. ინგლისის მთავრობა ამ ორგანიზაციაზე დიდ იმედებს ამყარებდა. მისი მიზანი იყო მასობრივი აჯანყება მოეწყო არა მარტო რუსების მიერ დაკავებულ ახალ ტერიტორიებზე, არამედ მთელს კავკასიასა და თვით ფინეთშიც.

მასობრივი ტერორისტული აქტებით ინგლისი ვარაუდობდა, რომ დაბნეულობა და პანიკა შეიქმნებოდა რუსეთის სახელმწიფოში და თუ ამას კავკასიისა და ფინეთის ხალხთა აჯანყება მიემატებოდა — ომის განახლებით უნდა მიღწეულიყო რუსეთის დანაწილებისა და დამონების ძველი ინგლისური გეგმის განხორციელება.[1] მაგრამ მკვლელთა „პარტიამ" ვერც ერთი სერიოზული დავალება ვერ შეასრულა, რადგან რუსებმა სპეციალური ღონისძიება მიიღეს. ამ ხნის განმავლობაში დრო რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. ბათუმის საკითხი ბერლინის კონგრესზე განსაკუთრებული დავისა და კონფლიქტის საგანი გახდა. კონგრესზე ინგლისის მიერ წამოწყებული „ცივი ომის" შედეგად, თურქეთში ფართოდ ვრცელდებოდა ხმა, რომ ომის განახლება რუსეთთან აუცილებელიაო. ამავე დროს ოსმალეთის ჯარი პარალიზებული იყო. ინგლისის გეგმები მხრილებულ იქნა. ომის განახლების შემთხვევაში ინგლისის განზრახვა იყო სოხუმში, როგორც თავდაცვის თვალსაზრისით შედარებით ცუდად გამაგრებულ ადგილში, გადმოესხათ საზღვაო დესანტი, მიემხროთ აფხაზთა ზედაფენა, გადმოებირებინათ მთიელი მოსახლეობა და აეჯანყებინათ იგი. ინგლისელთა ეს განზრახვა უსაფუძვლო იყო; სამაგიეროდ, ომის განახლების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ბოსნიელები, ჰერცოგოვინელები და სხვა

1 საქ. ცსსა, ფ. 588, აღწერა 1, საქმე 4, ფურც. 109-110. ამ საარქივო დოკუმენტზე მიგვითითა დოც. პ. ცქვიტარიამ, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

სლავი ხალხები იარაღს ისხამდნენ და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

თურქეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა ძალზე გაამხნევა სლავების მოქმედებამ, მათ გადაწყვიტეს ესარგებლათ თურქეთის ჯარის პარალიზებით, იმის იმედით, რომ ინგლისი მოკავშირეს მხოლოდ ეკონომიურ დახმარებას აღმოუჩენდა და მისი ჯარები ვერ წამოვიდოდნენ თურქეთისაკენ სახმელეთო ბრძოლაში ჩასაბმელად. სომხებმა გადაწყვიტეს აჯანყებულიყვნენ და აეჯანყებინათ ქურთი მოსახლეობაც. ამ მიზნით თურქეთის სომხებმა კავკასიაში რუსის ჯარის უმაღლეს მხედრობასთან მოსალაპარაკებლად და მდგომარეობის გამოსარკვევად გამოგზავნეს სამი სასულიერო პირი.

1878 წლის ივლისში, კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქის მიერ გაცემული ვიზით, არზრუმში ჩავიდა სამი ბერი, რომლებიც ანატოლიელი სომხების სახელით არზრუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან აწარმოებდნენ საიდუმლო მოლაპარაკებას. სამონასტრო „მამების“ სადაზვერვო მიიას ხელმძღვანელობდა ბერი ვაჰანი. იგი კატეგორიულად მოითხოვდა ომის გაგრძელებას. მან რუსეთის წარმომადგენელს განუცხადა, რომ სომხები მზად არიან აჯანყდნენ და აჯანყონ ქურთი მოსახლეობა, ხოლო მშვიდობიანი ზავის შემთხვევაში, თუკი სომხური მოსახლეობა ოსმალეთის ხელში დარჩებოდა, ისინი აუცილებლად გადმოსახლდებოდნენ რუსეთის სომხეთში.[1]

ამ ამბებს გავლენა უნდა მოეხდინა ბერლინის სამშვიდობო კონგრესზე.

ინგლისის პირვანდელი სასტიკი წინააღმდეგობა რუსეთისათვის ბათუმის გადაცემის საკითხში თანდათან იცვლებოდა. რუსეთი არც ისე სუსტი და ბრძოლისუნარდაკარგული ჩანდა, როგორც ეს ინგლისელებს პირველ ხანებში ეჩვენებოდათ. სლავები, ქართველები, სომხები,[2] ქურთები და სხვა ხალხები თურქეთის ტირანიის

---

1 საქ. ცსსა, ფ. 558, აღწ. 1, საქმე 4, ფურც. 119-126.

სომხების მოძრაობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული გენერალ-მაიორ დუხოვსკის პატაკებსა და დეპეშებში. იქვე, ფურც. 97 — 109.

2 ბელგიელი ისტორიკოსის მ. გ. როლენ-ჟეკმენის გამოკვლევაში მოყვანილია ოფიციალური სტატისტიკური ცნობა, რომ 1878 წლისათვის, სან-სტეფანოს ტრაქტატის დადების მომენტში, მარტო არზრუმის, ვანისა და დიარბექირის ვილაიეთებში სომეხთა რაოდენობა უდრიდა 1.330 ათას სულს. მაშინ, როცა თურქების რაოდენობა იქ 530 ათას სულს არ აღემატებოდა (Положение армян в Турции до вмешательства в 1895 году. Москва,. 1896 г., стр. 10-11).

წინააღმდეგ საბრძოლველად ხელახლა ირაზმებოდნენ. ინგლისის დიპლომატები დააფიქრა ამან. უკანდახევა აუცილებელი შეიქნა.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი ითვალისწინებდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ეს ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიური შეტევისათვის გამოეყენებინა. მაგრამ ინგლისის დიპლომატიამ ბათუმის საკითხში, საბოლოო ანგარიშით, მარცხი განიცადა. მართალია, რუსეთმა დაჰკარგა თავისი გამარჯვების ნაყოფის ნაწილი, მაგრამ ბათუმის ოლქი ქ. ბათუმითურთ (რომელიც „პორტო-ფრანკოდ" გამოცხადდა), ყარსის, არტაანისა და ართვინის ოლქები მაინც მოახერხა დაენარჩუნებინა. ბაიაზეთი დარჩა თურქებს. თურქეთის „დამცველებმა", ინგლისმა და ავსტრიამ, სრულიად უომრად ხელთ იგდეს: პირველმა — კიპროსი, მეორემ — ბოსნია და ჰერცოგოვინა.[1]

ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ, როდესაც ინგლის-თურქეთის მრავალ ილუზიას საფუძველი გამოეცალა, კავკასიის მეფისნაცვლისაგან მოვიდა. ცნობა, რომ თანახმად იმპერატორის გადაწყვეტილებისა, რუსეთის ჯარს 15 აგვისტოს უნდა დაეკავებინა ქ. ბათუმი. 7 აგვისტოს მოვიდა მეორე ცნობა, რომ თურქების თხოვნის თანახმად, ბათუმის დაკავება გადადებულია 10 დღით, ე. ი. 25 აგვისტომდე. ამის შემდეგ ბათუმის მხარის ჩასაბარებლად შესდგა რუსეთ-თურქეთის კომისია. რუსების მხრივ კომისია, რომელიც შემდეგ ქუთაისში უნდა შეკრებილიყო, მთავარსარდალმა შეადგინა 9 აგვისტოს, კომისიაში შევიდა: თავმჯდომარედ — მთავარსარდლის მოადგილე, გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი, წევრებად: გენერალ-ლეიტენანტი თავ. ტრუბეცკოი, პოლკოვნიკი თავ. გურიელი, ზემდეგი ვასილჩიკოვი და რუსეთის ადრინდელი ელჩი ჯუდიჩი.

თურქეთის მხრიდან იყვნენ: ვარნის ყოფილი გუბერნატორი

---

[1] История дипломатии, т. II, 1945 г., стр. 50.
ბერლინის კონგრესის დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვ. ი. ჭავჭავაძე წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით მარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა," ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა". ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. V, თბილისი, 1955 წ., გვ. 18.

ალი-ბეი, ბრიგადის გენერალი ნეად-ფაშა, სულეიმან-ბეი და თურქეთის დიპლომატიური კორპუსის სხვა მოხელეები.[1]

რუსეთ-თურქეთის შერეული კომისიის სხდომა შედგა ქ. ქუთაისში 1878 წლის 12 აგვისტოს და დამთავრდა 20 აგვისტოს. რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი ოქმი 6 მუხლისაგან შედგებოდა. დადგენილების თანახმად, თურქეთი კისრულობდა ვალდებულებას ქ. ბათუმიდან გაეყვანა თავისი ჯარი 25 აგვისტოსათვის.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთის ჯარებს დაეტოვებინათ და რუსებს დაეკავებინათ ადგილები: ჩურუქ-სუ, სამება და კვირიკე — 17 აგვისტოს, ციხისძირი — 21 აგვისტოს, ჩაქვი — 24 აგვისტოს. ბათუმისა და მისი ოლქიდან თურქების ევაკუაცია და ამ ადგილების რუსების მიერ დაკავება უნდა დამთავრებულიყო 25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო დაწესებულებების უძრავი ქონება, შენობები და აგრეთვე, მასთან ერთად დოკუმენტები და არქივები რუსეთს გადაეცემოდა. ხოლო რაც შეეხება ტელეგრაფის ქონებას (ბოძები, მავთულები და სხვ.) იგი მოძრავ ქონებად გამოაცხადეს.[2]

მიუხედავად ამ საქვეყნოდ გამოცხადებული ოფიციალური პირობებისა, თურქებმა ევაკუაციის დროს ქურდულად გაიტაცეს სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობისა და სხვა დოკუმენტები.[3] ამ გარემოებამ სერიოზული დაღი დაასვა არა მარტო ქ. ბათუმის, არამედ მთელი სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს.

ბათუმის დასაკავებლად სარდლობამ შექმნა სპეციალური რაზმი, ე. წ. ქობულეთის კოლონა. ეს კოლონა შეიქმნა გურიის ყოფილი რაზმისაგან. ქობულეთის კოლონაში შევიდნენ 163 ლენ-

---

1 საქ. ცსსა, ფ. 521, აღწერა 10, საქმე 23, ფურც. 57-58.

Т. Т. Стефанов, «Историч. очерк вступления русских войск в город Батум 25 августа 1878 г.» (Батум и его окрестности, стр. 95).

2 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწერა 3, საქმე 819, ფურც. 1-4, იქვე, ფ. 521, აღწ. 10, საქმე 23, ფურც. 58.

3 თურქების ამ ვერაგობის შესახებ სვიატოპოლკ-მირსკი გენერალ კომაროვს სწერდა: „20 აგვისტოს (1878 წ.) თურქეთის კომისრებთან ქუთაისში დადებული პირობების მიხედვით, ყველა არქივი და დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა ბათუმს და მის ოლქს, უნდა გადასცემოდა რუს ხელისუფლებს, მაგრამ ეს პირობა არ შეასრულეს."

რუსეთის მთავრობა ეცადა თურქების მიერ გატაცებული არქივი უკან დაებრუნებინა, მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია (საქ. ცსსა, ფ. 545, საქმე 1677, ფურც. 3, 1878 წ.).

ქორანისა და 164 ზაქათალის ქვეითი პოლკები, კავკასიის მე-2 მსროლელთა ბატალიონი, 2 მესანგრეთა ათასეული, 1 ასეული, მე-2 კაზაკთა პოლკიდან და 6 ბატარეა მე-4 არტილერიის ბრიგადისა — სულ 9 1/4 ბატალიონი, 1 ცხენოსანთა ასეული და 8 ქვემეხი. ბათუმის დაკავებაში, აგრეთვე, მონაწილეობას ღებულობდა ქართული მილიციის 6 ბატალიონი, რომელიც იდგა ნუხაესტატესა და ხუცუბნის პოსტებზე.

17 აგვისტოს ქობულეთის კოლონამ დაიკავა ჩურუქ-სუ, მიადგა ციხისძირის პოზიციებს და ჩადგა სოფ. კვირიკესა და სამებაში, საიდანაც თურქეთის ჯარები წინასწარ იყო გასული. მოსახლეობა რუსებისა და ქართველების გამოჩენას ყველგან კმაყოფილებით ხვდებოდა.[1] ხმელეთის ჯარებს ზღვიდან მიჰყვებოდნენ გემები.

17-21 აგვისტომდე ქობულეთში რუსული მმართველობა დაწესდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინასწარ ქართულად დაწერილ და გავრცელებულ პროკლამაციებს, რომელთაც მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით ეცნობოდა. 21 აგვისტოს რუსთა კოლონამ დაიკავა ციხისძირის პოზიცია. 24 აგვისტოს კოლონამ გადალახა ციხისძირის სიმაღლე და დაეუფლა ჩაქვისწყალს. აღმოჩნდა, რომ აქ თურქებს ჰქონდათ ბათუმის დასაცავად გამზადებული მეორე ძლიერი პოზიცია. 25 აგვისტოს, დღის 11 საათზე, რუსებისა და ქართველების ჯარი ზეიმით შევიდა ბათუმში. მახინჯაურში სვიატოპოლკ-მირსკის თვითონ შეეგება დევრიშ-ფაშა. ჯარს შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, სასულიერო პირები, (როგორც მაჰმადიანური, ისე ქრისტიანული), აგრეთვე აქ გადმოსახლებული აფხაზები და ჩერქეზები. ბათუმის ქრისტიანული ეკლესიის ზარების გრიალსა და ზარბაზნების საზეიმო სალუტის ვითარებაში ქ. ბათუმის თავზე რუსეთის დროშა აღიმართა.[2] დაიწყო ბათუმის სოციალური და ეკონომიური განვითარების ახალი პერიოდი.

---

1 ქობულეთის მიდამოები ომის ზოლს წარმოადგენდა და აქ მთელი ერთი წლის განმავლობაში ხვნა-თესვა და რაიმე პირნახულის მოყვანა შეუძლებელი იყო. დამშეულ მოსახლეობას ოსმალები მათხოვრულ ულუფას აძლევდნენ, შაგრამ, როგორც კი დაიღო ბერლინის ხელშეკრულება, ოსმალებმა მოსახლეობას ამ მცირე ულუფაზედაც უარი უთხრეს, ამით თურქებმა დაკარგეს ის მცირეოდენი გავლენაც კი, რომლითაც წინათ სარგებლობდნენ ამ მხარეში (საქ. ცსსა, ფ. 521, აღწ. 10, საქმე 21, ფურც. 19 — 22).

ჯერ კიდევ 7 აგვისტოს გენერალ ოყლობჟიოსთან გამოცხადდნენ ქობულეთელი მამასახლისები და რუსების მიერ ამ მხარის მშვიდობიანად დაკავება ითხოვეს (საქ. ცსსა, ფ. 1438, საქმე 447, ფურც. 5, იქვე; ფ. 545; საქმე 1668; ფურც: 1-2).

2 საქ. ცსსა, ფ. 521, აღწ. 10, საქმე 23, ფურც. 64-65.

სამხრეთ საქართველოსა და, კერძოდ, ბათუმის ოსმალთა ხელიდან გამოხსნამ მთელს საქართველოს დიდი სიხარული მოჰფინა. ფრონტიდან დაბრუნებულ გამათავისუფლებელ ჯარს ქართველი ხალხი ოვაციით შეხვდა. ამ საზეიმო შეხვედრის შესახებ გაზეთი „დროება" თავის მიმოხილვაში წერდა: „გუშინ მოვიდნენ კიდევ ქალაქში (თბილისში — ვ. ხ.) რამდენიმე როტა თბილისის პოლკისა. ქალაქი დიდის ამბით დაუხვდა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ჯარს. არჩეული ხმოვანნი, უსტაბაში, ხელოსნები და ამქრები ვაგზალზე მიეგებენ; ხალხი თაიგულებით უხვდებოდა ყველგან ქუჩებში და ყვავილები წვიმასავით ცვიოდა სალდათების თავებზე; თოფებში, ღილებში, ქუდში და ყველგან უტენიდნენ სალდათებს ვარდებსა და სხვადასხვა ყვავილებს.

დღეს ქალაქი ამ ჯარს სადილს უმართავს ალექსანდროვის ბაღში (დღესვე ორ საათზე კიდევ მოელიან ჯარებს)".[1]

ძმური სიყვარულით შეეგებნენ ერთმანეთს აჭარელთა რჩეული პირები და რუსეთის მხედრობის წარმომადგენლები. ამ საყურადღებო შეხვედრის შესახებ კორესპონდენტი ქართველ საზოგადოებას ატყობინებდა, რომ „ბათუმზე წამოსული აჭარის ატრიადი, რომელსაც მოუძღოდა ჩვენსკენ გადმოსული აჭარის ბეგი, ღენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და ატრიადის ნაჩალნიკი ტრეიტერი — უკვე გუშინ ნაშუადღევს მშვიდობიანად ჩავიდნენ ბათუმში. მათ გზაში არავითარი დაბრკოლება არ მისცემიათ. ღენერალ-მაიორმა შერიფ-ბეგმა თან ჩამოიყვანა აჭარის ბეგებიდან და აღებისაგან შემდგარი დეპუტაცია მთავრობისათვის წარსადგენად, რომლებმაც უნდა გამოუცხადონ მორჩილება და თაყვანისცემა რუსეთს. საზოგადოდ ბათუმში სრული მშვიდობა არის; ხალხი თავის ბედს დაემორჩილა, ხალხისაგან გამოჩენილად არავითარი უკმაყოფილება არ ისმის.

ბათუმში გუბერნატორად დანიშნული კომაროვისაგან გუშინ სადილზედ მოწვეული იყვნენ ბათუმისა და მისი მაზრების ბეგები და აღალარები...

ტოლუმბაშობა იკისრა ღენერალმა ხიმშიაშვილმა (შერიფ-ბეგმა), რომელმაც თავისი მახვილობით და აჭარული ბეგობით მთელი იქ მყოფელების მადლობა და ყურადღება დაიმსახურა... შერიფ ხიმშიაშვილმა დაბოლოს ერთ-ერთ მორიგ სადღეგრძელოში თქვა: „ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწი-

1 გაზ. „დროება", № 186, 1878 წ., 16 სექტემბერი.

ლეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლობისაგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და კაცობრიობა-ო". კომაროვმა დიდი მადლობა გამოუცხადა სტუმრებს და ხალხზე ზრუნვა და დახმარება დაპირდა..."[1]

სამხრეთ საქართველოს წარმომადგენელთა დელეგაციას მოუთმენლად ელოდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. გრ. ორბელიანი, დ. უიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვები სპეციალურად ემზადებოდნენ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის. 1878 წლის ნოემბერს სამხრეთ საქართველოს მუსლიმან ქართველთა დელეგაცია 16 რჩეული თავკაცის შემადგენლობით თბილისს ეწვია. სამშობლოს დედაქალაქში ჩამოსულ შვილებს ქართველობა ზეიმით შეეგება. 20 ნოემბერს თბილისში სტუმრების პატივსაცემად გრანდიოზული ბანკეტი მოეწყო, რომელიც განუსაზღვრელი სიყვარულისა, გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩატარდა.

ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა თავიანთ საზეიმო სიტყვებსა და წერილებში ღრმად გამოხატეს ეროვნული სიყვარული თურქეთის ტირანიისაგან განაწამები თვისტომი აჭარელი მოსახლეობის მიმართ. სტუმრებმა შინაარსიან საპასუხო სიტყვებში მადლობა გამოუცხადეს გულწრფელ მასპინძლებს და შველა და დახმარება სთხოვეს.

ქართველმა ხალხმა აჭარისა და ბათუმის მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდა. ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის ინიციატივით მთელს საქართველოში დიდძალი შემოწირულება შეგროვდა და თურქეთის ტირანიისაგან განაწამებ და ომის მძიმე შედეგებით კიდევ უფრო გაღატაკებულ, მრავალტანჯულ აჭარის მოსახლეობას დაურიგდა. საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ აჭარელთა შორის კულტურული მუშაობა გაშალა. კარგად მოფიქრებულმა და ჩატარებულმა ასეთმა ღონისძიებამ აჭარლები დააშოშმინა და ემიგრაციის გამანადგურებელი ტალღა საგრძნობლად შეანელა.

1 გაზ. „დროება", № 182, 1878 წ., 8 სექტემბერი.

აჭარისა და კერძოდ ბათუმის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინების აღმნიშვნელი დიდი მოვლენა იყო.[1]

3. რუსული მართვა-გამგეობის დამყარება ბათუმში

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმი წარმოადგენდა ლაზისტანის საფაშოს მთავარ ქალაქს, რომელსაც მუთესარიფი მართავდა. ეს უკანასკნელი ტრაპიზონის ვალის ხელქვეითი იყო და რამოდენიმედ მას ემორჩილებოდა.[2]

ბათუმის საფაშო შედგებოდა 11 ოკრუგისაგან: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონიო, ხოპი, არხოვე, სამშინა და ათინა.[3]

ყოველ ოკრუგს განაგებდა ოკრუგის უფროსი, ანუ კაიმაკამი, რომლის განკარგულებაში იყო 2 ან 3 მუდირი.[4] მუთესარიფს გარდა ბათუმში იმყოფებოდა: მეჯლისი ანუ საგუბერნიო საბჭო, კაიმაკამი, სასამართლო, საბაჟოს მმართველობა, ბატალიონის შტაბი, რომელიც უმთავრესად სიმაგრეების აგებით იყო გართული.[5]

რუსის ჯარის შემოსვლის დღიდან ბათუმში რუსული მმართველობა ინერგება. ახლად შემოერთებული მხარისათვის ჯერ კიდევ 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ქ. ბორ-

---

1 ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის სარდლობამ რუს მეომრებთან ერთად ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ომის მონაწილე მრავალი ქართველი პატრიოტი. ქართულ სახალხო ლაშქარს „ჯილდოდ გადაეცა ატლასის დროშა ოქროს წარწერით: «За отличие в Турецкую войну 1877-1878 годов». საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 4410, ფურც. 109-110. (დასახელებული ატლასის დროშა ინახება ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

1878 წლის 17 აპრილს გამოცემული მთავრობის უმაღლესი ბრძანებულების თანახმად. 1877-1878 წლების ომში მონაწილეობისათვის დაწესდა სამი სახის მედალი: მბრწყინავი ბრინჯაოს, მუქი ბრინჯაოს და ვერცხლისა საქ. ცსსა, ფ. 5, სამქე 4717, ფურც. 3.

საქართველოში მედლის მიღების სურვილი ძალზე დიდი ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ ზოგი განაწყენებული პირი მთავრობის სახელზე საჩივარსაც წერდა, რომ მას ეკუთვნოდა მედალი, მაგრამ არ მისცეს. მომჩივნები ითხოვდნენ: „მოგვეცით ჩვენი მედალი თურქეთთან ომში ჩვენი მონაწილეობის აღსანიშნავადო".

2 Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. С. П. Б., 1878 г., стр. 20.

3 დასახელებული შრომა, გვ. 20.

4 იქვე, გვ. 21. მუდირის უფლებები ეთანაბრებოდა რუსთა საუბნო უფროსის უფლებებს.

5 იქვე, გვ. 21.

ჯომში ხელი მოაწერა დროებით წესდებას ბათუმის ოლქში ახალი ადმინისტრაციული მმართველობის დამყარების შესახებ.

მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებული მხარის მმართველობის წესდება 14 მუხლისაგან შედგებოდა. უფრო სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ წესდებას, სადაც კანონის წესით წერია:

„მუხლი 1. ბათუმის მაზრა[1] შედგება ლაზისტანის სანჯაყის იმ ნაწილისაგან, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის იმპერიას ერგო.

მუხლი II. ბათუმის მაზრა კავკასიის სამხედრო განყოფილებას ემორჩილება, ხოლო სამხედრო და ადმინისტრაციულის მხრით კავკასიის არმიის მთავარსარდალს.

მუხლი III. ბათუმის მაზრის გამგეობა მინდობილი აქვს ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, რომელსაც იგივე უფლება აქვს, როგორც ურალისა და ტულუგის სამხედრო გუბერნატორებს.

მუხლი IV. სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობაში გუბერნატორი იხელმძღვანელებს მეფისნაცვლისაგან მიღებული ინსტრუქციით.

მუხლი V. ბათუმის სამხედრო გუბერნატორთან დანიშნულია თანაშემწე, რომელიც, როცა თვითონ გუბერნატორი არ არის, იმის თანამდებობას შეასრულებს და სამაზრო სასამართლოში თავმჯდომარედ იქნება.

მუხლი VI. სამხედრო გუბერნატორთან იქნება: ა) სამხედრო კანცელარია და ბ) სახალხო და სამოქალაქო საქმეების გამგებლობა.

მუხლი VII. ქალაქ ბათუმს ერქმევა სახელად „ნავსადგურის ქალაქი“. ყველა საქმეები ამ ქალაქის შესახებ ნამესტნიკის მთავარსამმართველოს საშუალებით წარედგინება დასამტკიცებლად კავკასიის მეფისნაცვალს.

მუხლი VIII. ადმინისტრაციულის მხრივ ბათუმის მაზრას შეადგენს სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და სამი ოკრუგი; თითო ოკრუგი კი სამ უჩასტკად არის გაყოფილი.

ა) ბათუმის ოკრუგი შესდგება: ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უჩასტკებისაგან.

---

1 ჩვენ ამ შემთხვევაში ვსარგებლობთ გაზთ. „დროების“ რედაქციული თარგმანით. რუსულ დედანში ყველგან წერია ოლქი (область), ამიტომ, მაზრაში ყველგან ოლქია საგულისხმებელი (საქ. ცსსა, ფ. 229, აღწ 1, საქმე 140, ფურც. 20-24).

ბ) ართვინის — არტანუჯის, ართვინის და შავშეთის უჩასტკისაგან.

გ) აჭარის ოკრუგი შესდგება: ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახელის უჩასტკისაგან.

მუხლი IX. ოკრუგისა და უჩასტკის უფროსების უფლება-მოვალეობა განსაზღვრული იქნება ბათუმის გუბერნატორისაგან და დამტკიცებული მეფისნაცვლისაგან.

მუხლი X. ბათუმის გუბერნატორის არჩევითა და კავკასიის მეფისნაცვლის დამტკიცებით სახალხო გამგეობის თანამდებობაზე შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებლებიც დაინიშნონ.

მუხლი XI. სახელმწიფოს ღალატისათვის, მთავრობის წინააღმდეგობისა, ხაზინის გაძარცვისა, ფოსტაზე დაცემისა, ძარცვისა, სახელმწიფო ქონების ცეცხლის წაკიდებისა, ტელეგრაფის გაფუჭებისა და განზრახ კაცის მოკვლისათვის ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის იმპერიის საზოგადო კანონებით იქნებიან გასამართლებულნი. სხვა ყველა დანაშაულს და აგრეთვე სამოქალაქო დამნაშავეებს გაარჩევს სახალხო სასამართლო ანუ მეჯლისი.

მუხლი XII. მეჯლისები დაწესდება 6 უჩასტკებში, და სამი ოკრუგში; ორი იქნება სამაზრო მეჯლისი: ერთი ბათუმში და ერთიც ართვინში.

მუხლი XIII. ბათუმის მაზრის გარეშე ხალხი არ გასაპართლებიან.

მუხლი XIV. ...მთელს მაზრაში იქნება 100 ცხენოსანი ჩაფარი,"[1]

ბათუმისა და მისი ოლქის ადმინისტრაციულად მოწყობის შესახებ წესდების ვრცელი ტექსტი ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ, რადგან ის საფუძვლად დაედო ბათუმში ადგილობრივ ახალ რუსულ მართვა-გამგეობას.

ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმის შემოერთება და მისი რუსეთის საკუთრებად ცნობა ჯერ კიდევ არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ეს მხარე ახლო მომავალში ახალი ომის ასპარეზი არ გახდებოდა.[2]

ცარიზმის გეგმის მიხედვით, ბათუმი პირველი ხარისხის სამხედრო ნავსადგურად და ციხე-სიმაგრედ უნდა გადაქცეულიყო.

---

1 გაზ. „დროება", № 198, 1878 წ., 1 ოქტომბერი.

2 როგორც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მიერ შედგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ომის დამთავრების შემდეგ სასაზღვრო რაიონებში სამხედრო მდგომარეობა ერთხანს კიდევ ძალაში დაუტოვებიათ, რადგან ომის განახლებას მოელოდნენ. სამხედრო მდგომარეობის ზონაში იყო ქუთაისის გუბერნია და შავი ზღვის ოკრუგი (საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 4409, ფურც. 24).

სამხედრო უწყებამ სასწრაფოდ დაიწყო ბათუმის საზღვაო ციხე-სიმაგრისა და საწყობების მშენებლობა.[1] ბათუმის ნავსადგურის უფროსად დანიშნეს კონტრ-ადმირალი გრევე, რომელიც ოკრუგის შტაბის უფროსთან ერთად აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ბაზად და ნავსადგურად გადაქცევისათვის. კონტრ-ადმირალ გრევეს აზრით, ბათუმის სამხედრო ნავსადგურად გადაქცევა აუცილებელი იყო, რადგან „არავინ არ იცის ხვალ იქნება ომი თუ არა, ამიტომ უნდა უჩქაროთ, რომ გავაშენოთ ეს საუკეთესო ნავსადგური, „...აღმოსავლეთის საკითხს“ ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა, ჩვენს საუკუნეში მოვლენები ხდება სწრაფად, ტელეგრაფით, და ბათუმის ნავსადგური ძალზე საჭიროა ჩვენთვის. ბათუმში ჩვენ მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ვიყოთ“.[2]

კონტრ-ადმირალ გრევეს შუამდგომლობის საფუძველზე შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალმა უმაღლესი მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი ბათუმის ნავსადგურის სამხედრო ციხე-სიმაგრედ გადაქცევის შესახებ. დაწყებულმა განგაშმა ბოლოს იმპერატორის ყურამდეც მიაღწია, ხოლო მან ინება და ბათუმისათვის გამოგზავნა 10 დიდი ზარბაზანი სევასტოპოლის სამხედრო საწყობიდან.[3] ცხადია, სამხედრო მშენებლობით გატაცებულ მეფის მოხელეებს ბათუმის სამოქალაქო კეთილმოწყობისათვის საზრუნავად ძალიან ცოტა დრო რჩებოდათ.[4]

1878 წლის 20 ოქტომბერს ახლად შემოერთებული მხარის ახალმა მბრძანებელმა, ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა კონსტანტინე კომაროვმა ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქისათვის შექმნა „სამოქალაქო“ მმართველობის ახალი შტატი. ბათუმის ოკრუგის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი თავ. გურიელი, უფროსის მოადგილედ — თავ. ამილახვარი, საქმეთა მმართვე-

---

1 ბათუმის ე. წ. მიხაილოვის ციხე-სიმაგრე შენდებოდა 1882 წლიდან 1888 წლამდე. განსაკუთრებულმა კომისიამ ციხე-სიმაგრის აშენება საჭიროდ სცნო ბათუმის კონცხის, ე. წ. „ბურუნ-ტაბიეს,“ გვერდით (აჭარის სახ. ცენტრ. არქივი. ფ. 16, საქმე 39, ფურც. 43).

2 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 42-43, ბათუმის ნავსადგურის უფროსის კონტრ-ადმირალ გრევეს წერილობითი ბარათი კავკასიის არმიის საოკრუგო შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ პ. პ. პავლოვს, 1880 წ., 9 იანვარი.

3 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 44.

4 გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ლორის-მელიქოვი თვლიდა, რომ ფოთში ხელოვნური კარგი ნავსადგურის გაშენების შემთხვევაში ბათუმი დაკარგავდა თანამედროვე მნიშვნელობას, ამიტომ, ბათუმში სამხედრო ნავსადგურის გაშენებას მოითხოვდა (საქ. ცსსა, ფ. 521 აღწ. 10, საქმე 21, ფურც.33-37).

ლად — ახალციხელი მამულოვი, თარჯიმნად კი — ოზურგეთელი კაპანაძე.[1]

ბათუმის უბანზე დანიშნეს: ბათუმის უბნის უფროსად აზნაურის გაბუნია, საქმის მწარმოებლად — აზნაური არობელიძე, თარჯიმნად — აზნაური გეგელია.

გენერალ-გუბერნატორ კ. კომაროვის რეზიდენცია ბათუმში იყო. კომაროვის მოადგილედ დაინიშნა თავ. ერისთავი.[2] ბათუმში სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენისა და რევოლუციური მოძრაობის დიდი გაქანების გამო ადგილობრივი ხელისუფლების აპარატი, როგორც ამას ქვემოთ გავეცნობით, თანდათან იზრდებოდა და რთულდებოდა.

მთავრობის თავდაპირველი გადაწყვეტილება, რომ ჟანდარმერიის განკარგულებაში ყოფილიყო 100 შეიარაღებული ჩაფარი, მალე შეიცვალა. როგორც ბათუმის გენერალ-გუბერნატორის მიერ ჯერ კიდევ 1878 წლის ოქტომბერში შედგენილი პროექტიდან ჩანს, ბათუმის ოლქში საჭიროდ უცნიათ მრავალრიცხოვანი მილიციის შექმნა იმ მიზნით, რომ მხარეში „წესიერება“ დაემყარებინათ და ადგილობრივი ხალხი „შეეჩვიათ“ მუდმივი სამხედრო სამსახურისათვის. ამ მოსაზრების საფუძველზე ბათუმის ოლქში ჩამოყალიბდა 6 ქვეითი და 1 ცხენოსანთა ასეული.

1878 წლის 27 ოქტომბერს მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მიერ დამტკიცებული დროებითი წესდების ძალით, მილიციას ეძლეოდა წლიური გასამრჯელო: ცხენოსანთა ასეულის ერთ კაპიტანს 800 მან., მოადგილეს — 560 მან., იუნკრებს — (თვითეულს) 360 მან., ურიადნიკებს — 300 მან., 120 მილიციელს (ცხენოსნებს) — 28.000 მან., საკანც. ხარჯებისათვის — 25 მან., სულ 128 ერთეულს — 32.095 მან.[3]

მილიციის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა სიტყვაშეუბრუნებლად გაეტარებინა მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის ყველა მოთხოვნა და ცეცხლითა და მახვილით ჩაექრო თავისუფლებისადმი მისწრაფების ყოველი ცდა. მართალია, ფორმალურად გენე-

1 ახალი შტატი დამტკიცდა და დანიშნული პირები მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ 1878 წ. 1 ოქტომბრიდან.

2 საქ. ცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქმე 140, ფურც. 54, 1878 წ.

3 საქ. ცსსა, ფ. 545, საქმე 1.681, ფურც. 7—27. შედარებით დაბალ ხელფასს ღებულობდნენ ქვეითი მილიციის ოფიცრები და რიგითი შემადგენლობა, მაგრამ შვიდივე ასეულისათვის გაწეული ხარჯები წელიწადში საშუალოდ 220.000 მან. აღწევდა.

რალ-ადიუტანტმა სვიატოპოლკ-მირსკიმ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი კ. კომაროვი გააფრთხილა ემოქმედა ისე, რომ ჯერჯერობით არ დაერღვია ადგილობრივი მმართველობის ძველი წესები და ტრადიციები, მაგრამ ამ მითითებას არავინ ასრულებდა. სამხედრო გუბერნატორ კ. კომაროვს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭეს.[1] ამ უფლებას იგი ბოროტად იყენებდა.

1878 წლის 11 დეკემბერს გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ხელმოწერით გამოვიდა დებულება, რომლის მიხედვითაც ბათუმისა და ყარსის ოლქების სასამართლო ორგანოები შევიდნენ თბილისის სასამართლო პალატის ოკრუგში. ამავე დროს, ბათუმის ოლქის სასამართლო ორგანო, თავის მხრივ, პირდაპირ ემორჩილებოდა ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს, ხოლო ყარსისა — ერევნის საოკრუგო სასამართლოს.[2] სასამართლოების საქმის წარმოება, სასამართლო პროცესი და სხვა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც მაშინ, მოსახლეობას არ გაეგებოდა. დებულების შემდგენელნი ითვალისწინებდნენ, რომ ახალი სასამართლო კანონებით, უველაზე უფრო მეტად მკვიდრი მოსახლეობა დაესაჯათ. დებულებაში ხაზგასმული იყო, რომ კავკასიაში ბლომად არიან „ტუზემცები“ და „არატუზემცები“. იგულისხმებოდა, რომ „ტუზემცების“ მიმართ სასამართლოს განაჩენი ყოველ შემთხვევაში და პირობებში უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო, ვინემ „ველიკოროსების“ მიმართ.

ბათუმის საზოგადოებრივი და საქალაქო ცხოვრების განვითარების, მოსახლეობის ზრდის, სოციალური ანტაგონიზმისა და მკაცრი პოლიტიკური რეპრესიების პირობებში სახელმწიფოებრივ „დამნაშავეთა“ რიცხვი იზრდებოდა. „წესრიგის“ დასამყარებლად მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად, რუსეთის სხვა საოლქო ცენტრების ტრადიციებისა და გამოცდილების მსგავსად, ბათუმშიც შექმნეს პოლიციური დაწესებულებანი და ციხე. ბათუმის ციხე ნავარაუდევი იყო 80 პატიმრისათვის, მაგრამ იქ პატიმართა რაოდენობა ყოველთვის ორჯერ უფრო მეტი იყო. იგი განსაკუთრებით გაიზარდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებასთან დაკავშირებით. ამიტომ, ბათუმში ახალი ციხის აშენების საკითხი დაისვა ჯერ კიდევ 1900 წელს. ქალაქის თვითმმართველობას გადაწყვეტილი ჰქონდა აეშენებინა ახალი ციხე 200 პატიმრი-

1 საქ. ცსსა, ფ. 545, საქმე 1.677, ფურც. 1 — 3, 1878 წ.
2 საქ. ცსსა, ფ. 545, საქმე 1679, ფურც. 1, 1878 წ.

სათვის, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა, ბათუმის საქალაქო მეურნეობის მძიმე ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით.[1]

როგორც ცნობილია, ცარიზმმა რუსეთის იმპერია „ხალხთა საპყრობილედ“ გადააქცია რუსეთში თვით რუსი ადამიანიც იდევნებოდა, მაგრამ განსაკუთრებული დევნისა და შევიწროების ობიექტი იმპერიაში შემავალი არა რუსი ხალხები იყვნენ. ცარიზმი რუსიფიკაციისა და ძალად ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდა. რუსიფიკატორები თავიანთი განზრახვების განხორციელებისათვის ბრძოლის ყველა ხერხსა და მეთოდს მიმართავდნენ. პატარა ერების „შეთხელებას“ სერიოზული ყურადღება ეთმობოდა. მართალია, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მტრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის დასარაზმავად, ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენლებიც ეროვნულ პროპაგანდას ეწეოდნენ, მაგრამ ომის დამთავრების მეორე დღესვე ცარიზმმა ყველა წინანდელი დაპირება და ლოზუნგი დაივიწყა და ახლად შემოერთებული მხარის — აჭარისა და ქ. ბათუმის მოსახლეობის მიმართ ეკონომიური და პოლიტიკური რეპრესიების გზას დაადგა. ბათუმის სამხედრო ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დამოკიდებულება ყოველდღიურად მწვავდებოდა და ბოლოს იმდენად კრიტიკული გახდა, რომ მდგომარეობის შესასწავლად კავკასიის მეფისნაცვალმა თავისი აპარატიდან საგანგებოდ მოავლინა მთავარსამმართველოს უფროსი. მეფისნაცვლის მიერ სპეციალური დავალებით ჩამოსულმა, ნდობით აღჭურვილმა პირმა 1880 წლის დაბლევს 7 დღე დაჰყო ბათუმში. იგი საკმაოდ გულმოდგინედ გაეცნო ბათუმის ადმინისტრაციულ მმართველობაში შექმნილ ვითარებას და 1881 წლის 1 მაისს წერილობითი მოხსენება წარუდგინა დიდ მთავარს, კავკასიის მეფისნაცვალს.

მოხსენება დიდ ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მეფის მაღალი თანამდებობის პირები იძულებული არიან აღიარონ: ბათუმში, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, მიწის საკითხი ფრიად მოუგვარებელია, რუსი მოხელეები უდიერად ექცევიან და აწიოკებენ ადგილობრივ მოსახლეობას; „ქალაქის მოსახლეობა აშკარად უკმაყოფილოა რუსების მიერ ოსმალთა განდევნის დღიდან

1 საქ. ცსსა, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 2947: ფურც. 17:
მთავრობამ დაიქირავა ბათუმის საპატიმრო ინჟინერ-ტექნოლოგ ბეხტერევისაგან, 24 წლის ვადით, წელიწადში 3.400 მანეთად. მთავრობის კომისიამ საპატიმრო ჩაიბარა 1881 წ. 16 ნოემბერს. (იქვე, ფურც. 17).

დამყარებული რეჟიმით. მოსახლეობის მოჩვენებითი თავაზიანობა ნაკლებ საიმედოა. პირიქით, პირდაპირ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენები უპატივცემულოდ ეკიდებიან ახლად შეძენილი მხარის მოსახლეობას, მის ზნე-ჩვეულებებს. ამ მხრივ რუს ჩინოვნიკთა მოქმედება ძალიან გვაგონებს ამ მხარის ძველი მმართველების მოქმედებას.“[1]

რუსული ადმინისტრაციული სისტემის საერთო უვარგისობას ბათუმის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კ. კომაროვის პირადი უარყოფითი თვისებებიც ზედ ემატებოდა, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ახალ რეჟიმს. კავკასიის მეფისნაცვალმა ბოლოს საქმე იმით „გამოასწორა“, რომ ბათუმის ოლქის გუბერნატორად კომაროვის მაგიერად გენერალ-მაიორი სმეკალოვი დანიშნა. კავკასიის მთავრობა ახლად დანიშნულ გენერალზე დიდ იმედებს ამყარებდა. ვარაუდობდნენ, რომ მისი პირადი თვისებები (დიდი გამოცდილება, ხასიათი, ადმინისტრაციული ტაქტი და სხვ.) რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულ მოსახლეობას დააშვიდებდა, მაგრამ ამაო იყო ასეთ ვარაუდებზე დაყრდნობა. მეფის მთავრობა მდგომარეობის გამოსწორებას ახლა სხვა გზით შეეცადა და „ერთიანი“ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. 1883 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს და შექმნეს ბათუმისა და ართვინის ოკრუგები.[2]

1883 წლის ადმინისტრაციული რეფორმა გულისხმობდა სამხედრო მმართველობის გაუქმებას და სამოქალაქო საწყისებზე გადასვლას, მაგრამ ეს ფაქტიურად არ მოხდა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუნარჩუნეს მართვა-გამგეობის ძველი წესები.[3]

ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობა გადაკეთდა სამხედრო გუბერნატორის თანამდებობად.[4]

ბათუმში გუბერნატორის მოადგილე იჯდა, ხოლო ქალაქს 1888 წლამდე (ვიდრე საქალაქო თვითმმართველობა შეიქმნებოდა) პოლიცმეისტერი მართავდა. მთავრობას ბათუმში ჟანდარმერიის აპარატი რეფორმის შემდეგ არ შეუმცირებია, პირიქით, ის უფრო

1 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 50.
2 საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 131, ფურც. 1.
3 იქვე, ფ. 229, აღწ. 1, საქმე 922, ფურც. 13.
4 იქვე, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 2947, ფურც. 2.

გაზარდა. ხალხის მასების პოლიციური დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა. ბათუმის ციხე-სიმაგრე და ყაზარმები ჯარის ნაწილებით (უმთავრესად კაზაკებით) გაივსო. ყველა ამ ღონისძიების მიუხედავად, ცარიზმის ძირითადი მიზანი — ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად ქცეულიყო, ხოლო აჭარა მშობლიურ ქართულ კულტურას არ ზიარებოდა — განუხორციელებელი დარჩა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნიეს.

მეფის გაქნილმა სატრაპმა თავადმა გოლიცინმა სასტიკად გაილაშქრა ბათუმის ოლქის და ქუთაისის გუბერნიის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების წინააღმდეგ, რადგან, მისი აზრით, ამას მოჰყვებოდა აჭარა-ლაზეთში ქართული კულტურის ფართოდ გავრცელება, მსგავსად სოხუმის ოკრუგში მომხდარი პროცესისა. რაც შეუთავსებელი იყო ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასთან.[1] გოლიცინის აზრით, „საქართველოში არიან ელემენტები, რომელთაც აქვთ პრეტენზიები ქართველთა ყველა ტომის გაერთიანებისა და აღორძინებისა... რაც საშიშარია ხელისუფლებისათვის, იმ გართულებების მსგავსად, რომლის საწყისებიც უკვე შეინიშნება სოხუმის ოკრუგში". ამავე დროს, გოლიცინს მიაჩნია, რომ ბათუმი და მისი ოკრუგი იმყოფება მნიშვნელოვან სტრატეგიულ რაიონში, ისეთ ადგილზე, სადაც რუსეთს აქვს საზღვაო ციხე-სიმაგრე და ამიერკავკასიის მთავარი სავაჭრო ნავსადგური. ასეთ პირობებში, გოლიცინის აზრით, ქვეყნის უშიშროებია ინტერესები მოითხოვდა დაუყოვნებლივ აღეკვეთათ ის არანორმალური პირობები, რომელიც 1883 წელს გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შეიქმნა და აღედგინათ ბათუმის დამოუკიდებელი საოლქო ორგანიზაცია.[2]

გოლიცინის ენერგიული მოთხოვნა, რა თქმა უნდა, სრულიად არ ისახავდა მიზნად აჭარის მშრომელების მიმართ თუნდაც უმნიშვნელო ზრუნვას. პირიქით, ამ დიდმპყრობელურ შოვინისტს აჭარის მშრომელი მოსახლეობა სასტიკად ეზიზღებოდა.

---

1 რუსიფიკატორები სრულიად ვერ ითმენდნენ ქართული კულტურის გავრცელებას აჭაზეთში. მე-19 ს. ბოლოს, თავის საანგარიშო მოხსენებაში, სენატორი, გენერალ-ადიუტანტი — თავ. გოლიცინი მეფეს წერდა: „სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებას ჰქონდა არასასურველი შედეგი — სოხუმის ოკრუგში ქართული კულტურის გავრცელება რუსულის საზიანოდო". (საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 224, ფურც. 141-145).

2 საქ. ცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქმე 922, ფურც. 39.

კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრული მსახური გოლიცინი სთიშავდა ქართველ ხალხს, ერთმანეთს უპირისპირებდა იმერეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს და სხვა კუთხის მოსახლეობას, იგი ცილს სწამებდა აჭარის მშრომელებს, რომლებიც ენერგიულად ებრძოდნენ თურქ დამპყრობლებს და ქართველი ხალხის ერთიანობას უჭერდნენ მხარს.[1]

ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის საკითხს უფრო დაბეჯითებით იცავდა გოლიცინი 900-იან წლებიდან, როცა ბათუმის პროლეტარიატი ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლას ეწეოდა. მან მოითხოვა, რომ ქუთაისის გუბერნიას გამოყოფოდა ბათუმის გუბერნია.[2]

ბათუმის ოლქის შექმნის საკითხი მთავრობის უმაღლეს ორგანოებში მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის სავსებით მომწიფდა. ჯერ კიდევ 1900 წლის 14 ივნისს სამინისტროს მიერ ბათუმის სამხედრო „გოროდოკის“ მშენებლობის შესახებ დამტკიცებულ დებულებაში სხვათაშორის ეწერა, რომ „მიეცეს მსვლელობა საქმეს — ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ჩამოშორებასა და იქ გუბერნიის შექმნას“.[3]

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ქუთაისის გუბერნიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ დადგენილება დაამტკიცა.

ახალი დადგენილების საფუძველზე ბათუმის ოლქისაგან (ყარსისა და ბათუმის ოკრუგი) შეიქმნა გუბერნია, რომლის ცენტრი იყო ქ. ბათუმი. ბათუმში სამხედრო გუბერნატორი დანიშნეს. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის აპარატის შენახვას ყოველწლიურად დიდძალი სახსრები სჭირდებოდა.[4]

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888 წლიდან 1903 წლამდე ემორჩილებოდა ქუთაისის გუბერნატორს, ხოლო 1903 წლის რეფორმის შემდეგ ბათუმის გენერალ-გუბერნატორის აპარატთან შექმნილ სათანადო განყოფილებას, ე. წ. „პრისუტსტვიას“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: სამხედრო გუბერნატო-

---

1 იქვე.

2 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 224, ფურც. 234, 236.

3 საქ. ცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქმე 922, ფურც. 13.

სახელმწიფო საბჭომ 1899 წლის 24 მაისს გამოიტანა დადგენილება ამიერკავკასიაში გაძლიერებული პოლიციური დაცვის დაწესების შესახებ. ამ საქმეზე 1901 — 1903 წლებში დაიხარჯა 2.363.260 მან.

4 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 224, ფურც. 113 — 116.

რი, გუბერნატორის მოადგილე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მოადგილე, საგადასახადო ინსპექტორი, ბათუმის ქალაქისთავი და ბათუმის საქალაქო სათათბიროს მიერ წარგზავნილი ერთი ხმოსანი. საერთო წესდების თანახმად, „პრისუტსტვიასათვის“ საჭირო ფინანსური ხარჯების გაღება დაეკისრა ქ. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას.[1]

საერთოდ, რუსული თვითმმართველობის ყველა ღონისძიება, და, კერძოდ, 1903 წლის ადმინისტრაციული რეფორმა, უმთავრესად, ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ განხორციელებულიყო მხარის რუსიფიკაცია და გასწორებოდნენ რევოლუციურ მოძრაობას.

4. ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა. პორტო-ფრანკოს რეაქციული არსი. მუჰაჯირობა

ბათუმი თავიდანვე იზიდავდა რუსეთისა და უცხო ქვეყნების კოლონისტებს. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ახლად დაპყრობილი მხარის ეკონომიურ-პოლიტიკურ ათვისებას. 1879 წლის 3 თებერვალს კავკასიის არმიის სარდლის გენერალ-ადიუტანტ — თავად სვიატოპოლკ-მირსკის ხელმოწერით გამოვიდა ინსტრუქცია ბათუმის გენერალ-გუბერნატორის უფლება-მოვალეობისა და მხარის მოწყობის შესახებ. ამ ინსტრუქციის XXI მუხლში ვკითხულობთ: „მხედველობაში მისაღებია, რომ მიწათმოქმედება არის ყველაზე მტკიცე საფუძველი სახალხო სიმდიდრისა, ამიტომ ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის განვითარე-

1 საქ. ცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქმე 922, ფურც. 20-21.

ბას".[1] ინსტრუქცია ითვალისწინებდა, რომ სოფლის მეურნეობა უნდა განვითარებულიყო კოლონისტების მეშვეობით. წესდების 39-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მათ ყოველმხრივ შეწყობოდა ხელი მხარის ათვისების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქ. ბათუმისა და ყარსის კოლონიზაციას. კოლონისტებს უფლება ეძლეოდათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დასახლებულიყვნენ ამ ქალაქებში.[2]

ბათუმში დასახლების მსურველნი ბლომად გაჩნდნენ და მასობრივად მოედინებოდნენ არა მარტო კავკასიიდან, არამედ შიდა რუსეთის გუბერნიების თვალუწვდენი ველებიდანაც.[3] ბათუმში დასახლების სურვილი აღეძრათ ე. წ. „რასკოლნიკებს", მოლაკანებს, დუხობორებს, სკოპცებსა და სხვ. ბათუმის გუბერნატორმა რატომღაც მათ ჩამოსახლებას ენერგიულად დაუჭირა მხარი, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს დეპარტამენტი ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა. ბათუმის გუბერნატორს უპასუხეს, რომ ოანახმად 1853 წლის ნოემბერში გამოცემული ბრძანებულებისა, მოლაკანებსა და სხვა მსგავს სექტანტებს სტრატეგიულ პუნქტების დასახლების უფლება არ მიეცემათო.[4] მიუხედავად ამისა, კოლონიზაციას ფართო გზა გაეხსნა. ცარიზმი მის მიერ დაპყრობილ ადგილებს „საიმედო ელემენტებით" ასახლებდა და მკვიდრი, „არასაიმედო", მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ხელს უწყობდა.

ცარიზმის კოლონიური სისტემის მესვეურებისათვის ყველაზე უფრო თავსამტერევი საკითხი ბათუმის გუბერნიაში მიწათსარგებლობის წესის მოგვარება იყო. ამ საქმის მოსაწესრიგებლად მთავრობამ 1879 წელს სპეციალურად შექმნა „საადგილმამულო კომისია", რომელსაც სათავეში ჩაუყენა ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. კომისიამ ძალიან დიდი და გულმოდგინე მუშაობა გასწია. მან თურქული მიწათსარგებლობის წესები შეისწავლა, ადგილობრივ,

1 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 4006, ფურც. 3-4.
2 იქვე, ფურც. 4.
3 საქ. ცსსა, ფ. 7, საქმე 528, აღწ. 5, ფურც. 193.
4 იქვე, ფ. 7, აღწ. 5, საქმე 528, ფურც. 194.

დოკუმენტებს გაეცნო და თავისი დასკვნა მთავრობის უმაღლეს ორგანოებს წარუდგინა. საადგილმამულო კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა, აგრეთვე, ბათუმში მიწათმოწყობისა და მიწაზე კერძო საკუთრების საკითხიც. კომისიამ ცალკე შეისწავლა სავაყუფო (სასულიერო) მიწებით სარგებლობის წესიც. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ნურიეს“ უბანს. აღმოჩნდა, რომ ბათუმის საუკეთესო ნაწილი, ტბა „ნურიეგელის“ მიდამოებში, მთელი ზღვისპირის გასწვრივ, 1862 წლიდან აფხაზ ემიგრანტებს (მუჰაჯირებს) ეკავათ სამოსახლოდ. მუჰაჯირების შესახებ არსებული თურქული კანონმდებლობით აფხაზებს მიწის გაყიდვის უფლება არ ეძლეოდათ 20 წლის განმავლობაში, ე. ი. 1882 წლამდე.

კომისიამ გამოარკვია, რომ რუსების მოახლოებასთან დაკავშირებით ბათუმის აფხაზური მოსახლეობის ნაწილი თურქეთში გაიქცა და დარჩენილებს მიჰყიდა მიწები. დოკუმენტების უმრავლესობა შედგენილი აღმოჩნდა 1878 წლის 23 აგვისტოს, რომელსაც თით-ქოს „ამოწმებდა“ იმ დროს ბათუმში არარსებული მეჯლისი. კომისიამ დაადგინა, რომ მიწის ნასყიდობის საბუთების უმრავლესობა შედგენილია 23 აგვისტოდან და ხშირად ერთი და იგივე მიწა რამდენიმე პირზეა გაყიდული, ხოლო საერთო ფართობი ფორმალურად გაცილებით დიდია, ვინემ მიწის ნამდვილი რაოდენობა აფხაზებით დასახლებულ უბანში. ამიტომ, იგი მოითხოვდა, რომ 1778 წლის 23 აგვისტოდან შედგენილი საბუთები საკუთრების დამადასტურებელ საბუთად მიღებული არ ყოფილიყო. მუჰაჯირებისაგან მიტოვებული 13 დესეტინა მიწა ქალაქის საერთო საკუთრების ფონდში იქნა გადარიცხული.

ბათუმში მუჰაჯირობის დროს დასახლდა აფხაზთა 300 ოჯახი, მაგრამ რუსების შემოსვლის მომენტში, პროვოკაციული ხმების გავრცელების შედეგად, ისინი შიშმა შეიპყრო. მათი უმრავლესობა ქალაქიდან გაიქცა, მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ კი, გაქცეულთა დიდი ნაწილი თავის სახლ-კარს დაუბრუნდა. 1879 წლისათვის ნურიეში 146 აფხაზური ოჯახი იყო. ადგილობრივმა მთავ-

რობამ გადაწყვიტა მათი აყრა ქალაქის ტერიტორიიდან. მაშინ აფხაზებმა დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის სახელზე შეიტანეს საჩივარი, რომ მათთვის მათ მიერვე ნაყიდი მიწები დაებრუნებიათ. მეფისნაცვალმა ინება, რომ აფხაზებისათვის ნურიეში მიეცათ ნაყიდი მიწა იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელთაც კომისია მისაღებად ჩათვლიდა.

მთავრობამ ნურიეს უბნის მიწათმოწყობის პრობლემის გადასაწრელად, ცალკე, სპეციალური კომისია შექმნა. კომისიაში მონაწილეობის მისაღებად თვალთმაქცური მიზნით, მთავრობამ მოიწვია 8 ბათუმელი მოქალაქე. კომისიამ დაადგინა, რომ „ნურიეს უბნის“ მიწები უნდა დაყოფილიყო ნაკვეთებად საქალაქო ცხოვრების საჭიროების მიხედვით და ისე უნდა გაყიდულიყო შეძლებულ პირებზე.

1881 წელს აღნიშნულ კომისიაში მთავრობამ დ. ბაქრაძის მაგივრად დანიშნა პოლკოვნიკი თავ. ერისთავი. როგორც ჩანდა, კომისიას მთავრობისაგან ჰქონდა დავალებული შეემუშავებინა ისეთი ღონისძიება, რომელიც შეავიწროებდა აფხაზ მოსახლეობას, რომ „ნურიეს“ უბანი ასეთი ღონისძიებების გატარებით აფხაზებისაგან დაცლილიყო. მთავრობის ეს ამოცანა პოლკოვნიკ ერისთავის თავმჯდომარეობით შექმნილმა კომისიამ ენერგიულად განახორციელა. ამრიგად, ცარიზმი ბათუმსა და მის ახლო-მახლო რაიონებში რუსულ კოლონიზაციას უხსნიდა გზას.

ჯერ კიდევ ადრე, დ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შექმნილმა საოლქო საადგილმამულო კომისიამ გამოარკვია, რომ თურქეთში არსებული მიწის კატეგორიებიდან ბათუმში მხოლოდ 3 კატეგორია არსებობდა. 1. მიულუჭი—მეპატრონის სრულ საკუთრებაში მყოფი მიწა. კომისიამ მცირერიცხოვან გუჯართა გარდა, მიწის საკუთრების დოკუმენტები ყალბად სცნო. ბათუმში ასეთი მიწები ძალზე ცოტა რაოდენობით იყო. 2. ერაზიმირიე, ანუ სახელმწიფოებრივი საკუთრება, რომელიც ადმინისტრაციის განკარგულებაში იყო და რომელსაც

ბათუმში ადგილ-მამულის აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნოდა, და 3. **ვაყუფი**—სასულიერო დაწესებულებების განკარგულებაში მყოფი მამული. სავაყუფო მამული ფეოდალთა მიერ მეჩეთისათვის შეწირული მიწისაგან შედგებოდა.[1] ბათუმში სავაყუფო მამული აღმოაჩნდა მხოლოდ „აზიზიეს“ მეჩეთს,[2] ხოლო ბათუმის ორ დანარჩენ მეჩეთს — „ახმედიეს“ და „მუფთიეს“ სავაყუფო მიწები არ გააჩნდათ. მათ რამდენიმე სავაჭრო დუქანი ჰქონდათ. ეს სავაჭროები ახალმა მთავრობამ მეჩეთებს ჩამოართვა და მათ ფულადი სარგო გაუჩინა. „აზიზიეს“ სავაყუფო მიწებიდან თავიდანვე სახელმწიფოს გადაეცა მიწის მნიშვნელოვანი ნაკვეთები, სადაც 1879 წელს რუსებს უკვე გააჩნდათ: პოლიციური სამმართველოს ბინა, სატელეგრაფო დაწესებულების შენობა, ჰოსპიტლის შენობა, საარტილერიო საწყობი, არტილერიის ყაზარმა, არსენალი, საბაჟოს შენობა, ბერჟნების სკოლა და სხვ.

კომისიამ ბათუმის სხვა უბნებზეც (ახმედიე, მუფთიე და სარისუზე) იქონია მსჯელობა და გამოიტანა დადგენილება, რომ იქ მცხოვრებ მიწის „კერძო მესაკუთრეებს“ საკუთრების სრული უფლება, თანახმად თურქული კანონებისა, არ ჰქონოდათ.

საადგილმამულო კომისიამ შეისწავლა ბათუმის ისეთი საყურადღებო უბანი, როგორიც „ნურიე-გელის“ უბანი იყო, და 1879 წლის ოქტომბერში სამხედრო გუბერნატორს წარუდგინა სიები: 1. აფხაზი მუჰაჯირებისა, რომლებსაც ჩამოეჭრათ მიწის ნაკვეთი ნურიეს უბანში; 2. სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე პირებისა, და სახელმწიფო დაწესებულებებისა, რომელთაც გარკვეული რაო-

---

1 სავაყუფო მამულები აჭარაში საერთოდ ძალზე ცოტა რაოდენობით მოიპოვებოდა.

2 საადგილმამულო კომისიამ გამოარკვია, რომ ბათუმში სავაყუფო მიწა გააჩნდა მხოლოდ „აზიზიეს“ მეჩეთს. 1861 წელს ბათუმის მეჩეთს სულთანმა აბდულ აზიზმა (1861 — 1876) შემოსწირა მამული ბათუმის ზღვის სანაპიროზე. ამის მიხედვით ამ მეჩეთს აზიზიეს მეჩეთი დაერქვა, ხოლო მეჩეთის გარშემო მდებარე უბანს „აზიზიეს“ უბანი უწოდეს (საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 819, ფურც. 9-16).

დენობით მიეცათ მიწის ნაკვეთი ბათუმის სხვადასხვა უბანში. ამ განაწილებიდან ჩანდა, რომ:

1. ნურიესა და საზღვრისპირა ზონის საერთო ფართობი 74 დესეტინას უდრიდა.

ამ ფართობიდან გამოყოფილ იქნა:

ა) აფხაზთა 146 ოჯახისათვის — 11 დესეტინა და 1703 კვ საჟენი.

ბ) სამხედრო და სამოქალაქო უწყებების მოსამსახურეებისათვის და კერძო პირებისათვის — 13 დესეტინა და 1.391 კვ საჟენი, რომელიც დანაწილებულა 183 ნაკვეთად.

გ) სახელმწიფო დაწესებულებებისათვის სათადარიგოდ — 4 დესეტინა და 1.550 კვ საჟენი.

დ) ქალაქის ბაღისა და სკვერებისათვის — 5 დესეტინა და 135 კვ საჟენი.

ე) საზოგადოებრივი სკოლის, მეჩეთისა, გიმნაზიისა და სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიისათვის — 1.162 კვ საჟენი.

ვ) მოედნისა, ბაზრის, ეკლესიის, პარკისა და ბულვარისათვის — 3 დესეტინა და 1.043 კვ საჟენი, ჭუჩებისათვის — 16 დესეტინა და 46 კვ საჟენი.

ზ) ნაკვეთები, რომლებიც შედიან საერთო ფართობში და ეკუთვნიან კერძო მფლობელებს — 1 დესეტინა და 146 კვ საჟენი.

თ) ყოველგვარი მშენებლობისაგან თავისუფალი მიწა—18 დესეტინა და 1.680 კვ საჟენი და სხვ.[1]

საადგილმამულო კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილებით დაზარალებულმა აფხაზმა მუჰაჯირებმა სასამართლო ორგანოებს მიმართეს და შეეცადნენ თურქეთის ხელისუფლებისდროინდელი მიწათსარგებლობის დოკუმენტები განეახლებინათ და ნოტარიალური წესით დაემტკიცებინათ, მაგრამ ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა სასამართლო-ნოტარიალური ორგანოები აიძულა, რომ აფხაზ მუჰაჯირთა დოკუმენტები ყალბად ჩაეთვალათ.[2]

მიუხედავად იმისა, რომ საადგილმამულო კომისიის სათავეში დიდი ქართველი პატრიოტი დ. ბაქრაძე იდგა, იგიც იძულებული იყო მიწათმფლობელობის საკითხი ისე გადაეწყვიტა, როგორც ამას რუსეთის კოლონიური გეგმები მოითხოვდა. საადგილმამულო კომი-

1. საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 819, ფურც. 30-36.
2 იქვე, ფურც. 5-8.

სიის დადგენილებით აღშფოთდა ქართველი საზოგადოება, რადგანეს დადგენილება აჭარისა და, მათ შორის, ბათუმის მცხოვრებლებისათვის მიუღებელი იყო. ყველა ხედავდა, რომ ეს იყო თურქული კანონების დაცვა რუსეთის სახელმწიფოში. ამ ღონისძიებამ ყველაზე უფრო ბათუმელი მოქალაქეები შეაწუხა. 1880 წლის დეკემბერში ქ. ბათუმს ეწვია კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსი. ბათუმელმა მოქალაქეებმა მას თავისი დეპუტატების პირით სთხოვეს გაუქმებულიყო ბათუმის საალგილმამულო კომისიის დადგენილება და მიწაზე მოქალაქეთა სრული საკუთრება გამოეცხადებინათ, რუსული კანონების მიხედვით, მაგრამ მოქალაქეთა ამ მოთხოვნას მეფის მოხელემ არც კი უპასუხა.[1] მეფის მთავრობამ დიპლომატიურ ხერხსაც მიმართა: ახლად შემოერთებულ მხარეში აგრარული ქაოსის „მოწესრიგება“ ადგილობრივი მეჯლისის ფუნქციად გამოაცხადა. მეჯლისს მიუთითა, რომ იხელმძღვანელოს „ტრადიციული“ კანონებით.[2] ამ „ტრადიციულ“ კანონებში, რა თქმა უნდა, თურქული კანონები იყო ნაგულისხმევი. რუსთა თვითმმართველობის დროს მეჯლისი ნახევრად იურიდიულ დაწესებულებას წარმოადგენდა.

იმპერატორ ალექსანდრე III-ს ხელისმოწერით 1884 წელს გამოვიდა კანონი, რომლითაც ბათუმის ოკრუგის მცხოვრებლებს ერთმეოდათ მიწაზე სრული საკუთრების უფლება, იმ შემთხვევაში, თუ მათ ბატონყმობისდროინდელი გუჯარი არ აღმოაჩნდებოდათ.[3]

აღნიშნული კანონის საფუძველზე 1884 წლის 15 ოქტომბერს თბილისის სასამართლო პალატამ ადგილებზე დაგზავნა მითითება, რომ მიწის საკითხზე საჩივრების დროს არ ყოფილიყო დოკუმენტად მიღებული ოსმალთა ბატონობისდროინდელი საბუთები.[4]

იმპერატორის ხელმოწერით ახალი „გამამხნევებელი“ კანონის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა კი-

1 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 52-60.
მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენლის 1895 წლის 20 ოქტომბრის განკარგულებიდან ჩანს, რომ მუჰაჯირების მიერ დატოვებული მიწა-წყალი საბაზინო საკუთრებად ითვლებოდა, გლეხები, რომლებიც ამ მიწებს ამუშაებდნენ, სახელმწიფო-მოიჯარადრეებად ითვლებოდნენ და მიწის დროებითი სარგებლობისათვის გარკვეულ გამოსაღებს იხდიდნენ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ფონდი. საადგილმამულო კომისიის ოქმი, გვ. 25).
2 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 44-45.
3 ასეთი გუჯარი მაშინ აჭარაში თითქმის არაფის არ ჰქონდა შემორჩენილი.
4 М. Кикодзе, «Поземельный спор в Батумском округе и отношение к нему судебных установлений Закавказского края», из журнала «Юридическое обозрение», № 232, 5-го сентября 1885 г., стр. 1097-1098.

დევ უფრო შეავიწროეს მიწისმფლობელები. მათ უვარგისად გამოაცხადეს ის მცირერიცხოვანი საბუთებიც, რომლებიც საადგილმამულო კომისიამ ოფიციალურ დოკუმენტებად ჩათვალა. მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ საბუთს.

1884 წელს, ქ. ბათუმში, მოქალაქე მუსტაფა-ჰაჯი-მაჰმუდ-ზადემ ბათუმის სასამართლოში შეიტანა თხოვნა ქალაქის ფარგლებში მღებარე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის იურიდიული წესით გაფორმების შესახებ. საკუთრების დამამტკიცებლად წარადგინა „თაფუ", რომელიც საადგილმამულო კომისიის მიერ იყო განხილული და მიღებული, მაგრამ სასამართლომ თურქული „თაფუ" საკუთრების საბუთად არ ჩათვალა.[1]

მიწათსარგებლობის საკითხში ახლად დანერგილი „რუსული სამართალი" არ ინდობდა თვით ადგილობრივ არისტოკრატულ ზედაფენასაც. ამ მხრივ საყურადღებოა აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები. ასეთ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პოლკოვნიკმა იასონ იოსელიანმა, 1880 წლის 11 სექტემბერს, ბათუმში მცხოვრები აბაშიძეებისაგან, ბათუმის გარეუბანში, იყიდა მეჯინისწყლის მიდამოები. ეს ყიდვა-გაყიდვა დაამტკიცა ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა, მაგრამ იგი გააუქმა თბილისის სასამართლო პალატამ იმ მოტივით, რომ „თურქული დოკუმენტიდან ჩანს, 1879 წლის ეს საბუთი წარმოადგენს „თაფუს", რომელიც გაცემულია „ერაზი-მირიეს" მიწაზე და ამგვარად წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებასო".[2]

რუსეთის მთავრობისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო მიწაზე სახაზინო სახელმწიფო საკუთრების დაცვა. ამ საქმეში იგი თურქულ ფორმალურ კანონმდებლობას იყენებდა.

ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში" 1884 წელს დაიბეჭდა ხელმოუწერელი სტატია, რომელიც გვატყობინებს, რომ გაბდიეფენდი-ჯურნალ-ზადეს ობლებმა მეურვის საშუალებით ითხოვეს ნება დაერთოთ „აზიზიეში" კუთვნილი მიწის ნაკვეთზე გეგმა შეედგინათ. ობლებმა მთავრობის ორგანოებს წარუდგინეს „თაფუ", რომელიც ბათუმის სამიწათმოქმედო კომისიის მიერ თავის დროზე საიმედო საბუთად იყო მიღებული. ადგილობრივმა კომისიამ ობლებისაგან არ მიიღო აღნიშნული დოკუმენტი.[3]

---

1 მ. ჭიჭოძის დასახელებული სტატია, გვ. 1,098.

2 აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 6, საქმე 252, ფურც. 5.

3 Журнал «Юридическое обозрение», № 189, 8-го ноября, 1884 г., стр. 283—285.

მართალია, თურქული კანონები ზღუდავდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას, მაგრამ მიწის მფლობელს მაინც ეძლეოდა უფლება განეგო ადგილ-მამული, გადაეცა იგი მემკვიდრეობით, გაესხვისებია მთავრობის ნებართვით და სხვ.[1] ახალმა მთავრობამ მოსახლეობას ეს უფლებაც წაართვა.

ცარიზმის კოლონიურ-აგრარული პოლიტიკა სახაზინო მიწის ფონდის გაზრდისა და მკვიდრთა მატერიალური შევიწროებისაკენ წარიმართა. თავისი შედეგებით იგი დაბრკოლებას უქმნიდა ქ. ბათუმის სამრეწველო-ეკონომიური ცხოვრების ბურჟუაზიული გზით განვითარებას. დასახელებულ ჟურნალში უცნობი ავტორი ამ ფაქტის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბათუმში მიწათსაკუთრების იურიდიული ნორმა არც არსებობდა. ძალად შექმნილი დამაბრკოლებელი ღონისძიებანი, რომლებიც მოხელეებმა შექმნეს, ხელს უშლიდა წინსვლას, მეურნეობის განვითარებას. ამავე დროს, — განაგრძობს ავტორი, — დრო არ ითმენს და მრეწველობა თავისას მოითხოვს. „მრავალი კაპიტალისტი ბათუმში ჩამოვიდა იმ ვარაუდით, რომ მოეგვარებინა თავისი სავაჭრო ოპერაციები ქალაქსა და მის გარეუბნებში მიწის შესაძენად. მაგრამ ისინი აწყდებიან სერიოზულ დაბრკოლებებს მიწათმფლობელობის ადგილობრივი წესების შედეგად. ბოლოს კაპიტალისტები ხშირად ხელჩაქნეულები მიემგზავრებიან ბათუმიდან".[2]

მეფის მთავრობას არ შეიძლებოდა არ დაენახა, რომ მიწათსარგებლობის თურქული წესი, რომელიც თურქებმა ძალით თავზე მოახვიეს ბათუმს და მის მხარეს, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას აფერხებდა, მაგრამ მთავრობა ამ საკითხში ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.[3] თურქული მიწათმფლობელობის წესთა ძალაში დატოვება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მთავრობა თვითონ ნაკლებად ერკვეოდა ამ წეს'ში

---

1 Журнал «Юридическое обозрение», № 189, 8-го ноября, 1884 г., стр. 283—285.

2 Кое-что о батумских поземельных порядках, из журнала «Юридическое обозрение», № 189, 8-го ноября 1884 г., стр. 282 — 283.

3 აქ დასმული საკითხის გარშემო პროფესორი დ. ზავრიევი იძლევა არსებითად სწორ დასკვნას. რუსეთის თვითმმართველობა ყარსისა და ბათუმის ოლქში ემიგრანტებს და აბორიგენებს მიწებს ართმევდა. რუსი მოხელეები ცდილობდნენ განეხორციელებინათ თურქული მიწათსარგებლობის პრინციპი, რომლის მიხედვით ძოელი მიწა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, და ამის საფუძველზე ქმნიდა უკანონობას მოსახლეობის მიმართ. Д. С. Завриев. «К новейшей истории Северо-восточных вилайетов Турции», 1947, Тбилиси, стр. 26.

და გასაგებია, რომ დიდ გაურკვევლობას ჰქონდა ადგილი. ბათუმის ოლქის მიწათმოწყობის საკითხი წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა. 1890 წლის 25 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში გამოაქვეყნა წერილი—„Аграрное положение Батумской области“. ნ. ნიკოლაძე წერდა: „12 წელიწადია ჩვენ ვერ მოვაწესრიგეთ მიწის საკითხი და ასეთი აგრარული ქაოსისაგან იტანჯება ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან არ არის გამოცემული საჭირო კანონიო“.[1]

საადგილმამულო კომისიის მიერ მოცემულ დასკვნებს ყველა არ იზიარებდა. აღსანიშნავია ანისიმოვის სპეციალური შრომა, რომელიც ცალკე წიგნაკის სახით გამოვიდა. ანისიმოვი აღნიშნული კომისიის მიერ დაწერილ ოქმს აკრიტიკებდა.[2]

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ მშრომელი მოსახლეობისათვის კიდევ უფრო აუტანელი გახადა ახლად დანერგილი რუსული მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი.

ინგლისს არ სურდა, რომ რუსეთს ჰქონოდა მოხერხებული საზღვაო არსენალი და ძლიერი სიმაგრე შავი ზღვის სანაპიროზე.

არ ჰქონდა რა საშუალება მოეთხოვა რუსეთისათვის აეკრძალათ ბათუმში საზღვაო არსენალის აგება, ინგლისის პრემიერ-მინისტრი დიზრაელი მიზნის მისაღწევად იძულებული შეიქნა მიემართა დიპლომატიური მანევრისათვის, რაც გამოიხატა წინადადებაში—ბათუმში შეექმნათ პორტო-ფრანკო.

დიზრაელის ეს წინადადება ემსახურებოდა იმ მიზანსაც, რომ ბათუმი არ დამდგარიყო პროგრესული განვითარების გზაზე და რუსეთი არ გამხდარიყო ძლიერი საზღვაო სახელმწიფო. ხანგრძლივი დიპლომატიური ჭიდილის შემდეგ რუსეთი დათანხმდა ბათუმის პორ-

---

1 თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ნ. ნიკოლაძის არქივი, № 2 — 8.

აჭარაში დანერგილი თურქული მიწათმფლობელობის წესის შეცვლის აუცილებლობა 1905 წლის ბობოქარი რევოლუციის შემდეგ იგრძნო ზოგმა რეაქციონერმაც კი. მაგალითად, ბათუმის გენერალ-გუბერნატორი ფონ-პარკაუ 1906 წლის 24 თებერვალს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე წარდგენილ მოხსენებაში წერდა, რომ მოსახლეობას ტანჯავს მრავალი ფეოდალი და ნატურალური გადასახადი. მიწის საკითხი ქაოსურ მდგომარეობაშია, მოსახლეობა ძალზე შევიწროებულია. საჭიროა გამოცხადდეს მიწაზე კერძო საკუთრება და, აგრეთვე მიეცეს მოსახლეობას ტყით თავისუფალი სარგებლობის უფლებაო (საქ. ცსსა, ფ. 13, აღწ. 6, საქმე 396, ფურც. 2-6).

2 Анисимов, «Земельный вопрос в Батумской области», 1913 г.

ტო-ფრანკოდ გამოცხადებაზე. ასეთი თანხმობა ევროპის სახელმწიფოთა დაწოლის შედეგად მოხდა. იგი არ გამოხატავდა რუსეთის ინტერესებს.[1]

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შედეგად შექმნილ საფრთხეს დიდი წინააღმდეგობით შეხვდა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზია. ვაჭარ-მრეწველები სისტემატურად ჩიოდნენ და მოითხოვდნენ რუსეთის მრეწველობისათვის ხელოვნურად შექმნილი დიდი დაბრკოლების — პორტო-ფრანკოს გაუქმებას. რუსეთის ნაციონალური ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შეშფოთება საფუძვლიანი იყო. ბათუმი, პორტო-ფრანკოს მდგომარეობაში, დასავლეთ ევროპის ძლიერი კაპიტალიზმის ღია ბაზარს წარმოადგენდა. ევროპის კაპიტალიზმთან კონკურენცია კი რუსეთის ბურჟუაზიას არ შეეძლო. ბათუმიდან რუსეთში შეჭრილი იაფფასიანი საქონელი რუსეთის ბაზრის ფაქტიური ბატონ-პატრონი გახდებოდა. ეს კი რუსეთის მრეწველობას მოშლიდა. ცარიზმი ყოველგვარ ზომას იღებდა, რომ პორტო-ფრანკოს რუსეთის მრეწველობისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა ინტერესების დასაცავად მალე ბრძოლაში ჩაება ოფიციალური პრესაც. გაზეთებში მწვავე წერილები და კორესპონდენციები დაიწერა. მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების დაუღუპველ შედეგებს ააშკარავებდნენ, მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ გაუქმებას. რუსული პრესის მიერ ატეხილ საერთო განგაშს გამოხატავდა „Московские ведомости“-ს სარედაქციო სტატია, რომელიც „Русский вестник“-მა გადაბეჭდა; სტატიაში ხაზგასმულია, რომ ბათუმში პორტო-ფრანკოს დაწესებით კარები გაეღო ევროპის საქონელს რუსეთის მრეწველობის საზიანოდ. სტატია მიუთითებდა, რომ ბათუმი რუსეთის ინტერესთა სამსახურის მაგიერ ემსახურებოდა უმთავრესად უცხოეთის ინტერესებს, რომ ის ბაზარზე უცხო სახელმწიფოთა ფორპოსტი გახდა რუსეთის წინააღმდეგ კონკურენციაში. ბათუმიდან არაჩვეულებრივად ეითარდებოდა კონტრაბანდული ვაჭრობა მთელ ამიერკავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურში. „ბათუმი, როგორც ნავსადგური, ასრულებს საწყობის როლს რუსეთისა და საზღვარგარეთული საქონლისათვის. როგორც ერთი, ისე მეორე აღვილად შეიძლება აირიოს ერთი-

[1] Н. Шавров, Батум, Поти, Сухум и значение их для России, газ. «Кавказ», № 34, 12 февраля, 1881 г.

შეორეში... შეიძლება გასაღდეს ერთიმეორის მაგივრად, ასე, რომ საზღვარგარეთული ქსოვილები, შაქარი და სხვა საქონელი შეიძლება შემოიკრას ჩვენს საზღვრებში რუსული პროდუქტების უფლებით...“

ერთი სიტყვით, ბათუმში რუსები ყიდულობდნენ საზღვარგარეთულ საქონელს და რუსული მარკით მას ეზიდებოდნენ რუსეთის ნავსადგურებში. ასეთ პირობებში კონტრაბანდულ ვაჭრობას დიდი გასაქანი ეძლეოდა. ეს კი რუსეთის მრეწველობას აზიანებდა. რუსული საქონელი ვერ საღდებოდა. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ პორტო-ფრანკოს გაუქმებას მოითხოვდა. იგი შენიშნავდა, რომ ბათუმი, პორტო-ფრანკოს პირობებში, იყო ცენტრი სავაჭრო კონტრაბანდისა და წარმოადგენდა სავაჭრო საწყობს ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომლებიც რუსული მარკით აგზავნიდნენ რუსეთში ევროპულ საქონელს; ეს იყო აშკარა კონტრაბანდა. ასეთი გზით ევროპული საქონელი უბაჟოდ გადიოდა რუსეთის ბაზარზე. მაგალითად, ბათუმმა 1883 წელს მიიღო 600 ათასი ფუთი „ქართული“ ხილი. თუ ამ რაოდენობას ბათუმის ყოველ მცხოვრებზე (3.500 სულზე) გავანაწილებთ, მაშინ გამოდის, რომ ყოველ ბათუმელზე წელიწადში 150 ფუთი ხილი მოდიოდა. ცხადია, ეს ასე არ იყო. ბათუმში „ქართულის“ ნაცვლად თურქული ხილი შემოზიდეს, ბათუმიდან კი ის რუსული მარკით გაიყიდა ყოველგვარი ბაჟის გარეშე.[1]

პორტო-ფრანკო, ანუ თავისუფალი ნავსადგური, იმას ნიშნავდა, რომ ყველა სახელმწიფოს სავაჭრო ხომალდებს თავისუფლად შეეძლოთ ამ ნავსადგურში შესვლა. მართალია, ბათუმი რუსეთის საკუთრებად რჩებოდა, მაგრამ მას არ შეეძლო, რომ იგი სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად გადაექცია, იქ ციხე-სიმაგრეები აეშენებინა და თავისი სამხედრო ფლოტი შეეყვანა.[2]

ბათუმის ამგვარი მდგომარეობით, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ინგლისელები ისარგებლებდნენ.[3] ეს გასაგებიცაა, რადგან ინგლისი ამ დროს ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და საზღვაო ძლიერებით განთქმულ ქვეყანას წარმოადგენდა. ინგლისს მაშინ უდიდესი გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთის ბაზრებზე.

---

1 «Русский вестник», т. 65, 1883 г., стр. 778—783.

2 რუსეთმა, მიუხედავად ტრაქტატით გათვალისწინებული ასეთი პირობებისა, ბათუმში სამხედრო შენებლობა მაშინვე გაშალა.

3 გაზ. „დროება“, № 128, 1878 წ.

რუსეთის მრეწველობის ინტერესებისათვის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებული ბათუმი ცარიზმმა ყოველი მხრიდან ჩაკეტა და მას „რკინის ფარდა“ შემოავლო.

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით ცარიზმის მიერ შექმნილმა რეჟიმმა მძიმე მდგომარეობაში მოაქცია ოლქის მშრომელი მოსახლეობა. ბათუმისაგან ისინი მოწყვეტილი აღმოჩნდნენ, რადგან რუსმა მმართველებმა ბათუმიდან გატანილ ყოველგვარ საქონელზე პოლიციური ჩხრეკა დააწესეს. ყველა გზა-ჯვარედინზე საბაჟოები ჩამოყალიბდა და გამვლელ-გამომვლელს პირადი მოთხოვნილების უმნიშვნელო ნივთების გატანაც აუკრძალეს. მოსახლეობას საბაჟოების დაწესებით ესპობოდა საშუალება, ბაზარზე გაეყიდა თავისი შრომის პროდუქტები და იქ მისთვის აუცილებელი ნივთები შეეძინა. მოსახლეობა ამ ხელოვნურად შექმნილმა „რკინის ფარდამ“ კინაღამ პირველყოფილ-პატრიარქალურ მდგომარეობაში ჩააყენა. ბათუმის ოლქის მოსახლეობა სწრაფად დაადგა ეკონომიური დაქვეითების გზას. გზეთი „დროება“ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ბათუმის ოლქის მოსახლეობისათვის შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელიც პორტო-ფრანკოსთან დაკავშირებით შემოღებული რუსული რეჟიმის შედეგად შეიქმნა. გაზეთი წერდა: „ბათუმის მაზრის მცხოვრებნი სთხოვენ გუბერნატორს უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობას, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ აღარ იყოს. რადგან დიდი, ძალიან დიდი შევიწროება ადგია ტამოჟნის მხრით.[1] ერთი ორშინი ჩითის წაღება არ შეუძლიათ ბათუმიდან მაზრის მცხოვრებლებს მაშინ, როცა ერთადერთი სავაჭრო ცენტრი მთელის მაზრისა ბათუმია. რამდენსამე საზოგადოებას კიდეც შეუდგენია ჯეროვანი თხოვნა გუბერნატორთან ამ საქმეზე.

ყურადღების ღირსია შემდეგი ამბავი. რომელიც ამას წინათ მოხდა: ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის ტამოჟნის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმჭონი. ტამოჟნის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაუყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს... კანონით ყველაფერი

1 პორტო-ფრანკოს გაუქმების შესახებ მთავრობასთან საჩივარი შეიტანეს ქ. ბათუმის მოქალაქეებმაც.

გადახდა მეკოტრაბანდეს. ცხენი რაღა შუაში იყო; ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?"[1]

პორტო-ფრანკოს რუსული რეჟიმის შედეგად მოსახლეობასა და ახალ რუსულ ადმინისტრაციას შორის კიდევ უფრო მწვავდებოდა ისედაც დაძაბული ურთიერთობა. განსაკუთრებით მტრული ურთიერთობა დამყარდა საბაჟოს ორგანოებსა და ოლქის მშრომელ მოსახლეობას შორის. იქმნებოდა საფრთხე, რომ ოლქის ადგილობრივი მოსახლეობისაგან საესებით დაცარიელდებოდა ახლად შემოერთებული მხარე. რუსი მოხელეები პირველ ხანებში მაინც თვითონ უწყობდნენ ხელს ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და თურქეთში გადახვეწას, მაგრამ მთავრობა მაშინ მთელი მოსახლეობის გადასახლებისათვის მომზადებული არ იყო; აგრეთვე, კოლონისტების საჭირო დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არ ჩანდა. ამიტომ, მთავრობას მაინც უნებლიედ უნდა ეზრუნა ზოგ ადგილებში მკვიდრი მოსახლეობის შენარჩუნებაზე.

მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი 1881 წლის 1 მაისს შედგენილ მოხსენებაში წერდა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკო სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ბათუმის მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელია. პორტო-ფრანკო აბრკოლებდა რუსთა გავლენისა და კულტურის გავრცელებას. პორტო-ფრანკოს თანამედროვე მდგომარეობა... ქმნის მტრობასა და უნდობლობას ყოველგვარი რუსულისადმი. თუ ასე ჩქარა ვერ მოვსპობთ მის არსებობას, ის მაინც გაკეთდეს, რომ რაც შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს მისი მავნე შედეგები და მნიშვნელობა. ასეთ შედეგს შეიძლება მივაღწიოთ პორტო-ფრანკოს რაიონის შევიწროებით და ქალაქის გარეუბანში სავაჭროს მოწყობით, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს შეეძლებათ გაყიდონ თავისი მეურნეობის პროდუქტები და შეიძინონ საჭირო ფაბრიკული ნაწარმი, საბაჟოს ზედამხედველების მიერ ჩატარებული შემავიწროებელი პროცედურის გარეშე".

აღნიშნული მოსაზრება არაერთხელ იყო გამოთქმული და განხილული ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ შექმნილი კომისიის სხდომაზე. მაგრამ პორტო-ფრანკოს ახალი საზღვრების დაწესების საკითხი კომისიამ ვერ გადაწყვიტა, მისი გადაწყვეტა მიენდო კავკა-

1 გაზ. „დროება", № 245, 1883 წ., 13 ნოემბერი.

ხიის მეფისნაცვალსა და ფინანსთა მინისტრს.[1] ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მოულოდნელი იყო ის, რომ პორტო-ფრანკოს საზღვრები კი არ შეამცირეს, პირიქით, საჭიროდ მიიჩნიეს მისი შემდგომი გაფართოება. ამ საქმის ინიციატორი კავკასიის მთავარმართებელი იყო. 1884 წელს მან იშუამდგომლა უმაღლესი მთავრობის წინაშე პორტო-ფრანკოს საზღვრების გადიდების შესახებ და „ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა იმ პირობით, რომ ხარჯები, რომელსაც ახალი საზღვრების გაყვანა მოითხოვს, იკისროს ქალაქმა, რადგან ამისაგან ყველაზე მეტ სარგებლობას ნახავს ბათუმი“[2] ყველაფერი ეს, ალბათ. ნაკარნახევი იყო არა მარტო იმით, რომ შემსუბუქებულიყო გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობა (იგი იაფ საქონელს მიიღებდა პორტო-ფრანკოს გაფართოებულ საზღვრებში), არამედ იმითაც, რომ ეს გარემოება მეფის მექრთამე მოხელეებსაც საგრძნობ მოგებას მოუტანდა. მექრთამეობა მაშინ ცარიზმის ბიუროკრატიისათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო. ფ. ენგელსი 1875 წლის აპრილში გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ“ წერდა: ადმინისტრაცია დიდი ხანია მთლიანად გაიხრწნა; მოხელეები ცხოვრობენ უფრო ქურდობით, ქრთამებით და შანტაჟით, ვიდრე ჯამაგირით... მთელი ეს შენობა დიდი გაჭირვებით და გარეგნულადაა შემაგრებული ისეთი აზიური დესპოტიზმის გზით, რომლის თვითნებობაზე ჩვენ, დასაელეთში, წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია გვქონდეს.[3]

უმაღლესი მთავრობის გეგმებმა ბათუმის პორტო-ფრანკოს საზღვრების გადიდების შესახებ საპროტესტო ხმები წარმოშვა. ნ. ა. შავროვი, ცნობილი ინჟინერი, აბჭელდა პორტო-ფრანკოს რეაქციულ არსს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესთა თვალსაზრისით. პორტო-ფრანკოს ექვსწლიანი არსებობის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ბათუმის სავაჭრო განვითარება შეიძლებოდა წარმართულიყო მხოლ-

---

1 საქ. ცსსა, ფ. 416. აღწ. 3, საქმე 820, ფურ. 42-55.
დასმულ საკითხზე საქ. ცენტრალურ ისტ. არქივში შემონახულია მითითებული დოკუმენტი, ვრცელი და საყურადღებო მოხსენება, რომელსაც ეწოდება: **«Доклад начальника Главного Управления наместника Кавказского по делам городов Сухума и Батума его императорскому высочеству, государю великому князю наместнику Кавказскому от 1 мая 1881 года».**

2 ვახ. „დროება“, № 77, 1884 წ., 6 აპრილი.
ჯერ კიდევ 1883 წლისათვის ბათუმში პორტო-ფრანკოს საზღვარი 3 კილომეტრით გააგანიერეს (გაზ. „დროება“, № 220, 1883 წ.).

3 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950 წ., გვ. 59.

ოდ ფოთის ვაჭრობის მოსპობის ხარჯზე, რაც, რა თქმა უნდა, არ თავსდებოდა რუსეთის კაპიტალისტური განვითარების ინტერესებთან. დიდძალი ფული დაიხარჯა ფოთში ნავსადგურისა და რკინიგზის მშენებლობაზე. შავროვი შენიშნავდა, რომ პორტო-ფრანკოს პირობებში ბათუმელთა ცხოვრება არ გაიაფებულა, მხოლოდ კონტრაბანდული ვაჭრობა აყვავდა. ჩივიან ვაჭრები, რომლებიც დაზარალებულნი არიან ბათუმიდან კონტრაბანდის შემოტანის შედეგად; ჩივის, აგრეთვე, ბათუმის ოლქის მოსახლეობა, რომელიც შევიწროვებულია საბაჟო წესრიგისაგან. ნ. შავროვი წინასწარმეტყველებდა, რომ პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ ქ. ფოთი — ამჟამად მივიწყებული — მიიღებდა თავის ნამდვილ კომერციულ დანიშნულებას.[1] დაწყებული დავა მაინც იმით დამთავრდა, რომ პორტო-ფრანკოს საზღვრები გააფართოვეს ქალაქის აღმოსავლეთით ნავთობის რეზერვუარების დასადგმელად.

პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები, როგორც აღნიშნული გვაქვს, ხელს უწყობდნენ კიდეც შევიწროვებული მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეფის მოხელეთა შორისაც იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციის შენელებას ცდილობდნენ. ასეთ მოხელეთა რიცხვს ეკუთვნოდა ბათუმის ნავსადგურის უფროსი კონტრ-ადმირალი გრევე. ის ჯერ კიდევ 1880 წლის 9 ივლისს კავკასიის არმიის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ პ. პ. პავლოვს მოახსენებდა: „საჭიროა კარგად იქნეს შესწავლილი ხალხის მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზები... სამშობლოს მიტოვება ძნელია, ამაზე საჭიროა ვიფიქროთ. ...გადასახლებაში მიმავალთ პირადად დავკითხე, თუ რა არის ამის მთავარი მიზეზი? უმრავლესობამ თითქმის სიტყვა-სიტყვით მიპასუხა: „როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ სოფლიდან მივდიოდით იქ და ვყიდდით კვერცხს, რძეს, ყველს, თაფლს და ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა, ხოლო ვყიდულობდით ქალაქში, რაც გვჭირდებოდა და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა, მაგ-

[1] Н. А. Шавров, «О сравнительном значении Черного и Каспийского морей», (Известия Императорского общества для содействия Русскому торговому мореходству, вып. XVII, Москва, 1884 г., стр. 34).

რამ ახლა ყველას ისე გვჩხრიკავენ, როგორც ქურდებს და, რაც ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ყველაფერი ეს იმდენად აუტანელია, რომ ჩვენ უნდა გავეცალოთ აქაურობასო".[1]

ადმირალი გრევე ხალხის გადასახლების შეჩერებას მოითხოვდა.[2] ის აგრეთვე მოითხოვდა, რომ ბათუმში ყველაფერზე დაწესებულიყო საბაჟო გადასახადი და ქალაქიდან საქონლის გატანა თავისუფალი ყოფილიყო.[3]

მოსახლეობის გადახვეწას ხელს უწყობდა ისიც, რომ რუსეთმა ახლად შემოერთებულ მხარეში მმართველობა ხალხისათვის უცხო, რუსულ ენაზე მოაწყო. მაგალითად, 1879 წელს ბათუმში მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა ვინმე ბონდირევი. გაზეთი „დროება" წერდა, რომ ბონდირევმა არც ქართული იცოდა, არც თათრული და იგი მოსახლეობას სამსახურს ვერ გაუწევდა.[4]

მოსახლეობის მუჰაჯირებად თურქეთში გადახვეწის საქმეში გარკვეული როლი ითამაშა რელიგიურმა ფანატიზმმა. თურქეთის აგენტები დაძრწოდნენ ყურანით ხელში და აჭარის მოსახლეობას ერთმორწმუნე ოსმალეთისაკენ მოუწოდებდნენ.

თურქეთის აგენტები ხმას ავრცელებდნენ, რომ აჭარლებს მალე სალდათებად გაიწვევენო და სხვ. ასეთმა ცრუპროპაგანდამ ბევრი აჭარელი იმსხვერპლა.

პორტო-ფრანკოს რეჟიმმა 1886 წლამდე იარსება. ემიგრაცია, რომელიც 1878 წელს დაიწყო, განუწყვეტლივ გრძელდებოდა თითქმის ცთელი 8 წლის განმავლობაში. ბათუმის სისტემატური სტუმარი გახდა კონსტანტინოპოლის გემი, რომელსაც მრავალრიცხოვანი ბათუმელი მუჰაჯირები გადაჰყავდა.[5] სამშობლოდან გადახვეწილ ქართველ ხალხს თურქეთში შიმშილ-წყურვილი და ფიზიკური გადაგვარება მოელოდა. მიუხედავად ამისა, ემიგრაციის ტალღა ძლიერი იყო. ბევრი სოფელი დაიცალა. მურღულის ხეობა გაუკაცრიელდა. ყოველივე ეს ინგლის-ოსმალეთის ძირგამომთხრელი საქ-

1 მწერალ დ. კლდიაშვილის მემუარებშიც ასეთი სურათია გადმოცემული. (.მოთხრობები, პიესები, მემუარები", ტ. II, თბილისი, 1935 წ.).

2 ადმირალ გრევეს გამოანგარიშებით, ახლად შემოერთებულ მხარეში 5.000 უშიშარი მეზღვაური იყო და საჭირო იყო მათი შენარჩუნება.

3 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 41-42.

4 გაზ. „დროება", № 43, 27 თებერვალი, 1879 წ.

5 Юридическое обозрение, еженедельный журнал. № 9, Тифлис, 28 мая, 1881 г.

მიანობის, პორტო-ფრანკოს დაწესების და ცარიზმის აუტანელი რეჟიმის ნაყოფი იყო.

რუსეთის მიერ 1886 წლის 23 ივლისს პორტო-ფრანკოს გაუქმება ცალმხრივ აქტს წარმოადგენდა. ამან ძალზე ააღელვა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები. საზღვარგარეთული პრესა სისტემატურად ათავსებდა სტატიებს რუსეთის მიერ ბერლინის ტრაქტატით გათვალისწინებული ხელშეკრულების დარღვევის შესახებ.[1]

ბათუმისათვის 1886 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია. პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ ბათუმი უკვე აღარ წარმოადგენდა ევროპის კაპიტალიზმის საქონლის გასაღების ბაზარს. მას რამდენადმე დამოუკიდებელი სამრეწველო-ეკონომიური განვითარების საშუალება მიეცა.[2] ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ახალი საფეხური ბათუმის ეკონომიური განვითარების ისტორიაში.

—•—

1 საქ. ცსსა, ფ. 1438, საქმე 447, ფურც. 9.

2 ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებამ დადებითი გავლენა იქონია ფოთის საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია გაზეთმა „თეატრმა", რომელიც წერდა: „ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს ფოთიდან, რომ ამ უკანასკნელ დროს, ბათუმის პორტო-ფრანკოს ახსნის დროს, ფოთს არაჩვეულებრივი მოძრაობა და სიცოცხლე დაეტყო. ვაჭრობასაც ფრთები შეესხა, მოგზაურებიც ბევრი მოდიან, მიწების ფასმა ერთიორად იწია, ასე რომ, ის მიწა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ 200 მან. ღირდა, ახლა 400 — 500 მანეთად ვერ იშოვება"-ო (გაზ. „თეატრი", № 36, 1886 წ.).

თავი მეორე

ბათუმის სოციალურ-ეკონომიური განვითარება რუსეთთან შეერთების შემდეგ

1. ბათუმის ტერიტორია, მოსახლეობა და სოციალური შემადგენლობა

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჩრდილოეთ განედის 41°,39′ და აღმოსავლეთ გრძედის 41°38′. ბათუმი არის შავი ზღვის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური ჩვენს ქვეყანაში და ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის უკანასკნელი სადგური.

ბათუმში ცხოვრობს 70,8 ათასი კაცი (1939 წლის აღწერით). ბათუმი და მისი მიდამოები ყველაზე უფრო თბილი ადგილია შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე თავისი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით.

ბათუმი ხასიათდება მაღალი ტენიანობით (საშუალო წლიური 80 %), იცის კოკისპირული წვიმები. საშუალო წლიური ნალექი უდრის 2418 მილიმეტრს. ნალექი წლის დროების მიხედვით ასე ნაწილდება:

გაზაფხულზე	—	338 მილიმეტრი
ზაფხულში	—	465 „—“
შემოდგომაზე	—	844 „—“
ზამთარში	—	671 „—“

საშუალოდ წელიწადში წვიმიანია 154 დღე, მზიანი — 112 და ღრუბლიანი — 72 დღე.

საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის	+14,7°
ზაფხულის საშუალო ტემპერატურა	+22,7°
ზამთრის	+7,1°
აბსოლუტური მაქსიმუმი	+36,6°
აბსოლუტური მინიმუმი	— —8,2°

ბათუმში ტემპერატურა მკვეთრად არ მერყეობს. მდინარეები და ზღვა არასოდეს არ იყინება. გაზაფხულზე და ზაფხულში განუწყვეტლივ ქრის ნიავი, რომელიც მნიშვნელოვნად ანელებს სიცხეს.[1]

შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქები წლიური საშუალო ნალექების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ფოთი — 1.614 მილიმეტრი, სოხუმი — 1.231 მილიმეტრი, ნოვოროსიისკი — 695 მილიმეტრი.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ნალექების სიუხვით ბათუმს შავი ზღვის სანაპიროზე პირველი ადგილი უჭირავს.[2]

ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპირო ვაკე-დაბლობზე, რომელიც ძირითადად შექმნილია ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალით. ამ დაბლობის რელიეფი თითქმის ერთგვაროვანია და სწორი ზედაპირით ხასიათდება. მთელი ეს მიდამო მდინარე ჭოროხიდან მდ. ბარცხანამდე და მდ. ყოროლისწყლამდე ზღვის დონიდან ერთნახევარ მეტრზე მდებარეობს და მხოლოდ „გოროდოკთან“ იწყება ამაღლება. ბათუმის ვაკე-დაბლობს აღმოსავლეთიდან საზღვრავს გორაკ-ბორცვიანი ზოლი, რომელიც შექმნილია ჩაქვის ქედიდან წამოსული სამხრეთ-დასავლური მიმართულების მთებით, რომლებიც თანდათანობით დაბლდება სანაპირო ვაკესთან მიახლოებისას და ქმნის მცირე სიმაღლის (ხელვაჩაურის, კახაბრის და ფერიის) მაღლობებს. ეს მაღლობები უშუალოდ ებჯინება ზღვისპირა ვაკეს, რომელსაც კახაბრის დაბლობსაც ეძახიან.

ქ. ბათუმისა და მისი მიდამოების ტერიტორია დასერილია პატარა მდინარეებით (მდ. ანგისა, მეჯინისწყალი, ბარცხანა და ყორილისწყალი), თუ არ მივიღებთ მხედველობაში მდ. ჭოროხს, რომელიც ქალაქის სამხრეთით მიედინება და ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა საქართველოში. მისი მხოლოდ ქვემო წელი მიეკუთვნება სა-

---

[1] Большая Советская Энциклопедия, т. IV, изд. II. стр. 309.
თ. ხარჩილავა, „უხვი ნალექები დასავლეთ საქართველოში“ (სადისერტაციო შრომა), 1953 წ. ექ. ერიქსონის წიგნში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით ბათუმში საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის + 14,8, მაგრამ ის ამჟამად მოძველებულია. Э. В. Эриксон, Опыт санитарного обзора окрестностей Батума, стр. 3—5.

[3] Справочник указатель Аджаристана на 1926 г. Издательство «Рабочая правда», Тбилиси, 1929 г., стр. 29—30.

ქართველოს. ბათუმში გამდინარე მდინარეები მცირეწყლიანებია, მათ წყალდიდობა ახასიათებთ, უმეტესად კოკისპირული წვიმების დროს, განსაკუთრებით შემოდგომაზე.

ქალაქის ფარგლებში გეხვდება, აგრეთვე პატარა ტბები, მათ შორის შედარებით მოზრდილია ე. წ. „ნურიე-გელის“ ტბა (ახლანდელ პიონერთა პარკში). ეს ტბა წინათ უკავშირდებოდა ზღვას, ამჟამად კი მისგან გამოყოფილია ვიწრო სახმელეთო ზოლით და ძირითადად ატმოსფერული ნალექებითა და გრუნტის წყლებით იკვებება.

მცირეწყლიანი მდინარე ანგისა რუსეთის ხელში ბათუმის გადასვლის დროს ზღვის შესართავთან ქმნიდა ჭაობს, რომელიც „ნურიე-გელის“ ტბის გაგრძელებას წარმოადგენდა.[1]

ოსმალთა ბატონობის დროს ქ. ბათუმის პირობითი საზღვარი იწყებოდა ნავსადგურთან და გრძელდებოდა მდ. ანგისამდე, მაგრამ ფაქტიურად საქალაქო დასახლება მხოლოდ „ნური-გელის“ ტბამდე მიდიოდა. რადგან ამას იქით ადგილი დაფარული იყო გაუვალი ტბა-ჭაობითა და ლაქაშებით. ქალაქის აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარე, თანამედროვე პუშკინის ქუჩის გაყოლებით კახაბრის გორაკებამდე, წარმოადგენდა ძნელად გასასვლელ ჭაობს,[2] რომელიც მალარიის ბუდე იყო.

ბათუმში გავრცელებულმა მალარიამ საფრთხე შეუქმნა მესაზღვრე და მეცხოვნე ჯარისკაცთა ჯანმრთელობას, ამიტომ, რუსთა სარდლობა იძულებული იყო ჯარი მეტწილად მთიან ადგილებში დაებანაკებინა. მიღებულ იქნა ერთგვარი ზომები კლიმატის გასაუმჯო-

---

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 289, ფურც. 23. ეს ადგილი ზოგიერთ წყაროებში და რუკაზე ნაჩვენებია ტბად. უფრო სწორი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა ჭაობი.

2 ამჟამად ეს ადგილები ძირითადად ამოშრობილი, გეგმიანად დასახლებული და კეთილმოწყობილია, მაგრამ მან ჯერ კიდევ შეინარჩუნა თავისი ძველი ტრადიციული სახელწოდება — ბათუმელები ახლაც მეტსახელად „ჭაობას“ უწოდებენ.

ბესებლად.[1] ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა განკარგულება გასცა, რომ ქალაქის გარეუბნებში შეწყვეტილიყო ბრინჯის თესვა, რადგან მისი ვრცელი პლანტაციები კიდევ უფრო აჭაობიანებდა ბათუმის მიდამოებს.[2] ქალაქის მოსახლეობამ იმ მატერიალური ზარალის გამო, რომელიც მას გუბერნატორის განკარგულებამ მიაყენა, 1880 წელს დეკემბერში საჩივარი აღძრა კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე. მოსახლეობის ეს თხოვნა არ იქნა შეწყნარებული იმ მოტივით, რომ აღნიშნული განკარგულება მიზნად ისახავდა ბათუმის ჰავის გაჯანსაღებას.[3]

ბათუმში თურქეთის ბატონობის დროს თითქმის არავითარი სამელიორაციო მუშაობა არ წარმოებდა. ამიტომ, გაუვალი ჭაობიანი ბლომად იყო არა მარტო ქალაქის გარეუბანში, არამედ თვით მის ცენტრშიც. განსაკუთრებით ჭაობიანი იყო ის მიდამოები, სადაც ამჟამად აჭარის სახელმწიფო არქივის ლამაზი არქიტექტურული შენობა დგას.[4]

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმი იყოფოდა 4 უბნად: „აზიზიე", „ნურიე" „ახმედიე" და „მუფთიე". რუსული მმართველობის დამყარების პირველ წლებშივე ბათუმს კიდევ ერთი ახალი კვარტალი მიემატა, რომელსაც „სარი-სუ" ეწოდებოდა (ახლანდელი „გოროდოკი"). ახალმა მმართველობამ ქალაქის ეს კვარტალი სახაზინო საკუთრებად გამოაცხადა.[5]

ქ. ბათუმის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმედ მაინც შეს-

---

1 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 1.172, ფურც. 1-2.

2 ჭაობს, რომელიც მაშინ ეკუთვნოდა ბათუმს, ეჭირა 660 დესეტინა ფართობი. 1882 წელს აქ გაყვანილ იქნა ორი მაგისტრალური არხი. ერთი მათგანი გაყვანილია მთიდან და ერთვის შავ ზღვას. მეორე არხი გაყვანილია პირველის პერპენდიკულარულად და მასვე ერთვის. პირველი არხის სიგრძეა 4 კილომეტრი და 400 მეტრი, ხოლო მეორე არხისა — 2 კილომეტრი და 600 მეტრი. პროექტი შეადგინა ინჟინერმა ჟილინსკიმ. В. И. Жилинский, Медико-топографический очерк Батума, см. «Медицинский сборник», № 38, Тифлис, 1884 г., стр. 139-140.

3 საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 820, ფურც. 59.

4 რკინიგზის ახლანდელი ვაგზლიდან, ცხაკაიას, შაუმიანის და თბილისის ქუჩებს შუა რამდენიმე ჰექტარი ეჭირა ტბას და ჭაობს, რომელსაც ბათუმის. პატარა ტბას უწოდებდნენ. ალბათ გულისხმობდნენ, რომ დიდი ტბა იყო „ნურიეგელი". ამ ადგილის ნაწილი ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ დაუთმო ამიერკავკასიის რკინიგზას სამგზავრო სადგურის ასაშენებლად. ტბა ამოაშრეს. და ადგილი მოზვინეს მე-19 საუკუნის 90-იან წლებში (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 7, საქ. 38. ფურც. 22-23. იქვე, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 52, ფურც. 13).

5 С. Анисимов, Батумское побережье, «Русские тропики», сборник статей, Батум, 1911 г., стр. 125.

წავლის მიზნით ჩვენს ყურადღებას იმსახურებს საქალაქო ტერიტორიისა და მისი დაგეგმვის გაცნობა გარკვეულ პერიოდში (1878 — 1907 წ.წ.).

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ფონდში დაცულია ქ. ბათუმის გეგმა, რომელიც შესრულებულია რუსი კარტოგრაფოსის მიერ 1878 წელს. გეგმაში ნაჩვენებია პორტო-ფრანკოს მიახლოებითი საზღვრები, მის გარშემო დაწესებული საბაჟოები, სამხედრო სიმაგრეები და ქალაქის სხვა სქემატური ლანდშაფტი. მიუხედავად ასეთი ღირსებისა, სამწუხაროდ, აღნიშნულ გეგმაში არ ჩანს, თუ რას უდრიდა იმ დროისათვის საქალაქო ტერიტორიის ფართობი, რომელიც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს.

1879 წელს ბათუმის საადგილმამულო კომისიამ ქალაქის ტერიტორია ნაკვეთებად დაჰყო. აღმოჩნდა, რომ ქალაქის ტერიტორიის რაიონში ჩათვლილ ადგილებს ეჭირა 4.238 დესეტინა ფართობი, რომელიც მდებარეობდა მდ. ყოროლისწყალსა და ჭოროხს შუა.

ვ. ჟილინსკის ცნობით, 1884 წელს ქ. ბათუმის ტერიტორია უდრიდა 1.200 დესეტინას, ხოლო პორტო-ფრანკოს 2.000 დესეტინა ფართობი ეკავა.[1]

ქალაქის ტერიტორიაზე ბლომად იყო დაუსახლებელი ადგილები. ჩამოსული ხალხის დასახლებას აბრკოლებდა ის, რომ მთავრობა ხშირად მიწის მფლობელებს არ აძლევდა უფლებას თავისუფლად გაეყიდათ მიწის ნაკვეთები.

1885 წელს შედგენილ იქნა ქ. ბათუმის გეგმა, რომელიც იმეორებდა პორტო-ფრანკოს ფარგლებს. მასში შედიოდა უმნიშვნელო ტერიტორია 3,5 კვადრატული ვერსით, რაც სრულიად არასაკმაო იყო მზარდი ქალაქისათვის.[2] ამიტომ ჯერ კიდევ 1888 წელს საჭიროდ იქნა ცნობილი 1885 წელს შედგენილი გეგმის გადასინჯვა. ასეთ მდგომარეობაში დახვდა ქალაქის გეგმა 1888 წლის ბოლოს შექმნილ საქალაქო თვითმმართველობას.[3]

---

1 Медико-топографический очерк Батума, В. И. Жилинского, კრებულიდან «Медицинский сборник» № 38, Тифлис, 1884 г., стр. 128.

2 პორტო-ფრანკოს საზღვრები დააწესა სპეციალურმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: 1. დეპარტამენტის დირექტორი, 2. საკარანტინო-საბაჟოს გამგე და 3. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 289, ფურც. 18).

აღნიშნული კომისიის აქტში, რომელიც შედგენილია 1878 წლის 20 ოქტომბერს, პორტო-ფრანკოს საზღვრად მითითებულია მდ. მეჯინისწყალი, მაგრამ 1898 წელს თბილისის სასამართლო პალატის საექსპერტო კომისიამ, მიწის საკითხებზე ატეხილ დავასთან დაკავშირებით, გამოარკვია, რომ პორტო-ფრანკოს საზღვარი ფაქტიურად იყო მდ. ანგისა (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 252, ფურც.5).

3 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 289, ფურც. 18.

ახლად შექმნილმა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ ქალაქის გეგმის შედგენა დაავალა სპეციალურ კომისიას სახელმწიფო მრჩეველ რჩეულიშვილის თავმჯდომარეობით. შედგა ორი გეგმა: შიდა ქალაქისა და გარეუბნისა. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა გაფართოებულიყო ქალაქის ტერიტორია, რადგან ქალაქის ცენტრის დიდი ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო. ქალაქის ტერიტორიის გაფართოების საჭიროება გამოიწვია ბათუმის ვაჭრობა-მრეწველობის სწრაფმა ზრდამ, რომელსაც თან სდევდა ქალაქის მოსახლეობის მატების სწრაფი ტემპი. კომისიამ საჭიროდ სცნო ქალაქის ფარგლები გაზრდილიყო ისე, რომ მას ჰქონოდა საკმაო საძოვრებიც პროდუქტიული მეცხოველეობის განსავითარებლად. ეს ნაკარნახევი იყო იმით, რომ ბათუმის ახლო-მახლო სოფლების გაჩანაგების გამო ქალაქის მოსახლეობა ცუდად მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, განსაკუთრებით — რძით.

ბათუმის მიდამოებში ძალზე დაბალი იყო მეცხოველეობის განვითარების დონე, რადგან საძოვრების ფართობი 100 დესეტინას არ აღემატებოდა. მართალია, საერთო ფართობი 1885 დესეტინამდე აღწევდა, მაგრამ აქედან 400 დესეტინა ეკავა ტყე-ბუჩქნარს, 600 დესეტინა იყო სახნავ-სათესი; 890 დესეტინაზე მებაღეობა-მებოსტნეობას მისდევდნენ და ბოლოს ამ საერთო ფართობში შედიოდა ის ტერიტორიაც, რომელიც დაკავებული ჰქონდა სამხედრო მნიშვნელობის სიმაგრეებსა და ნაგებობებს. ყოველივე ამის შემდეგ საძოვრებად რჩებოდა არა 100, არამედ 50 დესეტინამდე. ამის გამო კომისიამ დააყენა საკითხი ქალაქის ფართობში შესულიყო მდ. აჭარისწყლიდან ყოროლისწყლამდე ტერიტორია, რომელიც უდრიდა 13.500 დესეტინას. ქალაქის თვითმმართველობამ აღნიშნული პროექტი მიიღო.

რჩეულიშვილის (რჩეულოვის) მიერ შედგენილი პროექტით, ბათუმის სიგრძე უდრიდა 5,5 ვერსს, სიგანე — 1,5 ვერსს, ქალაქის ფართობი დაახლოებით 6,5 კვადრატულ ვერსს, ანუ დესეტინას, გარეუბნების ჩათვლით კი — 13.500 დესეტინას.[1]

რჩეულიშვილის მიერ შედგენილი გეგმა კავკასიის მთავრობამ არ დაამტკიცა და ამ საქმეზე ცნობების შესაგროვებლად ბათუმში ინჟინერი სიმონსონი მიავლინა.

1892 წელს სიმონსონი ადგილზე გაეცნო რჩეულიშვილის მიერ შედგენილ გეგმას და საჭიროდ დაინახა მისი გადაკეთება. 1892

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 7, საქმე 52, ფურც. 10-15.

წლის 22 ივლისს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ სთხოვა ინჟინერ სიმონსონს მონაწილეობა მიეღო ქალაქის ახალი გეგმის შემუშავებაში და ამ საქმისათვის გამოყო 2.000 მანეთი, მაგრამ სიმონსონმა უარი განაცხადა.

ბათუმის სამოქალაქო თვითმმართველობამ ახალი გეგმის შედგენა ამჯერად მიწათმომწყობ ლიპინსკის დაავალა. 1900 წლის 1 ივლისს ლიპინსკის ნამუშევარი შეამოწმა თვითმმართველობის განსაკუთრებულმა კომისიამ და მოიწონა იგი.

ლიპინსკის გეგმის თანახმად ქალაქის ფარგლები იზღუდებოდა არა პორტო-ფრანკოს ყოფილი საზღვრებით, არამედ სამხედრო უწყების შოსეთი, რომელსაც აგრძელებდა გზა სასაფლაოსკენ.

1900 წლის 17 ნოემბერს ქალაქის გეგმა განიხილა ბათუმის ციხის კომენდანტმა. 1901 წლის 9 იანვარს იგი დასამტკიცებლად წარედგინა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, მაგრამ ეს გეგმა ამჯერადაც არ დაამტკიცეს. ამის მიზეზი გახდა ის, რომ მთავრობა ბათუმში ნავთობის „გოროდოკის“ აშენებას ფიქრობდა და ეს გარემოება ქალაქის საერთო გეგმაში უნდა ასახულიყო.

1905 წლის 30 მაისს ინჟინერ რიტელს შეუკვეთეს ქალაქ ბათუმის გეგმის შედგენა. ინჟ. რიტელმა შეკვეთა შეასრულა. გეგმა სათანადო სპეციალისტებმა განიხილეს. ამ გეგმის თანახმად, ქალაქის ფარგლებში შედიოდა მთელი „გოროდოკი“ (რომელსაც ქ. ბათუმის ტერიტორიის 40 % ეჭირა), ბარცხანის სანახები და მდ. სარო-სუს მიდამოები.[1] ქ. ბათუმთან, აგრეთვე, შეერთებული იყო მიწის ნაკვეთი მდ. მეჯინა-სუმდე (ხეობიდან დაახლოებით 250 საჟენზე). აქედან პირდაპირი ხაზი გადიოდა ნავთობის „გოროდოკის“ საზღვრამდე, რომელიც მიიმართებოდა მეჯინიდან დასავლეთისაკენ.

ინჟ. რიტელის მიერ შედგენილი გეგმა 1912 წლის 12 დეკემბერს დასამტკიცებლად წარედგინა ბათუმის გენერალ-გუბერნატორს.[2]

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, ვითომ ბევრს ეცადა,

---

1 საქ. ცსსა, ფ. 13, აღწ. 2, საქმე 3. ფურც. 130-131.

2 აჭარის სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 261, ფურც. 54.

1898 წელს „გოროდოკის“ საზღვრები დააწესა ე. წ. „სუბ-კომისიამ“ ნ. ზაბუგინის თავმჯდომარეობით. პირობითი საზღვრები იყო: აღმოსავლეთით — მდ. ბარცხანა, დასავლეთით — არხი, დაკავებული ციხის ბატალიონის მიერ, ჩრდილოეთით — მიწა მთისძირის გზატკეცილამდე 25 საჟენის დაშორებით. **Отчет председателя «суб-комиссии» по устройству нефтяного городка в Батуме, Н. П. Загугина, стр. 220).**

მაგრამ მეფის ბიუროკრატული აპარატისათვის საქმის გაჭიანურება ხომ ტრადიციული ჩვეულება იყო და, როგორც კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მიერ შედგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ქ. ბათუმის გეგმა 1917 წლის 17 მაისსაც კი, დამტკიცებული არ ყოფილა.[1]

ქ. ბათუმის საზღვრების დადგენასა და მის გეგმიანობაში თავიდანვე კაპიტალისტური საქალაქო მეურნეობისათვის დამახასიათებელმა ანარქიულობამ იჩინა თავი. საქალაქო მშენებლობაც მეტწილად კაპიტალის ძალით თავგასულ პირთა თვითნებობაზე იყო დამყარებული.[2]

როგორც ვიცით, ოსმალთა ხელში ბათუმი წარმოადგენდა ფეოდალურ, შუასაუკუნეობრივ სავაჭრო ქალაქს, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიწათმოქმედებას მისდევდა.

ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ქ. ბათუმის მოსახლეობისა და მისი საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ შემონახულა. 1872 წელს პალგრევის[3] მიერ შედგენილი საანგარიშო მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ მთელს ბათუმში 200 სავაჭრო ღუქანი იყო და არავითარი საწარმოო წამოწყება არ არსებობდა. პალგრევი იძლევა ბუნდოვან ცნობას მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მისი გადმოცემით, 1872 წელს ბათუმში ცხოვრობდა: მაჰმადიანი — 4.500, ბერძენი — 350, სომეხი — 120, სულ 4.970 სული.

ბერძნებსა და სომხებს გარდა ბათუმში ცხოვრობდნენ: ქართველები, თურქები ,ჩერქეზები, აფხაზები და ზანგები.[4]

შეიძლება ითქვას, რომ ბათუმი „საევაკუაციო პუნქტი" გახდა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ელემენტებისათვის, რომლებიც რუსეთის იმპერიის ფარგლებს ტოვებდნენ და საზღვარგარეთ მიდიოდნენ.[5]

1878 წელს რუსების შემოსვლის მომენტში ბათუმში ითვლებოდა ორიოდე სქესის 3.000 მოქალაქე.[6] მოსახლეობის ასე მასობრივად

---

1 აჭარის სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 261, ფურც. 69.

2 საქალაქო სათათბიროს ოქმებიდან ირკვევა, რომ ბათუმში მხოლოდ 1.890 წლიდან დაწესებულა მშენებლობის ტექნიკური მეთვალყურის თანამდებობა. (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 7, საქმე 70, ფურც. 1).

3 პალგრევი იმ დროს ინგლისის კონსულად იყო ანატოლიაში.

4 Отчет консула В. Джиффорда Палгрева, 1872 года. Приложение VII тому ИКОРГО, Тифлис, 1882 г., стр. 115-116.

5 იქვე. გვ. 122.

6 И. С. Месхи, Очерк развития Батумского городского хозяйства, «Батум и его окрестности», 1906 г., стр. 461.

განთესვის მიზეზი ის იყო, რომ მისი საგრძნობი ნაწილი, ზემოთ ნაჩვენები მიზეზების გამო, გაიბიზნა.

რუსეთის ხელში ბათუმის გადასვლას მოსახლეობისათვის დიდი სოციალური ცვლილებები მოჰქონდა. ამ ისტორიული აქტით, ბათუმში ფეოდალური ურთიერთობა ბურჟუაზიულს უთმობდა გზას. ქალაქიდან გარბოდა მკვიდრი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც ვერ გაუძლო ბათუმში მომხდარ ახალ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ძვრებს, მაგრამ მათ მაგიერ ქალაქს ავსებდნენ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამყარებლად მომზადებული ადამიანები. მოსულთა ხარჯზე ახალი, ბურჟუაზიული ბათუმი იზრდებოდა. 1880 წელს ბათუმის მოსახლეობა 3.500 სულამდე აღწევდა, ე .ი., 1878 წელთან შედარებით, ის 500 სულით გაზრდილა.[1]

ბათუმის განვითარების ისტორიაში რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველი ორი წელი გარდამავალი იყო. პირველ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ ბათუმს გრანდიოზული წინსვლა ელოდა.

1882 წლის 19 მარტს ჩატარდა ბათუმის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა. აღმოჩნდა, რომ აქ ერთი წლის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობამ 3.500-დან 8671 სულს მიაღწია (მათ შორის, მამრობითი — 6.931, მდედრობითი — 1.740).

ეროვნებათა მიხედვით, 1882 წლის ერთდღიანი აღწერის შედეგად აღმოჩნდა: ქართველები — 1156, რუსები — 980, თურქები — 603, აფხაზები — 377, სომხები — 908, სპარსელები — 112, ებრაელები — 179, ბერძნები — 1106, გერმანელები — 145, ფრანგები — 24, იტალიელები — 19, ინგლისელები — 10.

ბათუმში ცხოვრობდნენ — 4290 რუსეთის ქვეშევრდომი, 1146— თურქეთისა და 38 საბერძნეთისა.

ბათუმში თავიანთი კონსულები ჰყავდათ ოსმალეთს, საფრანგეთს და ინგლისს.

რელიგიური მრწამსის მიხედვით მოსახლეობა შემდეგნაირად იყოფოდა: მართლმადიდებლები — 3158, სომეხ-გრიგორიანები — 436, სომეხ-კათოლიკები — 316, კათოლიკები — 176, პროტესტანტები — 101, რუსი სექტანტები — 42, იუდაელები — 179, მუსლიმანები — 1282.

---

1 И. С. Месхи, Очерк развития Батумского городского хозяйства, («Батум и его окрестности», 1906 г., стр. 460).

მუსლიმანებს ჰქონდათ 3 მეჩეთი, მათ შორის, ერთი ქვითკირისა; ბერძნებს — ქვითკირის ერთი ეკლესია; რუსებს — ხის ერთი ეკლესია, სომეხ-გრიგორიანებსა და სომეხ-კათოლიკებს — თითო ეკლესია.

ბათუმში მაშინ წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 2751-ს, ხოლო უცოდინართა — 3.000 უდრიდა.

მოსახლეობის კლასიფიკაცია, შრომისა და საქმიანობის მიხედვით, შემდეგ სურათს იძლეოდა: ვაჭრები და ნოქრები — 584 კაცი, შინამოსამსახურეები—582, მუშა — 465, მენავე—63, ექიმი — 16, გინეკოლოგი — 2, ბებიაქალი — 6, მეაფთიაქე — 7, მასწავლებელი — 15, მხატვარი — 1, გაზეთის რედაქტორი — 1, მკინძავი — 2 კაცი.

ბათუმში თურქების დროს აშენებული ყოფილა 569 სახლი, მეტწილად ქოხმახები. 1877-1878 წ. წ. ააშენეს 305 სახლი. მაშინ ბათუმში არსებული 874 სახლიდან კაპიტალური ნაგებობა მხოლოდ 89 იყო. სახლების ორ მესამედზე მეტი ერთსართულიანი იყო. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ქოხმახებში ცხოვრობდა.[1]

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან ბათუმის სამრეწველო და სავაჭრო განვითარება ჩქარი ტემპით წავიდა წინ. საქალაქო ცხოვრების საერთო განვითარებას თან სდევდა მოსახლეობის რიცხვის ზრდა, სოციალური დიფერენციაცია, ეკონომიური და პოლიტიკური ანტაგონიზმის გამწვავება და სხვ. საქალაქო ცხოვრების გართულებამ და მოსახლეობის ზრდამ ახლად ჩამოყალიბებული საქალაქო თვითმმართველობის წინაშე ხელახლა დააყენა ბათუმის მოსახლეობის აღწერის საკითხი.[2] მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1890 წლის 17 ივნისს.[3]

აღმოჩნდა, რომ ბათუმის ძირითადი მოსახლეობა 14.674 სულს შეადგენდა. ჩამოსული მოწაფეები, ჯარისკაცები, ჰოსპიტლის ავადმყოფები, რეიდზე მყოფი გემების მეპატრონეები და მოსამსახუ-

---

[1] Известия Кавк. Отд. Русского геогр. общества, т. VIII, 1884-1885 гг., стр. 94.

2 წინასწარი ცნობების მიხედვით, 1889 წელს ბათუმის მოსახლეობამ 12.000 სულს მიაღწია.(Н. С. Державин, Краткий очерк истории Батумского края, ежегодник г. Батума, 1902 г., стр. 46-47).

3 ქალაქის სათათბირომ აღწერის ჩასატარებლად გამოყო 500 მანეთი. აღწერის შედეგები დამუშავდა საქალაქო თვითმმართველობის მდივან ივ. მესხის ხელმძღვანელობით და შედეგები გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად. (Батум по однодневной переписи 17-го июня 1890 г., издание Батумской городской управы, г. Батум, 1891 г., стр. 1—12).

რეები აღწერის დღისათვის იყო 3.449 სული, მთლიანად კი აღწერის დღეს ქალაქში 18.123 კაცი აღმოჩნდა, მათ შორის: მამაკაცთა რაოდენობა უდრიდა 14.180 სულს, ხოლო ქალთა—3.943 სულს. ყოველ 100 მამაკაცზე მოდიოდა 27 ქალი. ქალთა სქესის ასეთი სიმცირე იმით იყო გამოწვეული, რომ ფაბრიკა-ქარხნებში იმ დროს უმთავრესად მამაკაცები მუშაობდნენ. გარდა ამისა, აღწერაში რუსთა მრავალრიცხოვანი მეციხოვნე ჯარიც შევიდა.

ბათუმის მუდმივი მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

რუსები	4161	—„—	—„—	— 22,95%
ქართველები	3574	—„—	—„—	— 19.72%
სომხები	3128	—„—	—„—	— 17.25%
ბერძნები	1995	—„—	—„—	— 11.00%
ებრაელები	862	—„—	—„—	— 4,76%
თურქები	1171	—„—	—„—	— 6.48%[1]

სულ 14.891 სული, ანუ 82,16%, დანარჩენ 17,84%-ს არამუდმივი მოსახლეობა შეადგენდა.[2]

1890 წლის აღწერით, მუშათა შორის ყოველ 100 მამაკაცზე საშუალოდ 11 ქალი მოდიოდა.[3]

სოფლის მოსახლეობის სწრაფი პაუპერიზაციის მიუხედავად, პირველ ხანებში სოფლიდან ბათუმში სამუშაოდ ქალები იშვიათად თუ მიდიოდნენ, რადგან ფაბრიკა-ქარხნებში შრომის პირობები აუტანელი იყო. გარდა ამისა, წეს-ჩვეულებების გავლენით ქალი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყული იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში ძველი შეხედულებები და წესები ირღვეოდა. სოფლად განვითარებადი დიფერენციაცია სამუშაო ძალის გამყიდველებს ქალაქისაკენ ერეკებოდა და ამ პროცესში ქალებიც ჩაებნენ.

1890 წელს ბათუმში ცხოვრობდნენ:

გლეხები	— 6795 კაცი		37,49%
მეშჩანები	— 4240	„	23,39%
საზღვარგარეთელი ქვეშევრდომები წოდების აღუნიშნავად	— 2039	„	11,25%

1 სინამდვილეში თურქული მოსახლეობა გაცილებით ნაკლები იყო. აღწერის ჩამტარებლებმა მთავრობის მითითებით აჭარლები თურქებს მიათვალეს.

2 Батум по однодневной переписи... стр. 19.

3 იქვე, стр. 51—53.

გაურკვეველი წოდებისანი	— 1514	—	8,36 %
აზნაურები	— 1404	—	7,76 %
მოქალაქეები	— 1171	—	6,46 %
ვაჭრები	— 375	—	2,08 %
დაბალი ჩინის პირები	— 216	—	1,19 %
სასულიერო წოდება	— 144	—	0,77%
თავადთა წოდება	— 116	—	0,65 %
თადარიგის ჯარისკაცები	— 44	—	0,25 %
ბათუმის მცხოვრებლები (იგულისხმება ძველი მოსახლეები)	— 24	—	0,13 %
მაღალი ჩინის მოხელეები	— 16	—	0,08 %
ბეგები და აღები	— 9	—	0,04 %
„უკანონოდ შობილნი“	— 6	—	0,03 %
აზნაურობის მაძიებელნი	— 3	—	0,01 %
შლიახტელი	— 1	—	—
სულ	— 18.123 კაცი.[1]		

აღწერა უჩვენებს, რომ ბათუმში მუდმივ სამუშაოზე იყო 4.178 მუშა.[2] იყვნენ, აგრეთვე, გაურკვეველი პროფესიის პირები — 218,

სამსახურის მაძიებელნი — 6

კომისიონერები — 78

პროსტიტუტკები — 93 (ქალაქში ამ დროს „თავშესაფარი სახლების“ რაოდენობა შვიდს უდრიდა).

მუდმივ სამუშაოზე მყოფთაგან (როგორც მუშები, ისე სხვა პროფესიის საქმოსნები — 4811 კაცი) სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებებში ჩაბმული იყო 1090 კაცი, მრეწველობაში კი — 2407 კაცი.

ბათუმის მოსახლეობის 51,98 % წერა-კითხვის მცოდნე, ხოლო 48,2 % — უცოდინარი იყო.[3]

ყოველგვარი სახის შენობიდან 1890 წელს აღრიცხეს: სახაზინო — 19, ქალაქის — 18, სამრეწველო საზოგადოების — 115, საეკლესიო — 2, კერძო პირთა — 2182, სულ — 2336.[4]

---

1 Батум по однодневной переписи, стр. 66.
2 4178 მუშიდან 1314 ხელზე მოსამსახურე იყო.
3 დასახელებული წყარო, გვ. 76, 84.
4 იქვე, გვ. 103.

1897 წლის 28 იანვარს ჩატარებული სრულიად რუსეთის აღწერის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ბათუმში 20.439 მამაკაცი და 8.069 ქალი, სულ კი 28.508 სული მცხოვრები იყო. აღწერის დღისათვის ქალაქის დროებით მცხოვრებთა რიცხვი 1714-ს უდრიდა. ამ დროს ბათუმში 8518 უცხოელი ყოფილა. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 46,1 %-ს შეადგენდა.[1]

ბათუმის 28.508 მცხოვრებლებიდან იყო: თავადაზნაურობა — 2319 კაცი, სასულიერო წოდება—185, ვაჭრები—248, მეშჩანები — 5280, გლეხები — 11.249, დანარჩენი წოდება — 709, უცხოელები — 8518 კაცი.

მშობლიური ენის მიხედვით: ველიკოროსი, ბელორუსი, მალოროსი—7.144 კაცი. ქართველი — 6.087, სომეხი—6.839, ბერძენი — 2.762 თურქი — 1.654,[2] ებრაელი — 1.064, პოლონელი — 722, გერმანელი — 299, ჩერქეზი — 65, სხვა დანარჩენი — 1.870.

რელიგიური მრწამსის მიხედვით; 1897 წელს ბათუმში ცხოვრობდნენ: მართლმადიდებლები — 15.495, „რასკოლნიკები" — 137, სომეხ-გრიგორიანები — 6.150 სომეხ-კათოლიკები — 662, რომაელ-კათოლიკები — 1385, — სხვადასხვა პროტესტანტები — 334, მაჰმადიანები — 3.156, ებრაელები — 1.179, სხვა რწმენისანი — 10 კაცი.[3]

ასევე სწრაფად იზრდებოდა ბათუმის მოსახლეობა მომდევნო წლებშიც. 1904 წელს ბათუმის გენერალ-გუბერნატორის საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, რომ 1903 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა აღწევდა 29.545 სულს (მათ შორის მამაკაცები — 18.800, ქალები — 10.745).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, წამყვანი ადგილი ეჭირათ: რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს (7.244 სული), ქართველებს (6.684 სული) და სომხებს (5.182 სული).

ბათუმის გენერალ-გუბერნატორის ოფიციალურ საანგარიშო მოხსენებას თუ დავეყრდნობით, 1903 წელს ბათუმში არსებობდა 29 სამრეწველო დაწესებულება, სადაც მუდმივად დაქირავებული

---

1 Первая всеобщая перепись населения Российской империи. 1897 г., Издание центрального статистического комитета Министерства Внутренних дел, под ред: Н. А. Тройцкого, XVI, Кутайсская губерния, 1905 г., стр 1.

2 ამჯერადაც აჭარლები თურქთა რიცხვს მიაწერეს, რაც მოუთმენელია.

3 დასახელებული წყარო, გვ. 3.

მრავალრიცხოვანი მუშახელი იყო გამოყენებული.[1] ჟანდარმერიას ბათუმში მუშათა არმიის არსებობა დიდ სოციალურ საფრთხედ მიაჩნდა. ამიტომ, ყოველგვარ ღონისძიებას იყენებდა ამ „ზედმეტი შავი ხალხისაგან“ ქალაქის განსატვირთავად.

როგორც მითითებული მასალებიდან ჩანს, ბათუმი 20 წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით იზრდებოდა. თუ 1878 წელს ბათუმის მოსახლეობა ძლივსღა აღწევდა 3 ათას სულს, 1903 წლისათვის ეს რიცხვი 30 ათასამდე (1000 პროცენტით) გაიზარდა.

მოსახლეობის გამრავლებისა და ზრდა-განვითარების მსგავსი გაქანება საქართველოში არც ერთ ბურჟუაზიულ ქალაქს არ ჰქონია. ამ მხრივ ბათუმის კონკურენტი ამიერკავკასიაში მხოლოდ „შავი ქალაქი“ (ბაქო) იყო.[2]

ბათუმმა რუსეთთან შეერთების შემდგომ ხანაში დიდი სოციალური და ეკონომიური ცვლილება განიცადა.

სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ბათუმში ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ძალა — პროლეტარიატი. იგი მოწოდებული იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაეჩაღებინა არსებული სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ. ფეოდალური ბათუმის მოლებმა, ბეგებმა, მიწის ყოფილმა მესაკუთრეებმა

---

[1] Обзор Батумской области за 1903 г., Батум, 1904 г., стр. 26, 28, 37, 38.

2 1898 წ. გაზ. „კვალში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში იმ დროის ახალგაზრდა მკვლევარმა ფ. მახარაძემ სავსებით სწორად შენიშნა, რომ „ქალაქები ბაქო და ბათუმი ამერიკული ტემპით ვითარდებიანო. (გაზ. „კვალი“, № 2, 1898 წ.).

ქალთა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცნობილი ხელმძღვანელის კლარა ცეტკინის აზრით „ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა ამერიკული სისწრაფით“. (Клара Цеткин, «На освобожденном Кавказе», стр. 107, Москва, 1935 г.).

ვ. ი. ლენინი თავის შრომაში: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქალაქი ბაქო უმნიშვნელო ქალაქიდან გადაიქცა რუსეთის პირველხარისხოვან სამრეწველო ცენტრად, სადაც 1863 წელს იყო 14 ათასი მცხოვრები, 1885 წელს — 45,7 ათასი, ხოლო მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქალაქის მოსახლეობამ 112 ათასამდე მიაღწია (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გამოც IV, 1948 წ., გვ. 581).

და ჩარჩ-ვაჭრებმა ბრძოლის ველი სავაჭრო-სამრეწველო კამპანიებს დაუთმეს. ბათუმი მსოფლიო ვაჭრობისა და საქონელბრუნვის ერთ-ერთ დასაყრდენ პლაცდარმად გადაიქცა.

2. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში (1878 — 1907 წლები)

1878 წელს დაიწყო ბათუმის ბურჟუაზიული განვითარების პერიოდი.

განთავისუფლების პირველი დღიდანვე ბათუმისკენ სწრაფად გაეშურნენ კაპიტალისტ-საქმოსნები. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტივობას ინგლისელები იჩენდნენ. გაზეთ „გოლოსის“ ოდესელი კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ოდესაში მცხოვრები „უცხო ქვეყნელები, განსაკუთრებით, ინგლისელები კომპანიას ადგენდნენ იმ განზრახვით, რომ ბათუმში მიწები იყიდონო... თუ რამე ღონისძიება არ მივიღეთ ბათუმი და მთელი მისი მაზრა უეჭველად ინგლისელების საკუთრება შეიქნებაო“.[1]

ბათუმის სამოქალაქო ცხოვრებაში ახალ ისტორიულ მოვლენას არც ადგილობრივი ელემენტები შეხვედრიან პასიურად. სხვა ქვეყნების გვერდით საქართველოს ნორჩი ბურჟუაზია ხალისით ჩაება ეკონომიური პირველობისათვის ბრძოლაში. ამის შესახებ ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და ჟურნალისტი ს. მესხი 1878 წლის 27 აგვისტოს (ბათუმის განთავისუფლების მეორე დღეს) წერდა: „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და ტრაპიზონიდან. სულ ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას, დარბიან, დაცმაცუნობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ. დილიდან საღამომდე აქა-იქ დაძერებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ჰყიდულობენ, „საქმეს“ ეძებენ. ვაჭარი, „საქმის“ მაძებარი ხალხი მხოლოდ ახლა, რუსების შემოსელისთანავე მორბის აქ და ეჩქარება რომელსამე საქმეს სტაცოს კუდში ხელი... ვერ წარმოიდგენთ — როგორ მუდამ დღე სა-

[1] გაზ. „დროება“, 1882 წ., № 143.

შინლად იწევს ახლა აქ ყველაფრის ფასი... ის მაღაზია, რომელიც რუსების შემოსვლამდე წელიწადში 500 ყურუშად იყო დაქირავებული ახლა 500 მანეთად გაქირავდა".[1]

ბათუმში საქალაქო ცხოვრების გაჩაღებას მრავალი მიზეზი უშლიდა ხელს. როგორც ზემოთ ითქვა, ხელოვნურად შექმნილი პორტო-ფრანკო ბათუმის ეკონომიურ განვითარებას აფერხებდა. ბათუმის გარშემო მდებარეობდა გაპარტახებული, ემიგრაციის გზაზე დამდგარი ღატაკი სოფლები, რომლებიც ვერავითარ ბაზას ვერ ქმნიდნენ ბათუმში ეკონომიური ცხოვრების გასაჩაღებლად. ბათუმი აგრეთვე სამხედრო საფრთხის წინაშე იდგა მთელი რიგი წლების განმავლობაში. ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ბათუმში ხანგრძლივი ცხოვრება ადამიანის ფიზიკურ არსებობას საფრთხის წინაშე აყენებდა. მაგრამ ამ სერიოზულ გარემოებათა მიუხედავად, მოგებით დაინტერესებული პირები არაფერს არ ერიდებოდნენ და ბათუმისაკენ მოისწრაფოდნენ.

ბათუმის შემოერთებიდან სულ რაღაც ორი ათეული დღე გავიდა და ყველასათვის შესამჩნევი შეიქნა, რომ ის მალე ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი უნდა გამხდარიყო. იმდროინდელი პერიოდული ლიტერატურა სავსეა კორესპონდენციებით, წერილებით, სადაც, გამოთქმულია იმედები ბათუმის დიდ ეკონომიურ მომავალზე.[2]

ბათუმიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ იგი კაპიტალისტური გზით უნდა წასულიყო. ამის უპირველეს ნიშანს მიწისათვის ბრძოლა წარმოადგენდა, რომელმაც გააფთრებული ხასიათი მიიღო. ყოველდღიურად იზრდებოდა მიწის ფასი. „სოფლის მამულს იშვიათად ყიდულობდნენ. ბათუმში კი ერთ ადგილს ათი მუშტარი უჩნდებოდა... როგორც მგლები მძორს, ისე შეესია იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და ტრაპიზონიდან ჩამოსული ხალხი.[3]

ბათუმის ვაჭრობა და მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქალაქი რკინიგზის შტოთი სამტრედიამდე 1883 წელს ამიერკავკასიის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავ-

1 გაზ. „დროება", № 176, 1878 წ. მაშინ 1 მანეთი უდრიდა 40 ოსმალურ ყურუშს, ე. ი. მაღაზიის ქირა გაზრდილა 40-ჯერ.

2 თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ბათუმის ეკონომიური მომავალი საეჭვოდ მიაჩნდათ. (Кавказский календарь, 1881 г., стр. 47).

3 გაზ. „დროება", № 184, 1878 წ.

შირდა, ხოლო 1886 წელს ლიკვიდირებულ იქნა პორტო-ფრანკო,— ინგლისური სისტემის ეს ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადა.

ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა. აზერბაიჯანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე, დაუშრეტელმა ბუნებრივმა მარაგმა, იქიდან ბათუმისაკენ მოდენილმა „შავი ოქროს“ შადრევანმა დიდი როლი შეასრულა ბათუმის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში.

ბათუმის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ისტორიის, ცოტად თუ ბევრად, საფუძვლიანი შესწავლა შეუძლებელია ბაქოს ნავთის მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორიის ზოგიერთი მომენტის გაუთვალისწინებლად, რადგან ბაქო ის ქალაქია, რომელმაც ბათუმის საქალაქო მშენებლობის, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ხასიათსა და ტემპზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა. თავის მხრივ არც ბათუმი დარჩენილა ვალში ბაქოს მიმართ. ბაქოს ნავთის ამოღების გაძლიერება-გადამუშავებისათვის საჭირო წარმოების რთული მოწყობილობის მშენებლობას და ნავთობის მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მასშტაბის ექსპორტირებას ბაქო უმთავრესად ბათუმის მეშვეობით აწარმოებდა.[1]

ბათუმმა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი სატარო მრეწველობის განვითარებითა და მსოფლიოს ბაზრებზე ნავთობის ექსპორტის სისტემატური ზრდის შედეგად შეინარჩუნა. ბათუმს ბურჟუაზიული განვითარების გზაზე თან ახლდა კაპიტალისტური წარმოების წესზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ფორმას შორის. გაჩაღდა ულმობელი კონკურენცია წვრილ და მსხვილ მწარმოებლებს შორის.

ბათუმის ვაჭრობისა და მრეწველობის მასაზრდოებელ ბაქოს ინდუსტრიული განვითარების ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.

პირველ ხანებში ნავთობის გადამუშავება პრიმიტიულად წარმოებდა. დაბალი იყო პროდუქციის ხარისხი და ოდენობა. არასრუ-

1 ბათუმის დიდი სახელმწიფოებრივი როლი კელავ გამოვლინდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში. ვ. ი. ლენინს ბაქო-ბათუმის ეკონომიური ურთიერთობის ნორმალიზაცია, მისი ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგება საბჭოთა საქონლის მსოფლიო ბაზარზე შეღწევის მთავარ პირობად მიაჩნდა. რკ (ბ) X ყრილობაზე იგი ამბობდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გამოც. IV, 1952 წ., გვ. 329).

ლი ცნობებით, ნავთობის გადამუშავება 1860 წელს მხოლოდ 10.000 ფუთს აღწევდა. 1870 წლისათვის უკვე 300.000 ფუთი გადაამუშავეს, 1871 წელს — 380.000, ხოლო 1872 წელს — 400.000 ფუთი.

1873 წელს ამოღებულ იქნა 3.400.000 ფუთი ნავთობი, საიდანაც შეიძლებოდა 1 მილიონზე მეტი ფუთი მზა პროდუქციის მიღება, მაგრამ იმის გამო, რომ ქარხნების რაოდენობა ჯერ კიდევ ცოტა იყო, მხოლოდ 832.800 ფუთი პროდუქცია მიიღეს. 1874 წელს ბაქოში ამოღებულ იქნა 5.000.000 ფუთი ნავთობი, საიდანაც მხოლოდ 1.336.675 ფუთი პროდუქცია იყო მიღებული. 1875 წელს ამოღებული 5.809.000 ფუთი ნავთობიდან მიღებულ იქნა 1.990.041 ფუთი პროდუქცია, 1876 წელს კი ამოიღეს 11 მილიონი ფუთი ნავთობი და გადამუშავების შედეგად მიიღეს 3.235.233 ფუთი.

ნავთობის საქარხნო გადამუშავებასა და წარმოების გაფართოებას ხელს უშლიდა მთავრობის მიერ დაწესებული მაღალი აქციები, მაგრამ 1877 წლის 1 სექტემბრიდან მრეწველებს შეღავათები მიეცათ: გაუქმდა მძიმე საакციზო სისტემა, ამან ხელი შეუწყო მუშაობის გაცხოველებას. უკვე 1877 წელს 15 მილიონი ფუთი ნავთობი ამოიღეს. მაგრამ წარმოების ამ აღმავლობას მტკიცე ბაზა არ ჰქონდა. 1879 წლიდან დაიწყო წარმოების კრახი. ნავთობის გადამუშავებელმა ქარხნებმა ძალზე შეამცირეს მუშაობა და მრეწველები ადგილებზე ისხდნენ თითქმის უსაქმოდ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ნავთობის ათეულ მილიონ ფუთობით მოპოვების ყველა პირობა.[1]

ასეთი ნაადრევი „კრიზისის“ მიზეზი ის იყო, რომ ბაქოს ნავთობს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გზა გაკვლეული უცხოეთის ბაზარზე, ხოლო რუსეთის ბაზარი, გეოგრაფიული სიფართოვის მიუხედავად, ეკონომიურად შეზღუდული და ვიწრო იყო, რადგან მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა წარმოუდგენლად დაეცა. გულიშამბაროვს მოჰყავს საგულისხმო ცნობა იმის შესახებ, რომ მარტო ნიჟნი-ნოვგოროდში 1878 წელს დაგროვილი იყო 1,5 მილიონი ფუთი გაუსაღებელი ნავთობის პროდუქტი.[2]

ბაქოს ნავსადგურიდან ნავთობის პროდუქტები, უმთავრესად ნავთი, გაჰქონდათ ლენქორანში, ასტრახანში, რუსეთის სხვა ახლო-შახლო გუბერნიებსა და სპარსეთში. აღნიშნულ ადგილებში გაიტა-

[1] С. И. Гулишамбаров, Современное состояние фотогенового производства Бакинского района, г. Баку, 1879 г., стр. 1 — 5.

[2] დასახელებული შრომა, გვ. 5-6.

ნეს: 1876 წელს — 3.145.075 ფუთი, 1877 წელს — 4.594.766 ფუთი, 1878 წელს — 6.255.910 ფუთი.[1]

როგორც აქედან ჩანს, მზა ნავთობის პროდუქტების გატანა იზრდებოდა, ხოლო პროდუქციის ზრდას ბაზრის გაფართოება ესაჭიროებოდა. ბაზარი კი ჯერ კიდევ შეზღუდული იყო.[2] კრიზისიდან თავის დაღწევა ბაქოს ნავთის მრეწველობას მხოლოდ ბათუმის საშუალებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებისაკენ გზის გაკაფვით შეეძლო.

ბაქოდან გამგზავრებულმა ვაჭრებმა „აღმოაჩინეს“, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები და აღმოსავლეთის ქვეყნები ენერგეტიკული რესურსების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მათ ხარბად სწყუროდათ რუსული იაფფასიანი, მაღალხარისხოვანი ნავთობის პროდუქტები. დაიწყეს ზრუნვა ბაქოდან ბათუმში ნავთის გადატანის უზრუნველსაყოფად. ამ ამოცანის შესრულება შეეძლო მხოლოდ კარგად მოწყობილ და ნავთის ცისტერნებით მომარაგებულ რკინიგზას.

1872 წლიდან ფოთი-თბილისის რკინიგზა უკვე ექსპლოატაციაში იყო. ბაქო-თბილისის რკინიგზა კი 11 წლის დაგვიანებით აშენდა. ეს გზა 1883 წლის 8 მაისს გადაეცა საექსპლოატაციოდ.[3]

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმ-სამტრედიის შტოს მშენებლობა დაიწყო 1880 წელს. ბაქოს ნავთის ექსპორტის საჭიროებანი დაყოვნებას ვერ მოითმენდა. ამიტომ მშენებლობა მიმდინარეობდა შედარებით სწრაფი ტემპით. 1883 წლის 21 მარტს ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ხაზის მშენებლობა დამთავრდა და დაიწყო მისი ექსპლოატაცია. რკინიგზის ამ შტოს გაყვანა 6.531.864 მანეთი

---

1 დასახელებული შრომა, გვ. 1 — 13.

2 ოუსეთის ნავთობის ნედლეულის თვითღირებულება გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ამერიკულისა. 1872 წელს ამერიკაში 1 ფუთი ნავთობი ღირდა 57 კაპ., რუსეთში — 45 კაპ., 1876 წელს ამერიკაში — 32 კაპ., ხოლო რუსეთში — 17 კაპიკი, 1879 წელს ბაქოს ნავთობი ღირდა 2 კაპიკი. (Ст. Гулишамбаров, Очерк развития и современное состояние нефтяной промышленности Бакинского района. «Сборник сведений о Кавказе», Тифлис, стр. 29. доб. «Кавказ», № 45, 1875 г.).

ნავთობის დაბალი ფასები ბაქოში გამოწვეული იყო ე. წ. „კრიზისით“ და ბაქოს მუშათა კოლონიური ექსპლოატაციით.

3 Путеводитель по Закавказским железным дорогам, под ред. инж. Бутечко. Тифлис, 1911 г., стр. 143-144.

დაჯდა.[1] ბაქო-ბათუმს შორის დაიწყო გრანდიოზული ტვირთზიდვა-გადასაზიდი უმთავრესად ბაქოს ნავთობი იყო.[2]

ბათუმის მრეწველობის სწრაფი განვითარება იწყება ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის შტოს მშენებლობის დაწყებასთან ერთად-გადაწყდა, რომ ბათუმი ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გამზიდველი უნდა ყოფილიყო. ბათუმის სამრეწველო განვითარება ნავთობის ექსპორტის მიზნებს დაუქვემდებარდა.

არსებობდა ნავთობის ორი სახე — სატარო და გადასხმითი. ბათუმის სამრეწველო განვითარების პროფილი, მისი ოდენობა და ზრდის ტემპები, მეტწილად განისაზღვრა სატარო წარმოების განვითარებით.

ბათუმში ნავთის ჟურჟლის წარმოების პირველი ქარხნის მშენებლობა 1882 წელს დაუწყიათ ინჟინერებს ბურგეს და პალაშკოვსკის, რომლებსაც იგი დაუმთავრებიათ 1883 წელს. ქარხანა პირველად ნავარაუდევი იყო 12.000 ბიდონისა და 6.000 ხის ყუთის გამოსაშვებად დღე-ღამეში. ეს საწარმო შემდეგში კაპიტალისტ როტშილდის ხელში გადავიდა. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის გადიდებასთან დაკავშირებით როტშილდის ქარხნის სამრეწველო პროდუქცია გასამკეცდა. 1894 წლისათვის ქარხანა დღე-ღამეში უშვებდა 18.000 ხის ყუთს და თუნუქის 36.000 ბიდონს.

1885 წელს მუშაობა დაიწყეს სიდერიდისისა და რიხნერის ფირმებმა, ხოლო 1887 წელს — ხაჩატურიანცისა, შემდეგ მანთაშევისა, ძმები ცოვიანებისა და სხვ. შედარებით წვრილმა ქარხნებმა.[3] 1893

---

1 საგზაო საქმეთა სამინისტროს თავდაპირველი გეგმით სამტრედია-ბათუმის რკინიგზის შტოს გასაყვანად ბიუჯეტით დამტკიცებული იყო 8.190.472 მან. მაგრამ შემდეგში ამ თანხას გამოაკლეს მოძრავი ნაწილისათვის გათვალისწინებული სახსრები და ამიტომ გზის მშენებლობისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 6.531. 864 მანეთით (დასახელებული წყარო, გვ. 152).

გურიის თავადაზნაურობა მოითხოვდა, რომ რკინიგზის შტო გაეყვანილიყო ოზურგეთის გავლით, ხოლო სამეგრელოს თავადაზნაურობა უმტკიცებდა შეფისნაცვალს, რომ რკინიგზის ხაზის სადგურ ახალ სენაკიდან გაეყვანა 45 კილომეტრით უფრო შეამოკლებდა მანძილს ბაქო-ბათუმს შორის. მთავრობამ არც ერთი ეს განცხადება არ ჩათვალა ყურადღების ღირსად (საქ. ცსსა, ფ. 7, აღწ. 1, საქმე 3.167. ფურც. 8, 11, 47).

2 არღუთინსკი-დოლგორუკოვის აზრით, ბათუმში რკინიგზის შტოს გაყვანა თვითმპყრობელობას დაუჯდებოდა სამხედრო მოსაზრებებმა(А. Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплоатации Зак. жел. дорог, 1896 г., стр. 57). ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ბათუმში ძირითადად კომერციული ქალაქი გაშენდა.

3 Кавказский календарь, 1893 г., стр. 113, საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 131-ა, ფურც. 33-34. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тифлис, 1894 г., стр. 197-198.

წლისათვის ბათუმში უკვე მუშაობდა ყუთის 10 ქარხანა. მათ შორის პირველობას, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და პროდუქციის წარმოების მასშტაბით, „კასპია-შავი ზღვის ამხანაგობის“ ქარხანა ინარჩუნებდა. ქარხანაში 1380 მუდმივი მუშა მუშაობდა.

აღნიშნულ ქარხანაში ხის ყუთების დამზადებისათვის მოწყობილი იყო 61 დაზგა, ბიდონების თვის — 70, რკინეულობის გადასამუშავებლად — 22. გარდა ამისა, ქარხანას ჰქონდა თუჯსადნობი ღუმელი, სამჭედლოები და სხვ. 1890 წელს ქარხანამ ყუთების წარმოებაზე დახარჯა 800.000 მანეთის ხე-ტყე, ხოლო თუნუქისა და სხვადასხვა სახის ლითონების თვის — 1.400.000 მან. ქარხანა ყოველწლიურად ხარჯავდა 1000 კუბურ საჟენ შეშას და 150.000 ფუთ ქვანახშირს.

„კასპია-შავი ზღვის საზოგადოებას“ საკუთარი ნავმისადგომი ჰქონდა, სადაც ყუთების გადატვირთვა ხდებოდა. დღე-ღამის განმავლობაში გემებზე 60.000 ყუთს ტვირთავდნენ. ამავე საზოგადოებას ორი საბუქსირო გემი ეკუთვნოდა. გემებზე ყუთების გადატვირთვა ხდებოდა სპეციალურად მოწყობილი ორთქლის ელევატორით. საზოგადოებას გააჩნდა ნაკოთობის გადამსხმელი სადგური 26 ცისტერნით. რომელთა ტევადობა 2.860.000 ფუთს უდრიდა. ქარხანაში მუდმივ და დროებით დაქირავებულ მუშათა რაოდენობა 2.000 კაცამდე აღწევდა.[1]

პირველ ხანებში როტშილდის ქარხანა ვერ აკმაყოფილებდა ნავთის ექსპორტიორების მოთხოვნილებას. ამიტომ, ბათუმში გაიხსნა პატარა სახელოსნოები, რომელთა რიცხვი მრავალ ათეულს აღწევდა, მაგრამ მალე ექსპორტიორებმა თვით დაიწყეს ასეთი ქარხნების აგება უფრო მსხვილი მასშტაბით, რადგან საკუთარ ქარხანაში დამზადებული ყუთები უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ნაყიდი. ადგილი ჰქონდა სატარო წარმოების კონცენტრაციას. ამასთან დაკავშირებით ბევრი წვრილი სახელოსნო დაიხურა.

1894 წლისათვის ბათუმში მუშაობდა ყუთებისა და ბიდონების მწარმოებელი ქარხნები: 1) „კასპია-შავი ზღვის საზოგადოების“, 2) რიხნერისა და კომპ., 3) მანთაშევის, 4) ძმ. ცოვიანოვების, 5) მუტაფოვისა და მელკონიანცის, 6) ანგელიდისის, 7) ბურჰარტისა და კომპ., 8) ძმ. მნაცაკოვების, 9) მადატოვისა და კომპ.

ყველა ამ 9 ქარხანაში ამუშავებული იყო 25 ორთქლის ქვაბი. მათში მუდმივად დაქირავებულ მუშათა რაოდენობა უდრიდა

1 «Кавказский календарь», 1893 г., стр. 114.

3500-ს. ეს ქარხნები ყოველდღიურად უშვებდნენ 100.000 ბიდონს და 50.000 ყუთს.[1]

ნავთი ბიდონებით იგზავნებოდა უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნებში. წვრილ პარტიებად, ხის პატარა ყუთებში ჩაწყობილი ნავთიანი ბიდონების გაგზავნა აღმოსავლეთის ქვეყნებში უფრო მოსახერხებელი იყო. საქარავნო გზებზე ასეთი ტვირთის გადაზიდვა ადგილობრივი პირობებით იყო ნაკარნახევი.

ნავთს ასხამდნენ თუნუქის ყუთებში, რომლის წონა (netto) 36 გირვანქას უდრიდა. ორ ასეთ თუნუქის ბიდონს შესაბამის ხის ყუთებში ათავსებდნენ. ასეთი ტვირთის წონა (brutto) 2 ფუთს და 10 გირვანქას უდრიდა.

მასალები ბიდონისა და ყუთების ქარხნებისათვის რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან მოდიოდა. ქარხნებისათვის საჭირო ხე-ტყის $^2/_3$ მოჰქონდათ უმთავრესად ავსტრიიდან (გალიციიდან), აგრეთვე ხერსონიდან (დნესტრის ბასეინიდან) და ნოვოროსიისკიდან. 1893 წელს ადგილობრივი ხე-ტყის შემოზიდვაც დაიწყეს. თეთრი თუნუქი შემოჰქონდათ ინგლისიდან, ლურსმანი, მავთული, თუთია, სპილენძი და მარილმჟავები — რუსეთიდან, ხოლო ტყვია — ინგლისიდან და საფრანგეთიდან.

ყუთების დასამზადებელი ხის მასალა სავსებით მშრალი უნდა ყოფილიყო, რომ მასში ჩაწყობილ ბიდონს ჟანგი არ მოსდებოდა. 1 კუბური მეტრი ფიცრიდან 80 ყუთი კეთდებოდა.[2]

ქარხნების უმრავლესობა ნავთის გადასხმას ბიდონებში ავტომატურად აწარმოებდა. ქარხნებში დადგმული დაზგები ორთქლის ძრავებით მუშაობდნენ. „ბნიტოს“ ყუთების ქარხანაში ყველა დეტალი მექანიზაციის გამოყენებით მზადდებოდა. „ბნიტოს“ ფირმას ეპირა მიწის ნაკვეთი ნავთის ჯებირიდან მდინარე ბარცხანამდე და რკინიგზის სამხრეთი ნაწილი. ეს ფირმა ორჯერ უფრო ჩქარა აწარმოებდა გემებში ყუთების გადატვირთვას, ვიდრე დანარჩენი ფირმები. ფირმა „ბნიტოს“ ნავთობის მარაგისათვის ჰქონდა 30 რეზერ-

[1] Гулишамбаров, «Обзор фабрик и заводов Закавказского края», Тифлис, 1894 г., стр. 197-198.

[2] Отчет председателя «суб-комиссии», Н. П. Забугина, по устройству Нефтяного городка в Батуме, стр. 10-11.

ვუარი, რომელთა ტევადობა 1.850.342 ფუთს უდრიდა. ფირმას ჰქონდა 53 მილგაყვანილობა ნავთობის გადმოსაქაჩად, მათი საერთო სიგრძე 29.382 ფუტს აღემატებოდა.[1]

ნავთობის „გოროდოკის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშენებული იყო რიხნერის ბიდონებისა და ყუთების ქარხანა, რომელსაც 4400 კვ საჟენი მიწის ფართობი ეკავა. ის შემოკავებული იყო ხის ღობით. ფირმას გააჩნდა ნავთობის მარაგისათვის 8 რეზერვუარი და 8 მილგაყვანილობა. რეზერვუართა საერთო ტევადობა 266.923 ფუთს, ხოლო მილგაყვანილობის საერთო სიგრძე 5514 ფუტს უდრიდა.[2]

შუტცისა და ციმერმანის ფირმას[3] ეკავა „გოროდოკის“ ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. აქ იყო მოთავსებული ნავთობის გადამსხმელი სადგური და საკასრე. ფირმას ნავთობის შესანახად ჰქონდა 4 რეზერვუარი 180.400 ფუთის ტევადობით. ფირმის 11 მილგაყვანილობის საერთო სიგრძე 8.344 ფუტს უდრიდა.

მანთაშევის ფირმამ მუშაობა დაიწყო 1886 წელს. ეს ფირმა მოთავსებული იყო სასაფლაოს ქუჩასა და არტილერიის ზოსეს შორის. მას გააჩნდა ხის ყუთებისა და ბიდონების ორი ქარხანა. ქარხნებს ჰქონდათ ხე-ტყის საწყობები, ყაზარმა მუშების საცხოვრებლად და ნავთობის გადამსხმელი სადგური. 1898 წელს მანთაშევის ფირმის ყუთების ქარხანას გააჩნდა 13 რეზერვუარი 2 მილიონამდე ფუთის ტევადობით. 1896 წელს მოეწყო ნავთობის გადამსხმელი სადგური, რომელსაც ეჭირა 6297 კვ საჟენი მიწის ფართობი. სადგურს ჰქონდა 27 მილგაყვანილობა, რომლის საერთო სიგრძე 26.771 ფუტს უდრიდა.[4]

სიდერიდისის ფირმას ეჭირა მიწის ორი ნაკვეთი, რომელიც გამოიყოფოდა ერთიმეორისაგან სასაფლაოს ქუჩით. ფირმას გააჩნდა

---

1 Отчет председателя «суб-комиссий» Н. П. Забугина, по устройству Нефтяного городка в Батуме, стр. 16—24.

2 დასახელებული წყარო, გვ. 29-30.

3 ყოფილი „გროტეს“ ფირმა.

4 დასახელებული წყარო, გვ. 32 — 39.

4 ნავთსაცავი რეზერვუარი 116.285 ფუთი ნავთის ტევადობით. ნავთის მილგაყვანილობის საერთო სიგრძე 1041 ფუტს უდრიდა.[1]

ამ კაპიტალისტური საწარმოების მსგავსად იყო მოწყობილი ცოვიანოვის, შხიანცის, მესროპოვის, გრამატიკოპულოს, ნანოიანის, ნობელის, ბულფრუას, ვაგსტაფისა და ბლეის, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის, მატიევიჩის, ხაჩატურიანცის, შიბაევის, კასპიის სავაჭრო ამხანაგობის „ბაქოს სტანდარტისა“ და ამიერკავკასიის რკინიგზის ქარხნები, ნავთობის ჩამომსხმელები და რეზერვუარები.[2]

1898 წლისათვის ბათუმის რეზერვუარებში მოთავსებული ნავთობის რაოდენობა 14.263.811 ფუთს უდრიდა.[3]

ბათუმის სატარო ქარხნების მუშაობის შესახებ შედარებით უფრო სრული სურათის წარმოსადგენად მოვიყვანთ ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობას.

ბათუმის ჟუთებისა და ბიდონების ქარხნების დღიური წარმადობა

	ფირმების დასახელება	დღიური საშუალო წარმადობა		დღიური მაქსიმალური წარმადობა		შენიშვნა
		დამზადებული ჟუთების რაოდენობა	დამზადებული ბიდონების რაოდენობა	დამზადებული ჟუთების რაოდენობა	დამზადებული ბიდონების რაოდენობა	
1	ბ ნ ტ ო .	11.350	22.700	20.000	40 000	
2	მანთაშევი .	10.700	21.400	15.670	31.340	
3	ცოვიანოვი .	4.000	8.000	8.350	16.700	
4	სიდერიდისი . .	2.500	5.000	6.675	13.350	
5	ხაჩატურიანცი .	5.000	10.000	6.675	13.350	
6	რიხნერი .	1.000	2.000	8.350	16.700	
7	მესროპოვი . . .	200	400	350	700	
8	სამხრეთ რუს. ბანკი	2.000	400	2.350	4.700	
9	გრამატიკოპულო .	1.350	2.700	2.700	5.400	
	ჯ ა მ ი . .	38.100	76.200	71.120	142.240[4]	

[1] Отчет председателя «Суб-комиссии» Н. П. Забугина, по устройству Нефтяного городка в Батуме , стр. 40—44.
[2] იქვე. გვ. 40 — 73.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 12 — 17.

ბათუმის ყუთებისა და ბიდონების ქარხნების პროდუქცია 1896—1898 წლებში[1]

	ფირმების დასახელება	1896 წელი		1897 წელი		1898 წელი	
		დამზადებული ყუთების რაოდენ.	დამზადებული ბიდონების რაოდენ.	დამზადებული ყუთების რაოდენობა	დამზადებული ბიდონების რაოდენ.	დამზადებული ყუთების რაოდენ.	დამზადებული ბიდონების რაოდენ.
1	ბ ნ ი ტ ო . .	3.174 661	6 349.322	3.423.691	6.847.382	3.372.688	6.745.376
2	მანთაშევი .	2.215 850	4.431.700	2.044 350	4.088.700	2.955 450	5 910.900
3	ცოვიასოვი . .	1.608.473	3.216 946	1.909.690	3.811.380	1.460.000	2 920.000
4	სიდერიდისი . .	1.223.020	2.446.040	1.147.570	2.295.140	912.500	1.825.000
5	ხაჩატურიანცი .	1.150.000	2 300.000	1.400.000	2.800.000	1 828 000	3.650.000
6	რიხნერი . . .					365.000	730 000
7	მესროპოვი						არ მუშაობდა
8	სამხრეთ რუს. ბანკი .	1.727.677	3.455,354	354.370	708 740		არ მუშაობდა
9	გრამატიკოპულო					492.750	985 500
	ჯ ა მ ი . .	11.099 681	22.199 362	10.275 671	20.551.342	11.383.388	22.766.771

[1] Отчет председателя «Суб-комиссии» Н. П. Забугина, по устройству Нефтяного городка в Батуме, стр. 12—17.

ზოგიერთი ფირმა ნავთობის პროდუქტების ექსპორტს კასრებითაც აწარმოებდა[1]

წლები	გატანილია კასრებით ფუთებში			კასრებით გადახდული ნავთობის შეფარდება სხვა ექსპორტთან		კასრების ღირებულება 20 ფუთიანი კასრის ფასით
	ნავთი	საცხები ზეთი	ნავთობის ნარჩენები	ნავთი	სხვა პროდუქტ.	
1893	64.459	744.131	38.827	0,12%	4,51%	42.371
1894	1.350	799.241	68.241	0,0003%	5,24%	43.441
1895	72.935	1.191.484	69 556	0,16%	8,20%	66.698
1896	101.982	1.521.950	143.461	0,28%	14,08%	81.196
1897	139.275	1.473.111	153.735	0,32%	9,07%	88.306
1898	61.648	1,200.165	83.875	0,12%	7,48%	67.284
ჯამი	441.649	9.930.082	557.695	0,13%	7,48%	389.296

როგორც ვხედავთ, ბათუმში ნავთობის სატარო-საექსპორტო წარმოება ვითარდებოდა, ხოლო მრეწველობის სხვა დარგებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მართალია, აქ არსებობდა პასეკის, როტშილდის და სხვ. ქარხნები, რომლებიც თუჯს ასხამდნენ, მაგრამ მათი არსებობა ნავთობის ექსპორტის საჭიროებაზე იყო დამოკიდებული.[2]

ბათუმის მრეწველობის ასეთი ცალმხრივი განვითარების ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სამხედრო უწყებამ სასტიკად გაილაშქრა ბათუმში ნავთობის გადამმუშავებელი ქარხნების აშენების წინააღმდეგ.[3] ამ გარემოებამ რამდენადმე შეაფერხა ბათუმის სამრეწველო-ეკონომიური განვითარება.

მთელ ქუთაისის გუბერნიაში 1891 წელს 409 „ფაბრიკა და ქარხანა“ მუშაობდა.

მთავრობის ოფიციალურ სტატისტიკაში ქარხნებად მითვლილია არყის სახდელი პატარა ქარხნებიც, რომლებიც შეძლებულ გლეხთა

---

[1] Отчет председателя «Суб-комиссии» Н. П. Забугина, по устройству Нефтяного городка в Батуме, стр. 17.

2 ბათუმის საფაბრიკო ინსპექტორის ცნობით, 1902 წელს ბათუმში ნ. ბ. პასეკის მექანიკურ ქარხანაში მუშაობდა 40 მუშა, ვ. კაპლანის მექანიკურ ქარხანაში 43, იაკოვლევის მშრალი საღებავების ქარხანაში 15, ბერტმანისა და კარპოვსკის ქარხანაში 17, ძმ. ჩილინგარიანების ტყავის ქარხანაში 24, ბინიატოღლის თამბაქოს ფაბრიკაში 65, შაპოვიცკის ფაბრიკაში 24 მუშა (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13, საქმე 1, 1903 წ., ფურც. 4).

3 ნ. პ.ზაბუგინი, დასახელებული წყარო, გვ. 167.

პირად საკუთრებას წარმოადგენდნენ. ამ „ქარხნებს“ ქვეყნის ეკონომიკაზე თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ. ქუთაისის გუბერნიის ყველა საწარმოში ჩაბმული იყო 4.097 მუშა. აქედან მარტო ბათუმის ტარის მწარმოებელ 18 ქარხანაში 2.928 მუშა მუშაობდა. მთლიანად კაპიტალდაბანდება უდრიდა 7.641.771 მანეთს, ბათუმის ქარხნებში კი 6.891.800 მანეთს.[1]

1894 წელს მთელი დასავლეთი საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო წარმოების პროდუქცია შეადგენდა 27.601.221 მანეთს, აქედან მარტო ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების — 26.123.132 მანეთს, ხოლო გუბერნიის დანარჩენი ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებისა, სამთო მრეწველობის პროდუქციის ჩათვლით, მხოლოდ 1.478.089 მანეთს.[2] ბათუმის მრეწველობის პროდუქციამ დასავლეთ საქართველოს საქონელბრუნვაში წამყვანი როლი შეინარჩუნა მომდევნო წლებშიც.

ბათუმში ნავთობის გადასხმითი წესით გაგზავნის დანერგვის მიუხედავად, ექსპორტის საერთო გადიდებასთან დაკავშირებით, 1891 წლიდან 1898 წლამდე განუხრელად იზრდებოდა სატარო მრეწველობის პროდუქცია. ამავე დროს ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რის შედეგადაც მცირდებოდა პროდუქციის ფასები. ამაზე სტატისტიკა შემდეგ სურათს იძლევა:

წლები	სარეწაოთა რაოდენობა	პროდუქცია მანეთობით	მუშათა რაოდენობა
1891	18	6.892.000	2.928
1896	8	6.035.000	2.769
1897	8	7.604.000	2.763
1902	5	1.198.000	2.123
1903	4	3.000.000	2.287
1908	2	635.000	522

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ 1908 წელს ბათუმის მრეწველობა მკვეთრად შემცირებულია.[3] ამის ერთ-ერთი მიზეზი ნავთობის ბაზრის შეზღუდვა იყო. 1905-1906 წლებში ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის მკვეთრად დაცემასთან დაკავშირებით ნავთობის ტარის მწარმოებელმა ქარხნებმა შეწყვიტეს არსებობა და მუშათა უმრავლესობა უმუშევრად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ 1891 წელს არსებული 18 სატარო საწარმო-

1 «Кавказский календарь», Тифлис, 1892 г., стр. 92.
2 «Кавказский календарь», 1894 г., стр. 91.
3 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 4, საქმე 95, ფურც. 86 — 89.

დან 1896 წლისათვის მხოლოდ 8 ქარხანამ შეინარჩუნა არსებობა. 5 წლის განმავლობაში 10 ქარხანა დაიკეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბათუმის მრეწველობის ისტორიაშიც მოხდა მოვლენები, რომლებიც თან სდევს კაპიტალისტური მეურნეობის სტრუქტურას და წარმოების წესს.

ეს გარემოება ბათუმის სატარო მრეწველობაში XX საუკუნის დამდეგს მონოპოლისტურ გაერთიანებათა დაწყებას გამოხატავდა. ბათუმის პოლიციის ოფიციალური ცნობით, რომელიც შედგენილია 1904 წლის 5 მაისს, ბათუმში მოქმედებდა ნავთობის სატარო წარმოების შემდეგი მსხვილი ქარხნები:

როტშილდისა, რომელშიც მუშაობდა 1.500 მუშა, აქედან ქართველი — 76 %, რუსი — 8, თურქი — 6, სომეხი — 5, დანარჩენი ეროვნებისა — 5 %;

მანთაშევის № 1 ქარხანა, სადაც ითვლებოდა 1.098 მუშა, მათ შორის: სომეხი — 65 %, ქართველი — 30, რუსი — 3, დანარჩენი ეროვნებისა — 2%;

მანთაშევის № 2 ქარხანა აერთიანებდა 644 მუშას, აქედან ქართველი იყო — 57%, სომეხი — 33, რუსი — 4, სხვა ეროვნებისა — 6%;

ხაჩატურიანცისა და კომპ. ქარხანაში ჩაბმული იყო 466 მუშა, აქედან: სომეხი — 86 %, თურქი — 6, ქართველი — 5, რუსი — 2, ბერძენი — 1 %;

სიდერიდისის ქარხანაში მუშაობდა 323 მუშა, ამათგან სომეხი — 34%, ბერძენი — 30. თურქი — 25, ქართველი 10. რუსი — 1%.

პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ზემოთ აღნიშნული ქარხნები ბათუმის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ბარომეტრს წარმოადგენდნენ.[1]

კაპიტალისტ-საქმოსნები 1903 წელს ჯერ კიდევ ვერ ითვალისწინებდნენ იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც მოელოდა რუსეთის ნავთობს მსოფლიოს ბაზრებზე ამერიკასთან კონკურენციაში.

ბათუმელი მრეწველები კვლავ ყუთებისა და ბიდონების ახალი ქარხნების აგებაზე ფიქრობდნენ. 1903 წელს ყუთებისა და ბიდონების სამი დიდი ქარხნის წინასწარი პროექტიც შემუშავდა. ახალი ქარხნების პროდუქციას უნდა დაეკმაყოფილებინა 30.000.000 ფუთამდე ნავთობის ექსპორტი. მაგრამ 1905 წლის იანვრიდან მდგომარეობა მკაცრად შეიცვალა. ნავთობის სატარო გატანამ 21.776.855

1 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 6, ფურც. 248.

ფუთიდან 5.225.990 ფუთამდე დაიკლო.[1] ასეთ პირობებში ახალი ქარხნების მშენებლობაზე უკვე არავინ ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, თავის აყვავების პერიოდში (მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე) ბურჟუაზიული ბათუმის მრეწველობამ მოასწრო გამოეჩინა მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისებები. მონოპოლიების ნიშნები ადრევე, ჯერ კიდევ 80-იან წლებში გამოჩნდა.

ბურჟუაზიული ბათუმის მრეწველობამ მოკლე დროის განმავლობაში სამი ეტაპი განვლო:

I ეტაპი დაახლოებით იწყება 1882 წლიდან, როცა ნავთობის გასაზიდი ჰურჭლეულობის დამამზადებელი მრეწველობის გვერდით მრავალი წვრილი წარმოება და სახელოსნო არსებობდა. წვრილ ხელოსან-მრეწველებს შორის განვითარებადი დიფერენციაცია ბათუმის მუშათა კლასის რიგებს ავსებდა.

II ეტაპი იწყება მე-19 საუკუნის 80-ანი წლების დასასრულიდან და გრძელდება ამ საუკუნის მიწურულამდე, როდესაც ნავთობის ჰურჭლების წარმოებაში მანუფაქტურული წარმოების გვერდით ინერგება მანქანური წარმოების წესი. კაპიტალისტები აუმჯობესებენ მრეწველობის ტექნიკას. ხელის პრიმიტიული დაზგები იცვლება მექანიკური დაზგებით, ხმარებაში შემოდის ორთქლის ძრავები.

III ეტაპი იწყება მე-19 საუკუნის დასასრულს, როდესაც ინერგება ტექნიკის უახლესი მიღწევები. ქარხნებში იდგმება ელევატორები, რომლებიც რთული ძრავების საშუალებით აწარმოებენ ნავთობის გადასხმის წესით გაგზავნას, ამით კი მცირდება წარმოების ხარჯები და მუშახელის რაოდენობა. მექანიკური წარმოება აიაფებს სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას. წარმოება განიცდის დეპრესიულობას, რომელიც ეკონომიური კატასტროფით ბოლოვდება.

ბათუმის მრეწველობის მანუფაქტურული წარმოებიდან მექანიკურ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლა მრეწველ კაპიტალისტთა შორის დაუნდობელი კონკურენციისა და გამანადგურებელი ეკონომიური ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა.

ბათუმის სწრაფად მზარდი მრეწველობა, როგორც წესი, თავისი შინაგანი ბუნების მიხედვით ამეღავნებდა მისწრაფებას, რაც

1 საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 131-ა. Обзор в Батумской области за 1910 г. (Приложение к всеподданейшему отчету), стр. 34.

შეიძლება მოკლე დროში დანერგილიყო ტექნიკის უახლესი მიღწევები, გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები.

ბათუმის ნავთობის მრეწველობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენება, პირველად, ჯერ კიდევ 1885 წელს დაიწყეს ბურკარტისა და კომპ. ფირმაში, მაგრამ ეს დასაწყისი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მას საფრთხის წინაშე დაეყენებინა დანარჩენი მრეწველები. ისინი პირველ ხანებში „გულგრილად“ უყურებდნენ მრეწველობის განვითარების ახალ მოვლენებს და სდუმდნენ, რადგან „კაპიტალისტებს არ უყვართ გულახდილად ლაპარაკი თავიანთ შემოსავალზე. „კომერციულ საიდუმლოს“ სასტიკად ინახავენ და გარეშეთათვის ძალიან ძნელია იმ „საიდუმლოს“, გამოცნობა, თუ როგორ იქმნება სიმდიდრე. კერძო საკუთრება წმიდათა-წმიდაა. მესაკუთრის საქმეებში ვერავინ ჩაერევა. ასეთია კაპიტალიზმის პრინციპი“.[1]

მაგრამ 1889 წლიდან როტშილდის ქარხანაში ტექნიკური ცვლილებები დაიწყო. იქ ორთქლის ქვაბები და ამერიკული სისტემის ყუთებისა და ბიდონების მექანიკური დაზგები გაჩნდნენ. როტშილდმა საექსპორტო ნავთობის მექანიკური გადასხმა მოაწყო. ამ გარემოებამ თავზარი დასცა ბათუმელ წვრილ მეწარმეებს. კაპიტალის წვრილი მფლობელები ალაპარაკდნენ.

ბათუმის შედარებით წვრილმა კაპიტალისტებმა ხშიაშვილმა, ხაჩატურიანცმა, მნაცაკანოვმა, ანგელიდისმა, ხოჯამიროვმა და მავროპულომ ქალაქის თავის გავრონსკის სახელზე 1889 წლის მარტში საჩივარი შეიტანეს. ისინი ჩიოდნენ, რომ მათ დიდი თანხები დაებანდეს ნავთის საექსპორტო მრეწველობაში, ააშენეს ყუთების, ბიდონებისა და კასრების ქარხნები, მაგრამ ახლა კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან ისინი ნავთობის ექსპორტს ძველებური წესით ეწევიან. მილიონების მქონე როტშილდმა გაუმჯობესებული ტექნიკა დანერგა და ნავთობის გატანა უმთავრესად გადასხმის წესით მოაწყო... ბათუმის დანარჩენ მექარხნეებს ამის შედეგად სრული განადგურება მოელით. მომჩივანთა აზრით, რუსეთის მრეწველობას ბათუმის ყუთებ-ბიდონების და კასრების წარმოების დახურვით დიდი ზარალი მოუვა. ამიტომ, ბათუმელმა წვრილმა მექარხნეებმა გადაწყვიტეს პეტერბურგში გააგზავნონ დეპუტაცია, ამ გზით უმაღლეს მთავრობას უნდა გააცნონ იმისი სრული სურათი, რაც ხდება ბათუმის ნავთობის მრეწველობაში და ითხოვონ აიკრძა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, 1951 წ., გვ. 231.

ლოს გადასხმის წესით ნავთობის გაგზავნა, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ გაგზავნას დაედოს ისეთი მაღალი ბაჟი, რომელიც მსხვილ მწარმოებლებს არ მისცემს საშუალებას კონკურენციით მოსპონ წვრილი მწარმოებლები. წვრილი მეჭარხნეები ემუდარებოდნენ მთავრობას, მხედველობაში მიეღოთ ისიც, რომ ბათუმის არსებობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ნავთობის სატარო საწარმოთა არსებობასთან. მათი აზრით, ქალაქი გვერდში უნდა ამოდგომოდა ნავთობის ტარის მწარმოებელთა უმრავლესობას, და რომ ბათუმის საქალაქო სათათბიროს მეჭარხნეებთან ერთად გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები პეტერბურგში.[1]

საქმე ამით არ დამთავრებულა. საყურადღებოა, რომ მეჭარხნეებთან ერთად საქალაქო სათათბიროზე განსახილველად კოლექტიური განცხადება შეიტანა ხუთმა ხმოსანმა, რომლებმაც სასტიკად გაილაშქრეს როტშილდის საწარმოებში დანერგილ ტექნიკურ გაუმჯობესებათა წინააღმდეგ და მოითხოვეს, რომ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ სპეციალური დეპუტაცია გააგზავნოს პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან, რათა კანონის ძალით აიკრძალოს ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვა ბათუმის ნავთობის საექსპორტო მრეწველობაში.[2]

1889 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სათათბიროს სხდომამ გულდასმით განიხილა ზემოთ აღნიშნული 6 მეჭარხნისა და 5 ხმოსნის თხოვნა ნავთობის ტარის მწარმოებელი ქარხნების ეკონომიური კატასტროფის წინააღმდეგ ღონისძიების შემუშავების შესახებ, და ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ხმის უმრავლესობით (16 — 11 ხმის წინააღმდეგ) მიიღო გადაწყვეტილება: „აღიძრას შუამდგომლობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ნავთობის გადასხმით გაგზავნის კანონით აკრძალვის შესახებ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გადასხმით გაგზავნილ ნავთობზე განსაკუთრებული ბაჟის დაწესების შესახებ, რაზედაც მთავრობის განკარგულების გამოსათხოვად გაიგზავნოს პეტერბურგში ბათუმის საქალაქო სათათბიროდან დეპუტაცია სამი კაცის შემადგენლობით“.[3]

1 აჭარის სახ. არქივი, ფ. 7, საქმე 43. ფურც. 13-15.
2 იქვე, ფურც. 13-14.
3 იქვე, ფურც. 25.

როგორც მოსალოდნელი იყო, წვრილ მწარმოებელთა ორგანიზაციული ბრძოლა, ხელოვნურად შექმნილი პირობებით შეეჩერებინათ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ბუნებრივი კანონი (კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონი), მარცხით დამთავრდა. მთავრობის უმაღლეს ორგანოებში ბათუმელ წვრილ მეჭარხნეთა უბადრუკ ცდას არავინ გამოესარჩლა და ისინი იძულებული გახდნენ ცხოვრების მწარე სინამდვილეს დამორჩილებოდნენ.[1]

ბრძოლის აქ აღწერილი ხასიათი და მსვლელობა თავისთავად მრავალმეტყველია და, პირველყოვლისა, იმაზე მიუთითებს, რომ ბათუმელ მრეწველ-კაპიტალისტთა შორის კონკურენციაში პირველობისათვის გააფთრებული ბრძოლა ადრევე დაწყებულა.[2]

1883 წელს დაიწყო ბათუმიდან უცხოეთში ბაქოს ნავთობის

---

1 აჭარის ასსრ არქივი, ფ. 7, საქმე 47, ფურც.7-8.

2 ნავთის სარეწაებში წარმოების კონცენტრაციისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების წინააღმდეგ გამოვიდა ნიკო ნიკოლაძე. მან ჯერ კიდევ, 1882 წელს სასტიკად გაილაშქრა ცნობილი მილიონერის ნობელის წინააღმდეგ. თავის სტატიებსა და გამოსვლებში ნ. ნიკოლაძე ბრალს დებდა ნობელს იმაში, რომ მას განზრახული აქვს გახდეს მთელი რუსეთის ნავთობის ბატონ-პატრონი, მისი მონოპოლისტი. ნ. ნიკოლაძის აზრით, ნობელმა ხელი შეუშალა ქარხნების გამართვას ბათუმში. ის სარგებლობდა ფინანსთა სამინისტროში განსაკუთრებული გავლენით. 1882 წლის 15 ოქტომბერს შედგა „რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების“ სხდომა, სადაც იხილებოდა რუსეთის ნავთობის მრეწველობის განვითარების საკითხები. მომხსენებლად იყვნენ ლ. ე. ნობელი და დიდი რუსი მეცნიერი დ. მენდელეევი. გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ გადმოცემით, საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა ნ. ნიკოლაძის მოსალოდნელი პოლემიკური გამოსვლა ნობელის წინააღმდეგ. ამიტომ, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დარბაზში ტევა არ იყო. სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ნობელს. ბურუაზიის სამსახურში ჩაყენებული იგივე გაზეთი საზეიმო განწყობილებით წერდა: „მისი პირველი სიტყვიდანვე (ლაპარაკია ნობელზე — ვ. ს.) ცხადი შეიქნა, რომ ლაპარაკობს საქმის კაცი. მომხსენებლის სახით გამოვიდა საქმიანი ბურუაზიის წმინდა დადებითი ტიპი, სავსებით ისეთი, როგორადაც მას ხატავენ თანამედროვე გერმანული ბელეტრისტიკის კორიფენი“. თურმე ნობელს საჯაროდ უთქვამს: „პირადი ოცწლიანი შრომით მე გავიგე, თუ რა მძიმეა კონკურენცია ძლიერებთან.. მოხდა 5000 მეურმისა და მეჩანახის გაჭრობა ნავთობის მილის გაყვანისა და გადამსხმელი ბარკების აშენების შემდეგ. ვიცი, რომ ეს არის უბედურება, უბედურება სერიოზული, მაგრამ მაინც ისეთი, რომლის მიხედვით არ შეიძლება შეჩერებულ იქნას დიდი საქმის მსვლელობა, რომელიც ემსახურება საერთო სარგებლობას“... ნობელის აზრით, საჭიროა კონკურენცია გავუწიოთ ამერიკულ ნავთს, გავაიაფოთ ნავთობის ფასი, ეს კი მოითხოვს მსხვერპლს.

ნობელმა წვრილ მწარმოებელთა დამცველების საპასუხოდ მრისხანედ განაცხადა: „დაე, ჩემმა მოწინააღმდეგეებმა გააკეთონ რაც სურთ, დამბებეზღონ, ცილი დამწამონ, დაე, რამდენიც შეუძლიათ, აბრკოლონ საქმე, ხოლო მე ხმამაღლა და კატეგორიულად ვუცხადებ ბაქოს მეჭარხნეებს, რომ თუკი საზღვარგარეთული ბაზრის დაპყრობისათვის რუსეთის ნავთს დასჭირდება ფასის

პროდუქტების ექსპორტი, რომელიც სხვადასხვა დროს, უმნიშვნელო შეფერხების მიუხედავად, ყოველწლიურად გიგანტურად იზრდებოდა. ნავთობის პროდუქტების გატანა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბათუმი რკინიგზით ბაქოს დაუკავშირდა. ამიერკავკასიის შავი ზღვის ნავსადგურებიდან გატანილ იქნა ნავთობის პროდუქტები 1881 წელს 926.405 ფუთი, ხოლო 1882 წელს 985. 130 ფუთი. 1883 წელს ბაქო-ბათუმს შორის სარკინიგზო ტვირთზიდვის გახსნის შემდეგ ბათუმიდან ნავთობის გატანა გასამკეცდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ის კიდევ გაორკეცდა. ტვირთზიდვის ზრდაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა, აგრეთვე მრეწველობაში წარმოების კონცენტრაციის დაწყებამ და 1889 წლიდან წარმოების საშუალებათა რადიკალურად გაუმჯობესებამ.

შემცირება, მაშინ ძმ. ნობელების ამხანაგობა შეამცირებს მას ისე, რომ ნავთის ფასი ბათუმში და ნიუ-იორკში იყოს ერთიდაიგივე. და რომ კონკურენცია კეთდებოდეს უფრო ეაფი ფრახტებით".

ნობელის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდა ნ. ნიკოლაძე, რომლის აზრით, ნობელი და მისი ამხანაგობა ლუკმაპურს ართმევს მრავალრიცხოვან ადამიანს, ზიანს აყენებს წვრილ მეკარხნეთა ინტერესებს. ნ. ნიკოლაძემ მოითხოვა, რომ სახელმწიფოს დახმარება გაეწია წვრილი მეკარხნეებისათვის და სხვ. გაზ. „ნოვოე ვრემია" ნიკოლაძის გამოსვლის გამო შენიშნავდა: „თავისი კურიოზული სახელმწიფო სოციალიზმით ბ-მა ნიკოლაძემ აიძულა ეხარხარა ერთ ჯგუფს, ხოლო ოვაცია გამოეწვია მეორეებში, და ამ დიდი საქმის დისპუტიდან მსმენელები ძალიან მხიარული განწყობილებით დაშალნენო" («Новое время», № 2385, 1882 г.).

ნ. ნიკოლაძემ გაზ. „ნოვოე ვრემიას" რედაქციას უპასუხა მკაცრი კრიტიკული წერილით, რომელიც გამოქვეყნდა 1882 წლის 25 ოქტომბერს სათაურით: «Большая ошибка в большом деле». სადაც ავტორმა კვლავ გაიმეორა მის მიერ წინათ გამოთქმული მოსაზრება, რომ ნობელი ისწრაფვის მონოპოლიისაკენ, მაგრამ, — დასძენდა, იგი, — საჭირო არის მთელი რუსეთის ნავთმა გაიაროს მხოლოდ ერთი კაცის ხელში და მხოლოდ აქედან მიიღოს ის საზოგადოებამ. ნიკოლაძის აზრით, მონოპოლიის განხორციელების შემთხვევაში დაიცემა გადამუშავებული ნავთობის ხარისხი და ამაღლდება ფასები, რომ ნობელის მტკიცება, თითქოს, მონოპოლისტურ კონკურენციასა და წარმოების კონცენტრაციას შეუძლია ბედნიერება მოუტანოს საზოგადოებას, მტკნარი სიცრუეა. ნ. ნიკოლაძის აზრით, კაპიტალიზმი შედის იმპერიალიზმის სტადიაში, რომელსაც აქვს 7 დამახასიათებელი ნიშანი და მას საზოგადოებისათვის მხოლოდ სოციალური უბედურება მოაქვს. ნ. ნიკოლაძე არ შალავდა, რომ ის ემხრობოდა სახელმწიფოებრივ სოციალიზმს («Новое время», № 2392, 25 ოქტომბერი, 1882 წელი).

ნ. ნიკოლაძემ ნობელის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოამეღავნა თავისი შესანიშნავი ნიჭი და მიხვედრის უნარი, მაგრამ თანამედროვე მკითხველისათვის ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ მან აღნიშნულ უაღრესად რთულ მოვლენას ღრმა მეცნიერული ანალიზი ვერ გაუკეთა,

საზღვარგარეთის ბაზრებზე ბათუმიდან ნავთობის პროდუქტთა გაზიდვა 1883-1902 წლებში:

ბათუმიდან საზღვარგარეთ ნავთობის პროდუქტთა გატანა

(ათას ფუთობით)

წლები	ნავთი	საცხები ზეთი	ნავთობის სხვადასხვა პროდუქტები	ს უ ლ	შენიშვნა
1883	1.372,5	1.721	255,4	3.348,9	1883-1887წლებში ბათუმიდან გატანილი ნავთობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ამ წლებში არ იყო დაწესებული საკონტროლო წესები.
1884	3.803,9	1.457	939,1	6.200,8	
1885	7.099,5	2.138,6	1.170,8	10.408,9	
1886	8.879	2 228,5	3.289,6	14.397,1	
1887	11.191,9	2 739	4.135	18.065,9	
1888	22.503,5	1.727,5	4.280,1	28 551,1	
1889	33.040,9	1.951,7	5.121,3	40.113,9	
1890	36.211,8	3.497,2	2.715,5	42.424,5	
1891	42.223	4.062,6	2 586,6	48.872,2	
1892	45 439,5	5,178,9	1.709,6	52.328	
1893	48.137,4	5.515,3	1.491,5	55.144,2	
1894	41 557,1	4.893	2.006,3	48.456,4	
1895	47 885,1	5.042,9	1.895,6	54.823,6	
1896	37.730,8	3.222,6	1.130.3	42.083,7	
1897	48 843,4	6.382,8	2.897,3	57.826,5	
1898	51.841,5	7.280,2	2.909,1	62.030,8	
1899	56.063,3	8.001,4	2.239,9	66.304,6	
1900	50.786,7	8 203,3	1.668,9	60.658,9	
1901	65.016	8.268.2	1.087,7	74.371,9	
1902	67.560,9	9.270,3	1.507,6	78.338,8[1]	

ცხადია, ბათუმიდან ნავთობის პროდუქტთა საზღვარგარეთ გატანის ასეთი ზრდა წარმოებაში გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვითა და მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილების განუხრელი აღმავლობით აიხსნება.

1883 წელს ბათუმიდან ნავთობის პროდუქტთა პირველი ექსპორტის ოდენობა 3 მილიონ ფუთამდე აღწევდა, 20 წლის შემდეგ კი (1902 წ.) — 78 მილიონ ფუთამდე მიაღწია.

და მარ ილაც, როგორც ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი, უკვე მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ცალკეული ქარხნები ფართოდ იყენებენ ტექნიკის მიღწევებს. მრავალრიცხოვანი მუშის შრომა მექანიკური ძრავებით იცვლება. ელევატორების სა-

[1] Л. Марков, «Очерк Батумской торговли нефтяными продуктами», сборник («Батум и его окрестности», 1906 г. стр. 310-311).

შუალებით ნავთობის გადასხმით გაგზავნა დააჩქარა რუსეთის ნავთობის მთავარმა კონკურენტმა — ამერიკამ, რომელმაც ნავთობის ექსპორტში ფართოდ დანერგა უახლესი ტექნიკა.

თუ რამდენად ამცირებდა წარმოების ხარჯებს და საქონლის ფასებს ნავთობის ექსპორტირებაში გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვა, დამაჯერებლად ნაჩვენებია მოხსენებაში, რომელიც ხმოსანმა მამულოვმა გააკეთა ბათუმის საქალაქო სათათბიროს ერთერთ სხდომაზე. მამულოვის განმარტებით, ერთ გემს შეუძლია, ვთქვათ, 120.000 ფუთი ნავთის წაღება.[1] თუ ვიანგარიშებთ ყოველი ფუთი ნავთის ღირებულებად 40 კაპიკს, მაშინ ერთი გემი ნავთის ღირებულება იქნება 48.000 მანეთი, მაგრამ თუკი აღნიშნული რაოდენობის ნავთობი გაიგზავნება ძველი წესით, მაშინ მარტო ტარის ღირებულებას დასჭირდებოდა 61.580 მანეთი, რომ არაფერი ვთქვათ გემის დატვირთვისათვის მუშის შრომის ანაზღაურებაზე, თვით ხანგრძლივ დროზე, რომელიც გემის დატვირთვას სჭირდება, და სხვ.[2]

წვრილ მწარმოებელთა ბრძოლა როტშილდის ქარხნის წინააღმდეგ, როგორც ითქვა, დღემოკლე და უნიადაგო იყო. მოწინავე ქართველი ინტელიგენტები იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ცხოვრების ეკონომიური კანონები საზოგადოებას თავისი აუცილებელი განვითარების გზით წაიყვანდნენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი. მან გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც გამოთქვა მოსაზრება, რომ „როტშილდი ახლო მომავალში გადაყლაპავდა წვრილ მენავთეებს და მრავალრიცხოვან მშრომელ ხალხს ლუკმა-პურს გამოაცლიდა იმით, რომ წარმოებაში მუშახელის მაგივრად უმთავრესად მანქანა-იარაღებს აამუშაებდა“.[3] ეს ასეც მოხდა. 1889 წლიდან, ჯერ პირველობისათვის, მერე კი მონოპოლიისათვის ბრძოლა შეუნელებლად მწვავდებოდა. წვრილი ქარხნები თანდათან ისპობოდნენ.

ბათუმიდან ნავთობის პროდუქტთა გამზიდველი 18 საზოგადოებიდან მთავარ როლს ასრულებდა როტშილდის, მანთაშევისა და ნობელების გაერთიანებები. 10 წლის მანძილზე ამ სამი უმსხვი-

1 90-იანი წლებიდან ნავთობის ჩასასხმელ გემებს ბათუმიდან საზღვარგარეთ გაცილებით მეტი ტვირთი გააქონდათ.

2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 7, საქმე 43, ფურც. 19.

3 გაზ. „ივერია“, № 65, 1889 წ.

ლესი ფირმის მიერ გაზიდული ნავთობის ხვედრითი წონა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

წლები	ათას ფუთებში		
	სამი უმთავრესი ფირმა	ყველა დანარჩენი ფირმა	სულ გაზიდულია[1]
1893	43.432,1	19.142	62.574,1
1894	47.683,3	9.061,8	56.745,1
1895	40.581,1	20.289,5	60.870,6
1896	35.656,2	12.485,4	48.141,6
1897	50.573,6	15.057,7	65.631,3
1898	56.883,8	11.553,9	68.437,7
1899	54.339,6	16 845,4	71.185
1900	48.684,1	16.679,5	65.363,6
1901	54.397,3	24.109,3	77.506,6
1902	57.511,3	26.674,5	84.185,8

აქედან ნათლად ჩანს, რომ ბათუმიდან ნავთობის გაზიდვის მონოპოლია ფაქტიურად სამი მთავარი ფირმის ხელთ იყო. დანარჩენი ფირმები არსებობდნენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ მსოფლიოში რუსეთის ნავთობზე ჯერ კიდევ დიდი მოთხოვნილება იყო. ბაქოს ნავთობის მოპოების სიიაფე წვრილ მწარმოებლებს აძლევდა საშუალებას გარკვეულ დრომდე შეესრულებინათ მსხვილ მწარმოებელთა თანამგზავრის როლი.

ბაქოს ნავთობის მოპოვებისა და დამუშავების სიიაფე, ხარჯების უზარმაზარი განსხვავება ამერიკაში მოპოვებასთან შედარებით, რუსეთის ნავთობს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციაში დიდ უპირატესობას ანიჭებდა.[2] ეს ბაქოს პროლეტარიატის ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე ხდებოდა.

[1] Л. Марков, «Очерк батумской торговли нефтяными продуктами», კრებულიდან «Батум и его окрестности», 1906 г., стр. 291).

2 მაგალითად, ამერიკაში მე-20 საუკუნის დამდეგს ფუთი ნავთობის მოპოვების შედარებითი ღირებულება უდრიდა 20 კაპ. ხოლო ბაქოში — 3 კაპ. დიდი განსხვავება არსებობდა აგრეთვე ბაქოსა და ამერიკაში ნავთობის გადამუშავების ხარჯებს შორის. ამერიკაში 1 ფუთი ნავთობის გადამუშავების ხარჯი უდრიდა 21 კაპ. ხოლო ბაქოში 1/4 კაპ. (Л. Марков, «Очерк Батумской торговли нефтяными продуктами». «Батум и его окрестности», стр. 319).

ბაქოს ნავთობის სასაქონლო ფასები შედარებით დაბალი გახდა. სურამის უღელტეხილზე გვირაბის გაყვანამ შესაძლებელი გახდა ნავთობის შედარებით იაფად და დაუბრკოლებლად გადაზიდვა ბათუმში.[1]

ბათუმიდან ნავთობის პროდუქტთა ექსპორტის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენი მილის გაყვანის დამთავრებას 1900 წელს.[2] ეს ყველაზე უფრო მეტად უწყობდა ხელს ექსპორტის გაიაფებას. გარდა ამისა, ბათუმიდან გატანილ და შემოტანილ ყოველ ფუთ საქონელზე, რუსეთის სხვა ნავსადგურთან შედარებით, დაბალი სააქციზო გადასახადი დაწესდა, ხოლო ზოგიერთი საიმპორტო საქონელი სავსებით გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისაგან.

ნავთობის პროდუქტების ექსპორტი 90-იანი წლების მიწურულიდან, უმთავრესად, გადასხმის წესით წარმოებდა. ამავე დროს სატარო ექსპორტსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

---

1 ბათუმიდან ბაქოს ნავთობის პროდუქტების გაზიდვის არაჩვეულებრივად გაზრდილმა მოთხოვნილებამ აუცილებელი გახადა სურამის უღელტეხილზე გვირაბის გაყვანა. გვირაბის გასაყვანად მუშაობა 1886 წელს დაიწყო. მის მშენებლობაზე დაახლოებით 1.968.525 მანეთი დახარჯა. გვირაბში მოძრაობა დაიწყო 1890 წლის 16 სექტემბერს. სურამის უღელტეხილის გვირაბს სიდიდით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს რუსეთში ცნობილ გვირაბებს შორის. («Путеводитель по закавказским железным дорогам» под ред. Б. А. Бутечко, Тифлис, 1911 г., стр. 146—150).

2 ბაქოდან ბათუმამდე ნავთსადენი მილის გაყვანის საჭიროება ადრევე არსებობდა. ჯერ კიდევ 1884 წლის მარტში ამერიკელმა მილიონერმა მრეწველ-კაპიტალისტმა გეორგ ვილსონმა თხოვნით მიმართა კავკასიის სამოქალაქო სამხედო მთავარმართებელს, რომ მისთვის კონცესიის წესით მიეცათ ბაქო-ბათუმს შორის ნავთსადენის გაყვანის ნებართვა. ვილსონმა უარი მიიღო (საქ. ცსსა, ფ. 12, აღწ. 8, საქ. 26, ფურც.4-6).

ბაქო-ბათუმს შორის ნავთსადენი მილის გაყვანის დაგეგმარება იმითაც აიხსნება, რომ ნავთობის საბადოს მიგნებას საქართველოშიც მოელოდნენ, ფიქრობდნენ, რომ ნავთობის ძიების დროს სუფსაში ან სხვა რომელიმე კუთხეში შადრევანი ამოხეთქავდა და უზარმაზარი ხარჯები, რაც დაკავშირებული იყო 836-კილომეტრიანი ნავთსადენი მილის გაყვანასთან, უქმად ჩაიქცეოდა. როგორც ნ. ნიკოლაძის პირად არქივში შემონახული დოკუმენტებიდან ჩანს, თვით ნ. ნიკოლაძე და ზოგიერთი გავლენიანი პირები წინააღმდეგი ყოფილან ნავთობის მილის ბათუმამდე გაყვანისა, რადგან ისინი ნავთობის საექსპორტო ქალაქად ფოთს ვარაუდობდნენ.

ბაქო და ბათუმს შორის აღნიშნული ნავთსადენი მილის გაყვანა დაჯდა 21.046.297 მანეთი. ნავთსადენი 1900 წლის 2 იელისს გაიხსნა. მისი გამტარიანობა წელიწადში 60.000.000 ფუთს აღწევდა. (Путеводитель по закавказским железным дорогам, под ред. Б. А. Бутечко, Тифлис, стр. 162).

წლები	ნავთი			სხვა პროდუქტები			სულ
	გადასხმით	ბიდონებით	კასრებით	გადასხმით	ბიდონებით	კასრებით	
1897	34.516	20.828,6	387,7	8.390.7	23,6	1.484,7	65.631,3
1898	37 762	19.307,2	403,1	9.365,3	49,8	1 549,7	68.437,7
1899	36.851	23.237,1	268,3	9.360.5	22,9	1.445,2	71.185
1900	34.023,5	21.668,8	345,8	8.637	13.9	1.674,6	65.363,6
1901	40.814,6	26.762,7	217,8	8.031,3	64,2	1.626	77.506,6
1902	53.174,3	19.644	142,9	9.789,4	61,4	1 37ა,8	84.185,8

ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ბათუმიდან ტარით გატანილი ნავთობის რაოდენობა, გადასხმით გაგზავნილი ნავთობის რაოდენობასთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებია.[1]

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმის გამორკვევა, თუ რა ადგილი ეკავა რუსეთის ბაზარს ბათუმიდან გაზიდულ ნავთობის პროდუქტთა გასაღებაში.

ბაქოს ნავთობისათვის რუსეთის ბაზარი შეზღუდული და ნაკლებ პერსპექტიული იყო. ამიტომ კაპიტალისტებმა კურსი თავიდანვე ნავთობის საზღვარგარეთული ბაზრებისაკენ აიღეს. როტშილდის ქარხნის წარმომადგენელმა ზროდლოვსკიმ 1889 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სათათბიროს სხდომაზე განაცხადა: „არ შეიძლება ნავთობის გასაღებაში რუსეთის ბაზრის დიდი იმედი ვიქონიოთ, ბაზრისა, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის, მისი მოთხოვნილება უცვლელია — დაახლოებით 20 მილიონი ფუთი წელიწადში. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მოსახლეობა რუსეთში ყოველწლიურად მატულობს, საგზაო მიმოსვლა მუდმივად იზრდება და ბოლოს და ბოლოს თვით ბაქო ძალზე ახლოსაა რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან და ამავე დროს ბაზრის მოთხოვნილება თითქმის უცვლელი რჩებაო“.[2]

კაპიტალისტ როტშილდის აგენტი ზროდლოვსკი აღიარებდა, რომ მისი ფირმა ისწრაფვოდა მსოფლიოს თვალუწვდენი ბაზრები-

1 იქვე, გვ. 288.

2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 7, საქმე 43, ფურც. 20, 1889 წ., 17 მარტი. ალბათ აუდიტორიაზე გავლენის მოსახდენად ზროდლოვსკი ზოგჯერ არ ერიდებოდა ფაქტიური მონაცემების „შესწორებასაც“. მაგ., როგორც ირკვევა, 1889 წელს რუსეთის საშინაო ბაზარმა აითვისა არა 20 მილიონი ფუთი ნავთობი, არამედ 28,4 მილიონი, ათი წლის შემდეგ (1898 წელს) კი — 45,64 მილიონი ფუთი (იხ. ქვემოთ დიაგრამა № 2).

საკენ. კაპიტალისტებისათვის ასეთი მისწრაფება ბუნებრივი იყო, რადგან „...კაპიტალისტური საწარმო აუცილებლად გადალახავს თემის, ადგილობრივი ბაზრის, ოლქის და შემდეგ — სახელმწიფოს საზღვრებსაც. და რადგანაც სახელმწიფოთა განკერძოება და კარჩაკეტილობა უკვე დარღვეულია საქონლის ბრუნვით, ამიტომ მრეწველობის თვითეული კაპიტალისტური დარგის ბუნებრივი ლტოლვა მისთვის აუცილებელს ხდის „ეძიოს საგარეო ბაზარი".[1]

რუსეთის ბაზარი განვითარების დაბალ დონეზე იდგა. „შინაური ბაზრის განვითარების დონე, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ამავე დროს ქვეყნის კაპიტალიზმის განვითარების დონესაც წარმოადგენს".[2]

რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების დაბალი დონის შედეგად მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა შეუმჩნეველად იზრდებოდა. გზების გაყვანის, მოსახლეობის ზრდისა და სხვა ხელისშემწყობი პირობების მიუხედავად, უახლოეს წლებში რუსეთის ბაზარი დიდ იმედებს არ იძლეოდა.

რუსეთის ბაზარს ბათუმისათვის, ნავთობის საერთო ექსპორტში, ერთობ მცირე ადგილი ეკავა. ეს ქვემოთ მოტანილ ცხრილიდანაც ჩანს:

წლები	საზღვარგარეთ		რუსეთში		ს უ ლ		შენიშვნა
	ათასი ფუთი	+, — %	ათასი ფუთი	+, — %	ათასი ფუთი	+, — %	
1888	28,551	—	3,382,1	—	31.933,1	—	% უწევდეს ნავთობის ბათუმის ზრდას(+), ან შემცირებას(—)
1889	40.113,9	+40,49	4.318,2	+27,67	44.432,1	+39,42	
1890	42.424,5	+ 5,51	4.639,4	+ 7,43	47.063,9	+ 5,94	
1891	48.872,2	+15,19	6.291	+35,59	55.163,2	+17,2	
1892	52.328	+ 7.07	5.964,7	— 5,18	58.292,7	+ 5,67	
1893	55.144,2	+ 5,38	7.429.9	+24,56	62.574.1	+ 7,32	
1894	48.456,4	—12.12	8.288,7	+11,55	56.745,1	— 9,31	
1895	54.823,6	+13,14	6.047	- 10,36	60.870,6	+ 7,27	
1896	42.083,7	- 23,23	6.057,9	+ 0,18	48.141.6	—20,91	
1897	57.826,5	+37,40	7.804,8	+12,32	65 631,3	+36.32	
1898	62.030.8	+ 7,27	6 406,9	—17,91	68 437,7	+ 4,27	
1899	66.304,5	+ 6,88	4 880,5	—23.66	71.185	+ 4,01	
1900	60.655,9	— 8,97	4.704,7	— 3,60	65.363.6	— 8,17	
1901	70.371,8	+22,60	3.134,8	—33.36	77.506,6	+18,57	
1902	78.388,8	+ 5,33	5.847	+86,51	84.155,8	+ 8,61	

ამ მონაცემების მიხედვით, ბათუმიდან საზღვარგარეთ ნავთობის გატანამ 28 მილიონამდე ფუთიდან (1888 წ.) 78 მილიონამდე

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948 წ., გვ. 60-61.
2 იქვე, გვ. 64.

ფუთს (1902 წ.) მიაღწია. ამავე წლებში რუსეთში ნავთობის გაზიდვა ფუთობით საშუალოდ 3 მილიონიდან 5 მილიონამდე გაიზარდა.

როგორც ვხედავთ, 1896 წელს, წინა წელთან (1895 წ.) შედარებით, ბათუმიდან ნავთობის საზღვარგარეთ გატანამ 23%-ით იკლო. ეს მოვლენა, როგორც აღნიშნული გვაქვს, გამოწვეული იყო სურამის უღელტეხილზე სარკინიგზო ტვირთზიდვის დროებით შეჩერებით (1895-1896 წლები.)

ბაქოდან ბათუმში ნავთობის გადმოტანის დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით ექსპორტი შედარებით შორეული ნოვოროსიის ნავსადგურიდან დაიწყეს.[1] ეს ზედმეტ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა. 1895 წელს ნოვოროსიის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გატანილ იქნა მხოლოდ 3.600,6 ათასი ფუთი ნავთობის პროდუქტები, 1896 წელს კი — 14.383,9 ათასი.[2]

1895-96 წ.წ. ბათუმიდან ნავთობის პროდუქტების შედარებით დაუბრკოლებელი გაზიდვა (საშუალოდ წლიურად 48 მილიონ ფუთზე მეტი) იმის შედეგი იყო, რომ სავაჭრო ფირმებმა 90-იანი წლებიდან აქ შექმნეს ნავთობის მძლავრი სარეზერვო ბაზა. დიდი ტევადობის რეზერვუარები გააშენეს და ამით დიდძალი საექსპორტო მარაგი შექმნეს. რეზერვუართა მშენებლობაში წამყვანი ადგილი „კასპიისა და შავი ზღვის ვაჭრობა-მრეწველობის საზოგადოებას“ ეკავა.

1902 წლის 1 იანვრისათვის ბათუმში გაშენებული რეზერვუარები რვა მნიშვნელოვან სავაჭრო ფირმებს შორის საკუთრებისა, რაოდენობისა და ტევადობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

№ №	რეზერვუარების მფლობელები	რეზერვუართა რაოდენობა	წყლის ტევადობა ფუთობით
1	კასპია-შავი ზღვის საზოგადოება როტშილდისა	25	4.258.293
2	ძმ. ნობელებისა	22	2.962.526
3	მანთაშევისა და კომპანიისა .	11	2.449.940
4	ზიბაევისა	6	1.075.135
5	ნავთ-ხეთის მწარმოებელ ამხანაგობისა	12	2.866.934
6	რილსკისა	4	1.163.773
7	კასპიის ამხანაგობისა . .	4	1.087.169
8	ა/კ. რკინიგზისა	11	1.824.821

1 მართალია, ხაშურიდან სურამის უღელტეხილზე გადავლით გაყვანილ იქნა ნავთობის დროებითი მილი, მაგრამ მას უმნიშვნელო დებეტი ჰქონდა.

2 Л. Марков, Очерк батумской торговли нефтяными продуктами, сборник «Батум и его окрестности», стр. 274.

ამათ გარდა შედარებით მცირე რაოდენობისა და მოცულობის რეზერვუარები გააჩნდათ დანარჩენ 14 წვრილ მრეწველს. თუ ყველას სათვალავში ავიღებთ, 1902 წელს ბათუმში 128 რეზერვუარი იყო, რომლის წყლის ტევადობა აღწევდა 21.639.139 ფუთამდე (დაახლოებით 18 მილიონი ფუთი ნავთი), რაც დაახლოებით, ბათუმიდან ნავთობის წლიური ექსპორტის ¼-ს შეადგენდა.[1]

ნავთობის ასეთი უზარმაზარი მარაგის არსებობა დიდად უწყობდა ხელს ბათუმის ნავსადგურიდან ექსპორტის უმაგალითო ზრდას. 1883 წლიდან (ე. ი. ექსპორტის დაწყების პირველი წლიდან) 1902 წლამდე ექსპორტი 2.339 % გაიზარდა და 78,3 მილიონ ფუთამდე ავიდა.[2]

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი უჩვენებს ბაქოს რაიონში და ამერიკაში ნავთობის მოპოვების შეფარდებას ათი წლის მანძილზე (1889 — 1898 წ. წ.).[3]

წლები	ნავთობის მოპოვება ბაქოში ათას ფუთ.			ნავთობის მოპოვება ამერიკაში ათას ფუთ.	ბაქოს ნავთობის შეფარდება საერთო მოპოვებასთან
	ამოქაჩვა	შადრევანი	ს უ ლ		
1889	147.800	41.800	192.600	275.000	39,05%
1890	150 300	76.000	226 300	359 000	38,66%
1891	235.400	39.200	274.6 0	425 000	39.25%
1892	210 800	75.500	286.300	395.000	42,02%
1893	215 500	109.20 1	321.700	279 000	46,14%
1894	245 700	61.800	297.500	387.000	43,46%
1895	264 600	112.8 0	377.400	388.000	49,31%
1896	299.200	87 000	386 100	442.000	46.63%
1897	332 900	88 800	421 700	433.000	49,34%
1898	372.800	113.100	485.900	378.000	56,24%
ს უ ლ	2.465.000	808.200	3.273,200	3.861 000	45 88%

როგორც აღვნიშნეთ, ბათუმიდან გატანილი რუსული ნავთობის ერთადერთი საშიში კონკურენტი ამერიკული ნავთობი იყო. ქვემოთ ვაქვეყნებთ შედარებით ვრცელ სტატისტიკურ ცნობებს, რომლებიც წარმოგვიდგენს რუსეთის ნავთობის მოპოვების რაოდენობას, ბათუმიდან მის ექსპორტს და იმ ხვედრით წონას, რომელიც მას მსოფლიო ბაზარზე ჰქონდა.

[1] Л. Марков, Очерк Батумской торговли нефтяными продуктами, сборник «Батум и его окрестности», 1906 г., стр. 298—300.

[2] იქვე. გვ. 311.


[3] Н. П. Забугин, Отчет Председателя «Суб-комиссии».

წლები	ნავთი											
	სულ საზღვარგარეთ			მათ შორის შორეულ აღმოსავლეთში			სხვა დანარჩენი პროდუქტები			სულ გატანილია		
	რუსეთიდან	ამერიკიდან	რუსეთიდან გატანილის შეფარდება საერთო რაოდენობასთან	რუსეთიდან	ამერიკიდან	რუსეთიდან გატანილის შეფარდება ნიცის საერთო რაოდენობასთან	რუსეთიდან	ამერიკიდან	რუსეთიდან გატანილის შეფარდება ნიცის საერთო რაოდენობასთან	რუსეთიდან	ამერიკიდან	რუსეთიდან გატანილის შეფარდება ნიცის საერთო რაოდენობასთან
	ფუთებით			ფუთებით			ფუთებით			ფუთებით		
1889	28,4	127	18,2%	8,8	27,5	24,2%	7,9	29,7	21 %	36,3	56,7	18.9%
1890	32,2	126,7	20,2%	11,8	25	32.1%	10.5	32.9	24,2%	42,7	159,9	21.1%
1891	36.6	122,1	23%	14,1	19,3	42,2%	11,7	32.7	26,4%	48,3	154,8	23.7%
1892	37.6	135,5	21.7%	16,9	20,5	45.2%	13.3	35.6	27,2%	50,9	171,1	22,5%
1893	39.0	147,7	20.9%	21,5	32.9	39.5%	16.4	37.3	30,6%	55,4	185	23%
1894	32,7	167,9	15,8%	15.9	23,9	36.9%	15,3	40,9	27,2%	48	208,8	18,9%
1895	41,5[1]	164,5	20,1%	22,8	16,9	57.4%	14,8	39,1	27,5%	56,3	203,6	21,3%
1896	42 [2]	164,7	20,3%	24	25,6	48.4%	11,5	40	22,3%	53,5	204,7	20.7%
1897	40,9[3]	177.3	18,9%	22,6	28,8	43,9%	17,4	46,5	27,2%	58,3	223.8	20,6%
1898	45,6[4]	175	20,7%	22,7	26,8	45,9%	16,4	51,8	24%	62	226,8	21,4%
სულ	376.5	1508,4	20%	181.1	247,2	42,3%	135,2	386,5	25,9%	511,7	1.894,9	21,3%

[1] მათ შორის 1,0 მილიონი გატანილია ნოვოროსიისკიდან
[2] — „ 11.1 „ „
[3] — „ 0,5 „ „
[4] — „ 2,2 „ „


დიაგრამა 1

წვეთობის მოკოვება ბაქო, რაიონსა და აქერიკაში
ათი წლის განმავლობაში (1889-1898 წ.წ.)




დიაგრამა №2.

რუსეთიდან (პირველ) და ამერიკიდან ნაოთიხის ჩრიდილოეთის პირველ საზღვარზედან ათი წლის განმავლობაში (1889 - 1898 წწ.)



დიაგრამა №3

ბავშვთა ავსკიის ზღვითა და ამბიერკავკასიის რკინიგზით
მგზავრობის ქრონიკულობის ბაცაცა ათი წლის
ბავშვობაში (1889 – 1898 წ.წ.)



წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ბაქოს ნავთობის მრეწველობაში ტექნიკური რევოლუცია ხდებოდა. სულ მოკლე დროში (10 წელიწადში) რუსეთი ნავთობის მოპოვების მხრივ ჯერ დაეწია და შემდეგ კიდევაც გაუსწრო ისეთ პირველხარისხოვან კაპიტალისტურ სახელმწიფოს, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

აქ წარმოდგენილი სტატისტიკური ცხრილები და დიაგრამები გვიჩვენებენ რუსული ნავთობის ექსპორტის მთლიან სურათს, საიდანაც ჩანს, რომ ბათუმიდან ამ პროდუქტის ექსპორტი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში (1889-1898) ყოველწლიურად იზრდებოდა. ბაქოს ნავთის უპირველესი მომხმარებელი ევროპა იყო; შემდეგ თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, შორეული აღმოსავლეთი და თვით რუსეთი.[1]

ეს პერიოდი ბათუმის მრეწველობისა და ნავთობის ექსპორტის პროგრესული განვითარების, მისი აყვავების პერიოდს წარმოადგენდა. იგი 1889 წელს დაიწყო და თვით სამრეწველო კრიზისის წლებშიც, ერთ ხანს, თითქოს საკმაო წარმატებით ვითარდებოდა.

მაგრამ ეს არის მოვლენის გარეგანი მხარე. თავისუფალ კონკურენციაში ჩაბმული ბათუმის მრეწველობის განვითარების უმაღლეს საფეხურად, დაახლოებით, შეიძლება ჩავთვალოთ 1898 წელი. რა თქმა უნდა, ეს „თავისუფალი კონკურენცია“ სრულიადაც არ არის თავისუფალი მწვავე კონფლიქტებისა და ტკივილებისაგან. თავისუფალი კონკურენციის პერიოდში ბათუმის არა ერთი სამრეწველო და სავაჭრო ფირმა გაკოტრდა. 1902-1903 წლებში, მსოფლიო სამრეწველო კრიზისის პერიოდში, ბათუმიდან ნავთობის გაზიდვამ თავისი განვითარების „ზენიტს“ მიაღწია. ამ დროს ამერიკაც საყოველთაო კრიზისის აგონიით იყო შეპყრობილი და მას ბათუმელ მენავთეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის არ ეცალა.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან და დიაგრამებიდან ჩანს, ბათუმიდან ნავთობის გატანის ზრდას კრიზისული მოვლენების გავლენა გარკვეულ პერიოდში არ შეჰხებია. ბათუმიდან ნავთობის გაზიდვასაც ამ დროს ინგლისის საგარეო ვაჭრობის ისტორიისათვის

---

1 რუსეთის ნავთობის მიერ მსოფლიო ბაზრებზე მოპოვებულ წარმატებათა შესახებ ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ნავთობის მრეწველობამ, როგორც კი დაიპყრო შინაური ბაზარი, მაშინვე დაიწყო საგარეო ბაზრების ძებნა, და ნავთობის გატანა აზიაში ძალიან სწრაფად იზრდება... წინააღმდეგ ზოგიერთ იმ რუს ეკონომისტთა აპრიორული წინასწარმეტყველებისა, რომელთაც ძალიან უყვართ ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთის კაპიტალიზმს საგარეო ბაზრები არა აქვსო“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 581).

დამახასიათებელი ანალოგიური მოვლენა დაეტყო. კ. მარქსი და ფ. ენგელსი 1849 წ. 7 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში წერდნენ:

«В истории английской торговли мы находим разительнейшие доказательства того, что вывоз сокращается не непосредственно вслед за кризисом, а только после того, как кризис успел распространиться и на континент». [1]

1900-1903 წლის სამრეწველო კრიზისი დამთავრდა და დაიწყო დეპრესია. ამერიკელი მენავთეები მსოფლიოს განაწილებისათვის ბრძოლაში იწვევენ ბათუმის ნავთობის სავაჭრო კომპანიებს. იწყება ე. წ. „მენავთეების ომი“.

მსოფლიო მასშტაბის ეკონომიურ ომს ბათუმელი მენავთობეები მოუმზადებელი შეხვდნენ. ამ დროს ბაქო-ბათუმის მრეწველობასა და ვაჭრობაში წვრილ და მსხვილ, ტექნიკურად ჩამორჩენილ და მოწინავე საწარმოთა შორის საკონკურენციო ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. იყო საქმის მეორე არსებითი მხარეც. ბათუმელ მენავთეთა უმრავლესობა ვაჭრობაში მხოლოდ სამუამაოლო როლს ასრულებდა. ისინი ბაქოში ყიდულობდნენ მზა პროდუქტს და ჰყიდდნენ უცხოეთის ბაზრებზე. ბათუმის ფირმების მოგება უმნიშვნელო იყო იმის შედეგადაც, რომ მათ უმრავლესობას არ გააჩნდა ტეირთზიდვის საკუთარი საშუალებანი. ბათუმიდან ტეირთზიდვა მთლიანად უცხოელების ხელში მოექცა. ნავთობის გასაღებიდან მიღებული მოგების დიდი უმეტესობა უცხო სახელმწიფოთა სალაროში გადადიოდა. ასეთ არახელსაყრელ გარემოებათა შედეგად ბაზარზე ხშირი იყო ნავთობის ფასების მერყეობა, რომელსაც ამერიკის ნავთობის სინდიკატი უწყობდა ხელს. 1894 წელს 1 ფუთი ნავთის ფასი $8^{1}/_{2}$-$7^{1}/_{2}$ კაპიკამდე დაეცა. ცხადია, ეს მოქმედებდა საქონლის ხარისხზე. ნავთის ქარხნის მეპატრონეს მოგების სახით რჩებოდა 1-2 კაპ. ყოველ ფუთ ნავთზე. საიდანაც მას უნდა დაეფარა დანაკარგები. წარმოების ხარჯები, მუშის ხელფასი და სხვ. ასეთი პირობების გამო გულიშამბაროვი აცხადებდა: „გაუგებარია, თუ როგორ შეუძლიათ იარსებონ წვრილმა მწარმოებლებმაო“.

მაღალი ტექნიკის და ბაზრების დაუფლების მეოხებით, — როგორც ლ. მარკოვი ამბობს, — ამერიკა ხშირად ბათუმიდან გატანილ ნავთობს ასაღებდა თავის ბაზრებზე ამერიკული ფირმის სახელით. ხოლო ინგლისმა XX საუკუნის დამდეგს ხელთ იგდო აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ბათუმიდან საკუთარი გემით აგზავნიდა სამშობლოში.

რომ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ ბათუმიდან ნავთობის გატანის სატრანსპორტო საშუალებებზე, მოგვყავს „სუბ-კომისიის“ მიერ შეკრებილი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ 1897-1898 წლებში ბათუმიდან საზღვარგარეთ ნავთობს ეზიდებოდნენ შემდეგი გემები:

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, сочин., т. VI, изд. II, стр. 348.

№№	გემთა სახელწოდება	ქვეყნება	ტევადობა ტონობით	ტევადობა ფუთობით	შენიშვნა
1	ბორჯომი	რუსეთის	3.600	223.200	
2	სვეტი	„	1.800	111.600	
3	ლუჩი	„	1.500	98.000	
4	მიხეილი	„	350	21.700	
5	ალექსანდრა	„	130	8.060	
6	იაზონი	„	60	3.720	
7	ეველიკა	„	10	620	
8	ტელენა	„	6.300	390.600	
9	პეკტენი	ინგლისის	6.300	390.600	
10	კაური	„	6.300	390.600	
11	ნირაიტი	„	6.300	390.600	
12	ოლფილდი	„	5.400	334.800	
13	ორეოლი	„	5.300	328.600	
14	ტროკასი	„	5.100	328.600	
15	იუპლეკტი	„	5.100	316.200	
16	ვოლიუტი	„	5.100	316.200	
17	ბოლმაზსი	„	5.100	316.200	
18	ილაკსი	„	5.100	316.200	
19	ტორბო	„	5.100	316.200	
20	ვედრა	„	5.100	316.200	
21	დოფილდი	„	4.900	303.800	
22	კონჩი	„	4.800	297.600	
23	კლემი	„	4.800	297.600	დაილუპა 1899 წ.
24	ერამსი	„	4.800	297.600	
25	სურამი	„	4.800	297.600	
26	ბაკუ-სტანდარტი	„	4.800	297.600	
27	ნორზე ლაიტი	„	4.800	297.600	
28	ლეკოკი	„	4.800	297.600	
29	ლნეცერნოსი	„	4.700	291.400	
30	მორეკსი	„	4.600	285.200	
31	ჟორჟან პრინცი	„	4.100	254.200	
32	ლიუსილ სიონი	„	4.000	248.000	
33	მანატანი	„	3.900	241.800	
34	ბროდმენი	„	3.800	235.600	
35	ყაზბეგი	„	3.800	235.600	
36	იალბუზი	„	3.800	235.600	
37	დარიალი	„	3.800	235.600	
38	ვეკონ ლაიტი	„	3.800	235.600	
39	როკ ლაიტი	„	3.800	235.600	
40	ვეჩოკენი	„	3.800	235.600	

№№	გემთა სახელწოდება	კუთვნილება	ტევადობა ტონობით	ტევადობა ფუთობით	შენიშვნა
41	მეკსიკან პრიკსი	ინგლისის	3·700	229.400	
42	როშან პრიკსი	„	3.700	229.400	
43	გოტამ ნიუტონი	„	3.500	217.000	
44	აზოვი	„	3.500	217.000	
45	ლომენი	„	3.400	210.800	
46	მტკვარი	„	3.200	198.400	
47	რიონი	„	3.100	192.200	
48	სირკასენ პრინსი	„	3.000	186.000	
49	ენრი რიჩი	„	3.000	186.000	
50	ბოსფორი	„	2.900	179.800	
51	ესტრალი	„	2.900	179.800	
52	ტენკალვილი	„	2.800	173.600	
53	ორნედე პრინსი	„	2.600	161.200	
54	ხალიოტისი	„	1.900	117.800	
55	ტრიგონიე	„	1.900	117.800	
56	პეტრიანე	„	1.900	117.800	
57	ჩიგროლი	„	1.500	93.000	
58	მაინოკო	„	800	49.000	
59	ტიშენი	„	1.500	93.000	
60	დაღისტანი	ბელგიის	3.200	198.400	
61	ერევანი	„	3.000	186.000	
62	ურალი	„	2.900	179.800	
63	აფშერონი	„	2·100	130.200	დაილუპა
64	კავკასია	„	2·000	124.000	1898 წელს
65	სულთან-ვან-ლანკატ	ჰოლანდიის	3.000	186.000	
66	ხესპეი	„	3.000	186.000	
67	ფლანდრია	„	2.700	167.400	
68	მინისტრი მაიბახი	სპარსეთის	3.600	223.200	დაილუპა 1899 წელს
69	ნიკოლოზ II	„	2.500	155.000	
70	სოფია	„	2.000	124.000	
71	ქადაგუა	ესპანეთის	3.100	192.200	
72	ზრინდად-დე-რენსი	„	2.200	136.400	
73	ელგალო	„	850	52.700	
74	ლია ვიგედა	„	850	52.700	
75	ეტელკა	ავსტრიის	3.200	198.400	
	ს უ ლ		255.750	15.918.500	

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ როდესაც ელაპარაკობთ ბათუმიდან გაზიდული ნავთობის ამერიკულთან კონკურენციაზე, ფაქტიურად ეს იყო რუსეთ-ინგლის-ამერიკის კაპიტალის ბრძოლა ნავთობის ბაზრებზე პირველობისათვის.

როგორც ცნობილია, იმპერიალისტურ სტადიას მსოფლიო კაპიტალისტურმა მეურნეობამ მიაღწია XX საუკუნის დამდეგს.[1] ამ საუკუნის პირველი წლები რუსეთში ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისების წლები იყო.

როგორც აღნიშნული გვაქვს, მონოპოლისტური გაერთიანების ტენდენცია ადრევე გაუჩნდა როტშილდის ფირმას, მან XX საუკუნის დამდეგისათვის მოასწრო მთელი რიგი მცირე ფირმების ჩაყლაპვა, მაგრამ მრავალი ფირმა ჯერ კიდევ განზე დარჩა. ჩანს, როტშილდს ჯერ კიდევ არ ყოფნიდა ამისათვის სახსრები და მოლაპარაკების გზით მოსინჯა ნიადაგი ამერიკული ნავთობის სინდიკატთან გაერთიანებისათვის, მაგრამ ეს მოლაპარაკება, რომელიც წელიწადნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა, უშედეგო აღმოჩნდა. ამერიკელებმა როტშილდსა და სხვა მეწარმეებს მოთხოვეს შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ წვრილი მეწარმეები ამაზე არ დათანხმდნენ.[2] ამგვარად, ბათუმში ნავთობის კარტელის შექმნის იდეა ჩაიშალა.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა მებრძოლ მხარეთა შორის. ამერიკაში შეიქმნა ნავთობის ძლიერი კარტელები. ეს „კარტელები უთანხმდებიან ერთმანეთს გაყიდვის პირობების, გადახდის ვადებისა და სხვ. შესახებ. ისინი ურთიერთშორის იყოფენ გასაღების სფეროებს. ისინი განსაზღვრავენ დასამ-

---

1 ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის იმპერიალისტური პერიოდის დადგომის შესახებ ამბობს: „ევროპისათვის შეიძლება საკმაო სიზუსტით დავადგინოთ ის დრო, როდესაც მოხდა ძველი კაპიტალიზმის ს ა ბ ო ლ ო ო დ შეცვლა ახლით: ეს არის სახელდობრ XX საუკუნის დამდეგი" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, 1951 წ., გვ. 248).

2 ნ. ნიკოლაძის არქივი, 45/68, გვ. 366-367.

ზადებელ პროდუქტთა რაოდენობას. ისინი აწესებენ ფასებს. ისინი ანაწილებენ მოგებას ცალკეულ საწარმოთა შორის და სხვ."[1]

რუსეთის მენავთეებმა ამერიკელების გამოწვევა მიიღეს, მაგრამ ბაქო-ბათუმის ნავთობის ფირმები ამერიკელებთან უთანასწორო ბრძოლაში მარცხს განიცდიდნენ. ბათუმელი მენავთეები უტევდნენ ამერიკის ნავთობის მაგნატებს, მაგრამ უწესრიგოდ, დაქსაქსულად, „მომთაბარე მხედართა ურდოებივით" (ენგელსი).

აღნიშნული მიზეზების გამო ბათუმიდან ნავთობის გაზიდვა კატასტროფულად ეცემოდა. ეს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება.[2]

საქონლის დასახელება	1904 წ.	1905 წ.	1906 წ.	1907 წ.
1. ნავთი . .	61 485.412	28.356.445	19.685.875	25.663.146
2. მაზუთი . . .	1.123.777	420	1.988.000	886.723
3. საცხები ზეთი .	16,510.675	9.271.642	8.061.498	9.220.037
4. სხვადასხვა პროდუქტები . . .	19.149	15.737	29.298	28.184
ს უ ლ . . .	79.139.013	37.644.244	29.764.671	35.798.090

1906 წლიდან ბათუმის ნავთობის ფირმებმა გააძლიერეს ირანიდან რკინიგზით გადმოტანილი ნავთობის ტრანზიტი საზღვარგარეთ. ამას ხელი შეუწყო ირანში რუსული კონცესიების ბიერ გადამუშავებული ნავთობისათვის შეღავათების დაწესებამ. ბათუმის ნავსადგურიდან გატანილ საქონელზე დაწესებული საფუთო ბაჟები გაუქმდა.[3] მაგრამ მთავრობის არც ეს ღონისძიება იყო საკმარისი იმისათვის, რომ ბათუმის მენავთეები გამკლავებოდნენ ამერიკელი მაგნატების კონკურენციას. რუსეთის ნავთობი სწრაფად კარგავდა ათეული წლის განმავლობაში მოპოვებულ საზღვარგარეთულ ბაზრებს.

ბათუმიდან გატანილ ნავთობისათვის საზღვარგარეთულ ბაზრებზე შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.[4]

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 250.
2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 247, ფურც. 23.
3 Журнал «Нефтяное дело», № 11, 1908 г., стр. 29-30.
4 იქვე, გვ. 29-30

გაიზიდა ევროპის ქვეყნებში	ნაეთობის გატანა ბათუმიდან საზღვარგარეთ													
	1901 წ.		1902 წ.		1903 წ.		1904 წ.		1905 წ.		1906 წ.		1907 წ.	
	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%
ინგლისში და კუნძულ მალტაზე	13410	40,1	21410	48,5	21888	49,8	17752	42,3	11239	50,8	7387	47,5	6.846	39,5
საფრანგეთში . .	5582	16,7	4897	11,1	7447	16,9	8409	20	2155	9,8	381	2,5	715	4,1
ბელგიასა და ჰოლანდიაში	3207	9,6	5055	11,4	5248	11,9	4962	11,8	2395	10,8	2494	16,1	2283	16,6
გერმანიაში . .	3044	9,1	4167	9,4	1363	3,1	711	1,6	939	4,3	1027	6,6	2153	12,4
იტალიაში . . .	1250	3,7	1292	2,9	945	2,2	1461	3,5	1193	5,4	377	2,4	556	3,2
ავსტრიაში . .	1163	3,5	795	1,8	726	1,6	766	1,9	230	1	117	0,8	3	0,0
ევროპის თურქეთსა და საბერძნეთში	5004	15	4490	10,2	3960	9,0	6256	14,9	3181	14,4	2975	19,1	3561	20,5
სერბიასა და ბულგარეთში	563	1,7	974	2,2	954	2,2	1104	2,6	70	0,3	773	5	223	3
სხვა სახელმწიფოებში . .	213	0,6	1098	2,5	1451	3,7	594	0,4	706	3,2	—	—	12	0,7
ს უ ლ	33436	100	44168	100	43985	100	42015	100	22.098	100	15.531	100	17353	100

გაიზიდა არაევროპულ ქვეყნებში	ნავთობის გატანა ბათუმიდან საზღვარგარეთ													
	1901 წ.		1902 წ.		1903 წ.		1904 წ.		1905 წ.		1906 წ.		1907 წ.	
	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%	ათასი ფუთი	%
ეგვიპტე .	12042	38	11260	46,8	9307	40	5234	23,4	4279	55,4	3135	66	4279	49,7
აზიის თურქეთი, სირია, არაბეთი .	2759	8,7	1562	6,5	1392	6	2466	11	941	12,2	870	18,3	1900	22
ალჟირი და ტუნისი .	240	0,8	358	1,5	125	0,5	475	2,1	262	3,4	77	1,6	636	7,4
ბრიტ. ინდოეთი .	9898	31,2	7604	31,6	5557	24	4228	18,9	859	11,1	289	6,1	1054	12,3
ინდოჩინეთი .	1632	5,2	985	4,1	5371	23,2	3581	16,1	428	5,6	—	—	—	—
ჩინეთი .	3872	12,2	821	3,4	180	0,8	5613	25,2	635	8,2	—	—	—	—
იაპონია .	483	1,5	894	3,7	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სხვა სახელმწიფოები .	760	2.4	572	2,4	1272	5,5	736	3 3	319	4,1	377	8,0	737	8,6
ს უ ლ	31686	100	24056	100	23224	100	22363	100	7724	100	4748	100	8608	100

ბათუმიდან ტარით ნავთობი გაჰქონდათ:

1901 წ.	26.722.700 ფუთი
1902 წ.	19.643.952 „
1903 წ.	20.585.555 „
1904 წ.	21.776.855 „
1905 წ.	5.225.990 „[1]

როგორც აქ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის შემცირება სერიოზულ ხასიათს ღებულობს 1902-1904 წლებში, ხოლო 1905 წელს იგი კატასტროფულად ეცემა, განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაშია ნავთობის სატარო ექსპორტი.

1907 წელი განსაკუთრებული წელი იყო ნავთობის საერთაშორისო მრეწველობაში. გაჩნდა ახალი საბადოები ილინოისში, რომლის სამრეწველო მოპოვებაც რამდენიმე თვის განმავლობაში ნავთობის მსოფლიო მოპოვების უმდიდრესი წყარო ხდება. 1907 წელს ა. შ. შტატებმა ნავთობის მოპოვებაში მიაღწიეს კოლოსალურ რაოდენობას — 1.500 მილიონ ფუთს.[2]

ამგვარად, ნავთობის უდიდესი ნიაღვრით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად დაფარეს დედამიწის ორივე ნახევარსფერო. ამასთან ერთად ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში გააქტიურდნენ რუმინეთი და გალიცია, ბირმა და ზონდის კუნძულები (ინდონეზია), რომლებიც გახდნენ ბენზინით მსოფლიოს მომარაგების მთავარი წყაროები. რუსეთის ნავთობის მრეწველობა გარიყულივით დარჩა. 1907 წლისათვის რუსეთში ნავთობის მოპოვება მხოლოდ 10 %-ით გაიზარდა.

1907 წელი ნავთობის მსოფლიო ვაჭრობის ისტორიაში უნდა აღინიშნოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყურადღებო ეტაპად. ბათუმიდან კი ნავთობის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა.

ჯერ კიდევ 1905 წლიდან სავსებით დაკარგა რუსეთის ნავთობმა შუა და ახალო აღმოსავლეთის ბაზრები. ბრიტანეთის ინდოეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში რუსული ნავთობის ფართო სავაჭრო ასპარეზს წარმოადგენდა, 1905 წელს დანაწილებულ იქნა ბირმის ნავთობი „სტანდარტისა“ (ინგლისი) და ჰოლანდიის ინდონეზიის ნავთობის მრეწველთა შორის.

---

1 საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 13-ა. Обзор Батумской области за 1910 г., стр. 34.

2 Журн. «Нефтяное дело», № 3, 1908 г., стр. 46.

რუსეთი 1905 წლამდე ნავთობით ინდოეთის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა 80%-ით, აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოთა მოთხოვნას — 20 %-ით. 1906-1907 წლებში კი ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში ნავთობის შეტანის მხრივ რუსეთის მონაწილეობა სავსებით უმნიშვნელო იყო.

ზონდის ნავთობის მრეწველობის ბაზაზე (ჰოლანდია) შეიქმნა ე. წ. „აღმოსავლეთის ტრესტი", რომლის ძირითადი კაპიტალი 100 მილიონ მანეთს უდრიდა.[1]

ასეთ პირობებში ბაქოს ნავთობის მრეწველობამ მოკლე დროში დაჰკარგა თავისი საგარეო ვაჭრობის ორი მესამედი. ბრძოლაში გამარჯვება დარჩა „სტანდარტს", რომელმაც მოახერხა მსოფლიო ბაზრების უდიდესი ნაწილის დასაკუთრება და მისი წარმატებით მომარაგება. რომ შეენარჩუნებინათ ნავთობის საერთაშორისო ბაზრების თუნდაც მცირედი წილი, ბაქო-ბათუმის მრეწველები ერთიანდებიან რუმინეთის ნავთის მრეწველებთან და ქმნიან ე. წ. „ევროპულ კავშირს", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნობელმა, კასპიისა და შავი ზღვის საზოგადოებამ, გერმანიის ბანკმა და სხვ. (1907 წ.), მაგრამ „ევროპის კავშირი" ევროპის კონტინენტზე იმდენად სუსტი და მოუმზადებელი აღმოჩნდა ბრძოლისათვის, რომ იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა „სტანდარტის" წინაშე.

საერთოდ 1905-1906 წლისათვის სავსებით გარკვეული გახდა, რომ ბათუმის ნავთობს ევროპის ექსპორტში უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი პატარა უპრეტენზიო ადგილი.[2]

მეფის მოხელეები და მთავრობის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის კატასტროფული შემცირების მიზეზად ასახელებდნენ ბათუმისა და ბაქოს პროლეტარიატის მიერ ორგანიზებულ გაფიცვებს და, რაც მთავარია, 1905-1907 წლების რევოლუციას, რომელმაც აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას. მაგალითად, უმაღლესი მთავრობის სახელზე შედგენილ საანგარიშო მოხსენებაში ბათუმის სამხედრო გუბერნატორი 1910 წელს წერდა, რომ უკანასკნელ წლებში ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის ძალზე შემცირების მიზეზი იყო „1902 წლიდან დაწყებული მუშათა დიდი გაფიცვები, რომლის შემდეგ მუშათა ხელფასი გაიზარდა 30 %-ით, მაგრამ მუშები ამას არ დასჯერდნენ და დაისახეს სამი მიზანი: ხელფასის შემდგომი გადიდება, სამუშაო

[1] Журн. «Нефтяное дело», № 3, 1907 г., стр. 48.
[2] Журн. «Нефтяное дело», № 3, 1909 г., стр. 38-39.

დღის შემდგომი შემცირება და მუშათა რაოდენობის გადიდება ქარხანაში." გუბერნატორის განცხადებით, 1905 წელს, 1902 წელთან შედარებით, მუშებმა მიაღწიეს ხელფასის 20-30%-ით გადიდებას. მუშათა რიცხვი გაიზარდა 30%-მდე, ხოლო სამუშაო დღე 10-საათიანის ნაცვლად გახდა 8-საათიანი. ყუთებისა და ბიდონების ღირებულება გადიდდა 20%-ით, იმატა საჭონლის გადატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებმა და სხვ.

სამხედრო გუბერნატორის მტკიცებით, მუშათა გამოსვლების შემდეგ წარმოების ხარჯების გადიდებამ მექარხნეებისათვის შექმნა სრული გაკოტრების საფრთხე და ისინი იძულებული გახდნენ წარმოება დაეხურათ.[1]

ბათუმის ქალაქისთავი ანდრონიკაშვილი 1905 წლის 5 სექტემბერს დაწერილ ერთ-ერთ მოხსენებაში ბათუმის მრეწველობისა და ნავთობის ექსპორტის დაცემას უმთავრესად მუშათა კლასის რევოლუციურ გამოსვლებს მიაწერდა. მისი აზრით, „დადგა ისეთი საგანგაშო დრო, როდესაც ქალაქში იცვლება არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური პირობები. დადგა ყოველგვარი მოულოდნელობით სავსე დრო, როდესაც წარმოუდგენელია არა მარტო განვითარება, არამედ თვით ვაჭრობისა და მრეწველობის არსებობა. სიძნელეებმა, რომლებიც გამოიწვიეს ომმა და მუშათა გაფიცვებმა, 1904 წლიდან კატასტროფულად დასცეს ბათუმის ვაჭრობა და მრეწველობა. ქარხნები წამგებიანი გახდნენ და ისინი დაიხურა".

ასეთია ბათუმის გენერალ-გუბერნატორისა და ქალაქისთავის ცალმხრივი განმარტება ბათუმში მრეწველობისა და ვაჭრობის დაცემის მიზეზების შესახებ. ქალაქისთავი ანდრონიკაშვილი აღიარებდა, რომ „ნავთობის ამოღების, გადამუშავებისა და ტრანზიტის მაღალი ხარჯების გამო რუსული ნავთი საზღვარგარეთ 8-20 კაპიკით მეტი ჯდება ამერიკულთან შედარებით".[2]

მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა და განსაკუთრებით 1905-1907 წლების დიდმა დემოკრატიულმა სახალხო რევოლუციამ, მართლაც, ერთგვარი როლი შეასრულა ბათუმიდან მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის გაზიდვის კატასტროფულად შემცირების საქმეში, მაგრამ არ შეიძლება ამ ფაქტის გაზვიადება, რადგან მთავარია ის მოვლენა, რომ „ნავთობის ომში" დამარცხებამ დასცა ბათუმის ვაჭრობა და მრეწველობა.

---

1 საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 131-ა, ფურც. 34—36. обзор Батумской области за 1910 год. (Приложение к всеподданейшему отчету).

2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 252, ფურც. 38-39.

წარმოების გადახალისება, ამოღების გადიდება, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და რაციონალურ წინადადებათა დანერგვა, ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით პროდუქტების დამზადება და იაფი ფრახტებით ვაჭრობა იხსნიდა რუსეთის ნავთობს მსოფლიო ბაზარზე კატასტროფული გაკოტრებისაგან.

მაგრამ გაუმჯობესებული ტექნიკის ახალ რელსებზე რუსეთის ნავთობის მრეწველობის გადაყვანას უზარმაზარი კაპიტალი სჭირდებოდა, რაც მაშინ ბაქო-ბათუმის კაპიტალისტებს არ მოეპოვებოდათ. ამერიკელ და ინგლისელ მაგნატებთან შედარებით ისინი თავიანთი კაპიტალით მსოფლიო ბაზარზე ფრიად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდნენ.[1]

1903-1907 წლამდე ბათუმელი ნავთის გამზიდველები, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, მხოლოდ უნიათო ფუსფუსში ალავდნენ დროს. მათი ყველაზე უფრო გაბედული ნაბიჯი იყო „ევროპული კავშირი“, — უკანასკნელი გაბრძოლება ამერიკული ნავთობის მაგნატებთან კაპიტულაციის წინ.

ნავთობის ბაზრებისათვის მონოპოლისტების გააფთრებულმა ბრძოლამ, რომელშიც მნიშვნელოვანი წილი ბათუმსაც მიუძღოდა, ვ. ი. ლენინის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა: „დაიწყო ბრძოლა, რომელსაც ეკონომიურ ლიტერატურაში უწოდებენ სწორედ „მსოფლიოს განაწილებისათვის“ ბრძოლას. ერთი მხრივ, როკფელერის „ნავთის ტრესტმა“, რომელსაც სურდა ყველაფრის ხელში ჩაგდება, დააარსა „ქალიშვილი-საზოგადოება“ თვით ჰოლანდიაში, ყოდულობდა ნავთის წყაროებს ჰოლანდიის ინდოეთში და ამრიგად სურდა ლახვარი ჩაეცა თავისი მთავარი მტრისათვის: „შელის“ ჰოლანდიურ-ინგლისური ტრესტისათვის. მეორე მხრივ, „გერმანიის ბანკს“ და ბერლინის სხვა ბანკებს სურდათ „თავიანთთვის“ „შეენარჩუნებინათ“ რუმინეთი და გაეერთიანებინათ იგი რუსეთთან როკფელერის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ჰქონდა განუზომლად უფრო დიდი კაპიტალი და ტრანსპორტის და მომხმარებელთათვის

---

1 1905 წელს ბაქოში დიდი ეკონომიური კრიზისისა და ნგრევა-არბევის შედეგად, ჟურნალ «Нефтяное дело»-ს ოფიციალური ცნობით, მნიშვნელოვნად დაზარალებულა 160 ფირმა. იმ მიზნით, რომ ნავთობის მრეწველობა გამოეყვანათ ასეთი კატასტროფული მდგომარეობიდან, მთავრობამ 1905 წლის 11 ნოემბერს გამოსცა უმაღლესი ბრძანებულება სახელმწიფო სალაროდან ნავთობის მრეწველობისათვის 20.000.000 მანეთის სესხად გაცემის შესახებ.

160 დაზარალებული ფირმიდან ფაქტიურად სესხი მხოლოდ 94 ფირმას მიეცა — 12.423.340 მანეთის რაოდენობით. ზოგი ფირმა კი ისე იყო დაზარალებული, რომ სესხის აღება არ ისურვა, ხოლო ზოგმა საესებით შეწყვიტა არსებობა (ჟურნალი «Нефтяное дело», № 2, 1908 წ., გვ. 27-28).

ნავთის მიწოდების შესანიშნავი ორგანიზაცია. ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდევაც 1907 წელს „გერმანიის ბანკის“ სრული დამარცხებით, და მას დარჩა ორში ერთი: ან მოეხდინა თავისი „ნავთის ინტერესების“ ლიკვიდაცია და მილიონები დაეკარგა, ანდა დამორჩილებოდა. არჩიეს უკანასკნელი და „ნავთის ტრესტთან“ დასდეს „გერმანიის ბანკისათვის“ მეტად არახელსაყრელი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით „გერმანიის ბანკმა“ იკისრა „არავითარი ნაბიჯი არ გადაედგა ამერიკული ინტერესების საზიანოდ“, მაგრამ ამასთან გათვალისწინებული იყო, რომ ხელშეკრულება ძალას დაკარგავდა, თუ გერმანიაში გატარდებოდა ნავთის სახელმწიფო მონოპოლიის კანონი.

მაშინ იწყება „ნავთის კომედია“. გერმანიის ერთ-ერთი ფინანსთა მეფე, ფონ-გვინერი, „გერმანიის ბანკის“ დირექტორი. თავისი კერძო მდივნის, შტაუსის, საშუალებით იწყებს აგიტაციას ნავთის მონოპოლიისათვის. ამოძრავდა ბერლინის უდიდესი ბანკის მთელი გიგანტური აპარატი, მთელი მისი ფართო „კავშირურთიერთობა“, პრესა იხრჩობა „პატრიოტული“ ყვირილით ამერიკის ტრესტის „უღლის“ წინააღმდეგ, და რეიხსტაგი თითქმის ერთხმად იღებს 1911 წლის 15 მარტს რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს მთავრობას შეიმუშაოს პროექტი ნავთის მონოპოლიის შესახებ“.[1]

ჩვენ მოვიყვანეთ ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომიდან ვრცელი ამონაწერი, რადგან აქ ლაკონური ენით და მეცნიერული სიზუსტით გადმოცემულია ნავთის მონოპოლისტების ურთიერთ დაუნდობელი ბრძოლის რთული ხლართები და ყველა მზაკვრული კომბინაცია.

ბათუმის ფირმებმა უაზროდ ჩასთვალეს კონკურენცია ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც როკფელერი იყო და ახლა ამ საქმეს 1911 წლიდან „გერმანიის ბანკი“ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მანაც ვერ მოახერხა ანგარებიანი ინტერესების განხორციელება. გერმანიამ 1913 წლიდან ომისათვის გაძლიერებული მზადება დაიწყო და მილიონებს „სანავთო ომისათვის“ იმჟამად არ ეცალა. გამარჯვება საბოლოოდ დარჩა ამერიკის ნავთის მონოპოლისტებს. მიუხედავად ამისა, ნავთის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში ბათუმის მისია თვალსაჩინო იყო.[2]

---

1 ვ. ი. ლენინი, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, ტ. 22, IV გამოც., 1951 წ., გვ. 312-313.

2 ნ. ნიკოლაძის აზრით, რუსული ნავთობი მსოფლიო კონკურენციაში გზას გაიკვლევდა „მონოპოლიით, როდესაც ერთი კაცის ხელში მოიყრიდა თავს ეკონომიური და იურიდიული უფლება“. მაგრამ „მონოპოლია — ნ. ნიკოლაძის აზრით — საშინელი სიტყვაა. ის დააზარალებდა მომხმარებლებს“ (ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, № 45/68, გვ. 366).

ნავთობის ამერიკელ მაგნატებთან კონკურენციაში განსაკუთრებით დაზარალდა სატარო ვაჭრობა იმის გამო, რომ რუსეთმა აღმოსავლეთის ბაზრები თითქმის მთლიანად დაკარგა. ბათუმიდან ნავთობის გამზიდველებმა აღმოსავლეთში 1904 წელს 21.776.855 ფუთი ნავთი გაიტანეს, 1905 წელს კი — 5.225.990 ფუთი. ამის შედეგად ბათუმში ტარის მწარმოებელი ქარხნების მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო და ისინი მალე დაიხურა კიდეც.[1] თუმცა 1906 წელს ბათუმში მუშაობა განაახლეს სიდერიდისის ხის ყუთის მწარმოებელმა და მანთაშევის № 1 ქარხნებმა, მაგრამ ტარის მოთხოვნილების შემცირების გამო მათი სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა ძალზე მცირე იყო. ქარხნები მხოლოდ ღეგამოშვებით მუშაობდნენ.

ბათუმელმა მუშებმა რამდენჯერმე გაუგზავნეს თხოვნა როტშილდის მთავარ კანტორას პარიზში. ნ. ნიკოლაძესაც თხოვეს შუამდგომლობა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 1906 წლის აგვისტოში ნ. ნიკოლაძემ როტშილდის კანტორიდან მიიღო გადაწყვეტილი პასუხი, რომ როტშილდის ტარის მწარმოებელი ქარხნები ამიერიდან ბათუმში აღარ იმუშავებდნენ. ბათუმის მრავალათასიანი მუშათა კლასის უმრავლესობამ ქალაქი დატოვა. ნავთობის ტარის მრეწველობა თითქმის ჩაკვდა,[2] ხოლო ვაჭრობა დაეცა.

ბათუმის ბაზარს ერთბაშად ხელიდან გამოეცალა მრავალათასიანი მუშათა არმია, რომელიც საბაზრო საქონლის ძირითადი მომხმარებელი იყო.

* * *

ბათუმის ვაჭრობაში, ნავთობის პროდუქტების გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხორბლეულს, ფქვილს, ღვინოს, ხე-ტყის მასალას, აგურს, კრამიტს, ფაიფურის ნაკეთობებს, ქვანახშირს, მარგანეცს, რკინას, თუნუქს, კალას, ტყვიას, სხვადასხვა საფთიაქო საქონელს, ჩაის, ხალიჩებს და სხვა საქონელს. 1893-1898 და 1902-1907 წლებში ბათუმის საგარეო და საშინაო ვაჭრობას, ნავთობის პროდუქტების ჩაუთვლელად, ახასიათებს ქვემოთ მოყვანილი ცნობები:

1 ნ. ნიკოლაძის არქივი, № 40/103, ფ. 19, საქმე 131-ა, ფურც. 35-36.
2 ნ. ნიკოლაძის არქივი, № 40/103, აგრეთვე საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 131-ა; ფურც. 35-36.

ბათუმის ნავსადგურიდან სხვადასხვა საქონლის ტვირთბრუნვა ფუთობით (1902-1907 წლებში)

შემოტანილია ფუთობით	1902	1903	1904	1905	1906	1907
1. რკინეულობა . .	131.174	ცნობები არ გაგვაჩნია	257.044	163.240	158 908	220.733
2. ჩ ა ი . .	201.268		238.206	238.640	248.318	262.718
3. თუნუქი	512.076		807.094	443.517	1.105.000	436.568
4. მადანი და სხვადასხვა სახის ლითონი	410.924		301.517	309.222	393.606	289.367
5. ცხოველები და მათი პროდუქტები	85.11		16.889	8.245	14.947	15.647
6. გოგირდი .	145.737		136.710	37.728	31.703	45,333
7. შაბიამანი	80.570		91.000	72.303	52.520	50.711
8. ნედლეული და ნახევრად გადამუშავებული მასალა	594.504		384.025	400.659	307.255	583.765
გატანილია ფუთობით						
1. სურსათ-სანოვაგე	556.239		271.505	271.609	684.414	561.020
2. ბზის, კაკლისა და სხვა ხეები . . .	129.336		116.409	72.937	534.345	699.887
3. თესლეული და თესლეულის ნაწური	278.007		40.713	434.373	691.288	988.066
4. ძირტკბილა . . :	694.824		289.791	571.453	904.891	443.540
5. აბრეშუმ ს პარკი	75.850		96.153	88.133	148.849	92.729
6. სხვადასხვა სახის მატყლი	195.032		291.095	280.462	339.918	170.187
7. მატყლის ხალიჩები და სხვ. სახის ნაქეთობანი	57 989		47.611	54,337	78 399	39.458
8. მარგანეცი .	5.063.814		1.705.201	4.705.882	1.123.150	20.223.146

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 247, ფურც. 23—24.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების წლებში ბათუმის ნავსადგურის საქონელბრუნვა პროგრესულად იზრდებოდა, ხოლო დეპრესიის პერიოდში კრიზისების ფართოდ და ხანგრძლივად გავრცელების ნიადაგზე მან დიდმნიშვნელოვანი დაქვეითება განიცადა.[1]

დიდი ხნის დეპრესიის შემდეგ, 1910 წლიდან, რუსეთში დაიწყო მრეწველობის გამოცოცხლება. ეს პერიოდი მთელს იმპერიაში საშინაო ბაზრისა და ნაციონალური კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა. სოფლის მეურნეობის ერთგვარი ინტენსიფიკაციისა და, განსაკუთრებით, ზედიზედ რამდენიმე მოსავლიანი წლის დადგომის შედეგად სოფლის კულაკურმა ზედაფენებმა დიდძალი სასაქონლო პროდუქტი დაამზადეს.

1912 წლიდან რუსეთში სამრეწველო აღმავლობა დაიწყო. იგი პირველ იმპერიალისტურ ომამდე გაგრძელდა. ბათუმს, როგორც ამიერკავკასიის პირველხარისხოვან სანავსადგურო ქალაქს, კვლავ შეექმნა ხელსაყრელი პირობები საშინაო და საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად.

ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა 1908 წელს შეადგენდა 57.564.565 ფუთს, 1909 წელს — 58.068.871, 1910 წელს — 63.607.487, 1911 წელს — 68.566.501, ხოლო 1912 წელს — 74.250.602 ფუთს.[2]

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 5 წლის მანძილზე, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაშლასთან დაკავშირებით, ბათუმის ნავსადგურის საქონელბრუნვა კვლავ თვალსაჩინოდ იზრდებოდა.

მშვიდობიანი, ნორმალური განვითარების პირობებში ბურჟუაზიული ბათუმის ვაჭრობის, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრე-

---

1 მართალია, მრეწველობის დეპრესიის პერიოდში მარგანეცის ექსპორტი 1907 წლიდან კვლავ ძლიერდება, მაგრამ ეს გამონაკლისი მოვლენა იყო. იგი გამოიწვია ამ მადანზე მსოფლიოში არაჩვეულებრივად გაზრდილმა მოთხოვნილებამ.

2 თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საქმე № 23/14, გვ. 8.

ბის ზრდის ახალი პერსპექტივები ისახებოდა, მაგრამ ქალაქის შემდგომი ზრდა იმპერიალისტური ომის დაწყებამ შეაფერხა.

საომარ ვითარებასთან დაკავშირებით ბათუმის ნავსადგურის საბაჟო ბრუნვა კატასტროფულად დაეცა.

* * *

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ბათუმის მრეწველობა და ვაჭრობა ადგილობრივ ნიადაგზე და რესურსებზე წარმოშობილი მოვლენა არ იყო. ის უმთავრესად შეიქმნა „გარედან მოტანილი“ კაპიტალის ბაზაზე. ამიტომ მას განვითარების პირველი საფეხურები არ გაუვლია. 1878 წლის ბათუმი ტიპიური ფეოდალური აზიური ქალაქი, 1890 წლისათვის უკვე სავსებით განვითარებული, ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ მთელს რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი დაწინაურებული ბურჟუაზიული ქალაქი გახდა.

ბათუმში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების შესაბამისი მოვლენები ხდებოდა საბანკო-საკრედიტო მეურნეობაშიც. როგორც ცნობილია, „ბანკების ძირითადი და თავდაპირველი ოპერაციაა ფულის გადახდის საქმეში შუამავლობა. ამასთან დაკავშირებით ბანკები უმოქმედო ფულად კაპიტალს გარდაქმნიან მოქმედ, ე. ი. მოგების მომცემ კაპიტალად, აგროვებენ ყველა და ყოველგვარ ფულად შემოსავალს და მოაქცევენ მას კაპიტალისტთა კლასის განკარგულებაში“.[1] იმპერიალიზმის ეპოქაში კი მრეწველობისა და ვაჭრობის დაფინანსება ბანკების ხელშია. „საბანკო საქმის განვითარებასთან და მცირერიცხოვან დაწესებულებებში მის კონცენტრაციასთან ერთად, ხდება ბანკების გადაზრდა შუამავალთა უბრალო როლიდან ყოვლისშემძლე მონოპოლისტებად, რომელნიც განაგებენ ერთობლივ ყველა კაპიტალისტისა და წვრილი მეპატრონის თითქმის მთელ ფულად კაპიტალს, აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის და მთელი რიგი ქვეყნების წარმოების საშუალებათა და ნედლეულის წყაროთა უმეტეს ნაწილს. მრავალ უბრალო შუამავალთა ეს გადაქცევა ერთ მუ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, 1951 წ., გვ. 261.

ჭა მონოპოლისტებად წარმოადგენს კაპიტალიზმის კაპიტალისტურ იმპერიალიზმად გადაზრდის ერთ-ერთ ძირითად პროცესს...“[1]

საინტერესოა როგორ იყო საქმე ამ მხრივ ბათუმის სინამდვილეში? რა როლს ასრულებდნენ ბათუმის სამრეწველო ეკონომიურ განვითარებაში ბათუმის ბანკები?

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ბანკების თავდაპირველი და ძირითადი ოპერაციით, ანუ ფულის გადახდის საქმეში მხოლოდ შუამავლის როლით, ბათუმის ბანკები თავიდანვე არ იზღუდებოდნენ. ეს მოვლენა ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. ბურჟუაზიული ბათუმის მჩქეფარე ეკონომიურ ცხოვრებას სჭირდებოდა რთული საკრედიტო და საბანკო სისტემა, რათა წარმატებით გაერთმია თავი იმ ფინანსური კომბინაციებისათვის, რომელიც საჭირო შეიქმნა ბათუმის ნავსადგურიდან ტვირთბრუნვის ძლერი განვითარებისა და უცხოეთის ბაზრებზე გატანილი რუსული ნავთობის სავაჭრო კონკურენციაში პირველობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში მსხვილი კაპიტალით მომარაგებული სააქციონერო საზოგადოებანი, ადრე. ჯერ კიდევ 1883 წლიდან, იწყებენ დაფუძნებას. ისინი თავიდანვე უმაღლესი მთავრობის საკმაო ყურადღებასაც იმსახურებდნენ. 1883 წლის 1 ივლისს სრულიად რუსეთის იმპერატორი საკუთარი ხელისმოწერით ამტკიცებს ბათუმში შექმნილი ახალი კაპიტალისტური საზოგადოების წესდებას. აღნიშნული საზოგადოების წესდება საქვეყნოდ აუწყებდა ყველას, რომ: „რუსული ნავთობის გადამუშავების, გადატანისა და ვაჭრობისათვის ყალიბდება სააქციო საზოგადოება სახელწოდებით: „ბათუმის ნავთის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება“ და რომ „საზოგადოების ძირითად კაპიტალად ინიშნება 1.500.000 მანეთი, დაყოფილი 1500 ცალ აქციად (ყოველ აქციაში 1.000 მან.). აქციების თანხა ნაწილდება საზოგადოების დამფუძნებელ ორგანიზაციებსა და პიროვნებებზე“.[2] აქციებს გამდიდრების წყაროდ იყენებდ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, 1951 წ., გვ. 261.

2 Устав Каспийско-Черноморского нефтепромышленного и торгового общества, Санкт.-Петербург, 1885 г., стр. 3—6.

ნენ ბათუმის სხვა ფირმებიც. მიუხედავად ამისა, ქალაქში ბანკების განყოფილებების გახსნას არ ეშველა.[1]

90-იანი წლებიდან ბათუმის სატარო მრეწველობაში და ნავთობის ექსპორტში თავი იჩინეს მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელმა მთელმა რიგმა მოვლენებმა, რომლებმაც აუცილებელი გახადეს მსხვილი ბანკების შექმნა. მოკლე დროში ბათუმში ხუთი სხვადასხვა საბანკო განყოფილება გაჩნდა. ეს ბანკები ათეულ მილიონ კაპიტალს ატრიალებდნენ.

საერთოდ, აღნიშნულმა პროცესებმა წარუშლელი კვალი დატოვეს სწრაფად მზარდი ბურჟუაზიული ბათუმის ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ბათუმში გაჩაღებული კაპიტალისტური მრეწველობისა, მსოფლიო მასშტაბის ექსპორტისა და იმპორტის ფონზე მაღალ განვითარებას მიაღწია აგრეთვე ადგილობრივმა, შინასაქალაქო ვაჭრობამ. ამავე დროს ბათუმის სუბტროპიკულ მიდამოებში გაჩნდნენ მრავალრიცხოვანი მუდმივად მოაგარაკე მაღალი რანგის სამხედრო პირები და სხვა მოხელეები. მათი გარკვეული ნაწილი თავიდანვე აქციების მფლობელი გახდა. უფრო გვიან, 1895 წელს, წვრილი მწარმოებლებისა და ვაჭრების ფართო ფენებისათვის ჩამოყალიბდა სპეციალური დანიშნულების ბანკი — **„ბათუმის ურთიერთდახმარების საკრედიტო საზოგადოება“.**

ბათუმში არსებული ბანკების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ისინი აქტიურად აფინანსებდნენ ქალაქის ადგილობრივ მრეწველობასა და დიდი მასშტაბის საგარეო ვაჭრობას ნავთობით.

ბათუმში წარმოების კონცენტრაციასთან დაკავშირებით მომხდარ ახალ მოვლენებს გამოხატავდა 1886 წელს შექმნილი **„სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება“.** იგი აწარმოებდა საკრედიტო ბილეთების გაცვლას, კუპონებისა და პროცენტიანი ქაღალდების გაღებას, გადასახდელი თანხების მიღებას ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, ღებულობდა პროცენტიან ანაბრებს და სხვ. 1894 წლიდან ბანკმა დაიწყო ახალი ოპერაციების წარმოება მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის გაძლიერებული ექსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით და შემდეგში ეს ოპერაცია სხვა საექსპორ-

1 თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებას, რომელიც 1886 წელს გაიხსნა, როგორც მთავრობის ოფიციალური დაწესებულება (Н. В. Церетели, Торгово-промышленное развитие г. Батума, კრებულიდან «Батум и его окрестности», Батум, 1906 г., стр. 429).

ტო პროდუქტებზეც გაავრცელა. 1901 წელს ბანკმა გახსნა საზღვარგარეთული ოპერაციებიც. ოფიციალური ცნობით, სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების შემოსავალი 1903 წლის 1 იანვრისათვის 42.094.277 მან. 54 კაპ. უდრიდა, გასავალი კი — 42.225.772 მან. 36 კაპ., ბანკის წლიური ბრუნვა 84.320.049 მანეთამდე აღწევდა.

1903 წელთან შედარებით 1904 წელს მნიშვნელოვნად იზრდება ბანკის წლიური ბრუნვა. მაგალითად, 1904 წლის 1 იანვრისათვის იგი 141.088.423 მან. 69 კაპ. უდრიდა.[1]

ბათუმში 1890 წლის 20 თებერვალს გაიხსნა „თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება", რომელიც გამოხატავდა ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს. ბანკმა თავისი დაარსების პირველი დღიდანვე დაიწყო სასაქონლო-სასესხო ოპერაცია: ღებულობდა ისეთ საქონელს, რომელიც ადვილად და მოკლე დროში არ ფუჭდებოდა. განყოფილებამ ცოტა სამსახური როდი გაუწია ბათუმიდან ნავთობის ექსპორტს ლონდონის, მარსელის, ჰამბურგის, პარიზის, ლიონის, ანტვერპენის, ნეაპოლისა და სხვ. ბაზრებზე. ბანკის განყოფილება საზღვარგარეთ ყიდულობდა ჩეკებს, იქ რუსეთის ნავთობის გასაღების მიზნით, ამას გარდა, თბილისის ბანკის ბათუმის განყოფილება ეწეოდა საზღვარგარეთული მონეტის (ოქრო და ქაღალდი) ყიდვა-გაყიდვას.

1896 წელს ბათუმში გაიხსნა „სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება",[2] რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ გაშალა მოქმედება ქ. ბათუმსა და მის ახლომახლო მიდამოებში. ბანკის კლიენტებად ირიცხებოდნენ არა მარტო ბათუმის ვაჭრები და მრეწველები, არამედ სხვა ისეთი ქალაქებისაც, როგორიც იყო ქუთაისი, ფოთი, ჭიათურა, სამტრედია და სხვ.

ბანკმა ფართოდ გაშალა ფინანსური ოპერაციები თვით იმპერიის შიგნით, საზღვარგარეთაც და ვაჭარ-მრეწველთა ერთი ნაწილი თავისი გავლენის სფეროში მოიქცია. ბანკის მოქმედების ერთ-ერთ მთავარ აქტივს წარმოადგენდა თამასუქები. 1904 წელს სათამასუქო თანხამ 1,5 მილიონ მანეთს მიაღწია.

ჩვეულებრივ საბანკო ოპერაციებს გარდა სამხრეთ-რუსეთის ბანკი იძლეოდა სესხებს აბრეშუმის წარმოებისათვის, რომელიც

---

1 ნ. წერეთლის დასახ. ნაშრომი, გვ. 429-430, საქ. ცსსა, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 2947, ფურც. 11.

2 სამხრეთ რუსეთის ბანკის სამმართველო წინათ კიევში იყო, ხოლო 1900 წლიდან მოსკოვში. 1901 წლის 1 იანვრისათვის ის ფლობდა 5.000.000 მან. ძირითად კაპიტალს (История Москвы, т. 5, Москва, 1955 г., стр. 54).

ფართოდ იყო განვითარებული ქუთაისის გუბერნიაში. დაბებში ბანკის დახმარებით აბრეშუმის პარკის შემსყიდველებს საშუალება ეძლეოდათ შეენარჩუნებინათ ამ ნედლეულის ფასი გარკვეულ დონეზე და გაეტანათ ის მთავარ გამსაღებელ ბაზრებზე მარსელსა და მილანში.

სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილებამ ფინანსური ოპერაციების პარალელურად ხელი მოკიდა ყუთებისა და ბიდონების საქარხნო მრეწველობას და ნავთობით ვაჭრობას. ფირმას ბათუმში 1851 კვ საჟ. მიწის ფართობი ეჭირა. მას ნავთობის მარაგისათვის გააჩნდა 4 რეზერვუარი 72.966 ფუთის ტევადობით. ფირმის 7 მილგაყვანილობის სიგრძე 953 ფუტს უდრიდა.[1]

სამხრეთ რუსეთის ბანკის ბათუმის განყოფილების ყუთებისა და ბიდონების ქარხნის დღიური მაქსიმალური წარმადობა 1896-1897 წლებში 7050 ცალ ყუთსა და ბიდონს უდრიდა.

1898 წლიდან ბანკის სამოღვაწეო სფეროში შევიდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტიც, ბანკმა ჭიათურის მარგანეცისათვის გაიჩინა თავისი საწყობები და პლატფორმები. **ბანკის მიერ გაცემული სესხით ჭიათურის მრეწველები ახერხებდნენ საზღვარგარეთელ კლიენტებთან კონტრაქტის დროზე შესრულებას.**

1895 წლის 20 მარტს ბათუმში გაიხსნა ახალი ბანკი, რომელსაც ეწოდებოდა „**ურთიერთდახმარების ბათუმის საკრედიტო საზოგადოება**". ბანკის წევრები გახდნენ ვაჭრები, სახლის მფლობელები, მემამულეები, მოსამსახურეები, ხელოსნები და დაწესებულებები. ამ ბანკში იყო აგრეთვე ზოგიერთი მსხვილი ვაჭარი და მრეწველი.

საზოგადოება თავის წევრებს აძლევდა სასაქონლო სესხს, საქონლის ღირებულების 40%-დან 60%-მდე ვარაუდით.

საზოგადოებას 1896 წლისათვის გააჩნდა 1.291 მან. და 47 კაპ. სათადარიგო კაპიტალი, რაც ყოველწლიურად იზრდებოდა და 1903 წელს 7.501 მანეთს მიაღწია.

1903 წლისათვის საზოგადოებამ დიდძალი ანაბრები დააგრო-

[1] **Н. П. Забугин, Отчет председателя «Суб-комиссии», стр. 59.**

ება და ისე გააფართოვა ყველა სახის ოპერაცია, რომ ფულადი თანხების წლიურმა ბრუნვამ 18.676.345 მან. და 22 კაპ. მიაღწია, წინააღმდეგ 1902 წლის 350.042 მანეთისა და 66 კაპ.-სა.

საზოგადოების წმინდა მოგება 1903 წელს შეადგენდა 10.568 მან. და 87 კაპ.[1]

ბათუმში აგრეთვე არსებობდა შედარებით ვიწრო დანიშნულების **„რუსეთ-ჩინეთის ბანკის ბათუმის განყოფილება"**, რომელიც 1903 წელს გაიხსნა.[2] ამავე წელს მისი ბრუნვა შეადგენდა 5.554.429 მან. და 87 კაპ.[3]

მარტო 1903 წელს ბათუმის ყველა ხუთივე ბანკის წლიური ბრუნვა 346 მილიონ მანეთამდე აღწევდა. ეს კოლოსალური ციფრი იმაზე მიუთითებს, რომ ბათუმში საბანკო საქმე ძალზე განვითარებული.

დაახლოებით ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც ბათუმის ბანკებს კრიზისმა მოუსწრო.

ბათუმში ვაჭრობისა და მრეწველობის დაცემა-დაკნინებასთან ერთად, საერთოდ, ფინანსური ოპერაციებიც კატასტროფულად შემცირდა და, ბუნებრივია, რომ ბათუმის ბანკების ეკონომიური ძლიერებაც დაეცა, საქალაქო მეურნეობა კი შესამჩნევად შეფერხდა.

3. მუშათა კლასის მდგომარეობა ბათუმში

რკინიგზისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასთან დაკავშირებით ბათუმში ჩნდება საფაბრიკო-საქარხნო მუშათა კლასი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირების

1 საქ. ცსსა. ფ. 12, აღწ. 1, საქმე 2947, ფურც. 11:

2 ბათუმში რუსეთ-ჩინეთის ბანკს პირველ ხანებში ჰქონდა თავისი სააგენტო, რომელიც ემორჩილებოდა ამ ბანკის სამარყანდის განყოფილებას. 1903 წლის 13 დეკემბერს სააგენტო გადაკეთდა დამოუკიდებელ განყოფილებად. 1910 წელს რუსეთ-ჩინეთის ბანკს შეუერთდა „ჩრდილოეთის ბანკი" და მიიღო „რუსეთ-აზიის ბანკის" სახელწოდება. (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 64, აღწ. 1, საქმე 1, ფურც. 5).

3 საქ. ცსსა, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 1, ფურც. 11.

პროცესი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სხვა დანარჩენ ფენებთან შედარებით მუშათა რაოდენობა ბათუმში ძალზე სწრაფად იზრდებოდა. 1882 წელს ბათუმში ითვლებოდა 465 მუშა, ხოლო 1890 წელს — 6795, რაც ბათუმის მთელი მოსახლეობის 37,4%-ს შეადგენდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით, ბათუმის 28.508 მცხოვრებიდან 11.249 მუშა იყო.[1]

ბათუმის მუშათა კლასის შემადგენლობა განსაზღვრა ქალაქის მრეწველობის თავისებურმა სტრუქტურამ, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა პეტერბურგის, ბაქოსა და სამხრეთ რუსეთის სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მრეწველობის სტრუქტურისაგან.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის ზოგი დიდი ქალაქის სამრეწველო პროლეტარიატის შემადგენლობაში მსხვილ მრეწველობაში ჩაბმული მუშები სჭარბობდნენ, ხოლო ბათუმში, ამავე პერიოდში, მეტწილად იყვნენ ნავთობის სატარო მრეწველობასა და რკინიგზის წარმოებაში ჩაბმული მუშები, რომლებმაც წამყვანი როლი შეასრულეს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში.

ბათუმში დიდი რაოდენობით იყვნენ, აგრეთვე, სეზონური მუშები. ისინი აქ მოდიოდნენ „საშოვარზე“ და რჩებოდნენ აღრე შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე, გაზაფხულზე კვლავ უბრუნდებოდნენ თავიანთ მამაპაპეულ გაჩანაგებულ სახლ-კარს და ჯაჯანწყვეტით ეწეოდნენ უმნიშვნელო შემოსავლიან გლეხურ მეურნეობას.

ბათუმის მუშათა კლასი დასავლეთ საქართველოდან და რუ-

---

[1] Известия Кавк. отд. Русского Геогр. Общества, т. VIII, Тифлис, 1884-1885 гг., стр. 94, Батум по однодневной переписи, 17-го мая 1809 г., Издание Батумской городской управы, г. Батуми, 1891 г., стр. 51 — 53.

Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. издание Центрального статистического комитета Министерства внутренних дел под ред. Н. А. Тройцкого. LXVI, Кутайская губерния, Батум, стр. 1 — 3 სტატისტიკურ აღწერებში ბათუმის მუშები გლეხებად არიან ნაჩვენები, როგორც გლეხური წარმოშობის ადამიანები. ქალაქში საკუთრების მფლობელნი კი „მეშჩანებად“ იწოდებიან.

სეთ-უკრაინის ცენტრალური რაიონებიდან ჩამოსული პროლეტარული ელემენტებისაგან შეიქმნა.

როგორც ეს 1897 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებიდან ირკვევა, ბათუმის მუშათა უმრავლესობას კავშირი ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი სოფლის მეურნეობასთან და აღწერის მასალებშიც ისინი გლეხებად იწოდებოდნენ.

ბათუმის მუშათა კლასის გლეხურ მეურნეობასთან ეს მასობრივი კავშირი აიხსნება იმით, რომ წვრილმწარმოებელთა ექსპროპრიაცია სოფლად ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და საქმე გვქონდა მხოლოდ ნახევრადპროლეტარულ მასასთან.

ბათუმში მუშათა საბინაო პირობები მძიმე იყო. ბაზარი პირველი მოთხოვნილების სასოფლო-სამეურნეო საგნებით ცუდად მარაგდებოდა; საქონელი, უგზოობის გამო, ძვირი იყო. ბათუმის ახლო-მახლო სოფლები ღარიბი იყვნენ და ბაზარს სათანადო პროდუქტებს ვერ აწვდიდნენ. ასეთ პირობებში ბათუმში ცხოვრება განსაკუთრებით ძვირი ჯდებოდა.

ბათუმში მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან შრომის ხელფასი ისე დაეცა, რომ კვალიფიციურ მუშასაც კი ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეეძლო. ამის გამო ბათუმის მუშების უმრავლესობა ცოლ-შვილს სოფელში ინახავდა. ქალაქში უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში ბათუმის მუშა კვლავ უბრუნდებოდა ოჯახს და ავსებდა სოფლის პროლეტარიატის რიგებს.

როგორც ცნობილია, რუსეთში მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია მუშათა კლასის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, მისი აბსოლუტური გაღატაკება. ასეთი ბედი ეწია მოსკოვის, პეტერბურგის, ბაქოსა და სხვა ქალაქების მუშებს.

რუსეთის პროლეტარიატის ეს ტრაგიკული ბედი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ უფრო მწვავე ფორმით გაიზიარა ბათუმის პროლეტარიატმაც.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის მთელს იმპერიაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად სოციალურ ურთიერთობათა გამწ-

ვაების ნამდვილად ახალი ფაზა იწყებოდა. გლეხობა ბულ უფრო და უფრო ორ დიდ, საესებით ანტაგონისტურ სოციალურ კლასად იყოფოდა. ერთ მხარეზე იყვნენ მემამულეები, ბობოლები და კულაკობის გზაზე დამდგარი გლეხები, ხოლო მეორეზე — პაუპერიზაციაქმნილი სოფლის პროლეტარები. არსებობდა, აგრეთვე საშუალო გლეხების, სოციალურად მუდმივად მერყეევი, კონტიგენტი, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა, ასევე იცვლებოდა მისი შემადგენლობაც. ეს ფენა ავსებდა სოფლის პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა რიგებს.

მემამულეები და ბობოლა-კულაკები დაუნდობლად ყველფდნენ სოფლის მუშებს. გლეხებს მშობლიური სოფელი და საკუთარი სახლ-კარი „დედინაცვალი" გაუხდათ.

ი. ბ. სტალინი ამბობდა: „რა აიძულებდა გლეხს გაქცეულიყო სოფლიდან ქალაქში? შიმშილის შიში, უმუშევრობა, ის გარემოება, რომ სოფელი მისთვის წარმოადგენდა დედინაცვალს, და იგი მზად იყო გაქცეულიყო იქიდან, თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ რამე სამუშაო მიეღო."[1]

ფიზიკურ განადგურებას რომ გადარჩენოდნენ, დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, გურიის გაღატაკებული გლეხკაცობის უმრავლესობა ბათუმის განუყრელი „სტუმარი" გახდა. ახლა ბათუმში მუშების საგრძნობი ნაწილი მოდიოდა არა დროებით „საშოვარზე", არამედ მუდმივად, რადგან სოფელში უკან დაბრუნებას მათთვის აზრი ეკარგებოდა. მაგრამ ბათუმის მუშათა უმრავლესობა სამუშაოს ვერ პოულობდა, რადგან ამ დროისათვის აქ უკვე შექმნილი იყო უმუშევართა მასა, რომელიც „...შეადგენს კაპიტალის განკარგულებაში მყოფ სამრეწველო სარეზერვო არმიას, რომელიც კაპიტალს ისე აბსოლუტურად ეკუთვნის, თითქოს მას იგი თავის საკუთარ ხარჯზე გამოეზარდოს."[2]

ეს ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება კაპიტალისტებმა თავიანთი გამდიდრების წყაროდ გამოიყენეს. ბათუმში შრომასა და კაპიტალს შორის იმთავითვე დამყარებულ ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ იქ ნავთის გამზიდველები იძულებული გახდნენ ჩაბმულიყვნენ მსოფლიო ბაზარზე პრიველობისათვის თავგანწირულ საკონკურენციო ბრძოლაში.

მხედველობაში მისაღებია სხვა გარემოებაც. მე-19 საუკუნის

1 ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბილისი, 1951 წ., გვ. 427.
2 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954 წ., გვ. 796.

დასასრულისათვის ბათუმის მრეწველობაში მონოპოლისტური ხასიათის მოვლენებს მუშათა ექსპლოატაციის გამწვავება მოჰყვა.

ბათუმის მრეწველობა თავისი ტექნიკური პროცესების, სტრუქტურისა და თავისებურების გამო, მუშისაგან განსაკუთრებულ დახელოვნებას, ან სპეციალურ კვალიფიკაციას არ მოითხოვდა. ამიტომ, კაპიტალისტები, როგორც წესი, არავითარ ზრუნვას არ იჩენდნენ მუშათა მუდმივი კადრების შექმნისათვის. ისინი პირიქით, ხელს უწყობდნენ წარმოებაში მუშათა მუდმივ დენადობას, რადგან ახალი, გამოუცდელი მუშების დამორჩილება და ექსპლოატაცია გაცილებით უფრო იოლი იყო.[1] სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით ჰყავდათ ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებს მუშათა კონტინგენტი. დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ ბათუმის პროლეტარიატი ყოველწლიურად ღებულობდა თავისი რიგების შევსებას სოფლიდან ჩამოსულთა ხარჯზე.

ბათუმის მუშათა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც, ბავშვობის პერიოდიდან დაწყებული, მთელი სიცოცხლე ფაბრიკა-ქარხნებში მძიმე შრომაში გაატარეს, ამით საკუთარი ჯანმრთელობა დაკარგეს და უდროოდ დაბერდნენ.

რუსეთში მუშათა კლასის ექსპლოატაციამ თავიდანვე ბეტად მწვავე ხასიათი მიიღო და ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად წარმოიშვა მატერიალური დოვლათის შემქმნელი ამ კლასის ფიზიკური გადაშენების გარკვეული საფრთხე. სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ წარმოშვა და განავითარა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის შეურიგებელი ეკონომიური და სოციალური კონფლიქტები. მუშებმა სოციალურ-ეკონომიური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს თითქმის მათი გაჩენის დღიდანვე. პირველ ხანებში ამ ბრძოლას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ იმდენად გაძლიერდა, რომ მან დააფიქრა მეფის მთავრობა და რუსეთშიც დაიწყო „ზრუნვა“, რომ შრომაზე კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ერთგვარი საკანონმდებლო ზღვარი დასდებოდა; რომ

---

1 თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებულა მუშათა ერთგვარი მუდმივი კონტინგენტი. სიდერიდისის ქარხანაში ყოფილა წლისა და მეტი ხნის განმავლობაში მუდმივად მომუშავე მუშები; აქ 1902 წელს არასაიმედოდ მიჩნეული 200 მუშა დაითხოვეს. ქარხნიდან ჭუჭაში გამოყრილმა მუშებმა კავკასიის მთავარმართებლის სახელზე შეიტანეს საჩივარი. ისინი წერდნენ: „ჩვენი პრეტენზიაა დაგვიბრუნონ დაკავებული თანხა, რომელსაც 10-12 წლის განმავლობაში გვიკავებდნენო“ (საქ. ცსსა, აღწ. 12/39, საქმე 296, ფურც. 22.

შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობა, რამდენადმე მაინც მოწესრიგებულიყო.

კაპიტალისტური სამანქანო წარმოების გამანადგურებელი შედეგების გამო თვით ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელი სწავლულებიც იძულებული გახდნენ ელიარებინათ მუშათა შრომის დაცვის აუცილებლობა.

ბურჟუაზიამ თავისი „ზრუნვის“ ძირითად ობიექტად ქალები და ბავშვები გაიხადა. მუშათა შრომის „დაცვის“ მიზანს ემსახურებოდა 1882 წლის 1 ივლისს მთავრობის მიერ გამოცემული კანონი, რომლის ძალითაც ფაბრიკა-ქარხნებში აკრძალულ იქნა 12 წელს მიუღწეველ ბავშვთა სამუშაოზე მიღება. კანონი ამავე დროს ითვალისწინებდა მოზარდებისათვის 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას. 1885 წლის 3 ივლისის კანონით აიკრძალა 17 წლის ასაკმიუღწეველი მოზარდების მუშაობა ღამის ცვლაში. 1886 წლის ივლისს გამოცემული კანონით ფაბრიკა-ქარხნებიდან მუშის დათხოვნა არ შეიძლებოდა, თუ მუშა ადმინისტრაციის მიერ წინასწარ არ იქნებოდა გაფრთხილებული დათხოვნამდე ორი კვირით ადრე. თავის მხრივ მუშას ეკრძალებოდა თვითნებურად მუშაობის მიტოვება. მუშა ვალდებული იყო ორი კვირით ადრე განეცხადებია სამუშაოდან განთავისუფლების სურვილი.

1897 წლის 2 ივლისის კანონით მუშისათვის სამუშაო დრო განისაზღვრა 11,5 საათით, ხოლო ღამის ცვლისათვის 10 საათით.

კანონით დაშვებულ იქნა, რომ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მუშებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ მუშაობა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც.[1] 1902 წლის 10 ივლისს გამოვიდა დადგენილება, რომლის ძალითაც საფაბრიკო-საქარხნო. ინსპექციის პარალელურად მუშებს უფლება ჰქონდათ აერჩიათ მამასახლისი თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.[2]

1903 წლის 2 ივლისს გამოვიდა კანონი: „საწარმოებში დაზარალებულ მუშათა უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც ზოგი ბურჟუაზიული ეკონომისტის მიერ, რუსეთის კანონმდებლობის ისტორიაში, „ეპოქის შემქმნელ“ კანონად იქნა მიჩნეული.

ახალი კანონი მიუთითებდა, რომ მუშას პენსია მიეცემოდა

---

1 ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ქარხნის ადმინისტრაციას აძლევდა თავისუფალ შესაძლებლობას, რათა მისი „სინდისისა“ და საჭიროების მიხედვით მოესწრინა სამუშაო ძალის განუსაზღვრელი ექსპლოატაცია.

2 Н. Максимов. наше фабричное законодательство, газ. «Кавказ» № 210, 9 августа, 1903 года.

წარმოებაში შრომის პროცესის დროს უბედურების გამო დაზარალების შემთხვევაში, თუკი ეს უბედურება არ იქნებოდა გამოწვეული თვით მუშის წინასწარი განზრახვით, ან გაუფრთხილებლობით. კანონი მოქმედებაში შევიდა 1904 წლის 1 იანვრიდან.[1] ამ კანონით მუშებს ფაქტიურად არასოდეს არ უსარგებლიათ, რადგან კაპიტალისტებს იგი უფლებას აძლევდა თითქმის ყველა უბედური შემთხვევა თვით მუშებისათვის გადაებრალებინათ და ისინი იყენებდნენ კიდეც კანონით გათვალისწინებულ ამ „უფლებებს". ცხადია, რომ ასეთ პირობებში ფორმალურად გამოცემული კანონები ფაქტიურად უძლური იყო არსებითი გავლენა მოეხდინა მუშათა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.[2]

მუშათა შრომის „მოსაწესრიგებლად" მთავრობის მიერ გამოცემული ეს ნომინალური კანონებიც კი რუსეთის მთელს იმპერიაში ფაქტიურად (ცალკეულ შემთხვევებს გარდა) ცხოვრებაში არ ხორციელდებოდა.

ფრიად მძიმე იყო ბათუმის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. კაპიტალისტების ინტერესების დამცველი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ბათუმის პროლეტარიატისათვის არ მიეცათ ის მცირეოდენი უფლებებიც კი, რაც უმაღლესმა მთავრობამ დააწესა.

1889 წლიდან ბათუმის სატარო მრეწველობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების დანერგვისა და უმუშევრობის გაჩენასთან დაკავშირებით კაპიტალისტებმა მკვეთრად შეამცირეს მუშათა ხელფასი. მუშებს ამუშავებდნენ განთიადიდან გვიან დალამებამდე. წარმოების პროცესში მუშებს ხშირად მოსდიოდათ უბედური შემთხვევები, მაგრამ ფაბრიკა-ქარხნების მფლობელები დახმარების მაგივრად აბუჩად იგდებდნენ მათ. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მწერალ გ. წერეთლის მიერ 1890 წელს როტშილდის ქარხნის მუშათა მდგომარეობის დახასიათება. იგი წერდა: „ამ დროს (ლაპარაკია 1890 წელზე — ვ. ს.) ქართველი მუშების არტელის დასაარსებლად ვიყავი მოწოდებული ბათუმში და ასე წირვის დრო იქნებო-

---

[1] Газ. «Кавказ», № 215, 14 августа, 1903 года.

[2] კაპიტალისტების დამცველი ჟურნალისტი ნ. მაქსიმოვი, რომელიც ხოტბა-ღიდებას ასხამდა რუსეთის საფაბრიკო-სამრეწველო კანონმდებლობას, ამავე დროს უსიცხადოდ ილაშქრებდა მუშებისათვის შრომის ადამიანური პირობების შექმნის წინააღმდეგ. მაქსიმოვი ირწმუნებოდა, რომ რუსეთში მუშებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლება შეუძლებელი იყო, რადგან ამით რუსეთის პრეწველობა ევროპის მრეწველობასთან კონკურენციაში დაიღუპებოდა. (Н. Максимов. Наше фабричное законодательство, «Кавказ», № 227, 27 августа, 1903 года).

და, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანად შემოვიდნენ ჩემ- არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდნენ მას დაცვას როტშილდის ქარხნის უფროსის ზრიდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან. ერთმა ამ მუშათაგანმა ამოიღო ქაღალდის ნახევი და იქიდან მაგიდაზე გადმოიყარა ორი წაჭრილი თითი: „ა, ბატონო, ჩვენი გაჭივრება ამით დაინახე: თითები აღარ შეგვრჩენია და მკლავებიო. დღენიადაგ ასეთ წვალებაში ვართ, თერთმეტი საათი ვმუშაობთ ქარხანაში, ჩექმები, ტანისამოსი ნავთის ცეცხლში გვეხრუკება, რასაც ქირას ვიღებთ ტანისამოსსა და მაშინისაგან მოჭრილ თითების წამალში არ გვყოფნის და ამასაც კი გვინახევრებენ“-ო.[1]

მტვირთავ მუშათა შრომის ექსპლოატაციის თავისებური ფორმის არსებობის შესახებ საყურადღებოა გ. წერეთლის კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, 1890 წელს ბათუმში არსებობდა მტვირთავ მუშათა რამდენიმე არტელი. იყო „საბაჟოს არტელიც“. არტელს მეთაურობდა ვინმე ბ. გ. შადინოვი. თუმცა არტელის წესდება ამას არ ითვალისწინებდა, მაგრამ მაინც აქ თავი მოეყარა ოცდახუთ მოსამსახურეს. ისინი მუშებს ქირაობდნენ, ამუშავებდნენ დღიურად, საქონლის მეპატრონეებთან აწარმოებდნენ გარიგებას, არტელის მეპაიე წევრები მუშების სრულ ბატონებად გამხდარიყვნენ. მუშათა შრომის ექსპლოატაციის შედეგად მიღებულ დიდ მოგებას „არტელის“ წევრები ურთიერთშორის ინაწილებდნენ. მარტო გ. შადინოვი, როგორც არტელის წევრი და გამგე, წელიწადში იღებდა 1000 თუმან ჯამაგირს.

მტვირთავ მუშათა მეორე არტელის თავმჯდომარე იყო მიხეილ ბუთანაშვილი, რომელიც ინგლისის გემებს ემსახურებოდა. მესამე არტელი მოწყობილი იყო მანთაშევის ფირმის მიერ. მანთაშევი თავის არტელში მხოლოდ სომეხ მუშებს ღებულობდა. მეოთხე არტელი გააჩნდა რუსეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის საზოგა-

1 სიმონ ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1949 წ., გვ. 208-209.

ამის შემდეგ გავიდა მრავალი წელი, მაგრამ კვლავ უმწეო იყო ბათუმის მუშათა კლასის სოციალური და ეკონომიური პირობები. ერთ-ერთ თავის კორესპონდენციაში ამის შესახებ 1899 წელს გაზ. „კვალი“ წერდა: „მუშა ქარხანაში ხშირად სახიჩრდება, ხელსა და თვალს კარგავს, მაგრამ ვინ უნდა უზრუნველყოს მისი მომავალი სიცოცხლე, მას არაფერს აძლევენო...“ (გაზ. „კვალი“, № 40, 1899 წ., გვ. 691).

დოებას. მეხუთე არტელი, რომელიც მანთაშევის მიერ გაჩაღებული ნაციონალური შუღლის შედეგად პირველ ხანებში შევიწროებულად გრძნობდა თავს, უმთავრესად ქართველებისაგან შედგებოდა. ამ არტელების დამაარსებელთა მიზანი იყო მაქსიმალურ დონეზე აეყვანათ მუშათა შრომის ექსპლოატაცია და ისინი კიდევაც ახორციელებდნენ ამას.[1] მრავალმხრივი ეკონომიური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის შედეგად არტელებში გაერთიანებულ მუშათა მდგომარეობა უმწეო იყო.

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდებოდა მტვირთავ მუშათა მდგომარეობისაგან. 11-12-საათიანი მუშაობის შემდეგ ისინი კიდევ დამატებით სამუშაოს კისრულობდნენ. ამგვარად, მათი სამუშაო დღე ზოგჯერ 17-18 საათამდე აღწევდა.

მძიმე, ფიზიკურად აუტანელი შრომის მიუხედავად, მუშის დღიური ხელფასი ძალზე დაბალი იყო, იგი 60-70 კაპ.-დან იშვიათ შემთხვევაში მანეთამდე თუ აღწევდა. ასეთ პირობებში მუშათა ერთი ნაწილი მალე გამოდიოდა მწყობრიდან.

იმის გამო, რომ მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმში თავი მოიყარა მრავალათასიანმა მუშათა არმიამ,[2] ფაბრიკა-ქარხნებიდან კაპიტალისტები შრომის ინვალიდებს დაუზოგავად ერეკებოდნენ ქუჩაში, ხოლო მათ ადგილს ავსებდნენ ახალგაზრდა მუშები.

ბათუმში განსაკუთრებით დიდი უმუშევრობა დაიწყო 1895 წლიდან. ქარხნებში უმთავრესად ღებულობდნენ თურქეთიდან გადმოხვეწილ მუშებს. გამრავლდა მტვირთავ მუშათა რაოდენობა. ბათუმელი მუშა თავის კორესპონდენციაში ჩივის, რომ მუშები ზოგჯერ ორი სამი დღე მშივრები და უმუშევრები ეყარნენ.[3] თურქეთიდან და ირანიდან გადმოხვეწილი გლეხები დიდ კონკურენციას

---

1 გ. წერეთელი, „ჩემი მოგონებანი". გაზ. „კვალი", № 30. 1897 წ.

2 გაზ. „კვალი"-ს ერთ-ერთი კორესპონდენტის მიახლოებითი გამოანგარიშებით 1895 წლისათვის უმუშევარ მუშათა რაოდენობა ბათუმის ნავსადგურში და ფაბრიკა-ქარხნებში ცხრა ათას კაცს აღწევდა, (გაზ. „კვალი", № 34, 1895 წ., გვ. 5).

3 იქვე, № 29, 1895 წ., გვ. 4. ბათუმში ჭარბი მუშახელის მოზღვავების შედეგად მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კორესპონდენტი წერდა: „წელს ზამთარში ბათუმს დიდძალი მუშახელი მოაწყდა. მუშა ორი სამი თვე უცდის სამუშეოარს და ვერ მოულობს. მუშახელის გამრავლებამ ხელფასი დასცა, მუშის ხელფასი იწყება 60 კაპ. და იშვიათად 1 მანეთამდის ადის. უმეტესობას 70 კაპ. ეძლევა" (იქვე. № 5, 1899 წ., გვ. 69).

უწევდნენ ადგილობრივ მუშებს. მათმა მოსვლამ ძლიერ დასცა მუშათა ხელფასი ბათუმში, სოხუმსა და ფოთში. თურქეთიდან საშოვარზე გადმოსულ გლეხთა დაწოლით განსაკუთრებით ძლიერ დაეცა ხელფასი. ისინი, ქართველებისაგან, სომხებისაგან და რუსებისაგან განსხვავებით დაბალ ხელფასზედაც თანხმდებოდნენ.[1] იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმში გაჩნდა უმუშევარ მუშათა არმია, როტშილდის ქარხანაში შემოღებულ იქნა მუშათა შრომის ექსპლოატაციის ახალი მეთოდი. კერძოდ, 1898 წლის 5 ოქტომბრიდან ნახევარი დღის მუშაობა შემოიღეს. მუშა დილის 6 საათიდან 12 საათამდე მუშაობდა და ორი ასეთი ნახევარი დღე ეთვლებოდა ერთ დღედ. ამგვარად, 1889 წელს მუშებისათვის დადგენილი 10½ საათის მაგივრად, მუშა ფაქტიურად მუშაობდა 12 საათს და ღებულობდა 10½ საათის ხელფასს.

მუშების ნახევარდღიურ სამუშაოზე გადაყვანით კაპიტალისტები ეწეოდნენ სამუშაო ძალის რთულ ექსპლოატაციას და ამ გზით ადვილად აღწევდნენ მოგებისა და ზემოგების მიღებას. კაპიტალისტებმა, როგორც პრაქტიკული ჭკუის ადამიანებმა, კარგად იცოდნენ, რომ მუშის შრომითი ნაყოფიერება გაცილებით მაღალი იყო სამუშაო დღის პირველ ნახევარში და ამიტომ ხალისით იყენებდნენ მას.

მე-19 საუკუნის 90-ანი წლების მეორე ნახევარში, უმუშევართა რაოდენობის გამრავლებასთან დაკავშირებით, ბათუმის მუშათა ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემის შესახებ გაზ. „კვალში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „რამდენადაც ეს ჩვენი ბათუმი იზრდება, ფართოვდება და ეკონომიურად ვითარდება, იმდენად ცხოვრების წყაროები ძვირდება და ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებების შეძენა, როგორიც არის ოთახი, სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი, შეშა და სხვა ძნელი ხდება... განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ცხოვრების სახსრად თავისი მარჯვენის მეტი არაფერი აბადია, რომლებიც ულმობელმა ცხოვრების კითხვებმა, ვინ იცის საიდან გადმოყარა ლუკმა-პურის საძებნელად... ბათუმის მუშების მდგომარეობა დღითი დღე ეცემა და მიწასთან სწორდება, როგორც ქონებრივად, ასე გონება-ზნეობრივადაც. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი დადგა და ყველა თბილ ბინას, თბილ ტანისამოსს ეძებს, ამ უკანასკნელებს ფიქრიც არ შეუძლიათ სა-

1 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება მე-19-20 ს. ს., ტ. II, თბილისი, 1956 წ., გვ. 804.

ზამთრო სადგომზე, თბილ ტანსაცმელზე; მათთვის ზამთარში და ზაფხულშიც ერთნაირი არსებობს სადგომი, საწოლი და თვით ტანისამოსიც. წინათ აქ ქარხანაში მუშა 9 ½ საათზე მეტს არ მუშაობდა, დღეს კი 10½, 11, 11 ½ საათსაც მუშაობს. წინათ მუშა 160-220 კაპ. ღებულობდა დღეში, დღეს კი 70-80 კაპ. აღებაც უძნელდება, იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს ნახევარ დღეობით მუშაობას, რაც ძალიან ხეირია მექარხნისათვის, რადგან მუშა დილიდან შუადღემდე მეტს გააკეთებს, ვინემ შუადღიდან საღამომდის.

დილას მუშის ორგანიზმი მოსვენებულია და ის დილიდან შუადღემდე მთელი დღის ორ მესამედს გააკეთებს, რისთვისაც ის მხოლოდ ნახევარი დღის სასყიდელს იღებს. მუშა მამაკაცი კვირაში 70 ½ საათი მუშაობს და ძლივს 580-420 კაპ. იღებს ისიც თუ მთელი დღეები იმუშავა და თუ ნახევარ დღეებს მუშაობს, მაშინ 39 საათში მიიღებს 210-290 კაპიკს... როგორ იცხოვროს 2 მან. და 10 კაპ. ფულით მუშამ მთელ კვირაში?

როტშილდის ქარხანაშიც კი, რომელიც სანიმუშოდ ითვლება, ანტისანიტარიაა გამეფებული. მუშებისათვის არ არსებობს თეატრი, ან სხვა რამე გართობა. ისინი ყოველმხრივ უკიდურეს მდგომარეობამდეა მისული“.[1]

გემის მტვირთავ მუშებს უტიფრად ატყუებდა მოიჯარადრე ბეთანოვი. ხშირად მუშებს სამ დღეს ამუშავებდა და ერთი დღის ქირით უსწორდებოდა.

გამოუცდელი მუშები თავიანთ ხელფასს ფასდაკლებით ჰყიდდენ, რომ ნამუშევარი სულ არ დაჰკარგოდათ.[2] დღიური ხელფასის ფასდაკლებით (10 კაპ.) გაყიდვა ფართოდ იყო გავრცელებული ბათუმის მუშათა შორის და ამით ჩარჩ-ვაჭრები მუშების ხარჯზე საკმაოდ მოზრდილ თანხას იგებდნენ, მაგრამ უფრო აღმაშფოთებელი ის იყო, რომ ქარხნის დირექტორები აშკარა ბანდიტური მეთოდების გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ. ძალდატანების გზით ხშირად ისინი მუშებს ხელიდან აგლეჯდნენ სიმწრით მოპოვებულ ისედაც უმნიშვნელო ხელფასს.

ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ დამახასიათებელი დოკუმენტია მუშა კორესპონდენტის წერილი, რომელიც გაზეთი „კვალის“ ფურცლებზე მოურიდებლად ამხელს: „თუ ამდენხანს დაკლებაზე

1 გაზ. „კვალი“, № 51, 1898 წ., გვ. 839.
2 იქვე, № 19, 1898 წ., გვ. 327.

ვლაპარაკობდით, ახლა წართმევაზეც ვილაპარაკოთ. შეწყდება მუშაობა თუ არა — მუშებს ეუბნებიან, ამა და ამ დრომდე მუშაობა არ იქნებაო. მუშა მიდის სოფელში და ერთი კვირის შემდეგ ბრუნდება ქარხანაში და მოითხოვს „პალუჩკას". ქარხნის გამგე მას ეუბნება ფული მიღებული გაქვსო. ფულის მიღებაზე აქ არაფრის თავის დღეში ხელი არ მოუწერია. აბა მითხარით, სად უნდა წავიდეს და ვის მიმართოს მუშამ?"[1]

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მე-19 საუკუნის 90-ან წლებიდან ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების კარებს მასობრივად მოადგნენ სამუშაოს მაძიებელი პროლეტარი ქალები. პროლეტარ ქალთა უმრავლესობა სამუშაოზე ვერ ეწყობოდა, მათი უმეტესობა დასავლეთ საქართველოს ახლომახლო სოფლებიდან იყვნენ ჩამოსული. ისინი დიდხანს დახეტიალობდნენ მშიერ-მწყურვალნი მათთვის უცნობი ქალაქის ქუჩებში და ბოლოს საქმე იმით თავდებოდა, რომ „პროსტიტუტკებად" ინათლებოდნენ.[2] ამ სამწუხარო მოვლენების შესახებ გაზ. „კვალში" ნათქვამი იყო: „ბათუმში, ბარცხანაში, არის ქალი ფ-ნა, რომელსაც „გურულ ქალთა კონსულს" უწოდებენ. ქალები მოაწყდნენ ბათუმს, სამუშაოს ვერ შოულობდნენ და „კონსულის" ხელის შეწყობით ეწევიან პროსტიტუციას"-ო.[3]

განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში ბათუმს რუსეთის დამშეული გუბერნიებიდან გადმოხვეწილი პროლეტარული მასები ქარავნებივით მოადგებოდნენ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული ხდებოდნენ სპეციალური ზომები მიეღოთ „საშიში ელემენტებისაგან" ქალაქის გასაწმენდად. ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების 1899 წ. საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1889 წლის აპრილში სამარისა და უფის დამშეული გუბერნიებიდან გადმოხვეწილი მოსახლეობის ერთი ჯგუფი (500 სული) ჩამოვიდა ქ. ბათუმში. 500 უმუშევარის პატარა ქალაქში შეკრა, როდესაც სამუშაოს გამონახვაზე ოცნებაც ზედმეტი იყო, სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა მთავრობისათვის. ამასთან დაკავშირებით ბათუმის პოლიცმეისტერმა სთხოვა ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოებას მატერიალური ზრუნვა აღმოეჩინა სარატოველი და უფელი ლტოლვილებისათვის, მაგრამ საზოგადოებას საამისოდ არ აღმოაჩნდა საცხოვრებელი სახლები და ფულადი

1 გაზ. „კვალი", № 17, 1898 წ., გვ. 293.
2 იქვე, № 41, 1897 წ., გვ. 736.
3 იქვე, № 42, 1897 წ., გვ. 756.

სახსარი და მოვალეობა „მოიხადა“ 100 მანეთის გაღებით. ჩამოსული მუშები პოლიცმეისტერის ინიციატივით ბათუმიდან გარეკეს. ღარიბ-ღატაკთა დევნაში ადგილობრივ მთავრობას დიდი სამსახური გაუწიეს ბათუმელმა კაპიტალისტებმა, რომლებმაც თავიანთი საკუთარი გემებით ბათუმიდან გაიყვანეს შორეული გუბერნიიდან გადმოხვეწილი მუშების ერთი ნაწილი.[1] ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბათუმელი მუშებისათვის ხელფასის დაწესება მხოლოდ კაპიტალისტების პირად „სინდისზე“ იყო დამოკიდებული.

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოზე, აგრეთვე, იყენებდნენ 8-9 წლის ბავშვებს, რომლებიც აუტანელი შრომისაგან ფიზიკურად ნადგურდებოდნენ. ისინი შიმშილისა და სიცივის მსხვერპლი ხდებოდნენ. საბრალო ბავშვებს ხშირად მანჭანა ხელ-ფეხს ჭრიდა.[2]

ფაბრიკა-ქარხნებში მცირეწლოვანთა ბარბაროსული ექსპლოატაციის გამანადგურებელი შედეგების შესახებ გაზ. „კვალი“-ს ბათუმელი კორესპონდენტი წერდა: „ნეტავ გიჩვენა, ჩემო მკითხველო, ეს პატარა „ახალი მოდის“ მუშები, მათი გამურული სახით, სიცოცხლეს მოკლებული, ჩავარდნილი თვალებით, დაუვარცხნელი თმით, დაფლეთილი ტანისამოსით, გაცვეთილი ფეხსაცმელებით, რომლიდანაც გასვრილი თითები გამოუჩანთ!.. რა მოელით შემდეგისათვის, რა უნდა გახდნენ, როგორი იარაღით და რა ცოდნით გაუმკლავდნენ ცხოვრებას მომავალში, როცა ქარხნების გაფუჭებულ ჰაერს მათი სიცოცხლის ლამპრის გაჭრობა ახლავე დაუწყია? უპატრონო ბავშვები ცუდ წრეში ვარდებიან და ეჩვევიან ყოველივე გარყვნილებას“.[3]

დაახლოებით ასეთი იყო ბათუმის მუშათა კლასის მდგომარეობა მე-19 საუკუნის მიწურულისათვის.

როგორი იყო მუშათა კლასის მდგომარეობის მიმართ მთავრობის პოზიცია? მთავრობის უმაღლესი ორგანოების მიერ სათანადოდ ინსტრუქტირებული ბათუმის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები გულმოდგინედ იცავდნენ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა ინტერესებს. ადგილობრივი მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავდა, რათა მოსახლეობის ფართო ფენები აღეზარდა მონური მორჩილების სულისკვეთებით.

---

[1] **Отчет правления Батумского Благотворительного об-ва за 1899 г., Батуми, 1900 г., стр. 6.**

2 გაზ. „კვალი“, № 28, 1898 წ., გვ. 468-469.

3 გაზ. „კვალი“, № 17, 1899 წ., გვ. 267.

ბათუმში მრეწველობის სარეზერვო არმიის არაჩვეულებრივი სისწრაფით ზრდამ საგონებელში ჩააგდო ადგილობრივი მთავრობა და სხვა რიგ ღონისძიებებთან ერთად საჭიროდ ჩათვალა პროლეტარიატისათვის, როგორც არსებული საზოგადოებრივი წყობილებისათვის საშიში კლასისათვის, სახელი გაეტეხა. მთავრობა დაეყრდნო მოსყიდულ მჯღაბნელებს და მათი საშუალებით სცადა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში დაეთესა უნდობლობისა და ზიზღის გრძნობა უმუშევრად დარჩენილი პროლეტარებისადმი.

ბათუმის უმუშევართა მიმართ ცარიზმის პოზიციას გამოხატავდა ცნობილი შავრაზმელი, მუშათა დაუძინებელი მტერი პალმი, რომელიც ბათუმის გაზეთ „ჩორნომორსკი ვესტნიკს“ რედაქტორობდა. გაზეთის საშუალებით პალმი უტიფრად ესხმოდა თავს ბათუმის პროლეტარიატს და, პირველ რიგში, ამ კლასის უმუშევართა არმიას. პალმი მუშათა კლასს თავს ესხმოდა „ოფიციალური ხალხურობის თეორიის“ პოზიციიდან, თეორიისა, რომელსაც ხალხში არასოდეს არ ჰყოლია ოდნავ საგრძნობი მომხრე. პალმი ბათუმში თავმოყრილ უმუშევრებს მაწანწალებს უწოდებდა. პალმის აზრით, ბათუმში არსებობდა მუშათა სამი კატეგორია: პირველი — დროებით უმუშევრები, მეორე — რომლებიც არასოდეს არ მუშაობენ და რომელთა რაოდენობა უთვალავია ბათუმში, მესამე — ყოფილი მოხელეები, რომლებიც ვითომ იდეისათვის არიან დევნილიო, — ცინიკურად აცხადებდა ბ-ნი პალმის გაზეთი. როგორ ვაწარმოოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლა? — სვამდა კითხვას პალმის გაზეთი და იქვე პასუხობდა: „საჭიროა მათ (ე. ი. უმუშევრებს) არავინ გაუწოდოს დახმარების ხელი“, ისინი გაიფანტებიან ბათუმიდან და ქალაქში სიღატაკე მაშინათვე მოისპობა“-ო.[1] ასეთი იყო ბურჟუაზიული ჟურნალისტის — პალმის „ფილოსოფია“.

პალმის ქადაგებამ მოსახლეობის ფართო ფენებში მხოლოდ ზიზღი დაიმსახურა. ამ დროს, ბათუმში, ცხოვრება თავისი ბუნებრივი ეკონომიური განვითარების გზით მიდიოდა, პროლეტარიატის რიგები მრავლდებოდა და ახალი ნაკადით ივსებოდა.

პროლეტარული მასებისათვის მძიმე, კაპიტალისტური უღლის მომტანი მე-19 საუკუნე დასრულდა. მე-20 საუკუნის დადგომას მეფის მთავრობა და მისი ინტერესების დამცველი ოფიციალური პრესა ზეიმით შეეგება. რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია ევრო-

[1] Газ. «Черноморский Вестник», № 4, 6 января 1899 г., Батуми.

პის კლასობრივ კოლეგებთან ერთად შრომაზე კაპიტალის ბატონობას დღესასწაულობდა.

როგორც ცნობილია, იმ დროს რუსეთის ბურჟუაზია სუსტი, თანაც ნაკლებად გამოცდილი იყო და ჯერ კიდევ კარგად ვერ გრძნობდა, რომ მე-19 საუკუნის დასასრული და მე-20 საუკუნის დასაწყისი იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა, ვიდრე მანამდე არსებულ ჩვეულებრივ საუკუნეთა მიჯნა, რომ მე-20 საუკუნე იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციათა საუკუნე იყო.

მე-20 საუკუნე რუსეთის მუშათა კლასისათვის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის საყოველთაო გაუარესებით დაიწყო.

სამრეწველო კრიზისიდან თავის დაღწევისათვის გაშმაგებით მებრძოლმა, მოგებითა და ზემოგებით დაინტერესებულმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ შეუბრალებლად შეუტია მუშათა კლასს. მუშათა რეალური ხელფასი საგრძნობლად შემცირდა.

სამრეწველო კრიზისის პერიოდში ბათუმის მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიური და მორალური მდგომარეობის დახასიათებისათვის საინტერესოა ლენინურ გაზ. „ისკრა"-ში 1902 წ. 1 თებერვალს დაბეჭდილი ბათუმელი მუშა-კორესპონდენტის წერილი, სადაც ვკითხულობთ:

«Хозяевам здесь предоставлен полный простор: они делают, что хотят, не боясь никого и ничего, и являются полными господами жизни и здоровья рабочих, а рабочие—их рабами.

При столкновении между отдельными хозяевами и рабочими дело разбирает обыкновенно околоточный надзиратель и всегда, конечно, в пользу хозяина. Если же рабочий перенесет дело в суд, то и тут хозяин выходит правым, ибо обыкновенно задавленные нуждой и зависящие от хозяина свидетели — рабочие боятся показывать против хозяев. Рабочие всегда бывают виноваты! Кроме того, ни одно безобразное деяние хозяев не было напечатано в местных газетах, потому, что цензура позволяет только хвалить хозяев за их, будто бы, отеческое, хорошее отношение к рабочим.

В других городах и местах нашего обширного отечества все-таки сущетсвуют праздники, во время которых замолкает шум машин, и рабочие пользуются хоть кратким отдыхом. У нас не то! Не говоря уже о воскресных днях... Здесь даже в первые дни пасхи и рождества не перестают гудеть фабричные гудки и не прекращаются работы...

В нашем городе особенно развит труд малолетних. На

заводе Манташева работают 7—8-летние дети. Дети работают столько же часов, как и взрослые, а так как здесь производство отличается страшным непостоянством и во время заказов на заводе Манташева число рабочих часов доходит до 105 в неделю, то детям приходится простаивать за станком по 15—16 час. в сутки .С прекращением заказа обыкновенно рассчитывается половина рабочих.

На наших заводах господствует по отношению к рабочим кулачная расправа. Рабочих бьют надсмотрщики, заведующие, механики и сами директора. Особенным постоянством в этом отношении отличается управляющий завода Манташева, Тер-Акопов, а на заводе Ротшильда — механик Штубнер и приказчик Файнштейн. Бьют и ребятишек, чтобы они усерднее работали. Особенно жестоко поступает с ними приказчик Файнштейн.

На заводах у нас очень часты несчастные случаи. Это происходит оттого, что хозяева нисколько не заботятся о безопасности рабочих при исполнении ими работ, и оттого, что пользуются дешевыми необученными рабочими. В жестяночных и лесопильных отделениях нефтяных заводов редкий день проходит без несчастного случая. Если случится несчастье с рабочими при исполнении работ, протоколы пишут, как ни странно это, управляющие заводов. Если рабочему отрежет станком палец, пишут, что «поранение несерьезное»; если рабочему отрежет кисть руки внезапно опустившимся ножем штампы, когда он выковыривал застрявшую жесть, которая должна была бы выбрасываться автоматически, — пишут, что поранение произошло по собственной неосторожности рабочего. Если же рабочий, чтобы предупредить падение ножа, подложит под него кусок дерева, и если нож опуститься на это дерево, ему пишут штраф в размере 3— 5руб. Точно также рабочих, которые попадают в станок четвертый и пятый раз, попросту выгоняют, придравшись к какому-нибудь пустяку, чтобы не выплачивать ему вознаграждение как неспособному к труду.

В паяльных отделениях нефтяных заводов рабочие хворают горловыми и грудными болезнями, так как воздух в этих мастерских насыщен парами разных кислот. В разливочных отделениях этих заводов у рабочих от керосина пухнут ноги и покрываются язвами. Климат здесь очень не здоровый, лихорадочный, сырой; здесь трудно найти рабочего, который не хворал бы лихорадкой и ревматизмом. Несмотря на страшную жару летом, когда рабочие буквально обливаются потом, здесь ни на одном заводе нет кубов с кипяченной водой и рабочие принуждены пить сырую, застоявшуюся в трубах воду. Вследствие этого здесь часты забо-

левания, а медицинская помощь поставлена очень плохо. Ни на одном заводе нет больницы, и фельдшера обращаются с рабочими очень грубо.

На заводах здесь практикуется скрадывание рабочего времени и вычеты. Часто рабочие получают лишь половину заработанных денег: остальную половину вычитывают за брак ,хотя рабочие не виноваты, т. к. причиною плохого исполнения работы являются старые, испорченные машины. А у Манташева на заводе машины пускаются в ход на полчаса, на час раньше гудка. Заработная плата за последние годы здесь сильно понизилась. Десять лет назад на заводе Ротшильда работало 4.000 чел. Рабочие получали по 2—3 р. в день. Теперь же, после улучшения механизмов, ту же работу, даже в больших размерах, исполняют 1.500 чел. за эти 10 лет 2.500 чел. было выброшено на улицу, а заработная плата понижена до 60 коп. в день. Теперь мы зарабатываем лишь на хлеб и на воду, чтобы только не умереть с голоду, чтобы быть в состоянии создавать не для себя—для других богатства... Тяжело так жить, и небольно является вопрос: зачем мы так страдаем? Жизнь наша лишена всякой радости, она лишь сплошной путь к могиле». [1]

კორესპონდენციაში გულწრფელად და ნათლადაა მოცემული ბათუმის მუშათა კლასის მდგომარეობის რეალური სურათი.

ბათუმის მუშათა კლასის მდგომარეობის აღსაწერად საჭიროდ მიგვაჩნია დამატებით მივმართოთ ოფიციალურ დოკუმენტებსაც, რომელთა შემდგენელნი ბურჟუაზიული კლასის ინტერესების დამცველები იყვნენ. მათ ნაწერებსაც დავიმოწმებთ რათა, ენგელსის გამოთქმით, „ბურჟუაზია მისივე საკუთარი ბაგეებით“[2] გავამტყუნოთ. ახლა მოვუსმინოთ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს. ბათუმის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ იგი 1902 წლის 31 იანვარს მანთაშევის ქარხნის მუშათა გაფიცვის გამო, მთავრობის ორგანოების მიერ

1 Газ. «Искра», 1 февраля 1902 г., № 16, стр. 11, изд. 1926 г., Ленинград.

2 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935 წ., გვ. 19.

სპეციალურად გამოძიებული მასალების საფუძველზე კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმმართებელს უგზავნიდა საგანგებო მოხსენებას, სადაც აღიარებდა, რომ მანთაშევის ქარხნის მმართველი ტერ-აკოპოვი და „პრიკაზჩიკი“ ივანე ფერაძე მეტად უხეშად ეპყრობიან მუშებს. ისინი მუშებს პირდაპირ სახეში ცემენ მუშტით, ან ურტყამენ ფეხით. მუშებს აწამებენ მრავალნაირად, ერთმანეთთან დალაპარაკებისათვისაც-კი აჯარიმებენ. მუშებს იძულებულს ხდიან საკუთარი ინსტრუმენტები იქონიონ ქარხანაში სამუშაოდ, ხოლო როდესაც ის ფუჭდება, ადმინისტრაცია ამას მუშებს აბრალებს და აჯარიმებს.

ქარხნის ადმინისტრაციამ წლის ბოლოსათვის შემოიღო სპეციალური ჯარიმა, რომელსაც მუშებმა „უდანაშაულო ჯარიმა“ უწოდეს. ის მდგომარეობს შემდეგში: ადმინისტრაცია ყოველი წლის ბოლოს უხელფასოდ, ათეულ ათასი ცალობით, აკეთებს, ბიდონებს. მაგალითად, 1901 წლის ბოლოს ქარხნის ადმინისტრაციამ მუშები აიძულა უფასოდ გაეკეთებინა 26 ათასი ბიდონი. ჯარიმის წიგნი ქარხანას არ გააჩნია და ჯარიმას „ქარხნის სასარგებლო“ ეწოდება[1].

საჯარიმო სისტემის დანერგვის შესახებ კ. მარქსი წერდა: „საფაბრიკო კოდექსი, რომელშიაც კაპიტალი კერძოუფლებრივი წესით და თვითნებურად აყალიბებს თვითმპყრობელურ ბატონობას თავის მუშებზე, ისე რომ არ ატარებს ძალაუფლებათა განაწილებას, რაც საერთოდ ასე ძვირფასია ბურჟუაზიისთვის.. — ეს კოდექსი უბრალო კაპიტალისტური კარიკატურაა შრომის პროცესის საზოგადოებრივი მოწესრიგებისა... მონების მეთვალყურის მათრახის ადგილს აქ ზედამხედველის საჯარიმო წიგნი იჭერს. ყოველი დასჯა, ბუნებრივია, ფულადი ჯარიმით და ხელფასიდან გამოქვითვით გამოიხატება...“[2]

ფ. ენგელსი წერდა: „მონობის ჯაჭვი, რომლითაც ბურჟუაზიამ შებოჭა პროლეტარიატი, არსად ისე ცხადად არა სჩანს, როგორც საფაბრიკო სისტემაში. აქ ყოველი თავისუფლება მოსპობილია ოფიციალურად და ფაქტიურადაც. დილის ექვსის ნახევარზე

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 5371, ფურც. 1-2.
2 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954 წ., გვ. 537.

მუშა ფაბრიკაში უნდა იყოს; თუ ორი წუთით დააგვიანდა, მას მოელის ჯარიმა, ხოლო თუ ათი წუთით დაიგვიანა, მას სრულიადაც არ შეუშვებენ საუზმის გათავებამდე და ხელფასიდან გამოურიცხავენ დღის მეოთხედისთვის (თუმცა მან მხოლოდ 2½ გააცდინა 12-დან). მან კომანდით უნდა სჭამოს, სვას და დაიძინოს. ყოვლად აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მას აქვს მხოლოდ ყველაზე მინიმალური დრო, რომელიც ამისათვის საჭიროა. ფაბრიკანტი არ კითხულობს, ცხოვრობს იგი ფაბრიკიდან ნახევარი თუ მთელი საათის სავალზე. დესპოტური ჭარი მას წამოაგდებს ლოგინიდან, საუზმიდან და სადილიდან.

და რა მდგომარეობაშია იგი თვით ფაბრიკაში! აქ ფაბრიკანტი შეუზღუდველი კანონმდებელია! იგი გამოსცემს საფაბრიკო წესებს, როგორიც მას მოეპრიანება, შეცვლის და შეავსებს ამ კოდექსს, როგორც მოესურვება, და რაგინდ სულელური იყოს ეს წესები, სასამართლო ყოველთვის ეუბნება მუშას: „თქვენ თვითონ ხართ თქვენი თავის ბატონი, თქვენ შეგეძლოთ ამ ხელშეკრულებაზე არ დათანხმებულიყავით, თუ არ გსურდათ; მაგრამ ეხლა, რაკი მასზე ნებაყოფლობით დათანხმდით, ეხლა თქვენ იგი უნდა შეასრულოთ კიდეც“. და ასე მუშამ უნდა აიტანოს დაცინვაც. მომრიგებელი მოსამართლის მხრივ, რომელიც თვითონ ბურჟუა არის, და კანონის მხრივ, რომელიც იმავე ბურჟუაზიის მიერაა გამოცემული... ვინც ჯარისკაცად ყოფილა, იცის, თუ რას ნიშნავს თუნდაც მოკლე ხნით სამხედრო დისციპლინის ქვეშ ყოფნა; მუშები კი განწირულნი არიან ცხრა წლის ასაკიდან დაწყებული სიკვდილამდე ფიზიკურად და სულიერად ასეთი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდენ“.[1]

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ეს სიტყვები ბათუმელ მუშათა მდგომარეობასაც ახასიათებდა.

მე-20 საუკუნის დამდეგისათვის ბათუმის მრეწველობაში ხელით შრომა, თითქმის ყველგან, შეცვლილია მანქანურით, თითქმის

---

1 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935 წ., გვ. 168-169.

ყველა მანიპულაცია წყლის, ორთქლის ან ელექტრონის ძალით სრულდება და კაპიტალისტები არ იშურებენ ძალასა და ენერგიას ახალ-ახალ გამოგონებათა დანერგვისათვის.

„მოწესრიგებულ სოციალურ წყობილებაში ყველა ასეთი გაუმჯობესება მხოლოდ სიხარულით შესახვედრი იქნებოდა; მაგრამ იქ, სადაც გაჩაღებულია ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ, ცალკე პირნი ითვისებენ ყველა სარგებლობას და მით უმრავლესობას ართმევენ არსებობის საშუალებას. თითოული გაუმჯობესება მანქანებში ლუკმა პურს ართმევს მუშებს, და რაც უფრო მნიშვნელოვანია გაუმჯობესება, მით უფრო მეტი მუშა რჩება უმუშევრად; თითოული გაუმჯობესება, მაშასადამე, იწვევს მუშათა კლასის განსაზღვრული ნაწილისთვის იმავე შედეგებს, რასაც იწვევს კრიზისი მრეწველობაში, ე. ი. წარმოშობს გაჭირვებას, სიღატაკეს და ბოროტმოქმედებას.[1]“

როგორც ბათუმელი მუშის კორესპონდენცია გვატყობინებს, როტშილდის ქარხანაში 10 წლის წინათ 4000 მუშა მუშაობდა, მაგრამ 1902 წლის დასაწყისისათვის მხოლოდ 1500 მუშა შერჩა წარმოებას. გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების დანერგვით იმავე ქარხანამ კიდევ ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1903 წლის დასაწყისისათვის, დამატებით კიდევ 200 მუშა დატოვა უმუშევრად. აქვე აღსანიშნავია, რომ მრავალი მშრომელი მამაკაცი შეიცვალა მცირეწლოვანთა, მოზარდთა და ქალთა იაფფასიანი შრომით. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ბათუმის თითქმის, ყველა საწარმოში.

აღნიშნული მოვლენის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ბათუმის საფაბრიკო უფროსი ინსპექტორის მიერ 1903 წელს შედგენილი მოხსენებიდან სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გვიჩვენებს, ბათუმის საფაბრიკო ინსპექციის ობიექტებში — 13 ფაბრიკა-ქარხანაში, მუშათა რაოდენობისა და შედგენილობის ტიპიურ სურათს.[2]

---

1 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935 წ., გვ. 131-132.

2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13/ს, საქმე 39, ფურც. 4.

	ფირმების სახელწოდება	მუშათა რაოდენობა: მოხარდნილები	მოზარდები	მეცრე წლოვანი 15–17	ს უ ლ	ეროვნება (უმრავლესობა)
	I. ყუთებ-ბიდონების					
1	კასპიისა და შავი ზღვის საზოგადოება . . .	1.099	130	71	1.300	ქართველები
2	მანთაშევის № 1 .	765	82	42	889	სომხები
3	მანთაშევის № 2 .	300	39	8	347	ქართველები და სომხები
4	სიდერიდისის . .	191	26	—	217	ბერძნები, ქართველები, თათრები
5	ხაჩატურიანცის .	237	33	24	294	სომხები
	II. გადამხსნელი სადგური					
6	ამხანაგობა ძმ. ნობელებისა .	38	2	—	40	რუსები
	III. თამბაქოს ფაბრიკა					
7	ბინიატ-ოღლი .	57	4 ქალი	1 ქალი 3 ვაჟი	65	თათრები, სომხები, რუსები
8	შაბოვიანცის „თამარა“ .	16 ბიჭი კაცი 4 ვაჟი	1 ქალი	3 ვაჟი	24	რუსები, ებრაელები სომხები
	IV. მექანიკური ქარხნები					
9	პასეკი . .	30	8	2	40	უმრავლესობა რუსები
10	კალანი .	32	11	—	43	უმრავლესობა რუსები
	V. მშრალი სალებავების ქარხანა					
11	იაკოვლევი . . .	15	—	—	15	რუსები
12	ბეტმანი და კარაოვსკი . . .	17	—	—	17	რუსები
	VI. ტყავის ქარხანა					
13	ძმ ჩილინგარიანები	24	—	—	24	ბერძნები და სომხები
	ს უ ლ . . .	2.825	336	154	3.315	

აქ მოტანილ ცნობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბათუმის 13 ფაბრიკა-ქარხანაში დასაქმებული 3.315 მუშიდან 490 მოზარდი და მცირეწლოვანი ბავშვი ყოფილა, რაც მუშათა საერთო რაოდენობის 15 პროცენტს შეადგენდა.

ბათუმის საფაბრიკო ინსპექტორის მოხსენებაში ლაპარაკია მუდმივმომუშავე მუშების ასაკობრივ შემადგენლობაზე. თავისთავად იგულისხმება, რომ სეზონურ სამუშაოზე კაპიტალისტები უმეტესად ქალთა და ბავშვთა შრომას იყენებდნენ.

როგორც ყველა კაპიტალისტურ ქალაქში, ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებშიც ქალებისა და ბავშვების შრომის გამოყენება იქცა მუშების რიცხვის გამრავლებისა და ხელფასის დაცემის საშუალებად.

როგორც ცნობილია, მანქანების გამოყენება ზედმეტად ხდის კუნთებრივი ძალის გამოყენებას და იქმნება შესაძლებლობა არასაკმაო ფიზიკური განვითარების არსებანი მუშებად გამოიყენონ. ამ ახალი ტექნიკური ცვლილებების პირობებში, — ამბობს მარქსი— „ქალებისა და ბავშვების შრომა პირველი სიტყვა იყო მანქანათა კაპიტალისტური გამოყენებისა! შრომისა და მუშის შენაცვლების ეს მძლავრი საშუალება ამით დაუყოვნებლივ გადაიქცა დაქირავებული მუშების რიცხვის გამრავლების საშუალებად, ვინაიდან მან კაპიტალის უშუალო ბატონობას დაუმორჩილა მუშის ოჯახის ყველა წევრი, სქესისა და ასაკის განურჩევლად. იძულებითმა შრომამ კაპიტალისტის სასარგებლოდ დაიპყრო არა მარტო ბავშვთა სათამაშო ადგილი, არამედ — ადგილი იმ თავისუფალი შრომისაც, რომელიც, ოჯახურ წრეში და ადათის ფარგლებში წარმოებული, თვით ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.[1]“

წინათ კაპიტალისტი და მუშა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც თავისუფალი პიროვნებანი, როგორც თავისუფალი საქონელთმფლობელნი. მუშა კაპიტალისტს უპირისპირდებოდა, როგორც სამუშაო ძალის მფლობელი. მაგრამ წარმოებაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვის შემდეგ „...კაპიტალი მოუმწიფებელთ ან ნახევრადმოწიფულთ ყიდულობს. წინათ მუშა ყიდდა თავის საკუთარ სამუშაო ძალას, რომლის განმკარგულებელი თვით იგი იყო, როგორც ფორმალურად თავისუფალი პიროვნება. ახლა იგი თავის ცოლ-შვილს ყიდის. იგი მონათვაჭარი ხდება.[2]“

ასეთ პირობებში მუშის ოჯახი, თუ მთლად არ ირღვევა,

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1934 წ., გვ. 500.
2 იქვე, გვ. 501-502.

ყოველ შემთხვევაში, მამაკაცის უფლებები ფეხქვეშ ითელება, რადგან ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში „...როლები გადაყირავდება, დედაკაცი ოჯახს არჩენს, მამაკაცი შინ ზის, ბავშვებს უვლის, ოთახებს ჰგვის და საჭმელს ხარშავს. ასეთი შემთხვევები ძალიან და ძალიან ხშირია; მარტო მანჩესტერში შეიძლება მოიძებნოს რამდენი ასი ასეთი მამაკაცი, რომელთა ხვედრს საშინაო მუშაობის შესრულება წარმოადგენს. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, — განაგრძობს ენგელსი, — თუ რა სამართლიან აღშფოთებას იწვევს მუშების მხრივ ეს ნამდვილი დასაშურისება და რა რადიკალურ ცვლილებას წარმოშობს იგი ოჯახურ ურთიერთობაში იმ დროს, როდესაც ყველა დანარჩენი საზოგადოებრივი ურთიერთობა უცვლელად არის დარჩენილი.[1]“

ხშირად ადგილი აქვს უფრო მწვავე ოჯახურ ურთიერთობას, როცა მუშის ოჯახში ცოლ-ქმარი უმუშევარია, ბავშვები თავიანთ უმუშევარ მშობლებს ინახავენ. ოჯახში როლები ამჯერადაც გადაყირავებულია. „ცოლს მსგავსად, ამ შემთხვევაში ბავშვები არიან სახლში ბატონები. ლორდ ეშლის მოჰყავს ასეთი მდგომარეობის მაგალითი თავის სიტყვაში (ქვედა პალატის 1844 წ. 15 მარტის სხდომაზე). ერთმა კაცმა დატუქსა თავისი ორი ქალიშვილი იმის გამო, რომ ისინი სამიკიტნოში იყვნენ; ამაზე ქალებმა უპასუხეს: მოგვებეზრდა მბრძანებლობის ქვეშ ყოფნაო; (დაგწყეველთ ეშმაკმა, თქვენ ჩვენ გინახავთო). ჩვენ გვინდა ჩვენი მონაგარიდან რაიმე გვქონდესო. ადგნენ და წავიდნენ მშობლების სახლიდან, დასტოვეს დედ-მამა მათი ბედის ანაბარად.[2]“

ბათუმშიაც, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა ქალთა და ბავშვთა კაპიტალისტური ექსპლოატაცია დაინერგა, ანალოგიურ მოვლენებს ეხედავთ. აქ თითქმის ისეთივე ამბებია, როგორსაც ინგლისში ჰქონდა ადგილი მე-19 საუკუნის 40-იან წლებში.

მეფის სასტიკი რეაქციის ბატონობის გამო მოვლენის რეალისტურად აღმწერი ლიტერატურის სიმცირე საშუალებას არ იძლევა მუშათა კლასის ეკონომიური და მორალური მდგომარეობის შესახებ უხვი ფაქტობრივი მასალები დავაგროვოთ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრება მემუარულ ლიტერატურას და ჩვენც იძულებული ვართ მივმართოთ მას.

1 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935 წ., გვ. 140.

2 იქვე, გვ. 142.

აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მუშების. მრავალი მოგონება, რომლებმაც თავიანთ ზურგზე მწარედ განიცადეს კაპიტალისტური მონობის მძიმე ტვირთი. ერთ-ერთი ასეთი მუშის მოგონებაში ვკითხულობთ, რომ ბათუმში იგი გურიიდან ჩამოსულა ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში და მუშაობა დაუწყია ქარხანაში. მას კარგად ახსოვს, რომ როტშილდის ქარხანაში ხის ყუთების „ტრაფარეტის“ მბეჭდავ დაზგაზე მუშაობდა 16 მუშა, მათ შორის 8 მუშა მოზარდი (12-15 წლის) იყო. ყუთების მექანიკურად მბეჭდავ დაზგაზე მუშაობდა 48 კაცი, მათ შორის 24 მუშა მოზარდი იყო. ამას გარდა, სხვადასხვა სამუშაოზე კიდევ დამატებით გამოყენებული ყოფილა 70 მოზარდი.[1]

ბათუმის მუშათა კლასის საბინაო-სანიტარული ცხოვრების პირობებისა და მორალური მდგომარეობის შესახებ შედარებით სრულ აღწერილობას გვაძლევს ექიმი მ. სეგალი, რომელიც 1901 წლის 17 ოქტომბერს, მთავრობის სპეციალური დავალებით მივლინებულ იქნა ბათუმში შავი ჭირის გავრცელებასთან დაკავშირებით.

ექიმი სეგალი თავის მოხსენებაში განმარტავს, რომ ბათუმში მუშათა საცხოვრებელ ბინებს არა აქვს რთული და დიდი ხნის ისტორია. იგი იწყება ბათუმის სანავსადგურო-საქარხნო განვითარების დროიდან. როდესაც ბათუმს მრავალრიცხოვანი მუშათა მასა მიაწყდა, უცებ წარმოიშვა დიდი მოთხოვნილება ბინებზე.

„თავაზიანმა“ ადამიანებმა დროზე აუღეს ალღო ბინებზე მზარდ მოთხოვნილებას და შეუდგნენ ყაზარმების აშენებას. თავდაპირველად ასეთ ყაზარმებს, როგორც ჩანს, დროებითი საცხოვრებელის დანიშნულება ჰქონდათ, მაგრამ მათი მეპატრონეები მალე დარწმუნდნენ, რომ ასეთი სადგომების აშენება მცირე ხარჯს იწვევდა და დიდ შემოსავალს იძლეოდა; ამიტომ ხელსაყრელად ჩათვალეს ასეთი ტიპის სადგომების შენარჩუნება; ცხადია, მათ ოდნავადაც არ აწუხებდათ მუშათა ჯანმრთელობა.

„ჩემს მიერ დათვალიერებული (146) სახლიდან, — წერდა სეგალი, — როგორც ოთახების, ისე აივნების იატაკი დამპალი და ჩამტვრეული აღმოჩნდა. ლპობისა და რღვევის ასეთივე დამანგრეველი კვალი ემჩნეოდა კედლებსა და ჭერებსაც. ზოგჯერ გვხვდებოდა სადგომები მიწური ოღრო-ჩოღრო იატაკებით. ხში-

1 აჭარის ასსრ სახ. მუზეუმი, ფ. 154, ფურც. 186-187.

რად იატაკი 1/4 არშინით უფრო დაბალია ვიდრე ეზოს დონე, რაც ქმნის ბინებში წვიმის წყლის ჩადენის შესაძლებლობას.

ჩვეულებრივად თითო ოთახს დატანებული აქვს თითო მუდამ გაქონილი, ჰუჰუიანი ფანჯარა. გამომტვრეული მინა შენაცვლებულია ფიცრით, მუყაოთი, თუნუქით. ან ძონძისაგან გაკეთებული ჩვრით. ასეთია ხის სადგომები, მაგრამ არც აგურისა და ბეტონის სახლებია უკეთეს მდგომარეობაში... აი ამგვარი სახლებით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ქოხმახი ნაშენებითაა მოფენილი მთელი ქალაქი, უმთავრესად საქარხნო მრეწველობის ცენტრები, სახელდობრ IV უბანი: „ხოლოდნაია სლობოდა", „გოროდოკი" და „ბარცხანა".[1]

მუშათა საბინაო და მატერიალური მდგომარეობა სეგალის დახასიათებით ტრაგიკული იყო.

ექიმი სეგალის აღწერილობიდან ჩანს, რომ ბათუმის მუშათა კლასი, როგორც ეს საერთოდ კაპიტალისტური ქალაქისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, ცხოვრობდა არა მარტო ყველაზე უფრო ცუდ სადგომებში, არამედ, მისთვის განკუთვნილ ცუდ უბნებშიც. ასეთი უბნები, ან როგორც მაშინ ეწოდებოდა, მუშათა უბნები, ბათუმში იყო: ბარცხანა, „ხოლოდნაია სლობოდა," ე. წ. „გოროდოკი" და „ჭაობა". მუშებით დასახლებული უბნების ქუჩებში ჭაობი და წუმპე იდგა, რომელიც სწრაფად ავრცელებდა მალარიას.

ბათუმში მუშათა სანიტარული მდგომარეობის და ცხოვრების პირობების შესახებ. სხვადასხვა დოკუმენტებიდან, მკითხველის ყურადღებას დამატებით მივაქცევთ ერთ ოფიციალურ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სანიტარული სამსახურის მიერ 1903 წელს შედგენილ საანგარიშო მოხსენებას. ჩანს, რომ ავტორი ცდილობს შეალამაზოს ფაქტები. მომხსენებელი რაც შეიძლება ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს მუშათა საცხოვრებელ სახლებში მდგომარეობა ამჟამად გაუმჯობესებულია, მაგრამ იგი იძულებულია აღიაროს, რომ: „არსებული მუშათა ბინები ვერ ამართლებენ თავიანთ და-

1 ბათუმში ანტისანიტარული მდგომარეობის შექმნას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ, როგორც საქალაქო თვითმმართველობის 1903 წლის მოხსენებიდან ჩანს, ქალაქს ჯერ კიდევ არ გააჩნდა კანალიზაცია (აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6. საქ. 266, ფ. 22). Д-р М. Сегаль. Жилища рабочих в г. Батуме и меры к оздоровлению их (санитарныя оздоровленія во время чумы), г. Кутаис, 1903 г., стр. 12—17.

ნიშნულებას... ქალაქს მუშებისათვის არ გააჩნია ღამის გასათევი სახლები. ასეთი სახლების როლს ასრულებენ სამიკიტნოები და საჩაიეები, სადაც, თვითეულში, ღამეს ათევს 150 სული. მეპატრონეს ყოველ სულზე მიაქვს 5 კაპ. იქ შექმნილი მდგომარეობა მოუთმენელია სანიტარული თვალსაზრისით. საქველმოქმედო საზოგადოებას ნურიე-გელის მახლობლად გააჩნია ღამის გასათევი, მაგრამ ის ნავსადგურიდან დაშორებულია და იქ მხოლოდ ავადმყოფები ათევენ ღამეს. ბათუმში 6 აბანო არსებობს, მაგრამ იქ ნომერი ღირს 60 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპიკამდე, ხოლო საერთოში — 20 კაპიკი, რაც მუშებს არ გააჩნიათ, ამიტომ ისინი იშვიათად თუ სარგებლობენ აბანოთი. ასეთ პირობებში სასურველია აშენდეს დიდი ტევადობის იაფფასიანი აბანო, რომ მუშები გამოვიყვანოთ ანტისანიტარული მდგომარეობიდან. ეს საკითხი მომწიფებულია, მით უფრო, რომ ამას თვით ქალაქის ჰიგიენის საერთო ინტერესებიც მოითხოვს".[1]

ბურჟუაზიული ქალაქისათვის ე. წ. „ცუდი უბანი" აუცილებელი ატრიბუტი იყო. მუშები მძიმე შრომის შემდეგ იქ აფარებდნენ თავს. ქალაქთა პროლეტარული უბნების კლასიკური დახასიათება დაგვიტოვა ფ. ენგელსმა. იგი წერდა: „თვითოეულ მსხვილ ქალაქს აქვს ერთი ან რამდენიმე „ცუდი უბანი", რომელშიც მუშათა კლასია თავმოყრილი. მართალია, ხშირად სიღატაკე ვიწრო შესახვევშია მოკალათებული მდიდრების სასახლეების მახლობლად, მაგრამ საერთოდ მას განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი, სადაც მან, ბედნიერი კლასების თვალთაგან მოშორებით, თვითვე უნდა გაიტანოს თავი როგორც ეს მას შეუძლია".[2]

აშკარად ჩანს, რომ ბათუმის მუშათა მდგომარეობა მე-20 საუკუნის დამდეგს მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ინგლისის ქალაქების მშრომელთა მდგომარეობას ემსგავსებოდა.

ფ. ენგელსის წინასწარმა ვარაუდმა, მუშათა კლასის მდგომარეობის მომავალში კიდევ უფრო მოსალოდნელი გაუარესების შესახებ ევროპის კონტინენტზე[3], საერთოდ, ისტორიული პროგნოზის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მეტად თავი იჩინა რუსეთის პროლეტარიატის მიმართ.

---

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 266, ფურც. 18 — 24.

2 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935 წ., გვ. 40-41.

3 იქვე, გვ. 44.

ბათუმის მუშათა კლასი, რომელიც იმთავითვე რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი ძლიერი რაზმი იყო, ცხადია, ამ საერთო მოვლენის გავლენის გარეშე არ დარჩენილა.

როგორც ცნობილია, ბათუმში მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობამ 1902 წლიდან უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო და რიგ შემთხვევებში მუშებმა კიდეც მიაღწიეს ხელფასის ერთგვარ გადიდებას. 1905 წელს ბათუმის მუშათა კლასი, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, ენერგიულად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რომლის მიზანიც იყო არსებული საზოგადოებრივი წყობილებისა და სისტემის დამხობა და სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის.

ბურჟუაზიას, როგორც ცნობილია, საკუთარი მიზნები ამოძრავებდა რევოლუციაში, მაგრამ როდესაც რევოლუციამ მიიღო არნახული გაქანება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა არსებულ საზოგადოებრივი სისტემის ეკონომიურ საფუძველს, ის ჩამოცილდა რევოლუციას და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მას. ბურჟუაზიამ პროლეტარიატის დამარცხება უმთავრესად ეკონომიური ომის გამოცხადებით სცადა. 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოცემულმა მეფის „მანიფესტმა“ ბურჟუაზია აღაფრთოვანა. ის გვერდში ამოუდგა მეფის მთავრობას. ბურჟუაზია შეეცადა მუშათა ისედაც უმნიშვნელო ხელფასი კიდევ უფრო შეეკვეცრებინა, მაგრამ ამის განხორციელება ადვილი არ იყო. 1905 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, რევოლუციის აღმავლობის შედეგად, ბურჟუაზიის მრავალი მიზანი ილუზიად იქცა. ასეთ პირობებში კაპიტალისტებმა უკიდურეს საშუალებებსაც მიმართეს, მათ ლოკაუტი გამოუცხადეს პროლეტარიატს და, როგორც თავის ადგილზე ფაქტიური მასალებით იქნება ნაჩვენები, ბათუმის მრავალრიცხოვანი მუშათა ოჯახები ულუკმაპუროდ დატოვეს.

1905 წელს ბათუმში მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ცოტად თუ ბევრად საყურადღებო აღწერილობას, მაშინ ქალაქისთავად მყოფი, ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველი ივ. ანდრონიკაშვილი იძლევა.

ივ. ანდრონიკაშვილი 1905 წლის შემოდგომაზე საგანგებოდ შედგენილ მოხსენებაში წერდა: „ბათუმში მუშათა კლასის რაოდენობა მოსახლეობის 20-25 პროცენტს შეადგენს. ეს მშრომელი

ხალხი უმწეო მდგომარეობაშია. ის მოკლებულია ჰიგიენურ პირობებს და ცხოვრების საშუალებებს. მუშების საცხოვრებელი სახლები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მუშებს არ გააჩნიათ იაფფასიანი სასადილო, ისინი განუწყვეტლად ეწევიან მძიმე ფიზიკურ შრომას და ნამდვილად მოკლებულნი არიან არა მარტო სულიერ და გონებრივ საზრდოს, არამედ თუნდაც რომელიმე აზრიან გართობას დღესასწაულებზედაც კი.

უქონლობა უფასო სახალხო სამკითხველოსი, უქონლობა თეატრის და კეთილმოწყობილი იაფფასიანი სასადილოსი, აიძულებს მუშებს იარონ სხვადასხვა სამიკიტნოში და სახაშეში, სადაც ისინი ტოვებენ ხშირად არა მარტო მთელ თავიანთ დღიურ ხელფასს, არამედ იქ გამეფებული ვნებათა ღელვისა და ლოთობის შედეგად, არც ისე იშვიათად, მორალურად დაცემის ნიადაგზე, სხვადასხვა გატაცების მსხვერპლი ხდებიან...

ამიტომ სახალხო სახლის აშენება, სადაც შეიძლებოდა თავი მოგვეყარა უფასო სახალხო სამკითხველოსათვის, სახალხო თეატრისათვის და იაფფასიანი საჩაიესა და სასადილოსათვის... წარმოადგენს ქალაქისათვის გადაუდებელ სადღეისო საჭიროებას... რადგან ბათუმი ისეთი ქალაქია, სადაც მოედინება დიდი მასა უმუშევარი ადამიანებისა. მათ ლუკმაპურის ფულიც არა აქვთ და მით უფრო არ გააჩნიათ ღამის გასათევი.

საქველმოქმედო საზოგადოებას ბევრჯერ დაუყენებია საკითხი მისი მცირე შესაძლებლობის გაფართოების შესახებ, რომ აეგო თავშესაფარი სახლები, მაგრამ ამაოდ, მაწანწალად გამხდარი უმუშევრები მეტწილად ღამეს ათევენ ნავსადგურის ტერიტორიაზე. ისინი ავდრიან ამინდშიაც ღია ცის ქვეშ ნავსადგურის ტერიტორიაზე დაყრილ ხე-ტყის მასალაზე წვანან. და არც იშვიათად საშიშნი ხდებიან გამვლელ-გამოვლელებისათვის, და მართლაც აქ ხშირია მშიერი ადამიანების თავდასხმა მოქალაქეებზე".[1]

1905 წელს მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის გატანის კატასტროფულად შემცირებისა და მუშათა ხშირი გაფიცვების შედეგად ბათუმის ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა. 1906-1907 წლებში ბათუმის ქარხნებში მუშაობის შეჩერებამ და მათი უმრავლესობის საბოლოოდ დახურვამ კიდევ უფრო გაამწვავა მუშათა ისედაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ბათუმის პროლეტართა აბსოლუტური

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფონდი 6, საქმე 251, ფურც. 33-34.

უმრავლესობა უმუშევრად დარჩა და ქუჩებში მოხეტიალე მაწანწალის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ფაბრიკა-ქარხნების დახურვა ბათუმში მოხდა ისეთ ვითარებაში, როდესაც რევოლუციის ძალებს უტევდა მძვინვარე რეაქცია. მუშათა საგრძნობმა ნაწილმა სოფლებს შეაფარა თავი. რევოლუციის უკანდახევის პერიოდში ეს გარემოება მუშათა შორის ორგანიზაციული ერთიანობისა და პოლიტიკური სიმტკიცის შესუსტების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

რევოლუციის უკანდახევის პერიოდში უმუშევრად დარჩენილი მუშების ერთი ნაწილი (დაახლოებით 3-4 ათასი მუშა) ჯერ კიდევ ბათუმში იყო. ამ მუშათა შორის უმრავლესობას მშობლიურ სოფელში არავითარი საკუთრება არ გააჩნდა. ისინი უმუშევრობის შედეგად ისე იყვნენ გაღატაკებულები, რომ თვით სამგზავრო ხარჯებისათვისაც არ მოეპოვებოდათ სახსრები.

ბათუმში უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი უმუშევრები გუბერნატორის სახელზე ხშირად წერდნენ თხოვნას. მუშები კოლექტიურ განცხადებებში კარგად ახასიათებენ თავიანთ უმწეო მდგომარეობას.

ბათუმის გუბერნატორისადმი ერთ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს 50 მუშა, ნათქვამია: „ჩვენი საშინელი მდგომარეობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დახმარებას და არსებობის შენარჩუნების სახსარს, გვაძლევს გულადობას ხელმეორედ მოგმართოთ თხოვნით, რათა ჩვენ გაგვამგზავროთ სამშობლოში. ამ საკითხზე ა./წ. 19 აპრილს ჩვენ 50 სულმა მუშამ მივეცით თქვენს აღმატებულებას თხოვნა. ამასთან ერთად არ გაგვაჩნია რა შესაძლებლობა თავი გამოვიკვებოთ, უაღრესად დაბეჯითებით გთხოვთ, სამშობლოში გამგზავრებამდე ნება დართოთ ჩვენზე გაცემულ იქნეს ხმელი პურის შესაძენად რამდენიმე კაპიკი, რომელსაც გადავიხდით მაზრის უფროსის საშუალებით, სამშობლოში ჩვენი ჩასვლის შემდეგ“.[1]

მანთაშევის ქარხნის ყოფილ მუშათა ერთი ჯგუფი (33 კაცი) თავის კოლექტიურ თხოვნაში ბათუმის სამხედრო გუბერნატორს სწერდა: „ჩვენი ქარხნის დირექტორი ემყარება იმას, რომ ბათუმში შეჩერებულია ვაჭრობა და გრძელდება კრიზისი — არ ფიქრობს ქარხანაში მუშაობის განახლებაზე. ამის შედეგად მუშები

.1 ბათუმის რევმუზეუმი, ფ. 2, საქმე 192, ფურც. 5.

ქუჩაში ვართ გაყრილები უპუროდ და უმუშევრად, მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, რომ კვლავ ვიმუშაოთ.

როდესაც წარმოებაში საქმე მიდის კარგად, ჩვენ ვმუშაობთ და ვქმნით თანამედროვე საზოგადოების მთელ სიმდიდრეს. ასეთ დროს კაპიტალისტები სიამოვნებით ღებულობენ მოგებას, მაგრამ როცა საქმე ცუდად მიდის, ახლოს არ გვიკარებენ, რომ ზარალი დაგვაწვეს ჩვენ, და არა იმათ, ვისაც ჩვენი შრომით ვინახავთ.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ მუშები დაგვიცვათ სიმშილით გამოწვეული სიკვდილისაგან, მეოთხე დღეა, ჩვენ რომ ვშიმშილობთ და მათხოვრობით ვინახავთ თავს...

გთხოვთ გაგვაგზავნოთ სამშობლოში საბარგო მატარებლით. ხოლო სამშობლოში ჩვენი გადასაყვანი ხარჯები პოლიციის საშუალებით გადაგვახდევინეთ ადგილზე ჩასვლის შემდეგ. ჩვენ ვართ მუშები ერევნის გუბერნიიდან."[1]

მუშების თხოვნა, რომ მთავრობას უმუშევრებისათვის თუნდაც უმნიშვნელო დახმარება გაეწია, როგორც მოსალოდნელი იყო, უყურადღებოდ იქნა დატოვებული. გვიან, 1907 წლის 27 ივლისს, ბათუმის მრავალრიცხოვანი ქარხნებიდან, მხოლოდ ერთმა — მანთაშევის ხის ყუთების და ბიდონების № 1 ქარხანამ, „თვისტომთა ხათრით", განაახლა მუშაობა. „ხათრიანმა" მანთაშევმა თავის ქარხანაში 9 საათიანი სამუშაო დღე დააწესა, მან ქარხანაში მხოლოდ 250 მუშა მიიღო და თვეში 16 სამუშაო დღე დაუწესა ძალზე დაბალი დღიური ხელფასით."[2]

1906 წლიდან, მუშათა მასობრივი უმუშევრობის გაჩენასთან დაკავშირებით, ბათუმში კიდევ უფრო მკვეთრად შემცირდა მშრომელთა საარსებო მინიმუმი, რომელსაც თან სდევდა ეპიდემიური ავადმყოფობათა გავრცელება და სიკვდილიანობის მასობრივი შემთხვევები. მუშათა შორის გავრცელებული ანტისანიტარია და ინფექციური სნეულებები საფრთხეს უქმნიდნენ მცირერიცხოვან პრივილეგიურ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლებსაც. ამიტომ, მათ ჯერ კიდევ ადრე, მსგავსად სხვა სამრეწველო ქალაქების ტრადიციისა დააარსეს საქველმოქმედო დაწესებულებანი. ამას მდიდრები თითქოს აკეთებდნენ „პროლეტარიატის მდგომარეობის შესამსუბუქებლად". კაპიტალისტებმა „იწყეს ზრუნვა მუშებზე". ...ისინი „თავიანთი ფარისევლური სულის საამებლად" ეხმარებო-

1 ბათუმის რევმუზეუმი, ფ. 2, საქმე 192, ფურც. 6.
2 იქვე, ფურც. 1.

დნენ იმათ, ვისაც კარგად გამოწოვეს სისხლი. კაპიტალისტებმა იწყეს იმის მეახედი ნაწილის დაბრუნება, რაც მათ მუშებს წაართვეს. და ეს უმთავრესად იმისათვის გააკეთეს, რომ ქუჩები განეტვირთათ ზედმეტად ქცეული შავი ხალხისაგან, რომ ამით საშუალება და უფლება ჰქონოდათ თავი დაეცვათ ასეთი უსიამოვნო და ურცხვი აბეზარებისაგან და მშვიდობიანად გაეარ-გამოეარათ ქალაქში.[1]

როგორც ცნობილია, არსად, არც ერთ კაპიტალისტურ ქალაქში მდიდრების ქველმოქმედებას არ გამოუსწორებია მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, მით უფრო უნიათო იყო ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობა.

---

1 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935 წ., თბილისი გვ. 253.

თავი მეხამე

ბათუმის მშრომელების ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ

ქ. ბათუმში რევოლუციური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის საერთო მსვლელობასთან.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის 70- წლებიდან ქართველი ნაროდნიკები, რუსი ნაროდნიკი რევოლუციონერების მსგავსად, არსებული წყობილების წინააღმდეგ ეწეოდნენ პოლიტიკურ აგიტაციას, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იქმნებოდა არალეგალური ორგანიზაციები. ნაროდნიკები სასტიკად იცავდნენ თავიანთ საიდუმლოებას. ერთმანეთთან წერილობითი ურთიერთობის დასამყარებლად მათ გააჩნდათ საგანგებოდ შემუშავებული ანბანიც,[1] შემოჰქონდათ და ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას და სხვ.


ქართველ ნაროდნიკებს არალეგალური ლიტერატურა შემოჰქონდათ როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარგარეთიდანაც. რუსეთის ჟანდარმერია მკაცრად დევნიდა აკრძალულ ლიტერატურას. მთავრობის ოხრანკამ, როცა გაიგო რევოლუციონერთა განზრახვა, გამოეყენებინათ ფოთის ნავსადგური ლიტერატურის მისაღებად, გემებზე კარანტინი და ჩხრეკა დააწესა. საჭირო შეიქმნა ახალი გზის გამონახვა. ამ დროს ბათუმი თურქებს ეპყრათ. ამიტომ ქართველმა ნაროდნიკებმა რევოლუციური ლიტერატურის მისაღებად და გამავრცელებელ ბაზად ქ. ბათუმი აირჩიეს. არჩევანი ემყარებოდა იმას, რომ ბათუმი უშიშარი, მოხერხებული ნავსადგური იყო, ახლოს მდებარეობდა რუსეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან და ძალიან ადვილად შეიძლებოდა იქიდან საჭირო ამანათის შემოტანა საქართველოში.

ბათუმში 1876 წელს საზღვარგარეთიდან მოუტანიათ 1.600 ეგზემპლარი არალეგალური წიგნი ქობულეთის გზით გურიაში გასატანად და იქიდან მთელს ამიერკავკასიაში გასავრცელებლად.

1 იხ. საიდუმლო ანბანის ფოტოასლი, გვ. 203.

Копія азбуки, которая руководствуются при написаніи въ письменныхъ книгахъ своихъ священниковъ.

8



Внизу: таинственная полуслѣпая Россія

ქართველ ხალხოსანთა საიდუმლო ანბანის ფოტოასლი.[1]

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 315, ფურც. 19.

ალნიშნული ლიტერატურა ბათუმში მიუღია ქართველ რევოლუციონერთა ჯგუფს, რომელსაც მჭედლიძე[1] ხელმძღვანელობდა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მეფის ოხრანკას, თავისი აგენტურის საშუალებით, ბათუმში არსებულ ქართველ რევოლუციონერთა ჯგუფისათვის მიუგნია 1876 წლის შემოდგომაზე. დოკუმენტი გვამცნობს, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულების საფუძველზე ბათუმში აკრედიტებულ რუსეთის საკონსულოს დაევალა მოულოდნელად გაჩხრიკოს მჭედლიძის ბინა და აკრძალულ ლიტერატურას კონფისკაცია უყოს.

ირკვევა, რომ ბათუმის რევოლუციონერთა ორგანიზაცია მართლაც დარბეულ იქნა.[2]

ჟანდარმერიის შტაბს-კაპიტან ქრისტოფოროვის მოხსენებიდან აშკარავდება, რომ მჭედლიძის მეთაურობით ბათუმში მოღვაწე რევოლუციონერთა ჯგუფი ქართველი ნაროდნიკები იყვნენ, რომლებიც საზღვარგარეთიდან (შვეიცარიიდან) მიღებული არალეგალური ლიტერატურის გავრცელების საქმეს ხელმძღვანელობდნენ.

ბათუმში არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების ბაზა გურიაში მოღვაწე ნაროდნიკების ინიციატივით უნდა იყოს შექმნილი. როგორც ირკვევა, ნაროდნიკებმა გურიაში განსაკუთრებით მას შემდეგ გააცხოველეს მუშაობა, რაც პეტერბურგიდან აქ ჩამოვიდა მათი ერთ-ერთი მეთაურთაგანი, სამედიცინო აკადემიის სტუდენტი ისიდორე ქიქოძე.

გურულ გლეხთა შორის ი. ქიქოძესთან ერთად ნაროდნიკული იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ მელიტონ ნაკაშიძე, გიგო შარაშიძე (სოფ. ბახვის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი), მღვდელი ათანასე ქიქოძე და სხვები.

ისიდორე ქიქოძე, როგორც ჩანს, კონსპირაციული მიზნით დროებით გადასახლებულა ქობულეთის ერთ-ერთ სოფელში, საიდანაც ხელმძღვანელობდა რევოლუციურ მუშაობას.

შტაბის კაპიტანი ქრისტოფოროვი გაფაციცებით ეძებდა ქართველი და საერთოდ კავკასიელი ნაროდნიკების არალეგალური ორგანიზაციების მუშაობის კვალს. მან მთავრობის მხარეზე გადაიბირა ერთ-ერთი აქტიური ნაროდნიკი იაგორ ოსელიანი, რომელმაც გამცემის სამარცხვინო როლი იკისრა. ჟანდარმერიის მოსყიდული აგენტი სისტემატიურად წერდა დასმენას და მთავრობის სათანადო

1 ჩვენს დოკუმენტში დასახელებული მჭედლიძე, ცნობილი ნაროდნიკი, შესაძლებელია, ბოსლოველი-ესტატე მჭედლიძეა (იხ. დანართი საბუთები).

2 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 8419, ფურც. 1 — 4.

ორგანოებს აწვდიდა დაწვრილებით ცნობებს საქართველოში ნაროდნიკული ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაზე.

ქრისტოფოროვის ვრცელი მოხსენებებიდან ვტყობილობთ, რომ 1876 წლის ზაფხულში, შვეიცარიიდან ბათუმში ნაროდნიკებს უკვე მიღებული ჰქონდათ 1.600 ეგზემპლარი სხვადასხვა სახის რევოლუციური ლიტერატურა. მათ გამოუწერიათ და უახლოეს დროში მოელოდნენ წიგნის საბეჭდ მანქანას. ქართველ ნაროდნიკებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ბათუმიდან საბეჭდი მანქანა ჩაეტანათ გურიაში და დაედგათ მელიტონ ნაკაშიძის მამულში (უნდა ვიგულისხმოთ — მიუვალ ტყეში. ვ. ს.). განზრახული იყო გურიაში დადგმულ საბეჭდ მანქანაზე გადაებეჭდათ უცხოეთიდან ჩამოტანილი, ქართულ ენაზე ნაროდნიკების მიერ თარგმნილი რევოლუციური ლიტერატურა და გაევრცელებინათ საქართველოს ყველა კუთხეში.

საგულისხმოა, რომ საიმედო აგენტურის პირობებშიაც, ყანდარმერიამ დიდხანს ვერ მოახერხა ბათუმში მოღვაწე ქართველი ნაროდნიკების მისამართის მიგნება, რადგან საიდუმლოება ისე მკაცრად იყო დაცული, რომ მათი ზუსტი მისამართი ხშირად თვით ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების ორგანიზატორებსაც კი არ სცოდნიათ.[1]

ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გამოყენებას აღნიშნული მიზნით ხალხთან რევოლუციონერები მომდევნო წლებშიც ცდილობდნენ. მათ გადაუწყვეტიათ — სხვადასხვა სახის საომარი იარაღებისა და ხელყუმბარების საზღვარგარეთ შეძენა და ბათუმსა და ფოთში გამოგზავნა. მაგრამ მთავრობის ორგანოებმა გაიგეს რევოლუციონერთა განზრახვა და უცხო ქვეყნის გემებზეც კი მკაცრი კონტროლი დააწესეს. 1879 წლის გაზაფხულზე მითითება მიეცა ბათუმისა და ფოთის საბაჟოთა უფროსებს, რომ გაეჩხრიკათ უცხო სახელმწიფოთა გემებიც, რათა არავითარი საშიში ტვირთი რუსეთის იმპერიაში არ შესულიყო.[2]

როგორც ცნობილია, 1881 წლიდან მთავრობამ რევოლუციონერთა წინააღმდეგ გაძლიერებული რეპრესიები დაიწყო. საქართველოში ნაროდნიკულმა ორგანიზაციებმა მთავრობის მიერ გამოცხადებული დევნის შედეგად ჯერ კიდევ 1876 წლიდან იწყეს დაშლა,

---

1 გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, წიგნი 1, 1870 — 1902 წლები (საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში), სახელგამი, 1929 წ., გვ. 37—63; სიმონ ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. მეორე, თბილისი, 1927 წ., გვ. 34-35.

2 საქ. ცსსა, ფ. 9, საქმე 7651, ფურც. 1 — 4.

ხოლო მარქსიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით იდეურადაც გაკოტრდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, არსებული წყობილების წინააღმდეგ, ქართველ ნაროდნიკ რევოლუციონერ ინტელიგენტთა მოღვაწეობამ თვალსაჩინო კვალი ვერ დატოვა საქართველოში და მით უფრო ბათუმში. ამ სახელოვანი როლის შესრულება, თავისი ახალი რევოლუციური თეორიით და პრაქტიკით, ისტორიამ ახალ კლასს — პროლეტარიატს დააკისრა.

ბათუმის მუშათა კლასი, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, თავისი სოციალური მდგომარეობით მოწოდებული იყო ამ საერთო ბრძოლის ერთ-ერთი სახელოვანი მონაწილე ყოფილიყო. მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა ხელს უწყობდა ბათუმისა და რუსეთის ინდუსტრიული ქალაქების პროლეტართა იდეურ-პოლიტიკურ შეკავშირებას.

ბათუმისა და რუსეთის პროლეტარიატს ჰყავდა საერთო მტერი — ცარიზმი. ბუნებრივია, რომ პროლეტარული მასები საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალ-ღონით იბრძოდნენ. ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ რუსი და არარუსი ხალხების საერთო გმირულ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირში განიხილება.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა წლების განმავლობაში იქმნებოდა და ისტორიულად ყალიბდებოდა.

მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას გზას უნათებდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შემუშავებული რევოლუციური, მეცნიერული თეორია.

რუსეთში მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დამდეგს მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში არსებითი ცვლილება მოხდა. კაპიტალიზმმა თავისი პროგრესული განვითარება შეწყვიტა, ის შევიდა ახალ, იმპერიალისტურ სტადიაში. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში ფინანსური ოლიგარქიები მოექცნენ, რომლებმაც შესძლეს მუშათა ერთი ნაწილის მოსყიდვა. იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ იდეოლოგიურ ფრონტზე გაიჩინა თავისი თეორეტიკოსები, რომლებმაც თავი მუშათა კლასის იდეოლოგებად გამოაცხადეს, მაგრამ ამავე დროს თავგამოდებით იბრძოდნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შემუშავებული რევოლუციური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში წარმოშობილ ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებმა მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგისათვის უკვე აშკარაღ უღალატეს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს და იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგნენ.

რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასაღეთი ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა. ეს ახალი მოვლენა ერთბაშად არ წარმოშობილა; მან თავის განვითარებაში ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი გაიარა. ფ. ენგელსი ჯერ კიდევ 1875 წლის აპრილში გამოქვეყნებულ სტატიაში, „რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ“, წერდა: „რუსეთში, უეჭველად, რევოლუციის წინადღეა დამდგარი. რუსეთის ფინანსების საქმე უკიდურესობამდე არეულია. საგადასახადო მუხრუჭი ვეღარ ეწევა სამსახურს. სახელმწიფოს ძველი ვალების პროცენტების გადახდა წარმოებს ახალ-ახალი სესხის აღების გზით, ხოლო ყოველი ახალი სესხი სულ უფრო და უფრო დიდ დაბრკოლებას ხვდება; მხოლოდ ახალი რკინიგზების აგების საბაბით ხერხდება ფულის შოვნა!.. ამ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი ევროპისთვის უკვე მარტო იმიტომ, რომ იგი ერთი დაკვრით მოსპობს მთელი ევროპული რეაქციის უკანასკნელ, დღემდე ხელუხლებელ რეზერვს. ეს რევოლუცია უეჭველად ახლოვდება“.[1]

ფრ. ენგელსის წინასწარმეტყველება გამართლდა. მე-19 საუკუნის დასასრულისათვის რუსეთის პროლეტარიატი მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი და რევოლუციური გახდა. რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მისიის შესახებ ვ. ი. ლენინი ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ წერდა: „ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც **ყველაზე უფრო რევოლუციურია** რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველაზე უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“.[2]

ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილება რუსეთის მუშათა კლასს პოლიტიკური ბრძოლისაკენ უბიძგებდა.

მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის გაფართოება და მა-

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950 წ., გვ. 59-60.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, 1949 წ., გვ. 465.

სობრივ-პოლიტიკური გამოსვლები ცხოვრების წინაშე აყენებდა ამოცანას — შექმნილიყო მარქსისტული პარტია, რომელიც მშრომელებს კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით დარაზმავდა.

ასეთი ახალი ტიპის პარტიის შექმნას რუსი რევოლუციონერები შეუდგნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით.

საქართველოში მარქსიზმი თავიდანვე, უმთავრესად, რუსი მარქსისტების იდეური გავლენის შედეგად ვრცელდებოდა. საქართველოში, რომელსაც ჰყავდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მარქსიზმის გავრცელებისათვის ნიადაგი საესებით მომზადებული იყო.

1892 წლის დეკემბერში რევოლუციურად განწყობილმა ინტელიგენციამ, ქ. ზესტაფონში, პროგრამის გამომუშავების მიზნით, მოიწვია კონფერენცია. კონფერენციას მეთაურობდა ცნობილი მწერალი ე. ნინოშვილი და მ. ცხაკაია.

„მესამე დასის“ ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „კვალი“, რომელსაც 1897 წლამდე მწერალი გ. წერეთელი რედაქტორობდა, მართალია, არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას აკრიტიკებდა, მაგრამ რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებს ვერ იცავდა. რევოლუციური მარქსიზმის აშკარა მოწინააღმდეგე და რეფორმიზმის მედროშე „მესამე დასში“ იყო ნ. ჟორდანია, რომელიც კლასობრივი ჰარმონიის იდეას ქადაგებდა.

ნ. ჟორდანია, იმპერიალისტურ-მტაცებლურ ომებსაც კი სამართლიან და უცილობელ ისტორიულ კატეგორიად მიიჩნევდა. „მესამე დასის“ ოპორტუნისტულმა მიმდინარეობამ დიდი ზიანი მოუტანა რევოლუციური მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. ნ. ჟორდანიას, თავის მომხრეებთან ერთად, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი რეფორმიზმისა და ნაციონალიზმისაკენ მიჰყავდა. ამიტომ, თავიდანვე, „მესამე დასის“ ოპორტუნისტულ მიმდინარეობას წინააღმდეგობით შეხვდნენ ისეთი გამოჩენილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ მ. ცხაკაია, ფ .მახარაძე და სხვები. შინაპარტიული ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1895-1898 წლებში „მესამე დასის“ წევრები გახდნენ: ი. სტალინი, ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე.

საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი თავიდანვე დიდი ინტერესით ეკიდებოდა მარქსისტულ ლიტერატურას, რომელსაც ის რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან („შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ გამოცემები და სხვ.) უმთავრესად ბა-

თუმის ნაესადგურის საშუალებით ღებულობდა, ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას და ლიტერატურას ავრცელებდა.[1]

საქართველოში ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიშალა, რაც „მესამე დასელების“ სახით წარმოიშვა მარქსიზმის ორგანიზაციული ჩანასახი, რომელმაც საქართველოს ინტელიგენციისათვის ისეთივე როლის შესრულება იკისრა, როგორიც რუსეთისათვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“. ამ მხრივ „მესამე დასმა“ თავისი არსებობით ერთგვარი დადებითი როლიც შეასრულა.

ბათუმში მუშათა გაფიცვები მოწყობილა ჯერ კიდევ 1882 წელს.[2] გავიდა რამდენიმე წელი და შრომის მძიმე პირობების წინააღმდეგ, 1889 წელს, პროტესტით გამოვიდნენ სხვადასხვა საწარმოებში მომუშავე შეგირდები და ნოქრები. გაფიცულნი მთავრობის ორგანოების სახელზე დაწერილ საჩივარში წერდნენ, რომ ისინი განიცდიან სასტიკ ექსპლოატაციას, მუშაობენ განთიადიდან შუაღამემდე, რაც გამანადგურებლად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. გაფიცულები მოითხოვდნენ სამუშაო საათების შემოკლებას, დასვენების უფლებას და ხელფასის მომატებას.[3]

ბათუმში მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1889 წელს თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში მოწყობილ პირველ მასობრივ გაფიცვას.

ბათუმის პროლეტარიატმა, ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, კაპიტალისტური მონობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდანვე, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა.

ბათუმის მუშათა პირველი მასიური გაფიცვა სატარო წარმოების ქარხნებში მოეწყო 1890 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში. გაფიცვის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ სატარო წარმოების ქარხნებში მუშებისათვის ერთბაშად გაადიდეს გამომუშავების ნორმები, რაც მუშის დღიურ ხელფასს მინიმუმამდე ამცირებდა. გაფიცვამ საშიში ხასიათი მიიღო. მთავრობის ადგილობრივმა ორგანოებმა იმთავითვე მკაცრი ღონისძიება მიიღეს. მოძრაობა ჩაქრობილ იქნა. გაფიცვის მთავარი ორგანიზატორები ბათუმიდან გააასახლეს, ხოლო 48 ეპვმიტანილი მუშა სამუშაოდან დაითხოვეს.

---

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1957 წ., გვ. 26-42.

2 იქვე, გვ. 24.

3 აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 7, საქმე 67, ფურც. 19.

სამუშაოზე დარჩენილებს საგანაკვეთო ნორმები მინიმუმამდე შეუმცირეს.[1]

1894 წლის თებერვლიდან მუშებს ხელფასი კიდევ შეუმცირეს 15-15 კაპიკით. მუშათა ექსპლოატაცია გაძლიერდა სხვა მეთოდებითაც. გადატანა-გადმოტანის დროს ყოველ დაზიანებულ ფურცელ თუნუქზე მატერიალური პასუხისმგებლობა მუშას დააკისრეს. გაკეთებული ბიდონებიც ერთი ნაწილი, ბათუმის მაღალი ტენიანობის პირობებში, იყანგებოდა და გამოუსადეგარი ხდებოდა საექსპორტო ტვირთისათვის. ასეთ შემთხვევაში მუშა ვალდებული იყო მექარხნისათვის ზარალი აენაზღაურებინა. ფართოდ მიმართავდნენ მუშათა დაჯარიმებას და სხვ.

შრომის ექსპლოატაციის ასეთივე ყაჩაღური მეთოდები ფართოდ იყო გამოყენებული გემის მტვირთავი მუშების მიმართაც. მოთმინება უკვე შეუძლებელი შეიქნა. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1895 წლის 17 იანვარს, დილის 7 საათსა და 30 წუთზე, გემის მტვირთავი ორასამდე მუშა გაიფიცა. ისინი გაემართნენ „რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ გემმისადგომისაკენ, სადაც 95 მუდმივი და 45 დროებითი დაქირავებული მუშები იყვნენ. მათ ურჩიეს მიეტოვებინათ სამუშაო და მოეთხოვათ, რათა მუდმივ მუშებს თვეში 30 მან. მისცემოდათ, ხოლო დროებით დაქირავებულებს დღეში 2 მანეთი.

„რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებამ“ მუშათა თხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის საპასუხოდ ამ საზოგადოების 50 მუშამ სამუშაო დატოვა და გაფიცულებს შეუერთდა.[2]

მუშათა გაფიცვები ბათუმში პერიოდულად გრძელდებოდა 1897-1898-1899 წლებში. მუშათა გამოსვლებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო „შავი ზღვა-კასპიის საზოგადოების“ ქარხანაში. მუშათა შორის ბრძოლის სურვილი არაჩვეულებრივად სწრაფად იზრდებოდა და კაპიტალისტებისათვის საშიშ ხასიათს ღებულობდა. მდგომარეობის შესუბუქების მიზნით ქარხნის მმართველები შეეცადნენ მუშათა შორის შეეტანათ ურთიერთ უნდობლობა, დაენერგათ შტრეიკბრეხერობა, მაგრამ მათი ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. გაფიცვების ხელმძღვანელებმა — მოწინავე მუშებმა: ნესტორ ქავთარაძემ, პავლე და ტაგუ კილასონიებმა, კოსტა ოსეფაშვილმა, ნესტორ ანთელავამ, ონისიმე გაბეჩავამ, მიხო ჩალაგაევმა

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 296, ფურც. 3-4.
2 იქვე, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 21.

და სხვ. თავიანთი ზეპირი და წერილობითი კოლექტიური განცხადებით ამხილეს ქარხნის მმართველთა ვერაგული ცდები. ამის შემდეგ, შემჩნეულ მუშებს დევნა და რეპრესიები მოელოდა, ამიტომ, ისინი იძულებული გახდნენ ბათუმი დაეტოვებინათ და თავიანთ სოფლებში არალეგალურად განეგრძოთ ცხოვრება.

ბათუმში მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც თავიდანვე სტიქიურად წარმოიშვა, საჭირო იყო ყოლოდა მებრძოლი, განმათავისუფლებელი, რევოლუციური თეორიით შეიარაღებული პარტია, რომელიც გაუძღვებოდა მას არსებული სახელმწიფო წყობილებისა და ეკონომიური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ასეთი პარტიის შექმნისათვის ბათუმში ყველა ხელსაყრელი პირობა არსებობდა.

1896 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, პირველად საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში, სათავეში ჩაუდგნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშათა გაფიცვის მომზადებას. გაფიცვა არ გამოცხადებულა, რადგან რკინიგზის ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა. ეს იყო თბილისის მუშათა პირველი გამარჯვება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა ბათუმის მუშათა გათვითცნობიერებაში.

1896 წელს ბათუმში წარმოიშვა პირველი მარქსისტული წრე. წრის ორგანიზაციასა და მუშაობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები გ. ფრანჩესკი და ი. ლუზინი. ისინი ამყარებდნენ კავშირს თბილისსა და ბაქოს წრეებთან, ღებულობდნენ მარქსისტულ ლიტერატურას. ბათუმის სოციალ-დემოკრატებმა დაამყარეს ცოცხალი ურთიერთობა ქუთაისის მარქსისტულ წრესთან, სადაც იმ დროს მუშაობდნენ: მ. ცხაკაია, ნ. კოზერენკო, ა. წულუკიძე და სხვები.

ქუთაისის მარქსისტული წრის წევრები ხშირად ჩამოდიოდნენ ბათუმში და მონაწილეობას ღებულობდნენ ბათუმის სოციალ-დემოკრატების მუშაობაში.

1897 წ. გ. სოღორაშვილმა, ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ქართულ ენაზე თარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". მანიფესტი გაამრავლეს ჰექტოგრაფულად და გაავრცელეს: თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

პარტიული მუშაობისათვის ფულის შესაგროვებლად და მარქსიზმის პროპაგანდის მიზნით ბათუმში გამრავლებულ იქნა კ. მარქს-

ის პორტრეტები, რომელიც შემდეგ საქართველოს სხვა ქალაქებშიც გავრცელდა.[1]

ბათუმში კ. მარქსის პიროვნებით დაინტერესება, განსაკუთრებით „კომუნისტური პარტიის მანიფესტი"-ს ქართულ ენაზე თარგმნა და გავრცელება იმის მაჩვენებელია, რომ მსხვილი მრეწველობის განვითარებამ შესამჩნევ დონეს მიაღწია და მუშათა შორის, მრეწველობის განვითარების შესაბამისად, გაფართოვდა სოციალისტური მოძრაობაც. ამ საყურადღებო მოვლენის შესახებ ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პოლონური გამოცემის წინასიტყვაობაში 1892 წელს წერდა: „რამდენადაც ამა თუ იმ ქვეყანაში მსხვილი მრეწველობა ვითარდება, იმდენადვე ძლიერდება აგრეთვე ამ ქვეყნის მუშებს შორის მისწრაფება — გაარკვიონ თავიანთი მდგომარეობა, როგორც მუშათა კლასისა, მჭონებელი კლასების მიმართ, ფართოვდება მათ შორის სოციალისტური მოძრაობა და იზრდება მოთხოვნილება „მანიფესტზე". ამგვარად, „მანიფესტის" ეგზემპლარების რაოდენობის საფუძველზე, რომლებიც გავრცელებულია ამა თუ იმ ქვეყნის ენაზე, შეიძლება საკმაო სიზუსტით განისაზღვროს არა მარტო მუშათა მოძრაობის მდგომარეობა, არამედ მსხვილი მრეწველობის განვითარების დონეც ამ ქვეყანაში".[2]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა პეტერბურგის, მოსკოვისა და რუსეთის მუშათა სხვა მსხვილ ცენტრებთან და მის ორგანიზაციებთან.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეს უშუალო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან."[3]

როგორც მთელ საქართველოში, ასევე ბათუმშიც მუშათა კლასის რევოლუციური თვითშეგნების განვითარებისა და მისი მაღალი სახბრძოლო თვისებების შემუშავებისათვის, რომ „კლასი თავისთავად" გადაქცეულიყო „კლასად თავისთვის," დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის თაოსნობით 1900 წლის დეკემბერში სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაზეთის „ისკრის" გამოცემას. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არალეგალური ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთების „ბრჭოლის", „პროლეტარიატის", „პროლეტარიატის ბრძოლის" გამოსვლას. ეს გაზეთები ბათუმის მუშათა

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1957 წ., გვ. 46—48.

2 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, სახელგამი, 1949 წ., გვ. 32.

3 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1957 წ., გვ. 54-55.

რევოლუციურ მოძრაობას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ. ისინი თავიანთი მრავალრიცხოვანი კორესპონდენციებით და საპროგრამო სტატიებით ბათუმელ პროლეტარებს საბრძოლო რევოლუციურ თეორიულ წრთობას აძლევდნენ და პრაქტიკული მოქმედებისათვის გზას უნათებდნენ.

თავის მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტი, რომელიც გამოხატავდა პროლეტარიატის ნებას, ყოველთვის ემორჩილებოდა საერთო პარტიულ დისციპლინას და თავისთავს სამართლიანად სთვლიდა რუსეთის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. „Тифлисский комитет,—წერდა ლენინური გაზეთი „ისკრა",—Со времени своего основания (в 1897 г.), а также Бакинский... и Батумский... всегда считали себя комитетами партии, вели работу, выступали в демонстрациях и стачках, как организации российской партии".[1]

რსდმპ თბილისის კომიტეტმა. გაითვალისწინა რა ბათუმში მუშათა რევოლუციური აღმავლობის მოსალოდნელი პერსპექტივები, საჭიროდ დაინახა ჩამოეყალიბებინა რსდმპ ბათუმის კომიტეტი.

თბილისის კომიტეტის დავალებით, 1901 წლის ნოემბრის ბოლოს, იოსებ ბეჟარიონის-ძე სტალინი გაემგზავრა ბათუმში, იქ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად.

ი. ბ. სტალინმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია ბათუმში. ის დაუახლოვდა მოწინავე მუშებს და მათი დახმარებით მოკლე დროში შექმნა 11 სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრე, რომელთა ბაზაზე 1901 წლის 31 დეკემბერს (ძვ. სტილით) ჩამოყალიბდა რსდმპ ბათუმის კომიტეტი.

ი. ბ. სტალინის მეთაურობით, რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა რევოლუციურ მუშათა შორის. ამიერიდან მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ბათუმში მიეცა მტკიცე ორგანიზებული ხასიათი. რსდმპ ბათუმის კომიტეტი გახდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის მებრძოლი შტაბი. 1902 წლის დასაწყისში ი. ბ. სტალინმა დარახველიძეების ბინაზე მოაწყო მტკიცე კონსპირირებული არალეგალური სტამბა, რომელმაც 1904 წლამდე იარსება. ამ სტამბის საშუალებით რსდმპ ბათუმის კომიტეტი იმთავითვე შეუდგა კარგად მოფიქრებული ფართო გეგმის განხორციელებას. არალეგალურ სტამბაში კომიტეტი ბეჭდავდა პროკლამაციებს, ლო-

[1] Газ. «Искра», 1903 т., № 50, стр. 8.

ზუნგებს, მოწოდებებს, მუშათა პოლიტიკურ მოთხოვნებს, ბროშურებს და სხვ. ბათუმის კომიტეტმა აღნიშნული სტამბის საშუალებით ისე ფართოდ გაშალა ბეჭდვითი აგიტაცია, რომ მან თავისი იდეური გავლენის ქვეშ მოაქცია ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა პრაქტიკულად განახორციელა სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. ბათუმის კომიტეტმა პოლიტიკურად გააკოტრა მედავითნე „სოციალისტები", რომლებიც ოპორტუნისტული შინაარსის ლექციების კითხვით კმაყოფილდებოდნენ ბათუმის მუშათა საკვირაო სკოლებში. ი. ბ. სტალინმა ამხილა ბათუმში მოკალათებული ჩხეიძისა და რამიშვილის ოპორტუნისტული მოსაზრებანი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბათუმის მუშები თითქოს ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებული და მომწიფებული პოლიტიკური ბრძოლისათვის. მუშებმა მასობრივად დატოვეს ოპორტუნისტების მიერ მოწყობილი საკვირაო სკოლები და დიდი ხალისით ჩაებნენ ლენინურ-ისკრული მიმართულების ახალ წრეებში.

ბათუმის მუშათა კლასის რევოლუციური შეგნების გამომუშავებაში, აგრეთვე, დიდი როლი შეასრულა თბილისში 1901 წელს მოწყობილმა საპირველმაისო პოლიტიკურმა დემონსტრაციამ, რომელიც პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დასრულდა.

1900-1901 წლებში ბათუმშიც მოეწყო გაფიცვები და სამაისო დემონსტრაცია.[1]

1901 წლიდან დაიწყო საერთო რევოლუციური მოძრაობის ძლიერი აღმავლობის პერიოდი, ასეთ პირობებში ბათუმის მუშებს დუმილი არ შეეძლოთ. 1902 წლის იანვარში, ბათუმში, მანთაშევის ქარხნის მუშებმა რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოაწყვეს ნამდვილი პოლიტიკური გაფიცვა. ქარხნის ადმინისტრაცია გაფიცულთა მტკიცე პოლიტიკურმა ტონმა და დარაზმულობამ დააბნია და იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მუშათა მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა. ამ გამარჯვებამ ბათუმის სხვა ქარხნის მუშებში ღრმა ოპტიმიზმი დანერგა. ისინი ცოცხალ მაგალითზე დარწმუნდნენ, თუ რა შეუძლია პოლიტიკური სიმტკიცით შეკავშირებულ მუშათა მასობრივ გაფიცვას.

1902 წლის 27 თებერვალს ბათუმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საწარმოში — როტშილდის ქარხანაში იფეთქა მუშათა გაფიცვამ, რომელიც იმავე წლის 22 ივნისამდე გაგრძელდა. ქარხნის ადმინისტრაციას გვერდში ამოუდგა პოლიცია. 7 მარტს დააპატიმრეს 32 მოწინავე მუშა. 8 მარტს გაფიცულმა მუშებმა მოითხოვეს პატიმარ-

[1] Газ. «Искра», 1903 г., № 50, стр. 8.

ამხანაგების გათავისუფლება. პოლიციამ ამ მოთხოვნას მუშათა ახალი დაპატიმრებებით უპასუხა. დაპატიმრებულთა რიცხვმა 348 კაცამდე მიაღწია. ციხის გადატვირთულობის გამო ისინი მოათავსეს უაზარმებში. გაფიცულთა დაპატიმრებამ ძლიერ ააღელვა ბათუმელი მუშები.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1902 წ. 9 მარტს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მოაწყო მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ბათუმელმა მუშამ. დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციამ ჯარი მოიშველია. უიარაღო მუშებთან შეუდგნენ ტყვიით ანგარიშის გასწორებას. შეტაკების დროს მოკლეს 15 და დაჭრეს 54 მუშა. დემონსტრაციის მონაწილე მრავალი ასეული მუშა დააპატიმრეს, ბევრი, ადმინისტრაციული წესით ბათუმიდან დასაელეთ საქართველოს სოფლებში გაასახლეს.

შეფის ოხრანკა ანგარიშში მოტყუვდა. 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის მონაწილე — სოფლებში გასახლებულმა მუშებმა, გლეხთა ფართო მასებში მგზნებარე რევოლუციური აგიტაცია გაჩაღეს, რამაც საგრძნობლად აამაღლა მშრომელთა პოლიტიკური შემზადების დონე.

ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის შესახებ მ. გ. ცხაკაია რსდმპ III ყრილობაზე ამბობდა:

«После знаменитой батумской бойни в марте 1902 г. целые сотни рабочих были высланы из Батума на родину. Значительная часть высланных — гурийцы, остальные — мингрельцы и имеретинцы. Вот эти—то, сосланные в свои деревни, в свои разоренные хозяйства, рабочие, вкусившие от древа социализма и получившие от самодержавия в виде нагаек, тюрьмы и пуль первые уроки политического образования, — смело и бодро начали агитацию в среде крестьян. Плоды этой агитации немедленно, уже через несколько месяцев и даже недель, давали о себе знать». [1]

არც ბათუმში დარჩენილი მუშები ცხრებოდნენ. ვიდრე ქარხნის ადმინისტრაციამ მათი ძირითადი მოთხოვნა არ შეასრულა, გაფიცვები გრძელდებოდა.

ბათუმის მუშათა ამ გრანდიოზულმა დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა, რომელიც პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებით

[1] Революционная борьба крестьянства Грузии в 1905 году. Материалы III С'езда РСДРП и корреспонденции из большевистских газет «Вперед» и «Пролетарий», Партиздат, 1935 г., стр. 22.

დამთავრდა, როგორც ჩანს, ძლიერ შეაშინა და აღაშფოთა კავკასიის მაშინდელი მთავარმართებელი გოლიცინი. იგი რუსეთის იმპერატორს თავის მოხსენებაში სწერდა:

«Это столкновение, о котором я своевременно доводил до сведения министра внутренних дел, к сожалению, не обошлось без человеческих жертв; из толпы рабочих было убито 13 человек, и ранено 20; в действовавшей же против буянов роте пострадали некоторые офицеры и нижние чины, которым из толпы рабочих были нанесены тяжелые ушибы и даже раны камнями» [1]

გოლიცინი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ მუშებს ამჟამად საბრძოლო ამოცანად დაესახათ არა მარტო ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები, არამედ არსებული საზოგადოებრივი წყობილების საწინააღმდეგო მოთხოვნები. გოლიცინის აზრით, ბათუმის მუშები სახელმწიფოსათვის უფრო სახიფათონი იყვნენ, ვიდრე იმპერიის შიდა გუბერნიებში თავმოყრილი მუშათა შედარებით უფრო დიდი რაოდენობა. სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ერთგული მოხელე არწმუნებს მეფეს, რომ აუცილებელია ქუთაისის გუბერნიას გამოეყოს ბათუმის მხარე და შეიქმნას ცალკე ოლქი, რომლის მმართველი იქნება გუბერნატორი. გოლიცინი აუწყებს მეფეს, რომ სანამ მის მიერ წარდგენილ პროექტს ჯერ კიდევ არ მისცემია კანონის ძალა, მან საჭიროდ მიიჩნია და შემოიღო ქ. ბათუმისათვის განსაკუთრებულად გაძლიერებული პოლიციური დაცვა, რადგან ამას მოითხოვს რევოლუციური მოძრაობისაგან სახელმწიფოს დაცვის ინტერესები.[2]

როგორც თავის ადგილზე აღნიშნული გვაქვს, მთავარმართებელ გოლიცინის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. 1903 წლიდან შეიქმნა ბათუმის ოლქი — ცენტრით ბათუმი, რომელსაც თავისი გუბერნატორი დაენიშნა; ქ. ბათუმს კი, ბაქოსა და თბილისის მსგავსად, ახლა წინანდელზე უფრო გაძლიერებული ჟანდარმული დაცვა დაუწესეს. მაგრამ პოლიციური ზომებით რევოლუციური მოძრაობის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

ბათუმის მუშათა კლასის 9 მარტის დემონსტრაციას დიდი რეზონანსი ჰქონდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიც. ბათუმის მუშებმა 9 მარტის დემონსტრაციით გამოამჟღავნეს თავიანთი მაღალი იდეურობა და დარაზმულო-

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 224, ფურც. 234—236.
2 იქვე, ფურც. 145, 234-235.

ბა. მათი მოქმედება მაგალითის მიმცემი და მისაბაძი გახდა არა მარტო მუშებისათვის, არამედ გარევოლუციონერების გზაზე დამდგარი გლეხებისათვისაც.

1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის შემდეგ მუშათა გაფიცვები ბათუმში ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი გახდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1903 წლის 9 მარტის გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც მოაწყვეს ბათუმში მუშებმა 1902 წლის 9 მარტს მუშათა დახვრეტის წლისთავის აღსანიშნავად. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 3.000-ზე მეტი კაცი. მუშა-დემონსტრანტები გაემართნენ რკინიგზის სადგურისაკენ და რამდენიმე წუთით შეაჩერეს თბილისისაკენ დაძრული მატარებელი. დემონსტრანტებმა ააფრიალეს წითელი დროშა წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას“. დემონსტრანტები რკინიგზის სადგურიდან გაემართნენ ცენტრალური ქუჩებისაკენ. ისინი ყრიდნენ პროკლამაციებს და ისროდნენ რევოლვერებიდან. დემონსტრანტებმა ფანჯრები ჩაუმტვრიეს რეაქციული გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქციისა და ამერიკის საკონსულოს შენობებს.[1]

ბათუმის პროლეტარიატის რევოლუციურ დარაზმულობას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ მეფის ოხრანკა იძულებული გახდა ციხიდან გამოეშვა 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის მონაწილე დაპატიმრებული მოწინავე მუშები. მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში მუშებმა მიაღწიეს ხელფასის ნაწილობრივ გიდიდებასა და შრომის პირობების ერთგვარ გაუმჯობესებას.

ბათუმის მუშათა განწყობილების შესახებ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი წერდა: მიღწეულმა წარმატებებმა მუშები დაარწმუნა, რომ მასობრივი გაფიცვის შემთხვევაში მათ შეუძლიათ თავიანთი სურვილის ასრულება. ამასთან დაკავშირებით 1903 წლის ივლისიდან ფაბრიკანტების მიმართ დაიწყეს ახალი მოთხოვნების წაყენება ხელფასის გადიდებისა და სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

ბათუმის პროლეტარიატს ამხნევებდა რუსეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის მაგალითები. ამის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებელს სწერდა: „უკანასკნელ ხანებში მუშათა განწყობილება ბათუმში ფრიად აღმაშფოთებელია: გაფიცვები დონის როსტოვსა და ნოვოროსიისკში დაუყოვნებლივ ახდენენ გავლენას ბათუმის მუშებზე. როტშილდის ქარ-

1 ხაქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 573, ფურც. 7 („ისკრა“, 1903 წ., 1 აპრილი).

ხანაში მუშათა ზოგიერთმა ჯგუფმა უკვე წამოაყენა მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ და მოსალოდნელია ახალი გაფიცვა. ამიტომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად".[1]

მაგრამ პოლიციისა და ჯარის ნაწილების მიერ მიღებულმა სპეციალურმა ზომებმა ბათუმში მშვიდობა ვერ დაამყარა. 1903 წლის ივლისში საყოველთაო გაფიცვამ იფეთქა ამიერკავკასიასა და უკრაინაში.

14 ივლისს თბილისში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელშაც 10 დღეს გასტანა. თბილისის მუშების გამოსვლა გამოხმაურება იყო ბაქოს მუშათა გაფიცვებისა, რომელიც ჯერ კიდევ 1903 წლის 1 ივლისს დაიწყო.

ბათუმის მუშებში პროლეტარულ-ინტერნაციონალური სულისკვეთება სუფევდა. ისინი დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ თბილისის მუშათა გაფიცვას.

17 ივლისს დაიწყო ბათუმის მუშათა საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან შეტაკებით დამთავრდა. გაფიცვა ერთ კვირას გაგრძელდა. 1903 წლის ბათუმის მუშათა ივლისის საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობის შესახებ შედარებით უფრო სრული სურათი მოცემულია გენერალური შტაბის პოლკოვნიკ უსოვის მოხსენებაში, რომელიც დაწერილია კავკასიის ჯარების მთავარსარდლის სახელზე.

17 ივლისს მუშები შეუდგნენ მუშაობას, ჩვეულებრივად, დილით ადრე, მაგრამ 8 საათზე, საუზმის შემდეგ არ დაუბრუნდნენ სამუშაოს, შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად და გაემართნენ გოროდოკისაკენ. გუბერნატორმა დემონსტრანტებს 2 ასეული კარგად შეიარაღებული ჯარისკაცები დაადევნა. მუშებს მიეცათ ბრძანება შეეჩერებინათ დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციის ამ განკარგულებას ყური არავინ ათხოვა. გუბერნატორმა მიიღო სხვა საჭირო ზომებიც: გასცა განკარგულება ჯარისკაცთა ორი ახალი ასეულის გამოყვანის შესახებ. ერთ ასეულს მოედანი უნდა დაეცვა, მეორეს—ბატარეისათვის გაემაგრებინა ზურგი. ამ სპეციალური ღონისძიების მიუხედავად, მუშები უშიშრად მიიწევდნენ წინ.

გუბერნატორმა რკინიგზის სატვირთო სადგურსა და დეპოში გაგზავნა ჯარის ნაწილები, რომლებმაც იქიდან მუშები გამორეკეს.

1 საჭ. ცსსა, ფ. 39, საქმე 553, ფურც. 3-4.

რკინიგზის ლიანდაგი საფრთხის წინაშე იდგა. ჩაქვიდან ბათუმამდე რკინიგზის მთელი ხაზი პოლიციელებმა დაიკავეს.

18 ივლისს, დილიდან, ქალაქში საყოველთაო გაფიცვა გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ფაბრიკა-ქარხნების ყველა მუშა, აგრეთვე ხელოსნები, ნოქრები, მეეტლეები, რკინიგზის მემანქანეები, მათი თანაშემწეები, მეისრეები.

გუბერნატორმა რკინიგზას სამუშაოდ 36 ჯარისკაცი მიაშველა. გემებზე საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვა შეწყდა. გუბერნატორის განკარგულებით, აქ 40 ჯარისკაცი გაიგზავნა სამუშაოდ. მათ იცავდა 10 შეიარაღებული ჯარისკაცი, რომ მუშებს თავდასხმა არ მოეწყოთ. დღის 2 საათზე მუშებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს თავმოყრა ბაზართან, ელექტროსადგურთან და მთავარ ქუჩებზე. დემონსტრანტები, დაახლოებით 2000 კაცი, წითელი დროშებით, გაემართნენ „ნურიის“ ბაზრისაკენ. იასაულმა დონეცკიმ ცხენოსან კაზაკებს უბრძანა ხმლებით გაეფანტათ ისინი. დემონსტრანტებმა გადაიარეს რკინიგზის გადასასვლელზე. კაზაკებმა ხალხს მეორე გადასასვლელიდან მოუარეს. დემონსტრანტებმა მათ ქვის სროლით უპასუხეს. მაშინ იასაულმა დონეცკიმ განკარგულება გასცა ტყვია დაეშინა დემონსტრანტებისათვის. ზოგი მუშა იქვე უსულოდ დაეცა, ხოლო ნაწილი დაიჭრა. დემონსტრანტები გაიფანტნენ.

19 ივლისს გაფიცვა ოდნავადაც არ შენელებულა. პოლიციამ ვაჭრები აიძულა, მაღაზიები გაეღოთ. ისინი პოლიციის დაცვით მუშაობდნენ. საღამოს 4 საათზე გამოჩნდნენ მეეტლეები, მაგრამ ისინი მუშებმა აიძულეს მიმალულიყვნენ.

საფრთხეში ჩავარდა საპატიმრო. მოსალოდნელი იყო, რომ მუშები მას თავს დაესხმოდნენ და მუშა-ტუსაღებს გაათავისუფლებდნენ. ამ-ტომ იქ ჯარისკაცების შერჩეული ჯგუფი გაგზავნეს და ფხიზლად დაცვა დაავალეს.

19 ივლისს მუშებმა სასტიკად სცემეს საბაჟოს ზედამხედველს. შავი ზღვის სასაზღვრო დაცვამ ნავსადგურის მთელ ხაზზე და საბაჟოს მოედნებზე, „წესრიგის“ დასამყარებლად ცხენოსანი ჯარის ნაწილი დააყენა. მატარებელი ბათუმიდან მხოლოდ გვიან ღამით გავიდა; გაფიცულებისაგან რკინიგზის დაცვა პოლიციას განსაკუთრებით საზრუნავი შეექმნა. 20 ივლისს ბათუმის ჯარის ახალი ნაწილები, ბაქოს ქვეითი და უმანის კაზაკთა პოლკის ერთი ასეული ჩამოიყვანეს.

21 ივლისს როტშილდის ქარხანაში 1500 მუშიდან მხოლოდ

300 მუშა გამოცხადდა. 23 ივლისს მშობლებმა მოითხოვეს მიეცათ დახოცილი შვილები, რათა ისინი სოფლებში წაესვენებინათ. მაგრამ პოლიცია შიშობდა მოკლულ მუშათა დამარხვის პროცესია დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო. ამიტომ, გუბერნატორმა აკრძალა ჰირისუფალთათვის მოკლული მუშების მიცემა. პოლიციამ საღამოს მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრება მოაწყო. მუშათა საქმის გამოძიებას პირადად ხელმძღვანელობდა მეფის ერთგული ჯალათი სამხედრო გუბერნატორი გენერალი დრიაგინი.[1]

გენერალ დრიაგინის აქტიური ჩარევით გაარჩია სასამართლომ 1903 წლის ივლისის დემონსტრაციაში მონაწილე ბათუმის მუშათა ჯგუფის საქმე და მათ რუსეთის სხვადასხვა მხარეში გადასახლება მიუსაჯა.

1902-1903 წელს ბათუმის მუშათა კლასის პოლიტიკურ მოძრაობას მაღალი შეფასება მისცა სრულიად რუსეთის პარტიულმა ორგანომ, ლენინურმა „ისკრამ".

„ისკრის" კორესპონდენტი წერდა: „მუშათა მოძრაობის არცერთ ძველ ცენტრში, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბრძოლაში, პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში — 1902-1903 წწ. წ მთელ სააგიტაციო პერიოდში არ მოხერხდა მოგვეწყო თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი დემონსტრაცია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის კომიტეტი. სწორედ ამიტომ პატარა ბათუმს უფლება აქვს მიულოცოს თავისთავს მიმდინარე წლის 9 მარტის მასობრივი დემონსტრაცია."[2]

ბათუმის კომიტეტის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თავიანთი აგენტების საშუალებით პოლიციამ მიაგნო კომიტეტის ადგილსამყოფელს და, ღამით 1902 წლის 5 აპრილს, შეიპყრო კომიტეტის შემქმნელი და ხელმძღვანელი ი. ბ. სტალინი.[3] 1902 წლის თებერვალში დააპატიმრეს თბილისის კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. ამავე წლის 2 სექტემბერს ბაქოში შეიპყრეს კეცხოველი. ოგი მოათავსეს მეტეხის ციხეში და, 1903 წლის 17 აგვისტოს პოლიციის სპეციალური დავალებით, ჯალათებმა საკანში ვერაგულად მოჰკლეს.

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 575, ფურც. 58-60, 96-100.
2 Газ. «Искра», № 43, 1903 г., стр. 145.
3 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 44, ფურც. 169.

1903 წელს, ივლისის დღეებში, ბათუმში მუშათა შორის დიდ-რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა პროფესიონალ-რევოლუციონერი კამო (სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანი). კამო პოლიციამ შეიპყრო და როგორც ერთ-ერთი ძლიერი პროპაგანდისტი მოათავსა ბათუმის ციხეში. მაგრამ კამომ 1904 წლის 17 სექტემბერს დღის 12 საათზე მოახერხა ბათუმის ციხიდან გაქცევა.[1] ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის დრიაგინის მოთხოვნით, ქ. ბათუმიდან რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს პასეკის ქარხნის 5 მუშა და მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისეთი აქტიური წევრი, როგორიც იყო გ. თ. სტურუა.[2]

მეფის ხელისუფალნი ფიქრობდნენ, რომ ტერორისტული მეთოდებითა და სხვა სახის რეპრესიებით ძირს გამოუთხრიდნენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, დაშლიდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და მის კომიტეტებს. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. თბილისისა და ბათუმის კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობა განაგრძეს: მ. ცხაკაიამ, ა. წულუკიძემ, პ. ჯაფარიძემ, მ. დავითაშვილმა, ფ. მახარაძემ, მ. ბოჭორიძემ და სხვ.[3]

ი. ბ. სტალინის დაპატიმრება დიდი დანაკლისი იყო ბათუმის კომიტეტისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ციხის გარეთ დარჩენილი ლენინელ-ისკრელების დახმარებით, ბათუმის კომიტეტმა მუშაობა კიდევ უფრო გააცხოველა. კომიტეტი 1903-1904 წლებში სისტემატურად ბეჭდავდა პროკლამაციებს, ავრცელებდა ლენინურ ლიტერატურას, განსაკუთრებით, გაზეთებს. ბათუმის კომიტეტმა მუშათა შორის ფართოდ გაავრცელა ბროშურა, „ლადო კეცხოველის ბიოგრაფია“, რომელიც მოამზადა და გამოსცა რსდმპ თბილისის კომიტეტმა.[4]

1904 წელს მთელს რუსეთში ასევე განაპირა ქვეყნებში იქმნებოდა რევოლუციური სიტუაცია. ყოველდღე მოსალოდნელი იყო რევოლუციური აფეთქებანი. სამრეწველო კრიზისის შედეგად უმუშევრად დარჩენილი მრავალრიცხოვანი მუშათა კლასი არსებული წყობილების წინააღმდეგ მრისხანე ძალად იყო გადაქცეული. ცარიზმი იაპონიასთან იმპერიალისტური ომისათვის ემ-

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 35, ფურც. 70, 72, 86.
2 იქვე, ფ. 39, საქმე 662, ფურც. 7.
3 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი 1, თბილისი, 1957 წ., გვ. 97.
4 საქ. ცსსა, ფ. 100, საქმე 40, ფურც. 4.

ზადებოდა. მეფის მთავრობის მიზანი იყო იაპონიის წინააღმდეგ ომში მოეპოვებინა წარმატება, შეეძინა ახალი კოლონიები, ამით შეეჩერებინა სამრეწველო კრიზისი და გარეშე მტერზე ომის საბაბით მოედუნებია რუსი ადამიანების კლასობრივ-რევოლუციური სიფხიზლე. ეს გამოიწვევდა ცარიზმის გაძლიერებას და რევოლუციური მოძრაობის შესუსტებას.

მაგრამ მეფე და მისი დამქაშები ანგარიშში მოტყუვდნენ.

რუსეთ-იაპონიის ომმა ეკონომიური კრიზისი რუსეთში კიდევ უფრო გაამწვავა და გაახანგრძლივა. ომმა გამოიწვია ადამიანთა დიდი მსხვერპლი, ხოლო სახელმწიფო ფინანსურად გააკოტრა. ომის მძიმე შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი ანტაგონიზმი, რომელიც დახავსებული რუსეთის სახელმწიფო მანქანას რევოლუციისაკენ მიაქანებდა.

1904 წლის შემოდგომაზე რუსეთი რევოლუციის „ციებცხელებით" იყო შეპყრობილი. ცარიზმი დიდ პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა შექმნილ რევოლუციურ სიტუაციას, წერდა: „ახლა ყველაზე ურწმენო ადამიანებსაც კი სჯერათ რევოლუცია. საყოველთაო რწმენა რევოლუციისადმი უკვე რევოლუციის დასაწყისია."[1]

რევოლუციის ჰექა-ქუხილის მოახლოებისას, 1904 წელს როგორც მთელ საქართველოში, ისე ბათუმში არსებობდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ჯგუფები. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა კლასი ნამდვილი რევოლუციური გზიდან აეცდინათ.

როგორც ბათუმის პოლიციის ოფიციალური მოხსენებიდან ჩანს, 1904 წლიდან რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მუშათა შორის ფართოდ გაშალა წრეობრივი მეცადინეობა, შექმნა ორი არალეგალური სტამბა: ერთი პროკლამაციების დასაბეჭდად, მეორე — უმთავრესად ლიტერატურისათვის. კომიტეტმა შექმნა „მებრძოლი სალარო", სადაც მუშებს შეჰქონდათ თავიანთი ხელფასიდან ანარიცხები. შეგროვილი თანხა იხარჯებოდა ლიტერატურის შესაძენად, სტამბისათვის, გაფიცულთა დასახმარებლად, პოლიტიკური პატიმრებისათვის, კონსპირაციული ბინის დასაქირავებლად და კომიტეტის წევრთა მივლინებებისათვის. „საიდუმლო სალარო" ხრსებობდა ყველა ქარხანაში. მათ უკვდათ აგენტები, რომლებიც

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, 1949 წ., გვ. 48.

აგროვებდნენ ფულს. პოლიციის ცნობით, არალეგალურ სტამბაში მუშაობდნენ ისეთი პირები, რომლებიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ რევოლუციური მოძრაობის საქმეს. ყოველ სტამბაში მუშაობდა ოთხი კაცი. იცავდნენ სასტიკ კონსპირაციას. ერთი სტამბის მუშებმა არ იცოდნენ მეორე სტამბის არც ადგილსამყოფელი და არც იქ მომუშავეთა შემადგენლობა. კომიტეტს ჰქონდა კონსპირაციული ბინა, სადაც ღებულობდნენ მეზობელი კომიტეტებიდან და სხვა სტამბებიდან მოვლინებულ ამხანაგებს.

კომიტეტის განკარგულებაში იყო მრავალრიცხოვანი დოკუმენტი საპიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად.

სტამბის ჩავარდნის შემდეგ (1904 წ. 31 მარტი) ხმა გავრცელდა, რომ კომიტეტმა შექმნა ახალი სტამბა, რომელიც პროკლამაციებს უშვებდა ხელმოწერით: „ბათუმის კომიტეტის ახალი სტამბა.“ სტამბის კვალის მიგნება ბათუმის პოლიციამ ვერ მოახერხა, რადგან იგი ადვილად გადაქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე.[1]

პოლიცია აღშფოთებული იყო იმითაც, რომ ბათუმის კომიტეტის წევრთა შემადგენლობის გაგება ვერ მოახერხა.

ბათუმში, აგრეთვე, არსებობდნენ სოციალ-რევოლუციონერებისა და სოციალ-ფედერალისტების უმნიშვნელო ჯგუფები. ამ პარტიული ჯგუფების პოლიტიკური პლატფორმები არსებითად არ განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან. ისინი გამოხატავდნენ ქართული ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესებს. ცდილობდნენ ესარგებლათ რევოლუციის მონაპოვრით და მუშათა კლასის ბრძოლის შედეგად ცარიზმისათვის ხელიდან გამოეცინცლათ ზოგიერთი ეკონომიური და პოლიტიკური დათმობა; ყოველმხრივ ცდილობდნენ არ შერყეულიყო კაპიტალიზმის სოციალური და ეკონომიური საყრდენები. როგორც მთელ საქართველოში, ასევე ბათუმშიც ეს ბურჟუაზიული პარტიები მეტწილად შედგებოდნენ შეძლებული კლასებიდან გამოსული ლიბერალი ინტელიგენტებისაგან, რომლებიც „ეროვნულ ნიადაგზე“ მოღვაწეობის პლატფორმაზე იდგნენ. ისინი იბრძოდნენ „ქართველობისათვის“ და თესდნენ ანტირუსულ, ანტისომხურ ნაციონალიზმს.

ლიბერალური ბურჟუაზიისა და მემამულეთა იდეოლოგიის ტიპიური წარმომადგენელი იმ დროს ბათუმში იყო ქალაქისთავი

1 შესაძლებელია იყო სტამბა, რომელიც 1908 წლის მაისში კონსპირაციული მიზნით ბათუმიდან გადატანილ იქნა ფოთში (საქ. ცსსა, ფ. 2, საქმე 830, ფურც. 2).

ივ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც თანამზრახველთა მცირე ჯგუფი ჰყავდა. ივ. ანდრონიკაშვილი და მისი ჯგუფი თავგამოდებით იბრძოდნენ ქართული ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების დასაცავად. თავ. ივ. ანდრონიკაშვილი დროებითი „თანამგზავრის“ როლს ასრულებდა რევოლუციაში. იგი სინამდვილეში ცარიზმის „გაუმჯობესების“, მისი „გაკეთილშობილების“ საქმეს ემსახურებოდა.

როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, ქალაქისთავი ანდრონიკაშვილი ზუბატოვური მეთოდების გამოყენებით ცდილობდა კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ამბოხებული ბათუმის მუშათა კლასი ქველმოქმედებით მოეთვინიერებინა, ხოლო ცარიზმი ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო.

როგორც ცნობილია, რსდმპ II ყრილობაზე პარტიის შიგნით თავი იჩინა მენშევიკურმა ოპორტუნისტულმა მიმდინარეობამ. ქართული მენშევიზმის „სულიერმა მამამ“ ნ. ჟორდანიამ თავის მიმდევრებთან ერთად ენერგიული ბრძოლა გაუმართა საქართველოში არსებულ ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ კომიტეტებს. ბათუმში მენშევიკების ოპორტუნისტული პოზიციების დასაცავად იმთავითვე გამოვიდნენ კ. ჩეიძე, ნ. რამიშვილი და სხვ. ისინი უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას. მათი აზრით, საჭირო არ იყო მუშათა კლასის დარაზმვა შეიარაღებული აჯანყებისათვის. ისინი საკმარისად სთვლიდნენ მშვიდობიან გაფიცვებს, სადაც მუშებს მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნები უნდა წამოეყენებინათ.

1904 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა და ლეგალური მუშაობა გაშალა სომხურმა რეაქციულმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ, რომლის ლოზუნგი იყო „ბრძოლა დიდი სომხეთის“ აღდგენისათვის. სომხურ ნაციონალისტურ ორგანიზაციაში შედიოდნენ სახელმწიფო მოხელეები, სომეხი ინტელიგენციის არისტოკრატიული წარმომადგენლები, ბურჟუები და მსხვილი ვაჭრები. აღნიშნული ორგანიზაცია ბათუმში ხელმძღვანელობდა სათვისტომო ეროვნული საღამოების მოწყობას, აგროვებდა შემოწირულებებს, იძენდა საბრძოლო იარაღს თურქების წინააღმდეგ „სამაშულო ომის“ მოსამზადებლად.

სომეხმა ნაციონალისტებმა 1904 წელს ბათუმის ნავსადგურის მტვირთავ სომეხ მუშათა შორისაც ჩამოაყალიბეს თავისი ორგანიზაცია, შეიმუშავეს პარტიული წესდება და შექმნეს ხელმძღვანე-

ლი კომიტეტი. ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობის მხრივ ექვემდებარებოდა თბილისსა და ერევანს, საიდანაც ღებულობდა სათანადო დირექტივებს. 1904 წელს ბათუმში შექმნილმა სომეხ დაშნაკთა ორგანიზაციამ სომეხ მუშათა შორის პოპულარობა ვერ მოიხვეჭა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ამოცანა იყო — მინიმუმამდე დაეყვანა ე. წ. სომხური „ეროვნული პარტიების“ გავლენა სომეხთა შორის; ეს ამოცანა მან ბრწყინვალედ შეასრულა. სომეხ მუშათა აბსოლუტური უმრავლესობა დაადგა ეროვნული სოლიდარობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გზას.

რევოლუციის წინა წლებში ბათუმში ებრაელ მუშათა შორის დაარსდა ბუნდელების ორგანიზაცია. ბუნდელები, თავიანთი სისუსტის გამო, სოციალ-დემოკრატებთან სრული სოლიდარობით მოქმედებდნენ. არსებობდა. აგრეთვე მცირერიცხოვანი ესერული ჯგუფი. მიუხედავად ასეთი რთული იდეოლოგიური მდგომარეობის არსებობისა, ბათუმის მრავალეროვანი მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა დაადგა ბოლშევიკ-ლენინელების მიერ ნაჩვენებ გზას.

ბათუმის პოლიციის მოხსენებაში გულისტკივილით აღიარებულია, რომ: **«Батумский комитет РСДРП так хорошо сплотил рабочих, что они теперь чувствуют под собой твердую почву».**

დამახასიათებელია, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტს პარტიულ მუშაობაში მტკიცედ ჰქონდა დაცული კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი. პოლიციის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ:

«Среди них не решается ни один вопрос без общего согласия, а затем депутаты от заводской администрации требуют себе различных льгот, требуют от фабричной инспекции, чтобы прием и увольнение рабочих совершалось с ведома и желания рабочих»[1].

რუსეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო გააუარესა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა, შემცირდა ხელფასი. განსაკუთრებით ამაღლდა ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე. ცარიზმი ვარაუდობდა, რომ ომის შედეგად რუსეთში რევოლუციური სიტუაცია შენელდებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით, ომის მწვავე შედეგები მშრომელ მოსახლეობას რევოლუციისაკენ მიაქანებდა.

1 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 6, ფურც. 239—246, აგრეთვე. ფ. 5. საქმე 7. ფურც. 2—12.

.რსდმპ ბათუმის კომიტეტმა კავკასიის კომიტეტის მითითებით ენერგიული ბრძოლა გაშალა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ამხილა ომის იმპერიალისტური, ანტიხალხური ხასიათი. ბათუმის კომიტეტმა გაზ. „ისკრა"-დან გადმობეჭდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროკლამაცია სათაურით: **«Для чего должен умереть русский солдат?»** — და გაავრცელა ის ქალაქის მოსახლეობაში.[1] პოლიცია გამწარებით დაეძებდა არალეგალურ სტამბას, რომლის კვალსაც მოსყიდული პირების საშუალებით მიაგნო და 1904 წლის 30 მარტს, საღამოს ექვს საათზე და 30 წუთზე, თავს დაესხა მას. პოლიციამ გულდასმით გაჩხრიკა სტამბა და აღმოაჩინა, რომ პროკლამაციები იწერებოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. სტამბას სამი ოთახი ეჭირა, სადაც საბეჭდ მანქანასთან ერთად ბლომად ინახებოდა სხვადასხვა ბროშურები და წიგნები. პოლიცია წააწყდა ქართულ ენაზე ახლად აწყობილ პროკლამაციას, რომელიც მუშებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.[2]

არალეგალური სტამბის აღმოჩენასთან დაკავშირებით პასუხისგებაში ჰყავდა ბათუმის რსდმპ ორგანიზაციის 16 წევრი.[3]

რეაქცია წელებზე ფეხს იდგამდა და თავის მხრივ კონტრაგიტაციის გაშლაზე ოცნებობდა. ცარიზმის ერთგულმა დაჯგუფებამ რევოლუციური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლისათვის, პეტერბურგში, ჩამოაყალიბეს საზოგადოება **«Совет общества ревнителей русского исторического просвещения в память императора Александра III-го».**

ამ ორგანიზაციამ განიზრახა ბათუმში გაეხსნა თავისი განყოფილება, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა ბათუმის ოლქის ვენერალ-გუბერნატორი დრიაგინი. მაგრამ კონტრრევოლუციურმა ძალებმა განზრახვა ვერ შეასრულეს. რევოლუციურ ბათუმში მათ ვერ გამონახეს ამ საქმისათვის რამდენიმედ მაინც გამოსადეგი კადრები და შესაფერისი აუდიტორია.[4]

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობის მიმართ მშრომელთა ზიზღი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა, მთავრობამ გააჩაღა აგიტაცია „სამშობლოს დაცვის" ლოზუნგით. სააგიტაციო

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 632, ფურც. 42.
2 საქ. ცსსა, ფ. 39 — 12, აღწ. 1, საქმე 6891; ფურც. 1 — 4.
3 იქვე, ფ. 10, საქმე 62, ფურც. 223—229.
4 იქვე, ფ. 12, აღწერა № 8, საქმე 1920, ფურც. 1-2.

მუშაობაში აქტიურად ჩაება ლიბერალური ინტელიგენცია, ოფიციალური პრესა და სამღვდელოება. თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში „პატრიოტული“ მანიფესტაციები და საეკლესიო პარაკლისები იმართებოდა.

მთავრობის მითითებით, დიდი ხნის მზადების შემდეგ, 1904 წ. 2 თებერვალს, ქ. ბათუმში იაპონიასთან ომში მებრძოლი მხედრობის სადიდებელ-სალოცავად სამოქალაქო პარაკლისი მოეწყო. პარაკლისის დამთავრების შემდეგ ტაძრის ეზოში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით „აზიზიეს“ მოედანზე „პატრიოტული მანიფესტაცია“ დაიწყო, სადაც რსდმპ ბათუმის კომიტეტის მითითებით დილიდანვე მრავალმა ასეულმა მუშამ მოიყარა თავი. როდესაც მანიფესტაციის მოწყობის მესვეურებმა გამოიტანეს სახელმწიფო დროშა იმპერატორის სადიდებელი წარწერით, მუშები სასწრაფოდ შემოეხვივნენ მას და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, ხოლო მის მაგივრად აღმართეს წითელი დროშები წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ მუშებმა მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა საბრძოლო ლოზუნგების ძახილით, წითელი დროშებითა და რევოლვერების სროლით მწყობრად გაიარეს ბათუმის ცენტრალური ქუჩები და უხვად გაავრცელეს რსდმპ ბათუმის კომიტეტის მიერ ამ დღისათვის სპეციალურად დაწერილი პროკლამაციები. გვიან საღამოს პოლიციამ შეიპყრო ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილე ზოგიერთი მუშა, ისინი სამხედრო გუბერნატორ დრიაგინის განკარგულებით ყოველგვარი გამოძიების გარეშე საპყრობილეში ჩასვეს.[1]

1904 წლის 3 თებერვალს მოეწყო ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის დემონსტრაცია. ქუთაისის გუბერნატორმა მკაცრ რეპრესიებს მიმართა მოსწავლეთა დემონსტრაციის დასაშლელად. ყველაზე აქტიურნი დააპატიმრეს და ზოგიერთები სკოლიდან გარიცხეს.

1 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 575, ფურც. 58, 60, 96, 100.

15 თებერვალს რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია სათაურით „მოსწავლეებს!“, რომლითაც ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობას მიესალმა და მოუწოდა კიდევ უფრო დარაზმულიყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარშემო.[1]

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაცია, „მოსწავლეებს!“, რომელიც 15 თებერვალს გამოვიდა, მეორე დღესვე მიიღეს ბათუმის მოსწავლეებმა და შეუდგნენ მზადებას რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად.[2] ბათუმში მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის უმთავრესი კერა ვაჟთა გიმნაზია იყო.

1904 წლის 4 თებერვალს გაიფიცნენ მანთაშევის ქარხნის მუშები. გაფიცულებმა ადმინისტრაციისაგან თვითეულ მუშაზე ორი თვის ხელფასის გაცემა მოითხოვეს; ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა.[3]

12 თებერვალს გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები, რომლებმაც მუშაობა კვლავ განაახლეს 14 თებერვალს. მანთაშევის № 1 ქარხანაში მუშებმა მუშაობა განაახლეს 3 მარტს, ხოლო № 2 ქარხანაში — 4 მარტს.

1904 წელს, ბათუმის მუშათა დახვრეტის 2 წლის თავზე, გაწხრახული იყო მუშათა მძლავრი დემონსტრაციებისა და მიტინგების მოწყობა. მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელი შეიქნა, რადგან პოლიციამ და ჯარის ნაწილებმა შეკრეს ყველა გზა. ასეთი ზომების მიუხედავად მუშებმა მხარი დაუჭირეს რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მოწოდებას, რომელიც წინა დღეებში გავრცელდა; მათ 9 მარტს ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. მთელს ქალაქში არცერთი ფაბრიკა და ქარხანა არ მუშაობდა.

---

1 „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში,“ სტატიების კრებული, თბილისი, 1955 წ., გვ. 158, რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903-1905 წ. წ.), გვ. 128-129.

2 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 4, ფურც. 53.

3 იქვე, საქმე 45, ფურც. 15.

მუშათა რევოლუციური აღტყინების გაძლიერების მიზნით რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა გამოსცა რევოლუციური სიმღერა („ქართველო ხელი ხმალს იკარ"-ის ხმაზე):

„მუშა ხალხო, წინ, წინ გასწი!
გასწი ჩქარა გაექანე!
და ქუხილით მტრის ბანაკზედ
იერიში მიიტანე!
გეყო დღემდე რაც იტანჯე,
აწ მტერს მედგრად შეებრძოლე,
ვინც გიმუხთლოს, ის საქვეყნოდ
შეაჩვენე და ჩაქოლე!

* * *

გასწი, გასწი, ნუ შედრკები,
ბევრი გვახლავს მეომარი!
აბა, დაჰკათ მამაცურად,
გამარჯვება ჩვენი არი!"[1]

გაფიცვების შემდეგ მუშები ზოგჯერ აღწევდნენ ეკონომიური ადგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

20 მაისს კაპლანის თუჯსადნობ ქარხანაში მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის მომატება. მეორე დღეს, 21 მაისს, ქარხნის მეპატრონის მიერ ხელფასის მომატების შემდეგ, მათ განაახლეს ბუშაობა.[2]

8 ივნისს პასეკის ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა სისტემატური გაფიცვებისა და მუშების მიერ ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ წამოყენებული მოთხოვნების გამო. ივლისში ხაჩატურიანცის ქარხანაში გაიფიცა 400 მუშა; მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება და სამუშაო საათების შემცირება. კაპიტალისტი ქარხნის დაკეტვით იმუქრებოდა, თუ გაფიცულები მუშაობას არ განაახლებდნენ. უნდა აღინიშნოს, ბათუმში 1904 წელს ქარხნებისა და ფაბრიკების მეპატრონეები ხშირად მიმართავდნენ ლოკაუტებს მუშათა შესაშინებლად, მაგრამ ამ მეთოდმა მიზანს ვერ მიაღწია. 11 ოქტომბერს კარგა ხნით შეწყვიტა მუშაობა კაპლანის ქარხანამ,[3] რუსეთში რევოლუციის დაწყების სიგნალი გახდა ბაქოს

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წ.წ.). საბელგამი 1933. 151.
2 საქ. ცსსა, ფ. 39, საქმე 662, ფურც. 1-5.
3 იქვე, საქმე 662, ფურც. 5—13.

მენავთობეთა 18-დღიანი გაფიცვა, რომელიც პირველად მუშათა მოძრაობის ისტორიაში დამთავრდა მეწარმეებსა და მუშებს შორის ხელშეკრულების დადებით.

საქართველოს მუშათა კლასი მხურვალედ გამოეხმაურა ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლას. ბაქოელთა სოლიდარობის ნიშნით ჩატარდა ხალხმრავალი გაფიცვები და დემონსტრაციები.[1]

ბაქოელ მუშათა გაფიცვას ჯერ კიდევ 14 დეკემბერს გამოეხმაურა ბათუმის პროლეტარიატი. 20 დეკემბერს ბათუმში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

21 დეკემბერს მოხდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრის დ. შაფათავას დასაფლავება. სამგლოვიარო პროცესიაზე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა მუშამ. პროცესია დემონსტრაციად გადაიქცა. ეკლესიის გალავანში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგს ხელმძღვანელობდა რევოლუციონერი ქალი. მან წაიკითხა პროკლამაცია, რომელიც მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“ პოლიციამ ხალხს სროლა აუტეხა. მუშებმა თავდასხმას სროლითვე უპასუხეს, მაგრამ შეჯახებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა შეუიარაღებელი აღმოჩნდა. მსხვერპლი რომ არ მომხდარიყო, ხალხი გაიფანტა, ლტოლვილებმა ტყესა და ბუჩქებს შეაფარეს თავი.[2]

დაახლოებით ასეთი იყო ბათუმში 1904 წელს, რუსეთის ქარიშხლიანი რევოლუციის წინადღეს, შექმნილი სიტუაცია.

ანალიზს უკეთებდა რა რუსეთში არსებულ რევოლუციურ სიტუაციას, მოწოდებაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“ რომელიც 1905 წლის 8 იანვარს პროკლამაციის სახით გამოვიდა, ი. ბ. სტალინი წერდა: „რუსეთის რევოლუცია გარდუვალია. იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! განა შეგიძლიათ შეაჩეროთ მზის ამოსვლა? ამ რევოლუციის **მთავარი ძალაა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ხოლო მისი მედროშე — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია...** რუსეთი გატენილი, შემართული თოფია, რომელიც შეიძლება ოდნავი შერყევით გავარდეს“.[3]

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1957 წ., გვ. 133.
2 საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 4, ფურც. 14.
3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, 1947 წ., გვ. 77.

ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები გამართლდა. რუსეთის პროლეტარიატმა რევოლუციური ბრძოლის მეტად მწარე გამოცდილება მიიღო. 1905 წლის 9 იანვარს მეფე ტყვიით გაუმასპინძლდა პეტერბურგის მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას. დაიწყო რევოლუცია. საპროტესტო გაფიცვებმა მთელი ქვეყანა მოიცვა. „სისხლიანი კვირის“ შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: რუსეთის „მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი მიიღო; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელსაც იგი უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა.“[1]

რუსეთში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ტალღა ელვის სისწრაფით მოედო ამიერკავკასიასა და საქართველოს. ამიერკავკასიის პროლეტარიატის მაღალი იდეურობისა და დარაზმულობის შესახებ ი. ბ. სტალინი ამბობდა: „...კავკასიის პროლეტარიატმა ბაქოდან ბათუმამდე ერთხმად გამოსთქვა თავისი ზიზღი მეფის თვითმპყრობელობისადმი. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიელ პროლეტართა ეს სახელოვანი ცდა ამაოდ არ ჩაივლის რუსეთის სხვა კუთხეების პროლეტარიატისთვის.“[2]

ბათუმის პროლეტარიატი იდეურად ერთ-ერთი მოწინავე იყო და რუსეთის პროლეტარიატის გვერდით, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, ცარიზმის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის პირველ რიგებში იდგა, თავისი გმირული ბრძოლის მაგალითებით აღაფრთოვანებდა ახლომახლო სოფლებისა და ქალაქების მშრომელ მოსახლეობას. ამ ზეგავლენას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გლეხთა მოძრაობამ უმაგალითო გაქანება მიიღო მთელ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში. ბათუმის პროლეტარიატმა გავლენა იქონია ფოთის მშრომელებზედაც.

ბათუმის პროლეტარიატი რსდმპ ბათუმის კომიტეტის მეშვეობით ამყარებდა კავშირს ფოთელ რევოლუციონერებთან, სისტემატურად ხელმძღვანელობდა მათ. ბათუმ-ფოთის რევოლუციონერთა ურთიერთდახმარება და მეგობრობა იმდენად დიდი და მჭიდრო იყო, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტი თავის პროკლამაციებს, პარტიული კონსპირაციის მიზნით, ხშირად ფოთის სტამბაში ბეჭდავდა.[3]

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, 1949 წ., გვ. 101.
2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, 1947 წ., გვ. 77.
3 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 132, 138.

ჯერ კიდევ 1905 წლის საახალწლო დღესასწაულს ბათუმის პროლეტარიატი გაფიცვებით შეეგება. 1905 წლის 3 იანვარს, დილის 10 საათზე, გემის მტვირთავმა 100 მუშამ საპროტესტო გამოსვლები მოაწყო. მუშებმა შეტაკების დროს დაჭრეს მანთაშევის ქარხნის „პრიკაზჩიკი“ ი. ი. ზმოიროვი.

8 იანვარს მანთაშევის ქარხნის ხე-ტყის განყოფილების მუშებმა ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნა ხელფასის 20 კაპიკით გადიდების შესახებ. ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, რის გამოც 25 მუშა გაიფიცა.[1]

მანთაშევის ქარხნის ხე-ტყის სახერხ განყოფილებაში მუშაობა შეწყდა, რამაც გამოიწვია დახერხილი სამშენებლო მასალის გადაზიდვის შეჩერება. იქ მომუშავენი დაუყოვნებლივ შეუერთდნენ გაფიცულ მუშებს.

10 იანვარს ქარიშხლიანი ამინდების გამო ზღვაზე გემების დატვირთვა შეუძლებელი შეიქნა. ამასთან დაკავშირებით სიდერიდისის ქარხნის ადმინისტრაციამ 15 მუშას წინადადება მისცა საბოლოო ანგარიში მიეღო და წარმოება დაეტოვებინა. მუშებმა მოითხოვეს უკანონოდ დათხოვნილი 15 მუშის დაუყოვნებლივ დაბრუნება, მაგრამ ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მაშინ ქარხნის 350 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.[2]

„სისხლიანი კვირის“ შემდეგ პოლიცია ყოველგვარ ზომას ღებულობდა ძირშივე ჩაეკლა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ყოველგვარი ცდა. 13 იანვარს ბათუმში პოლიციამ მანთაშევის ქარხნის მუშების გაჩხრეკა მოაწყო. სხვებთან ერთად გაჩხრეკილ იქნა მუშა დომენტი ვადაჭკორიას ბინა. მაგრამ ხელისუფლების საწინააღმდეგო ლიტერატურის კვალის მიგნება არ მოხერხდა.[3]

სიდერიდისის ქარხნის მუშებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქარხნის მფლობელს და კიდევაც მოიპოვეს ერთგვარი გამარჯვება. მუშებმა ოთხი დღის გაფიცვის შემდეგ, 15 იანვარს განაახლეს მუშაობა. მათ მიაღწიეს წარმოებიდან დათხოვნილი მუშების სამუშაოზე დაბრუნებას. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა დაპირება მიეცა მუშებისათვის ხელფასის მომატების შესახებ.[4]

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 2.
2 იქვე, ფურც. 4.
3 იქვე, ფურც. 8.
4 იქვე, ფურც. 16—18.

17 იანვარს „რუსეთის საავაჭრო საზოგადოების“ 206 მუშა გაიფიცა. 14-დან 17 იანვრამდე გაიფიცა რკინიგზის ყველა მუშა ბათუმიდან საჯავახომდე. რომ ნავსადგურში მუშაობა არ შეჩერებულიყო, მიხაილოვის ციხიდან შტაბის უფროსმა მდივანმა იქ, დროებით, სამუშაოდ გაგზავნა კაზაკი სალდათები.[1] 18 იანვარს გაიფიცა ბათუმის რკინიგზის სადგურის 40 მუშა, იმავე დღეს გაფიცულებს შეუერთდნენ მედროგეებიც. გაფიცულებმა მოითხოვეს ხელფასი 1 მან. 60 კაპ. დღეში, სამუშაო დღის შემცირება, ნახევარ საათიანი შესვენება და სხვ.[2] 19 იანვარს გაფიცვაში ჩაებნენ შინამოსამსახურეები, მეეტლეები და დაბალი ჩინის ზოგი მოხელეც. 20 იანვარს გაიფიცნენ ბათუმის ნავსადგურის მუშები. მათ შეუერთდნენ ნაეებია მფლობელები, რომლებმაც უარი განაცხადეს გემებიდან მგზავრების გადმოყვანასა და ტვირთის გადმოზიდვაზე. 23 იანვარს გაიფიცნენ ბათუმის რკინიგზის სადგურის მუშები, მეისრეები, მატარებლის გადამბმელები და სხვ. 24 იანვარს გაიფიცნენ ბათუმის დეპოს მუშები. პოლიციამ ამ სადგურში კაზაკები დააყენა. დიდი გაფიცვა მოაწყეს როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშებმაც. გაფიცულ მუშათა რაოდენობა ორივე ქარხანაში 3.500 კაცს უდრიდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მუშათა გამოსვლების ჩასაქრობად სამხედრო უწყებიდან დამატებითი ჯარი გამოიძახა, მაგრამ ამ ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო.[3]

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 25 იანვრიდან გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, ომის შეწყვეტას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. 25 იანვარს დილის 9 ½ საათზე, ქარხნების საგანგაშო საყვირმა მთელ ქალაქს აუწყა დაწყებული გაფიცვის შესახებ. ქარხნის ეზოებში წარმოთქვამდნენ მგზნებარე პოლიტიკურ სიტყვებს. დაიხურა ყველა ქარხანა, ფაბრიკა, სახელოსნო, მაღაზია, აფთიაქი. გაფიცვა გამოაცხადეს მეეტლეებმა, მეფარნეებმა. ნაპირზე გაბმულად იდგა ჯარისკაცებით სავსე ვაგონები. ქუჩებში დადიოდნენ ცხენოსანი კაზაკები, ქალაქში რამდენიმე ადგილას იდგნენ მათი სადარაჯო რაზმები, შაშხანებით შეიარაღებული მეეზოვეების ნაწილიც პოლიციის მეთაურობით იცავდა ქუჩებს. კაზაკებით გარშემოხვეული პო-

1 აჭარის სახ. არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 143, ფურც. 17—19.
2 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 21—25.
3 იქვე, ფურც. 29, 21, 25, 46, 48, 49; 55, 63.

ლიცმეისტერი ბრძანებას იძლეოდა მაღაზიების გაღების შესახებ და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კარებს ამტვრევდა.

27 იანვარს ქალაქის ზოგ ადგილას, შუადღისას, ტელეგრაფის მავთულებზე ფრიალებდა რამდენიმე წითელი დროშა.

27 იანვარს, დილით ვაჟთა გიმნაზიაში ყველა მოწაფემ მიატოვა მეცადინეობა და წავიდა გიმნაზიიდან. რამდენიმე მოწაფემ დარბაზიდან გამოიტანა მეფის პორტრეტი და ეზოში ნაფლეთებად აქცია იგი. შვეიცარმა კაზაკებს შეატყობინა და რამდენიმე ჯარისკაცი გიმნაზიის ეზოში ჩასაფრდა. ექვსი გიმნაზიელი დააპატიმრეს და ერთიც ხიშტით დაჭრეს. იმავე დღეს, დილით, დროებით დაიხურა ქალთა გიმნაზია, ხოლო წინა დღით მეცადინეობა შეწყდა ზოგიერთ დაწყებით სკოლაშიც.

ქალაქში ყველგან დაიწყეს ხალხის ჩხრეკა, ამასთან კაზაკები და პოლიცია გაჩხრეკილთ სცემდნენ და ძარცვავდნენ.

25 იანვარს კაზაკებმა ახალგაზრდა მუშა უნაგირს მიაკრეს და სცემეს; ორი მუშა, რომელსაც მათრახების ცემით მისდევდნენ, წყალში გადავარდა; 26 იანვარს მეოთხე უბანში პოლიციელი და კაზაკები შეიჭრნენ მუშის სახლში, გაჩხრიკეს და სცემეს. თბილისის ქუჩაზე მშვიდად მიმავალი მუშა დაიჭირეს და კედელზე თავი არტყმევინეს, ვიდრე მან ცნობიერება არ დაკარგა. კაზაკები გაჩხრეკილთა ფულს და ნივთებს ითვისებდნენ.[1]

28-30 იანვარს საყოველთაო გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა. ქალაქში ეტლით მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ღამით ქალაქის ქუჩებში ბნელოდა. გაიფიცნენ ლეგალური სტამბების მუშები და ყოველგვარი ბეჭდვა შეწყდა[2].

30 იანვარს რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა შეიმუშავა და გამოუშვა პროკლამაცია, რომელიც ბათუმის მუშათა შორის სწრაფად გავრცელდა. ბათუმის კომიტეტი საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებს დამთავრებულად აცხადებდა და მუშებს მოუწოდებდა დროებით განეახლებინათ მუშაობა[3].

იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, მუშების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ბათუმის კომიტეტის მოწოდების შემდეგ, 31 იანვარს, ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობამ კვლავ განაახლა მუშაობა, მაგრამ ზოგიერთ ქარხანაში, რკინიგზასა და სტამ-

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წ.წ.) სახელგამი, 1955 წ., გვ. 303-304.

2 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 45-49.

3 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, დასახ. გამოც., გვ. 306.

ბაში გაფიცვა კიდევ გრძელდებოდა რამდენიმე დღე, ვიდრე მთავრობის ორგანოებმა და ადმინისტრაციამ მათი ზოგიერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.[1]

იანვრის საყოველთაო გაფიცვა ბათუმში, რომელიც თავდაპირველად ეკონომიური მოთხოვნილების პრიმატით დაიწყო, თანდათან გრანდიოზულ პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა, ხშირი იყო შეიარაღებული შეჯახება მუშებსა და პოლიციელებს შორის.

გაფიცვის მთელს პერიოდში ქუჩებში დადიოდნენ შეიარაღებული მუშათა ჯარები. მათ მოკლეს რამდენიმე მოხელე, ზოგმა წერილმა სახელმწიფო მოხელემ რევოლუციის შიშით დემონსტრაციულად დასტოვა სამსახური და მიიმალა.[2]

ვ. ი. ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა იანვრის პოლიტიკური გაფიცვის შედეგებს, წერდა: „რევოლუცია ფართოვდება. მთავრობა უკვე აქეთ-იქით აწყდება. სისხლისმღვრელი რეპრესიის პოლიტიკიდან იგი სინჯავს გადავიდეს ეკონომიურ დათმობებზე და თავი დაიძვრინოს ნასუფრალის მიგდებით ან ცხრა საათის სამუშაო დღის დაპირებით. მაგრამ სისხლიანი დღის გაკვეთილმა არ შეიძლება ამაოდ ჩაიაროს. აჯანყებულ პეტერბურგელ მუშათა მოთხოვნა — დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე — ყველა გაფიცულ მუშათა მოთხოვნად უნდა გახდეს“.[3]

პეტერბურგელ მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის მაგალითებს, ბაქოსა და თბილისის პროლეტარებთან ერთად, კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ბათუმის მუშებიც.

თვით კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. ო. მალამა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე დაწერილ მოხსენებაში აღიარებდა, რომ ბათუმში მუშათა იანვრის საყოველთაო გაფიცვა გამოწვეული იყო ორი გარემოებით: ეკონომიურით და პოლიტიკურით. ეკონომიური მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ბათუმში მუშათა კლასის გამრავლებასთან დაკავშირებით გაჩნდა უმუშევრობა და საგრძნობლად დაეცა მუშათა ხელფასი.[4]

---

1 საქ. ცსსა. ფ. 10. საქმე 55, ფურც. 60.
2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 143, ფურც. 14.
3 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8. გვ. 101-102.
4 Революция 1905 — 1907 гг. в Грузии. Сборник документов, Тбилиси, 1956 г., стр. 152.

იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ რუსეთის პროლეტარიატი, მის მოკავშირე რევოლუციურ გლეხობასთან ერთად, ახალი და მრისხანე გამოსვლებისათვის ემზადებოდა.

იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვიდან პროლეტარიატმა საყოველთაო გაკვეთილი მიიღო და შესაფერი ამოცანებიც დასახა, მაგრამ არც რეაქციის ძალა იყო გულზე ხელდაკრეფილი. მეფის მსახურებმა იცოდნენ, რომ რევოლუციის პირველ ტალღას მეორე, უფრო ძლიერი ტალღა მოჰყვებოდა. ცარიზმი ეძებდა ახალ საშუალებებს მუშათა მოძრაობაში განხეთქილების შესატანად.

მას შემდეგ, რაც მუშათა შორის ეკონომიური მდგომარეობის საფუძველზე შტრეიკბეხერობის დანერგვის ცდა მარცხით დამთავრდა, ცარიზმმა კვლავ მიმართა ძველ, გაცვეთილ მეთოდს. ის მიზნად ისახავდა ეროვნებათა შორის დაენერგა სიძულვილი, რათა ამით გაეთიშა რევოლუციის ძალები და პროლეტარიატის მთლიანობა დაერღვია.

მთავრობამ ოხრანკის საშუალებით ამ მიზნის განხორციელებაში ერთგვარი წარმატება მოიპოვა.

პოლიციამ გულდასმით ჩატარებული ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ დროებით მოახერხა აქა-იქ არევ-დარევა შეეტანა ჩაგრულ ხალხთა ურთიერთობაში, გამოეწვია ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტა, დაბრკოლება შეუქმნა მათ ინტერნაციონალურ ძმობასა და სოლიდარობას. სრულიად მოულოდნელად მთავრობის პოლიტიკის მიერ ოსტატურად დაგებულ პროვოკაციულ ანკესზე უნებლიეთ წამოეგო მუშათა კლასის ერთი შეუგნებელი ნაწილი. 1905 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის ბაქოში მოწყობილ, უმაგალითო ტრაგიკული ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი გახდა მრავალი უდანაშაულო ადამიანი.

შებრძოლი პროლეტარიატის რიგების შემჭიდროების განსაკუთრებული საჭიროების ჟამს, როდესაც პარტიაში ყოველგვარი ფრაქციულობისა და გათიშულობის ცდა მუშათა კლასის საქმისადმი ღალატს უდრიდა, მენშევიკებმა დრო იხელთეს და ერთიანობისათვის ბრძოლის ნაცვლად ბათუმის კომიტეტის ლენინური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს.

მენშევიკ-გამთიშველებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ იერიში მაშინ მიიტანეს, როდესაც კომიტეტის სხდომას არ ესწრებოდა

მისი ყველა წევრი. მენშევიკებმა შექმნეს მენშევიკური კომიტეტი, რომელსაც ცენტრიდან არავითარი დასტური, ან რწმუნება არ მიუღია.

რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე შეიმუშავა და გამოსცა საგანგებო პროკლამაცია — „ბათუმს ყველა მუშას“, რითაც ამხილა მენშევიკთა უხამსი საქციელი და ყველა პროფესიონალ რევოლუციონერსა და მუშას მოუწოდა პარტიული დისციპლინის მტკიცედ დაცვისაკენ[1].

მენშევიკ ფრაქციონერთა მიერ მოღალატური როლის შესრულების მიუხედავად. ბათუმში პოლიციელმა პროვოკატორებმა მუშათა შორის ეროვნული შუღლის შესატანად საჭირო ნიადაგი ვერ ჰპოვეს. ეს უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ აქ, მუშებში, ადრევე ფართოდ იყო გავრცელებული ერთა თანამეგობრობის პროლეტარულ-ინტერნაციონალური ლენინური იდეა.

ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა ბაქოსა და ნახჭევანის ტრაგიკული ამბები გაემეორებინა ბათუმშიც, მაგრამ ეროვნული სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდილმა ბათუმის პროლეტარიატმა ეს მზაკვრული ცდა ჩაშალა. 18 თებერვალს, ბათუმში მეფის ოხრანიკის მიერ პროვოკაციულად მოწყობილ ბაქოს მშრომელთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის საპროტესტოდ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი და სამგლოვიარო საღამო. სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა დაგმეს ცარიზმის მხეცური კაციჯამიობის პოლიტიკა და ხალხს ეროვნული სოლიდარობისაკენ მოუწოდეს. ბოლშევიკ ორატორთა გამოსვლას ბათუმის მუშათა კლასი მხურვალე მოწონებით შეხვდა.[2]

1905 წლის 20 თებერვალს, ქ. ბათუმში, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის შენობაში, შედგა პანაშვიდი ბაქოში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის დროს დაღუპულთა მოსახსენებლად. პანაშვიდის მოწყობაში ოფიციალურად მონაწილეობდა თბილისიდან სპეციალურად ჩამოსული ეპისკოპოსი კერაკინ სატოვიანი, ხოლო ფარულად — ადგილობრივი ხელისუფლების აგენტები.

შეკრებაზე მოწვეული იყვნენ ბათუმელი მუსლიმანები და ქრისტიანი სომხები, მაგრამ იმათ გარდა დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, (1903—1905 წ.წ.), სახელგამი, 1955 წ, გვ. 387—389.

2 სჰქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 105.

კრებაზე ჯერ კიდევ დილიდანვე თითო-თითოდ დაიწყეს მოსვლა ყველა ქარხნის მუშებმა.

საეკლესიო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ეპისკოპოსმა შემარიგებლური სიტყვა წარმოთქვა.

ეპისკოპოსის გამოსვლის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა გამართეს მიტინგი, რომელიც აშკარად იყო მიმართული არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ერთ-ერთი ორატორი ქალი, რომელმაც ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ შოუწოდა. საყურადღებო სიტყვით გამოვიდა როტშილდის ქარხნის მუშა — ბელოვი. მან მრავალათასიან მიტინგზე განაცხადა: „რუსეთი ღატაკია, ომმა ჩაყლაპა ყველაფერი. მთავრობა გვთავაზობს მანიფესტს, რომელიც არავის არ ესაჭიროება. ძირს თვითმპყრობელობა, პოლიციელებისა და კაზაკთა მთავრობა“.

მალე გამოჩნდნენ კაზაკთა ასეულებიც. მუშებმა მიტინგი დახურეს, გამართეს დემონსტრაცია და ქუჩებში ატეხეს რევოლვერების სროლა. საქმე გართულდა. ციხის უფროსმა გახსნა საარტილერიო ცეცხლი. უიარაღო მუშები გაიფანტნენ, ხოლო შეიარაღებულნი ჩაჯდნენ ერთ-ერთი სახლის ეზოში და საპასუხო ცეცხლი დაუშინეს კაზაკებს.

შეჯახების დროს მოკლულ იქნა როტშილდის ქარხნის ერთ-ერთი მთავარი აგიტატორი და მოწინავე მუშა ვლადიმერ ბახტაძე, მოკლეს აგრეთვე 4 მუშა (მათ შორის ერთი ქალი), მძიმედ დაიჭრა 6, ხოლო მსუბუქად — 7.[1]

1905 წელს ბათუმში მოქმედებდნენ მთავრობის ადგილობრივი საიდუმლო ძალები. მათ დაკისრებული ჰქონდათ შეღწევა დაეთესათ სხვადასხვა ეროვნებათა შორის. მთავრობის ეს მოქმედება ნაკარნახევი იყო ცარიზმის კოლონიურ-შოვინისტური პოლიტიკის ინტერესებით.

ბათუმის პოლიცმეისტერი ჩიქოვანი 1905 წლის მაისში სამხედრო გუბერნატორის სახელზე შედგენილ ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში წერდა: „ებრაელთა დარბევის შემდეგ, რომელსაც მთავრობას აბრალებდნენ, საჭირო იყო მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის მომხდარიყო ასეთივე დაჯახება, რომ ხალხს ეთქვა: „აქ ნაცია არაფერს შუაშია, არამედ მთავარია რელიგიური განსხვა-

1 აჭარის ასსრ სახ არქივი, ფ. № 1, აღწ. 1, საქმე 144, ფურც.16-18.

ვებაო.“ და ეს ამოცანა შესრულებულ იქნა სომეხი ქრისტიანებისა და მაჰმადიანთა შეჯახებით“.[1]

ბათუმის მუშათა პროლეტარულ-ინტერნაციონალური გრძნობა არ შერყეულა რევოლუციის მთელს პერიოდში.

5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, არტაანის პოლკის სასულე ორკესტრი ბათუმის ბულვარში უკრავდა. მას გარს შემოეხვია 300-მდე მოქალაქე, უმთავრესად, როტშილდის ქარხნის მუშები და მკაცრად მოითხოვეს მუსიკის შეწყვეტა. აღელვებულმა ხალხმა მუსიკოსებს ქვები დაუშინა — „ნახჭავანში უდანაშაულო ხალხი იხოცება, თქვენ კი მუსიკას უკრავთ“, — ყვიროდნენ ისინი. ხალხსა და იქ მყოფ ოფიცრობას შორის მოხდა შეტაკება, ორივე მხრიდან ატყდა სროლა, რომლის დროსაც მძიმედ დაიჭრა 2 მუშა. მუსიკოსები იძულებული გახდნენ გაფანტულიყვნენ.[2]

ბათუმში მეფის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა რევოლუციურ მოძრაობაში განხეთქილების შესატანად სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტვა ვერ მოაწყეს; ამიტომ გადაწყვიტეს სომეხ ქრისტიანებსა და მაჰმადიან აჭარლებს შორის ჩამოეგდოთ კონფლიქტი და საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მიეყვანათ.

მთავრობის გეგმის განხორციელების მიზნით პოლიცმეისტერმა ჩიქოვანმა 200 მანეთი შეაძლია ერთ ახალგაზრდა კაცს თუფალბეგ შერვაშიძის და სხვა გავლენიან აჭარელ მაჰმადიან ქართველთა მონაკლავად, მაგრამ ჩიქოვანის მოქმედება, დროზე შეიტყო თ. შერვაშიძემ და პოლიციის ოინები ჩაიფუშა. პოლიცმეისტერი ჩიქოვანი იძულებული გახდა ბათუმიდან გაპარულიყო.[3]

რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მაღალიდეური და მტკიცე პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობის შედეგად ბათუმში სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის ინტერნაციონალური სულისკვეთება დამყარდა.

კომუნისტური, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა განსაკუთრებით ფართო გაერცელება ჰპოვა ბათუმის მშრომელ მოსახლეობაში.

კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნულ ვორონცოვ-დაშკოვს თავისი კანცელარია გულისტკივილით განუმარტავ-

---

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 144, ფურც. 106—108.

2 საქ. ცსსა, ფ. 10. საქმე 55, ფურც. 105, აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 3, აღწ. 1, საქმე 144, ფურც. 82.

3 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 144, ფურც. 106—110.

და რომ ქართველებსა და სომხებს შორის უკანასკნელ ხანებში არის დაძმობილების ტენდენცია. კანცელარია ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა, რომ უკანასკნელ ხანებში რსდმპ კომიტეტები ამიერკავკასიის ყველა დიდ ქალაქშია შექმნილი, მაგრამ პროპაგანდის განსაკუთრებული კერა ბათუმის კომიტეტიაო.[1]

იმისათვის, რომ ბათუმში მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას მტკიცე ორგანიზაციული და შეგნებული პოლიტიკური ხასიათი მიცემოდა, რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა პროკლამაციის სახით დაბეჭდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა შემდეგი საპროტესტო მოთხოვნები: „ჩვენ, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები, გიმნაზიის მმართველობას ვუდგენთ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ნუ გარიცხავენ და ნუ დასჯიან ნურავის ამ გაფიცვის გამო;
2. ყველა დაპატიმრებული ამხანაგის დაუყოვნებლივი განთავისუფლება;
3. მოწაფეებს ზრდილობიანად მოეპყრან მასწავლებლები და უფროსები, განსაკუთრებით ჰერცი, ჟელტუხინი, ხარიტონოვი, დე სანტ-მარი და კაზანსკი;
4. სავალდებულო არ იყოს ეკლესიაში სიარული;
5. თეატრში თავისუფალი სიარული;
6. შემცირდეს სწავლის ქირა".[2]

მოსწავლეთა საპროტესტო მოწოდების გამოცემამ დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა იქონია ახალგაზრდობაში. გიმნაზიელებს გამოეხმაურნენ ბათუმის სხვა სკოლებიც, რომლებიც აგრეთვე აწყობდნენ გაფიცვებს და აქტიურად მონაწილეობდნენ საყოველთაო მანიფესტაციებში.

ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტის წინაშე იდგა. ცარიზმის ერთგული მსახურები ძრწოდნენ. რუსეთში განათლების რეაქციონერ მოღვაწეთა ძველი ილუზია, რომ თითქოს სკოლები არსებული წყობილების ერთგულ მსახურებს ზრდიდნენ, გაქრა. გაფიცულმა მოსწავლეებმა სახალხო განათლების მინისტრს „სახალხო დაბნელების მინისტრი" შეარქვეს.

გიმნაზიის დირექტორმა ვინოგრადოვმა სცადა მშობელთა გავლენა გამოეყენებინა მოსწავლეთა მოსათვინიერებლად, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 8 თებერვალს გიმნაზიის დირექტორმა გამოაცხადა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავრმართებლის

1 საქ. ცსსა, ფონდი 39, საქმე 254, ფურც. 12-14.
2 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903-1905 წ.წ.), 1955 წ., გვ. 313.

განკარგულება ბათუმის გიმნაზიის დახურვის შესახებ. გიმნაზიის გარეთ დარჩა დაახლოებით 500 მოსწავლე.

ამასთან დაკავშირებით ქალაქის თვითმმართველობამ 10 თებერვალს, ივ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, მთავარმმართებელთან გააგზავნა სპეციალური დეპუტაცია თხოვნით, შეეცვალა განკარგულება ბათუმის გიმნაზიის დახურვის შესახებ.

დეპუტაციის თხოვნა შეწყნარებულ იქნა. თებერვლის შუა რიცხვებიდან გიმნაზიაში მეცადინეობა განახლდა. მთავრობა იძულებული იყო რევოლუციონერ მოსწავლეთა გულის მოსაგებად სწავლის ქირა 30 მანეთამდე შეემცირებინა და სხვ.[1]

იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ მუშათა რევოლუციური განწყობილება ბათუმში მთავრობისათვის კვლავ საგანგაშო იყო. გაფიცვებს სისტემატური ხასიათი მიეცა.

1902 წლის 9 მარტს მომხდარი სისხლიანი ამბების 3 წლისთავი ბათუმის მუშებმა ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვით აღნიშნეს. ადგილობრივმა მთავრობამ წინდაწინ იცოდა ბათუმის კომიტეტის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერი გააწყო.[2]

9 მარტს მეფემ, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წარდგინების საფუძველზე, დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.[3] ქალაქი ყველაზე უფრო საიმედო ასეულებით გაამაგრეს. მოქალაქეთა მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრება ბათუმში ყოველდღიური ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი გახდა.

რუსეთის პროლეტარიატი, რევოლუციური აღმავლობის პირობებში ხვდებოდა მუშათა საერთო დღესასწაულს — პირველ მაისს. ბოლშევიკებმა პირველი მაისის დღესასწაული კარგად გამოიყენეს მშრომელთა საბრძოლო სულისკვეთების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

პირველი მაისის დღესასწაულის წინადღეებში ვ. ი. ლენინმა რუსეთის პროლეტარიატს მიმართა მოწოდებით, რომელიც პროკლამაციად გამოსცა „უმრავლესობის“ კომიტეტის ბიურომ და „ვპერიოდის“ რედაქციამ.

---

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 132—138. აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 6, საქმე 287, ფურც. 14.

2 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 4, საქმე 302, ფურც. 9—12.

3 Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1956 г., стр. 138, 145, 146.

პროკლამაცია მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა ხელში აეღოთ იარაღი და დაემხოთ მეფის მთავრობა[1].

საპირველმაისო დღესასწაული რუსეთის პროლეტარიატთან ერთად დიდი პათოსით აღნიშნა საქართველოს მუშათა კლასმა. მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივმა მთავრობამ წინასწარ ფეხზე დააყენა პოლიცია და კაზაკთა პოლკები, ბათუმში საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარება ვერ მოხერხდა.

რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა გადაწყვიტა 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავი ზეიმი ჩაეტარებინა 8 მაისს, სოფ. ურეხში, ჩვეულებრივ კვირა დღეს, ხალხთა საკრებულო ადგილას. პოლიციისაგან სრულიად მოულოდნელად ურეხში კომიტეტის მიერ დანიშნულ ადგილას შეიქმნა ბათუმის მუშათა მიტინგი, სადაც 2.000-ზე მეტმა მუშამ მოიყარა თავი.

მიტინგზე მენშევიკებმა ბოლშევიკებს თავზე მოახვიეს პარტიული დისკუსია.

ამ მიტინგის შესახებ ბათუმის გენერალ-გუბერნატორს პოლიცმეისტერი ჩიქოვანი საიდუმლო პატაკით მოახსენებდა, რომ „უმცირესობამ“ მოითხოვა — დავკმაყოფილდეთ ეკონომიური მოთხოვნების წამოყენებით, შევწყვიტოთ გაფიცვები და ქუჩებში დროშებით გამოსვლები, რადგან მთავრობა ძლიერიაო. „უმრავლესობამ“ წამოაყენა საწინააღმდეგო მოთხოვნები, მაგრამ „უმცირესობასთან“ მათ ვერაფერი გაიტანეს. „უმცირესობა“ ფაქტიურად იყო „უმრავლესობა“. ხალხი დაიშალა უმალვე, როგორც კი ჯარის ნაწილები გამოჩნდნენ.[2]

დისპუტზე სიტყვით გამოვიდნენ მუშა ფეოდოროვი (ბოლშევიკი), კარლო ჩხეიძე (მენშევიკი) და სხვები.[3]

მენშევიკებმა უღალატეს რა რევოლუციური მარქსიზმის ძირითად პრინციპებს, წინ აღუდგნენ ვ. ი. ლენინის საპირველმაისო მოწოდებას და თავიანთი ოპორტუნისტული ლოზუნგებით ფაქტიურად დაეშვნენ სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკური მოთხოვნების დონემდე. ამის შესახებ 1905 წლის 28 ივნისს მ. გ. ცხაკაია ვ. ი. ლენინს ერთ-ერთ წერილში ატყობინებდა: „საქმის მდგომარეობა ბათუმსა და გურიაში ძალზე ცუდია, მე ვლაპარაკობ არა მარტო „ბოლშევიკების“ პოზიციის აზრით. მენშევიკების ანარქისტული გაფიცვობიასა და „დემაგოგი-

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, 1949 წ., გვ. 411-412.
2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 113, აღწ. 1, საქმე 144; ფურც. 85-86.
3 ბათუმის რევ. მუზეუმი, ფ. 4, საქმე 302, ფურც. 8—12.

ური“ ჩარევის წყალობით, ჩემი იქ არყოფნის დროს, — ყველა ქარხანა დაკეტილია, მუშები გაფანტული არიან. არსებობს ორი კ (ომიტე) ტი,—ორთავე უმუშებოდ... ისტორიული მემკვიდრეობითობა აქვს ძველ კ (ომიტე) (ტს) (ბოლ.), თუმცა ახალი კ (ომიტე) ტი თავს დაესხა მას: 1) შეიჭრა, ძალით წაართვა ტექნიკა და 2) სალარო, — წმინდა ბანდიტურად, რაზეც ძველმა კ (ომიტეტ)მა მაისის მიწურულში, რომელიც საქმეებს არ აბარებდა, და სრულიადაც არ ჰქონდა სურვილი... გააპროტესტა და ორი სამი პროკლამაცია გამოუშვა...“[1]

მენშევიკების ასეთი გამთიშველი ანარქისტული და დემაგოგიური გამოსვლა ზიანს აყენებდა რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ორგანიზაციულ და იდეურ საქმიანობას, აბრკოლებდა ბათუმის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება, თბილისიდან დახმარების გაწევა, რაც კარგად განახორციელეს საქართველოს გამოჩენილმა პროფესიონალ რევოლუციონერებმა.

თებერვლის პირველი ნახევრიდან ბათუმში მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებში ურთიერთობა ადმინისტრაციასა და მუშებს შორის ყოველდღიურად მწვავდებოდა. კაპიტალისტები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. მუშებმა მიაღწიეს ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას, რაც მძაფრი პოლიტიკური ბრძოლით იყო მოპოვებული.

ბათუმის პროლეტარიატი რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის მაგალითებს კარგად სწავლობდა. ამ გაკვეთილებსა და მითითებებს ისინი ღებულობდნენ ადგილობრივი კომუნისტებისაგან და აგრეთვე მრავალრიცხოვანი საგაზეთო წერილებიდან და პროკლამაციებიდან, რომელთა უმრავლესობა ი. სტალინის, ა. წულუკიძის. ფ. მახარაძისა და მ. ცხაკაიას მიერ იყო დაწერილი.

ბათუმში უკვე მაისიდან შეიმჩნეოდა ახალი რევოლუციური ტალღების აზვირთების პირველი ნიშნები. 26 მაისიდან თანდათან იფიცებოდნენ შინამოსამსახურენი, სასადილოების, რესტორნების, სასტუმროებისა და სხვ. მოსამსახურენი. გაფიცვაში ჩაებნენ ნოქრებიც. გაფიცულები ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის

1 ი. ხუციშვილი, „ერთი ფრიად საყურადღებო საბუთის შესახებ“. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 57, 1955 წ., გვ. 348.

შემცირებას მოითხოვდნენ.[1] ფაბრიკა-ქარხნების მუშები მიღწეულით არ კმაყოფილდებოდნენ და ახლა უფრო გაზრდილი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებისათვის ემზადებოდნენ. მუშები ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაციას რიგ სხვა მოთხოვნებთან ერთად უყენებდნენ პეტიციას, რომ სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის უფლება მუშების ინტერესების დამცველ კომიტეტს გადასცემოდა.

ბოლშევიკები პროლეტარიატს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ბათუმის პროლეტარიატი იერიშისათვის ემზადებოდა. რეაქციის ძალებიც გააქტიურდნენ და ძალას იკრებდნენ. სამხედრო წესების შემოღების შემდეგ ისინი რევოლუციის წინააღმდეგ კონტრდარტყმისათვის ემზადებოდნენ. მრეწველ-კაპიტალისტები მთავრობის სპეციალურმა ღონისძიებებმა გაამხნევა. მათ დაიწყეს მუქარა, რომ თუ მუშები გაფიცვებს თავს არ დაანებებდნენ, დახურავდნენ თავიანთ საწარმოებს და მათ ულუკმაპუროდ დასტოვებდნენ. და მართლაც, კაპიტალისტების ერთმა ნაწილმა ლოკაუტი გამოაცხადა. ასობით მუშა ქუჩაში დარჩა. კაპიტალისტებმა მთელი რუსეთის მასშტაბით შეკრეს პირი, რომ ერთიანი ბრძოლა გაეჩაღებინათ მუშათა კლასის წინააღმდეგ. შედგა კაპიტალისტთა რუსეთის კავშირის ყრილობა ცნობილი მილიონერის მოროზოვის ხელმძღვანელობით. ყრილობამ სათანადო მითითებანი მისცა კაპიტალისტებს, ადგილებზე მუშების წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებისა და საერთო გეგმის შემუშავების შესახებ. ამით მათ უნდოდათ გაეტეხათ პროლეტარიატის ბრძოლის უნარი, შეერყიათ მუშათა დარაზმულობა და ერთსულოვნება, რათა შემდეგში ახალ მიღებულ მუშებისათვის, წარმოების განახლების დროს, ეკარნახათ თავიანთი სურვილები. ეს იყო კაპიტალისტების გაფიცვა პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მენავთობე კაპიტალისტები ხალისიანად დაირაზმნენ შეთქმულთა ატამანის გარშემო. 29 მაისს თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა „მანთაშევი და კომპ.“ საზოგადოების დირექტორი ტიგრანოვი, რომელმაც გამოუცხადა მუშებს ბაქოს მენავთობე აქციონერთა 26 მაისის საერთო კრების დადგენილება: „წინადადება მიეცეს მუშებს იმუშაონ ძველ პირობებში, ხოლო ქარხნებმა კვირაში იმუშაოს მხოლოდ სამი დღე; თუ მუშები ამაზე არ დათანხმდებიან, მაშინ ქარხნები დაიხუროს.“ დირექტორ ტიგრანოვის ამ განცხადებას მუშე-

1 საქ. ცსსა, ფ. 19, საქმე 55, ფურც. 166.

ბი აბსოლუტური დუმილით შეხვდნენ და დაიშალნენ. 30 მაისს ქარხანაში გამოკრულ იქნა განცხადება, რომ 2 ივლისიდან ქარხანა დახურულია და მუშებს ანგარიშს გაუსწორებენ ორი კვირის ჯამაგირის ქვალობაზეო.[1]

პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ამ გააფთრებული შემოტევის შესახებ ი. ბ. სტალინი წერდა: „იანვრის ეკონომიური გაფიცვები შემობრუნების პუნქტი აღმოჩნდა. კაპიტალისტები დაფაცურდნენ და ადგილობრივი კავშირების შედგენა დაიწყეს. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, რიგის და სხვა ქალაქთა კაპიტალისტების კავშირები იანვრის გაფიცვებმა გამოიწვია. რაც შეეხება ნავთის, შავი ქვის, ქვანახშირისა და შაქრის წარმოების კაპიტალისტებს, ამათ თავიანთი ძველი და „მშვიდობიანი“ კავშირები „ბრძოლის“ კავშირებად გადააქციეს და პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ. მაგრამ კაპიტალისტებმა ეს არ იკმარეს. მათ მთელი რუსეთის კავშირის შედგენა მოინდომეს და, აი, 1905 წლის მარტში, მოროზოვის თაოსნობით, საერთო ყრილობაზე შეიკრიბნენ მოსკოვში. ეს პირველი ყრილობა იყო მთელი რუსეთის კაპიტალისტებისა. აქ მათ ხელშეკრულება დასდეს, რომლის ძალითაც ისინი ვალდებული ხდებიან უერთმანეთოდ აღარ დაუთმონ მუშებს და „უკიდურეს“ შემთხვევაში ლოკაუტი გამოუცხადონ მათ. აქედან იწყება კაპიტალისტების სასტიკი ბრძოლა პროლეტარებთან. აქედან იწყება ხანა რუსეთის დიდი ლოკაუტებისა...

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ უკვე ცალკე კლასადაა დარაზმული რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია, მას აქვს თავისი ადგილობრივი, საოლქო და ცენტრალური ორგანიზაციები და შეუძლია ერთ გეგმაზე აამოძრაოს მთელი რუსეთის კაპიტალისტები.

ხელფასის დაწევა, სამუშაო დღის გადიდება, პროლეტარიატის წელში გატეხა და მისი ორგანიზაციების დანგრევა, — ასეთია მიზანი კაპიტალისტების საერთო კავშირისა“.[2] 1 მარტს დროებით შეჩერდა, ხოლო შემდეგ მთლიანად დაიხურა როტშილდის ქარხანა, მის მაგალითზე მუშაობა შეწყვიტეს ხაჩატურიანცისა და სხვა ფაბრიკა-ქარხნებმა. ბათუმში მასობრივი ლოკაუტების გამოცხადებასთან დაკავშირებით უმუშევრად დარჩა რამდენიმე ათასი მუშა, რამაც კიდევ უფრო მეტი სიძნელეები შექმნა და უფრო მეტად გაამწვავა კლასობრივი ანტაგონიზმი. ბათუმელმა უმუშევრებმა სოფ-

1 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 144, ფურც. 114-115.
2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, 1947 წ., გვ. 262—264.

ლებს მიაშურეს და გლეხობა დარაზმეს შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ბოლშევიკებმა ბათუმში დარჩენილ მუშათა შორის ყოველმხრივ გაშალეს რევოლუციური პროპაგანდა. ისინი სულიერად ამხნევებდნენ მუშებს. უმტკიცებდნენ მათ, რომ გააფთრებული კონკურენცია და ჭიშპობა კაპიტალისტების ბუნებაა, ამიტომ, მათი ეკონომიური შეთანხმება დღემოკლეა. ბოლშევიკების მტკიცების სისწორე ცხოვრების გამოცდილებამ დაადასტურა.

1905 წლის ზაფხულის თვეები რევოლუციური მოძრაობის შემდგომი ზრდით აღინიშნა მთელს რუსეთში. საყურადღებო მოვლენა იყო ლოძის მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. რევოლუციის მთელ მსვლელობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო, აგრეთვე, აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ (1905 წლის ივნისი). ეს იყო რევოლუციის მხარეზე არმიის გადასვლის პირველი დიდი ფაქტი, რომელსაც რევოლუციის ბელადმა ვ. ი. ლენინმა ფრიად მაღალი შეფასება მისცა.[1]

„პოტიომკინზე“ აჯანყებამ საქართველოს ქალაქთა შორის უველაზე უფრო დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ბათუმზე, აქაურს მუშებზე და ჯარის ნაწილებზე. დიდი გავლენა მოახდინა, აგრეთვე, 1905 წლის ივნისში თვალსაჩინო ბოლშევიკის ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებამ, რომლის დასაფლავებაც გრანდიოზულ რევოლუციურ დემონსტრაციად იქცა. ბათუმის პროლეტარიატი განსაკუთრებული გულისტკივილით განიცდიდა თავისი ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის ა. წულუკიძის უდროოდ დაღუპვას.

მართალია, ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის ხელისშემშლელი ერთ-ერთი მიზეზი იყო ფაბრიკა-ქარხნების მასობრივად დახურვა, მაგრამ მან პროლეტარიატის ნებისყოფა ვერ გატეხა; იგი ივლისის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას გულმხურვალედ გამოეხმაურა. 20 ივნისს თბილისში დაწყებული საგაფიცვო მოძრაობის ტალღა სწრაფად გავრცელდა მთელს საქართველოში.

ბათუმში 24 ივნისს, დილის 8 საათზე, გაფიცვა გამოაცხადეს ორთქლმავლის მემანქანეებმა და რკინიგზის საბარგო სადგურის მტვირთავმა მუშებმა. 25 ივნისს გამოცხადდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. დილის 9 საათიდან დაიხურა უველა მაღაზია, გა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 666-667.

ფიცვაში მონაწილეობდა თითქმის ყველა ნოქარი, სასადილოების, რესტორნების და სასტუმროების მუშაკები. ქუჩებში ეტლების მოძრაობა შეწყდა. საყოველთაო გაფიცვა ერთ კვირას გაგრძელდა.[1]

ივნისის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ ნათელი გახადა, რომ მარტო ლოკაუტებით და პოლიციური რეპრესიებით რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა საიმედო შედეგის მომცემი არ იყო. მთავრობამ საჭიროდ დაინახა მუშათა საბრძოლო რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების მიზნით დროებით ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. ასეთ ღონისძიებათა რიგს ეკუთვნოდა დათმობა რკინიგზელთა მიმართ. ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და 27 ივნისს გაფიცულები სამუშაოს დაუბრუნდნენ. 30 ივნისს შეწყდა ნოქართა გაფიცვა, მას შემდეგ, რაც მათი მოთხოვნაც დაკმაყოფილებულ იქნა.

როგორც ცნობილია, 1864 წლის საერობო დებულება არ გავრცელებულა საქართველოსა და ამიერკავკასიაზე. მეფის ხელისუფლების კავკასიის წარმომადგენლებმა 1905 წლის ზაფხულში ხელი ჩასჭიდეს დრომოჭმულ „ერობებს“ და მით სცადეს კავკასიის ხალხთა „გაბედნიერება“.[2]

საქართველოს ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები სიხარულით შეხვდნენ მთავრობის ამ „წყალობას“, მხოლოდ ბოლშევიკები იდგნენ რევოლუციის ინტერესების სადარაჯოზე. ისინი ააშკარავებდნენ მთავრობის ოინბაზურ მანევრებს და მასებს განუმარტავდნენ „ერობის“ უსაგნობას.

ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც ოცნებობდა კონსტიტუციური მონარქიის დამყარებაზე, გვერდში ამოუდგა მთავრობას და მხურვალე მონაწილეობა მიიღო საერობო კამპანიაში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საერობო კამპანიას სიძულვილით შეხვდა საქართველოს რევოლუციური მუშათა კლასი.

29 აგვისტოს თბილისში ქალაქის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში მთავრობის საერობო თვალთმაქცობის წინააღმდეგ მამხილებელი საპროტესტო სიტყვით გამოვიდნენ თბილისელი მშრომელები. პოლიციამ და კაზაკებმა სხდომას ტყვიები დაუშინეს და დამსწრენი უმოწყალოდ გაჟლიტეს. ასე დაიწყო მეფის მთავრობის საერობო „პარლამენტარული“ კონსტიტუციური დაპირებების

---

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 168.

2 ი. გ. ბუცხრიკიძე, რევოლუციური მოძრაობის განვითარება საქართველოში 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. კრებული—„1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, 1955 წ., გვ. 204-205.

განაღდება. თბილისის ტრაგედიის განმეორებას შემთხვევით გადაურჩა ბათუმის პროლეტარიატი.

სწორედ იმავე 29 აგვისტოს, ღამის 5 საათზე, ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის შენობაში გაიმართა ხალხმრავალი კრება. სიტყვით გამოსულმა მუშებმა სასტიკად გაილაშქრეს მთავრობის თვალთმაქცური რეფორმის წინააღმდეგ. კრებაზე მოულოდნელად გამოცხადდა პოლიცმეისტერი, რომელმაც ხალხს გუბერნატორის სახელით წინადადება მისცა დაშლილიყო. აღელვებულმა ხალხმა უპასუხა შეძახილით: „ძირს პოლიცია“. განრისხებულმა პოლიცმეისტერმა დამსჯელ რაზმს გამოუძახა. მაგრამ სისხლის ღვრა არ მომხდარა. კრების მონაწილეებმა უმიზნო შეტაკებას თავი აარიდეს და დროზე დაიშალნენ. პოლიცმეისტერის დასმენით იმავე საღამოს დააპატიმრეს ექვმიტანილი პირები.[1]

აგვისტოს ამბებმა ბათუმის პროლეტარიატს არსებული წყობილების სიძულვილი კიდევ უფრო გაუღვივა და იგი მომავალი ბრძოლისათვის მოამზადა.

რუსეთის გმირულმა პროლეტარიატმა გაზაფხულსა და ზაფხულში შეუპოვარი ბრძოლები გააჩაღა. ბრძოლაში იგი პოლიტიკურად გაიზარდა და მდიდარი გამოცდილება დააგროვა. 1903 წ. შემოდგომაზე ნიადაგი მზად იყო სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის. რევოლუციის ახალი ტალღა, რომელიც პეტერბურგსა და მოსკოვში აზვირთდა, მთელს რუსეთს მოედო. დაიწყო ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის სახელოვანი დღეები, რომლებმაც მთელს ამიერკავკასიასთან ერთად მძლავრი გამოძახილი ჰპოვა ბათუმშიც.

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის ბათუმისა და ფოთის პროლეტარიატი შეთანხმებულად ეზადებოდნენ. 15 ოქტომბერს ბათუმსა და ფოთში ერთდროულად გაიფიცნენ მუშები და მოსამსახურეები. კარგად ორგანიზებულმა საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ პოლიციას თავზარი დასცა. ნატანებსა და სუფსას შორის მატარებლების მოძრაობა შეწყდა. გაფიცულებმა რკინიგზის ლიანდაგი აყარეს. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა და მოსახლეობას მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მოეთხოვა სამხედრო წესების მოხსნა და კავკასიიდან ჯარების გაყ-

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 202.

ვანა.[1] ცარიზმის წინააღმდეგ ხელახლა აღსდგა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ახალგაზრდობა. მან ჯერ კიდევ 7 ოქტომბერს გამოაცხადა გაფიცვა. გაფიცულებმა მოითხოვეს დირექტორ ვინოგრადოვის სამსახურიდან გადადგომა. 15 ოქტომბერს, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადების შემდეგ, გიმნაზიელებმა საგაფიცვო მოძრაობაში ჩააბეს ბათუმის ყველა სკოლა.[2]

15 ოქტომბრიდან თბილისი-ბათუმს შორის სატელეგრაფო კავშირი შეწყდა. შეჩერდა მატარებლების მოძრაობა, რადგან წინა ღამით გაფიცულებმა საგრძნობლად დააზიანეს როგორც ტელეგრაფი, ისე რკინიგზა.

15 ოქტომბერს ბათუმში დახურული იყო ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება და აფთიაქი. გაიფიცნენ მეეტლეები, გაფიცვების გამო მეცადინეობა შეწყვეტილი იყო ქალაქის ყველა სკოლაში. გაფიცვაში ჩაება ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეები. აგიტატორები ყველგან ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რითაც მოსახლეობას არსებული წყობილების დამხობისაკენ მოუწოდებდნენ. 16 ოქტომბერს ხორცით და სხვა პროდუქტებით მომარაგებასა და ვაჭრობაში მთავრობამ ჯარისკაცების შრომა და მეთვალყურეობა დააწესა. მთავრობის დაწესებულებებს ყველგან იცავდნენ კაზაკთა პატრულები. გაფიცულებმა მოჰკლეს ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი. 17 ოქტომბერს გაიფიცნენ ელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეები. 18 ოქტომბერს მოჰკლეს გოროდოვოი და მანთაშევის ქარხნის კარიბჭესთან დასჭრეს პოლიცმეისტერის თანაშემწე და მეეზოვე. მუშებსა და ჯარის ნაწილებს შორის შეტაკებაში დაიჭრა ერთი კაზაკი და ერთი რიგითი ჯარისკაცი.[3]

როგორც ცნობილია, მასების რევოლუციური შეტევის გამო მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიც მოსახლეობას ფარისევლურად აღუთქვამდა საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას, პრესისა და სიტყვის თავისუფლებას.

მთავრობას გვერდში ამოუდგნენ არისტოკრატები, ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლები, მენშევიკები ოპორტუნისტებ• და სხვ.

ბურჟუაზია რევოლუციის დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდა პროლეტარიატის ბრძოლის შედეგებით ესარგებლა და გამ-

1 საქ. ცსსა. ფ. 10. საქმე 55, ფურც. 235—237.

2 Революция 1905 — 1907 гг. в Грузии. Сборник документов, 1956 г., Тбилиси, стр. 361.

3 იქვე, გვ. 395-396.

ძვრალიყო სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. ბურჟუაზია მეფის მთავრობას პოლიტიკური დათმობებისაკენ უბიძგებდა და ევაჭრებოდა. ბოლოს, საკმაოდ გვიან, მეფის მთავრობა მიხვდა, რომ რევოლუციური აფეთქება გარდუვალი იყო და უკან დაიხია.

ბოლშევიკ-ლენინელებმა დაუყოვნებლივ ამხილეს მეფის „წყალობის“ ნამდვილი მიზნები და ამოცანები. ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებდნენ, არ მოტყუებულიყვნენ მეფის „მანიფესტით“, არ დაეყარათ იარაღი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაერაზმათ თავიანთი რიგები და გარკვეულიყვნენ ბურჟუაზიის ნამდვილ განზრახვებში.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი 19 ოქტომბერს გამანადგურებელი კრიტიკით გამოვიდა 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ და მუშათა კლასს დაუსახა ლოზუნგი: „ბრძოლის ენერგიული განგრძობა, ახალი დაპყრობილი პოზიციების გამოყენება შეტევის განსაგრძობად, თვითმპყრობელობის ნამდვილად მოსასპობად.“[1]

ბურჟუაზია ელაქუცებოდა „მამა მეფეს“ და ცდილობდა მეფის ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის დროებით უკან დახევა დაეხატა, როგორც დიდი კონსტიტუციური მონაპოვარი. ვ. ი. ლენინმა ამხილა, რომ მტერმა უკან დაიხია და ბრძოლის ველი დაუტოვა რევოლუციურ ხალხს — უკან დაიხია ახალ პოზიციებზე, რომ იქ უკეთ გამაგრდეს, იქ თავს მოუყაროს და დარაზმავს უფრო საიმედო ძალებს და უკეთეს მომენტს შეარჩევს რევოლუციურ ძალებზე თავდასხმისათვის. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ენერგიულად განეგრძოთ უკანდახეული მტრის დევნა[2].

საქართველოს ბოლშევიკებს მშრომელები მიყავდათ ლენინის შიერ ნაჩვენები გზით. კრებებზე და ხალხმრავალ მიტინგებზე ისინი ხალხს შეიარაღებისაკენ მოუწოდებდნენ. რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტებმა გამოსცეს სპეციალური პროკლამაციები, სადაც ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებისა და აჯანყებისაკენ. პროკლამაციები ააშკარავებდნენ მეფის „მანიფესტის“ ნამდვილ მიზანსა და დანიშნულებას.

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ 17 ოქტომბრის მანიფესტის ტექსტი გამოაქვეყნა 18 ოქტომბერს. იმავე დღეს თბილისში ხალხმრავალი მანიფესტაციები და მიტინგები გაიმართა. თბილისში გამართულ მიტინგებს და დემონსტრაციებს იმთავითვე ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცა. გამოსულნი ორატორები ხალხს შეია-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, 1950 წ., გვ. 531.
2 იქვე, გვ. 528-531.

რაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, რასაც მშრომელები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

ბათუმ-თბილისს შორის მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტის გამო, მანიფესტის შესახებ ბათუმელებმა შეიტყვეს მხოლოდ 21 ოქტომბერს. მეფი სხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა ბათუმში განიზრახეს ხალხისათვის მანიფესტის გამოცხადება საზეიმო ვითარებაში ჩაეტარებინათ. ამასთან დაკავშირებით 21 ოქტომბერს მთავრობამ გენერალ-გუბერნატორ ფონ-პარკაუს მონაწილეობით ქალაქის თვითმმართველობის შენობის ეზოში მოაწყო შეკრება

გენერალმა ფონ-პარკაუმ მუშებს წაუკითხა „მანიფესტი" და განუცხადა, რომ იგი დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. გენერლის ახსნა-განმარტებებმა შეკრებილნი უფრო აღელვა. მათ მოითხოვეს პოლიციის წარმომადგენლები გაცლოდნენ ხალხის კრებას. გენერალი ფონ-პარკაუ იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა. მისი წასვლის შემდეგ გაიმართა მიტინგი, სადაც გამოსული ორატორები ზიზღსა და უკმაყოფილებას აცხადებდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო. 23 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, გაფიცულმა მუშებმა დაასაფლავეს პოლიციელებთან შეტაკების დროს მოკლული ერთ-ერთი რევოლუციონერი. დასაფლავება ძლიერ მანიფესტაციად გადაიქცა. მუშები სამგლოვიარო პროცესიაზე „მარსელიოზას" მღეროდნენ. იმავე საღამოს იყო ჯარის ნაწილებთან შეტაკების შემთხვევები. 23 ოქტომბერს რევოლუციონერებმა ქალაქის საავადმყოფოდან გააპარეს პოლიციაზე თავდასხმის დროს 2 მძიმედ დაჭრილი ამხანაგი, რომლებსაც განკურნების შემდეგ დასჯა მოელოდათ.[1]

23 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ბათუმის თეატრში ჩატარდა მშრომელი მოსახლეობის ხალხმრავალი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ზეინკალი ფეოდოროვი. მან კრებას მიმართა წინადადებით შექმნილიყო „სახალხო ბიურო" — საგაფიცვო კომიტეტი, არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა ხელმძღვანელი ბირთვი. აირჩიეს საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც შემდეგში თვალსაჩინო როლი შეასრულა ბათუმის მუშათა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში.

24 ოქტომბერს ქალაქის თეატრში ისევ შეიდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა ფეოდოროვმა.

---

[1] Революция 1905 — 1907 гг. в Грузии. Сборник документов, Тбилиси, 1956 г., стр. 410.

კრებამ განიხილა საკითხები და გამოიტანა დადგენილება: 1. სამხედრო წესების მოხსნის შესახებ; 2. ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლების და საერთოდ პოლიციის მიერ პოლიტიკური მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ; 3. ჯარისა და კაზაკების უკან გამოწვევის, ქალაქებისა და რკინიგზების ხაზებზე პოლიციური დაცვის მოსპობის შესახებ; 4. შეტყობინება იმისა, თუ რა ხდება რუსეთში; 5 მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული გურული გლეხების მიმართ რეპრესიების შეწყვეტის შესახებ და სხვა.

კრებამ მოითხოვა გუბერნატორის გამოცხადება. ეს დადგენილება გუბერნატორმა არ შეასრულა, მაშინ კრებამ გუბერნატორთან გააგზავნა დეპუტაცია პეტიციის წარსადგენად. დეპუტაციამ გუბერნატორს მოახსენა კრების გადაწყვეტილება: ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცხადებულიყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

გუბერნატორმა დელეგაცია მიიღო და უპასუხა, რომ მას არა აქვს უფლება მთავრობის ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი წესები შეცვალოს. მან რჩევა მისცა დელეგაციას კრების გადაწყვეტილების საფუძველზე შეადგინონ თხოვნა, რომელსაც ის წარუდგენს მეფისნაცვალს. დელეგაციამ კრებას მოახსენა გუბერნატორის პასუხი, რამაც კიდევ უფრო ააღელვა ხალხი. ორატორები ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებით, კრებას ალყა შემოარტყეს კაზაკებმა, რომლებსაც ნაბრძანები ქონდათ გაეჩხრიკათ კრების ყველა მონაწილე, მაგრამ ციხის კომენდანტის ბრძანება სისრულეში არ იქნა მოყვანილი. ალყაც მოხსნეს.[1]

25 ოქტომბერს ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოსწავლეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. დემონსტრანტების დაშლა ძლივს მოახერხა 30 კაზაკისაგან შემდგარმა რაზმმა და პოლიციამ. 27 ოქტომბერს, დილის 9 საათიდან, გაფიცულმა მუშებმა ბათუმის ქუჩებში მთავრობის ჩინოვნიკების, ჯაშუშებისა და შავრაზმელების წინააღმდეგ მასობრივი ტერორი გააჩაღეს. 28 ოქტომბერს მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. მანთაშევის ქარხნის ახლოს პოლიცია და ჯარის ნაწილები გაფიცულ მუშებს თავს დაესხნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც მოკლეს 5 მუშა; დიდი იყო დაჭრილთა რაოდენობაც. ამავე დღეს, საღამოს 5 საათზე, არტაანის ქუჩაზე ხერსონის პოლკსა და აჯანყებულ მუშებს შორის

1 დასახელებული წყარო, გვ. 397-399.

მოხდა შეტაკება. ბრძოლის დროს მუშებმა მაშხანებისა და რევოლ-ვერების გარდა ხელყუმბარებიც გამოიყენეს.[1]

სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მაღალი იდეურობისა და ორგანიზაციული დარაზმულობის ნიშნით ჩატარდა, უაღრესად დიდი გაკვეთილი იყო მუშათა კლასისათვის. ოქტომბრის გაკვეთილებიდან ჩანდა, რომ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, როგორც ბრძოლის ფორმა, მოძველდა, საჭირო იყო შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლა.

ახალ რევოლუციურ სიტუაციასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი გამოვიდა საპროგრამო მოწოდებით რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანების შესახებ. ვ. ი. ლენინი განუმარტავდა მუშებს საერთო ბრძოლის ხერხებსა და საშუალებებს.[2]

დიდი ლენინის მიერ დასახული საპროგრამო მითითებებით მოქმედებდა რუსეთის პროლეტარიატი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები. ამ საერთო ბრძოლაში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებზე იდგა ბათუმის მუშათა კლასი.

მთავრობის მოხელეებს წინდაწინ აფრთხობდა რევოლუციის ახალი ბობოქარი ტალღის მოახლოება. მეფის მოხელეთა შიში უსაფუძვლო არ იყო. ჯარის ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდა შეიჭრა და იგი საიმედო დასაყრდენად მთავრობას უკვე აღარ გამოადგებოდა. ჟანდარმერიის შიშს კიდევ უფრო აძლიერებდა წითელი რაზმელების და რევოლუციური მუშების კარგი სამხედრო გაწვრთნილობა და შეიარაღება. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა და მესამე ფოთისა და სოხუმის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფებმა დიდი მუშაობა გასწიეს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოსატანად. 1905 წლის 30 აპრილს პოლიციელებმა ბათუმში გახსნეს გემით მოტანილი კასრები, რომლებშიც აღმოჩნდა 12 ათასი ვაზნა და იარაღის ნაწილები.

11 ნოემბერს, ღამით, ფოთის ნავსადგურს მოადგა გემი, რომელიც დატვირთული იყო იარაღით. 15 ნოემბერს დაკავებულ იქნა კატარღა „რიონი“ 940 თოფით და 240.000 ვაზნით.[3]

რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი დიდძალი სამხედრო საჭურველი გადმოჭონდათ სოხუმის ნავსადგურიდან და მის ახლო-მახლო მიდამოებიდან. სოხუმში ხალხის შეიარაღების საქმეში რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის სოციალ-დემოკრატიული

1 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 243—246.
2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 9, 1950 წ., გვ. 517-518.
3 საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 62, ფურც. 262.

ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო გ. კ. ორჯონიკიძე.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში საბრძოლო იარაღი არა მარტო ზღვით, არამედ რკინიგზითაც შემოდიოდა.

შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ, ჯერ კიდევ 1905 წლის 16 ნოემბერს, ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს სწერდა: „ახლა ბათუმში საფრთხეს წარმოადგენს უკვე არა წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა ქალაქში, არამედ ციხე-სიმაგრის, იარაღის ხელში ჩაგდებისა და უფროსთა გაქცეტის შესაძლებლობა. ესოდენ მძიმე და სახიფათო მდგომარეობისაგან ბათუმის ოლქის ხსნა შეიძლება მხოლოდ უაღრესად ენერგიული ღონისძიებებით რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამ ღონისძიებებს მხარი დაუჭირონ ახალმა ჯარებმა, უმთავრესად კაზაკთა ჯარებმა"[1].

სამხედრო გუბერნატორისათვის ცნობილი გახდა, რომ ბათუმის მოსახლეობა შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდა დიდი ხნის განმავლობაში და ამ მიზნით ქმნიდა წითელ რაზმებს, სწავლობდა სამხედრო საქმეს, იძენდა საბრძოლო იარაღს, უცდიდა ხელსაყრელ მომენტს აჯანყების დასაწყებად.

წითელმა რაზმელებმა აჯანყებისათვის მზადება ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყეს. ჯერ კიდევ 13 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მარინეს პროსპექტზე წითელრაზმელები თავს დაესხნენ ჟანდარმთა როტმისტრს და წაართვეს 3 თოფი, 2 ხანჯალი, 2 რევოლვერი და ხმალი. 17 ნოემბერს ერთ-ერთ ქუჩაზე დახვდნენ მე-5 უბნის პოლიციელთა მეთაურს და წაართვეს რევოლვერი. იმავე საღამოს რევოლვერი წაართვეს მე-2 უბნის ერთ-ერთ უფროს პოლიციელს.

19 ნოემბერს ბათუმის რკინიგზის სადგურის ვაგონიდან გაიტაცეს 4 ფუთამდე ფეთქადი ნივთიერება და 500 ფისტონი.

20 ნოემბერს პოლიციის პირველი უბნიდან გაიტაცეს 2 ბერდანკა. 22 ნოემბერს პოლიციის III უბანს თავს დაესხნენ შეიარაღებული რაზმელები და გაიტაცეს 4 ბერდანკა და 1 რევოლვერი. იმავე ღამეს თავდასხმა განმეორდა პოლიციის II უბანზე, საიდანაც გაიტაცეს 4 ბერდანკა და ერთი რევოლვერი. მომდევნო დღეებში წითელრაზმელები დადიოდნენ ოჯახებში და ძალით იძენდნენ საბრძოლო იარაღებს.

---

1 ციტირებულია პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში". თბილისი, 1955 წ., გვ. 121.

გუბერნატორმა იარაღის დაკარგვის შიშით გასცა განკარგულება პოლიციის უბნებისათვის სათადარიგო იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-4 საპოლიციო უბანში, სასაფლაოსა და არტაანის ქუჩებზე, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, მთავრობამ გარკვეული პროფოკაციული მიზნით კაზაკებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის შეტაკება მოაწყო. 28 ნოემბერს ღამის წყვდიადში კაზაკთა ერთი ასეული დაერია ხალხს და ცივი იარაღით ქლეტა დაუწყო. მათ მოჰკლეს 7, დაჭრეს 4 მოქალაქე და გაიქცნენ.

კაზაკების მიერ ჩადენილმა უმაგალითო მხეცობამ უსაზღვროდ ააღელვა ქალაქის მთელი მოსახლეობა. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დანიშნა მიტინგი, რომელმაც გამოიტანა დადგენილება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადების შესახებ. მიტინგმა დაადგინა: 1. ხელისუფლებას დაუყოვნებლივ გაეყვანა კაზაკები ბათუმის ტერიტორიიდან; 2. მიტინგის დადგენილებას ხელისუფლება თუ არ შეასრულებდა სახალხო შეიარაღებულ რაზმებს დაუყოვნებლივ გაეჭლიტათ კაზაკთა ასეულები.

მიტინგმა ამოირჩია რწმუნებულები, რომლებმაც ულტიმატუმი წარუდგინეს გენერალ-გუბერნატორს.

გენერალ-გუბერნატორი მოთმინებიდან გამოიყვანა მიტინგის დადგენილებამ. მისი მტკიცებით, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა მოაწყეს არა კაზაკებმა, არამედ რევოლუციონერებმა, ხოლო რაც შეეხება კაზაკების ბათუმიდან გაყვანას, ამაზე გუბერნატორმა თვალთმაქცურად განაცხადა, რომ ასეთი უფლებებით აღჭურვილია ციხე-სიმაგრის კომენდანტი და კავკასიის მეფისნაცვალიო. გუბერნატორის ეს განცხადება ემსახურებოდა ვერაგულ მიზანს. როგორც ირკვევა, ადგილობრივი მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა აჯანყების დრო სხვადასხვა დაპირებებით დაეყოვნებინა, რომ ამ ხნის განმავლობაში აჯანყებულებთან ანგარიშის გასასწორებლად ართვინიდან გამოძახებულ ჯარისკაცთა (400 კაცი) ჩამოყვანა მოესწრო.

შექმნილი ვითარების გასარჩევად სასწრაფოდ მოიწვიეს სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელშიაც სამხედრო მოხელეებთან ერთად მონაწილეობდა ქალაქისთავი ანდრონიკაშვილი. სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ ბათუმის მოსახლეობა შეიარაღებულია და მზადაა აჯანყებისათვის, ხოლო ასეთ სახიფათო მომენტში ციხის გარნიზონის რიგითი შემადგენლობის განწყობილება ფრიად არასაიმე-

დოა, ამიტომ, საჭიროა მისი შეცვლა და გაძლიერება ახალი ჯარით —უმთავრესად ქაზაკებითო.

ქალაქისთავი ივ. ანდრონიკაშვილი, რომელიც კმაყოფილი იყო 17 ოქტომბრის მანიფესტში მიღებული „წყალობით“, ცდილობდა შეესრულებინა „პატიოსანი მაკლერის“ როლი და საქმე ისე წაეყვანა, რომ კარზე მომდგარი შეიარაღებული აჯანყება ჩაშლილიყო. მან სამხედრო საბჭოს სთხოვა დელეგაცია გაეგზავნათ მეფისნაცვალთან ბათუმიდან ქაზაკთა ჯარის გაყვანის ნებართვის შესახებ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი იმხანად არც არსებობდა. ივ. ანდრონიკაშვილილის წინადადება მოწონებულ იქნა, მან პირობა დასდო, რომ თბილისიდან პასუხის მოსვლამდე, სამი დღის განმავლობაში, ბათუმის მოსახლეობა სრულ სიმშვიდეს გამოიჩენდა. სამხედრო საბჭომ კავკასიის მთავრობასთან ქაზაკების ბათუმიდან გაყვანის შესახებ შუამდგომლობისათვის მიავლინა ქალაქისთავი ანდრონიკაშვილი და გარნიზონის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი მდივანი.

ანდრონიკაშვილი და მდივანი თბილისს გაემგზავრნენ. მთავრობას საქმე მოგვარებულად მიაჩნდა. ანდრონიკაშვილის მოღალატურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც ამას ერთ წერილში თვით ბათუმის სამხედრო გუბერნატორიც ააშკარავებს, „აკრიტიკებდნენ“ აჯანყების გამჩაღებლებს, ბრალს სდებდნენ მათ „აქტიური მოქმედების დაწყებაში.“[1]

თუ ანდრონიკაშვილის ცდა სამი დღის ვადით აჯანყების დაწყების გადადების შესახებ განხორციელდებოდა, მთავრობას საშუალება მიეცემოდა აჯანყებულთა მიმართ კონტრშეტევაზე გადასულიყო და მოესპო აჯანყების წამყვანი ძალები.

მაგრამ კონტრევოლუციური ძალების გეგმები კარგად იყო ცნობილი რსდმპ ბათუმის კომიტეტისა და საგაფიცვო კომიტეტისათვის, მათ მოურიდებლად ამხილეს კონტრრევოლუციური ძალებისა და მათთან მიტმასნილი ლიბერალური ბურჟუაზიის ოინები და ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდეს. ქალაქის მშრომელი მოსახლეობა მხურვალედ გამოეხმაურა ბოლშევიკ-ლენინელების მოწოდებას, უკუაგდო მთავრობასთან შერიგების პოლიტიკა და დაადგა შეიარაღებული აჯანყების გზას.

[1] Революция 1905 — 1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1956 г., стр. 513.

29 ნოემბერს ქალაქის მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობამ იარაღი აიღო და საბრძოლველად გამოვიდა. პოლიციელებზე თავდასხმა გაბშირდა ღამით. 60 შეიარაღებული რაზმელი თავს დაესხა პოლიციის სამმართველოს და გაიტაცა დიდძალი ცეცხლმსროლელი იარაღი.

პოლიციელებმა გუბერნატორს წარუდგინეს ოფიციალური პროტესტი იმის შესახებ, რომ ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება მათთვის შეუძლებელი იყო. მთავრობისათვის კრიზისულ დღეებში პოლიციელთა უმრავლესობამ ბათუმი დატოვა და სოფლებში მიიმალა. მოთმინებიდან გამოსულმა გენერალ-გუბერნატორმა მოითხოვა სამსახურიდან მათი დათხოვა და სხვა უფრო საიმედო პირთა დანიშვნა.

შეიარაღებული აჯანყება, რომელიც 29 ნოემბერს დაიწყო, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. წინასწარი დიდი ზრუნვის მიუხედავად, კვლავ იგრძნობოდა იარაღის ნაკლებობა. საჭირო იყო მისი მოპოვება. 150 კაცისაგან შემდგარმა შეიარაღებულმა რაზმმა ალყაში მოაქცია რკინიგზის სადგური და ჟანდარმთა უნტერ-ოფიცრები აიძულა ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად განიარაღებულიყვნენ. რაზმელებმა ხელთ იგდეს: 26 რევოლვერი, 113 ხმალი, 13 ბერდანკის თოფი და სხვ.

29 ნოემბერს დაიწყო სისხლისმღვრელი საბარიკადო ბრძოლები. ღილის 10 საათზე ბათუმის ცენტრალურ ქუჩებს (მარინესა, სვიატოპოლკ-მირსკის, მიხაილოვისა და სხვ) მოედვნენ აჯანყებული შეიარაღებული რაზმელები, რომლებმაც არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით იწყეს ბარიკადების აგება. გამოყენებულ იქნა წინასწარ მომარაგებული ხის ყუთები, კასრები, ტელეგრაფის ბოძები, ეკლიანი ხლართები და სხვ.

აჯანყებულებმა ლორის-მელიქოვისა და ერევნის ქუჩების შესახვევებში, ტერ-ასატუროვის სახლის სახურავიდან, გადმოყარეს ყუმბარები, რის შედეგად დაიჭრა ერთი ოფიცერი და სამი ჯარისკაცი. ქუჩებში გაიმართა პოზიციური ბრძოლები აჯანყებულებსა და ჯარისკაცებს შორის. ბრძოლის დროს ორივე მხრიდან ბლომად იყვნენ დახოცილები და დაჭრილები. საღამოს 8 საათზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა ლაბინსკის ცხენოსან კაზაკთა ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის. ქუჩის ბრძოლებში ჯარის ნაწილები იყენებდნენ ბრძოლის ყველა იმ იარაღს, რომელიც მათ განკარგულებაში იყო. ბრძოლაში დაიღუპა 9 მუშა, დასჭრეს 4.

მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა რაზმელებმა დაიკავეს ქალაქის თვითმმართველობის შენობა და ეზო, აგრეთვე — საავადმყოფო.

ქალაქის ყოველი კუთხიდან საავადმყოფოსაკენ გაეშურნენ შეიარაღებული რაზმელები. ეს ადგილი მათ წინდაწინ ჰქონდათ დანიშნული აჯანყებულთა შესაკრებ პუნქტად.

30 ნოემბერს აჯანყებულები მედგრად იბრძოდნენ ცეცხლმსროლელი იარაღით და ყუმბარებით. ისინი ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის, მთავრობის დაწესებულებებისა და ციხე-სიმაგრეთა დასაპყრობად. 30 ნოემბერს ბათუმის ქუჩებში ბარიკადებზე მებრძოლთა გვერდით პირველად გამოჩნდა რამდენიმე სანიტარული რაზმი. მათ ამშვენებდა „წითელი ჯვრის" საზოგადოების ემბლემა, თუმცა ისინი არ იყვნენ ამ საზოგადოების წევრები.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორისათვის ცნობილი გახდა, რომ ჯარის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციები (ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება და სხვ.), აჯანყების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, უნდა დაწყებულიყო ღამით. აჯანყებულები ვარაუდობდნენ, რომ დღის ბრძოლებში დაღლილ-დაქანცული მცირერიცხოვანი ჯარი ვერ შეძლებდა სათანადო წინააღმდეგობის გაწევას და, შესაძლებელია, კიდეც გადასულიყო მათ მხარეზე.

კონტრრევოლუციის ძალები მკაცრი განსაცდელის წინაშე იდგნენ. სამხედრო გუბერნატორის ინიციატივით, სასწრაფოდ მოწვეულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე იდგა საგანგებო საკითხი აჯანყების ჩასაქრობად ენერგიული ღონისძიების მიღების შესახებ. სხდომამ შეაფასა შექმნილი ვითარება და აღნიშნა: ბათუმის ქუჩები ბარიკადებით დაფარულია, მოსახლეობა, ყუმბარებით და ცეცხლმსროლელი იარაღებით შეიარაღებული, მზადაა მთავრობის ძალთა შესამუსრავად. მთავრობამ გლეხობაშიაც დაჰკარგა ავტორიტეტი. მთიანი აჭარის მოსახლეობა ხელისუფლებასთან მტრულადაა განწყობილი და მხოლოდ დროს უცდის. კინტრიშის საბოქაულოს მოსახლეობა აჯანყებული და შეიარაღებულია, იგი მზადაა პირველი დაძახებისთანავე გვერდში ამოუდგეს ბათუმის პროლეტარიატს და სხვ.

ფრიად საყურადღებო იყო ის, რომ გურიის რევოლუციურმა გლეხკაცობამ სცადა მოძმე ბათუმის პროლეტარიატისათვის გაეწოდებინა დახმარების ხელი აჯანყებაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებით და ამ მიზნით აქეთ წამოსულმა პირველმა დიდმა რაზმმა (800 კაცი) 30 ნოემბერს უკვე მიაღწია ქალაქის გარეუბნებამდე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს ბათუმში ჩამოიყვანეს ერთი პოლკი და პლასტუნების 1 ბატალიონი, რომლებიც მზად იყვნენ ოფიცერთა ყოველგვარი განკარგულების სისრულეში მოსაყვანად.

სამხედრო საბჭომ გამოიტანა დადგენილება ციხე-სიმაგრესა და მის მიდამოებში საალყო წესების გამოცხადების შესახებ. ახლად მიღებული დამხმარე ძალებით აჯანყება 1 დეკემბერს ჩააქრეს.

ერთგვარი წარმატებით გათამამებულმა სამხედრო ხელისუფლებმა აჯანყების მონაწილეებს წაუყენა შემდეგი ულტიმატუმი:

1. დაუყოვნებლივ შეწყვიტათ გაფიცვა;

2. აღედგინათ სატელეფონო კავშირი;

3. გაენათებინათ ქუჩები მთელი ღამის განმავლობაში;

4. ხელისუფლებისათვის გადაეცათ ის პირი, რომელმაც უკმბარა ესროლა ხერსონთა პოლკის პრაპორშჩიკ დუნდუკს და 3 ჯარისკაცს;

5. დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ყველა იარაღი, რომელიც წართმეული იყო გარნიზონის ჯარისკაცებისათვის, პოლიციის მოხელეებისა და კერძო პირებისათვის;

6. დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ბარიკადებისა და სხვა ღობურების მოშლას.

მოსახლეობამ ულტიმატუმის მხოლოდ პირველი და მეორე პუნქტის ნაწილი შეასრულა. მაშინ ციხის კომენდანტმა, რომლის ხელშიაც ფაქტიურად თავმოყრილი იყო მთელი ძალაუფლება, ბათუმის ქუჩებში ქვემეხები და მთელი გარნიზონი საბრძოლო მზადყოფნაში დააყენა. მოსახლეობამ აგრეთვე შეასრულა პეტიციის მესამე და მეექვსე პუნქტები, მაგრამ მეოთხე და მეხუთე პუნქტების შესრულებაზე მოსახლეობა უარს აცხადებდა. ბოლოს თვით მთავრობაც დარწმუნდა, რომ ხალხი მას საერთოდ არ შეასრულებდა.[1]

8 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტი მალამა, ნოემბრის დამლევს ბათუმში მომხდარი სახალხო აჯანყების შესახებ, სამხედრო მინისტრს სწერდა: „30 ნოემბერს ბათუმში იფეთქა სახალხო აჯანყებამ. სწრაფად აღიმართნენ ბარიკადები... კომენდანტმა ციხე-სიმაგრე გამოაცხადა საალყო მდგომარეობაში. გარნიზონი მცირეა, ციხე-სიმაგრის მდგომარეობა სახიფათო. ჯარი ამ მხარეში ძალზე მცირეა

[1] Революция 1905 — 1907 гг. в Грузии, Сборник документов. Тбилиси, 1956 г. стр. 477 — 484, 512 — 514. საქ. ცსსა, ფ. 10, საქმე 55, ფურც. 248—253.

და გაბნეულია პატარა ნაწილებად.. საერთოდ, მდგომარეობა კავკასიაში უაღრესად საგანგაშოა".[1]

ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება ბათუმში 1905-1907 წლების რევოლუციაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და უმაღლესი საფეხური იყო. ნოემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იგი ნაადრევად, არცთუ ისე მომზადებულად დაიწყო. ეს გამოსვლა წინ უსწრებდა რუსეთში დეკემბრის საყოველთაო აჯანყებას. ამ დროს, ფაბრიკა-ქარხნების დახურვის გამო, ბათუმში დარჩენილ მცირერიცხოვან პროლეტარიატს დამოუკიდებელი ბრძოლისათვის სათანადო ძალა არ შესწევდა. აჯანყების დამარცხებაში დიდი როლი შეასრულეს ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, აგრეთვე, მენშევიკ-ოპორტუნისტებმა და სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლებმა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ბათუმის პროლეტარიატმა გადამწყვეტ მომენტში სათანადოდ ვერ გამოიყენა რევოლუციური გურიიდან დასახმარებლად ჩამოსული 800 წითელრაზმელი და კინტრიშის ხეობის აჯანყებული გლეხკაცობა.

აჯანყების დამარცხებაში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე, იმან, რომ ბათუმის ციხე-სიმაგრემ აჯანყების დღისათვის მიიღო ჯარის ახალი ასეულები.

ნოემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ხელისუფლება ცდილობდა ბათუმი მიეუვალ ციხედ და სამხედრო ბანაკად ექცია. მოქალაქეებს დაღამებიდან განთიადამდე ქუჩებში მიმოსვლის უფლება აუკრძალეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციული მითითების თანახმად, რევოლუციურ მოძრაობაში ეჭვმიტანილებს, მოწმეთა ყოველგვარი დაკითხვისა და საერთოდ გამოძიების გარეშე, ასობით აპატიმრებდნენ და გზავნიდნენ შორეულ ციმბირში, კატორღულ სამუშაოზე. კაზაკებისა და პოლიციელების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის გაძარცვა და აწიოკება ბათუმში ყოველდღიური სამოქალაქო ცხოვრების თანამგზავრი გახდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხალხი მშობლიურ ქალაქში კი არ ცხოვრობდა, არამედ ბანაკში, რომელსაც დამპყრობელი სახელმწიფო ზოგჯერ აწყობს ხოლმე დაპყრობილი ხალხის დასამონებლად. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქალაქი დატოვა და მთებსა და სოფლებს შეაფარა თავი.

[1] Революция 1905—1907 г.г. в Грузии, Сборник документов. Тбилиси, 1956 г., стр. 491.

ბათუმის მუშათა კლასის გამოსვლას გულმხურვალედ გამრეხმა-
ურენ საქართველოს ქალაქების მუშები და მოწინავე ინტელიგენ-
ცია. ისინი მოითხოვდნენ: ბათუმში ადმინისტრაციის მხეცური
მოქმედების აღკვეთას, ნოემბრის სისხლიანი პროვოკაციული ამბე-
ბის მთავარი დამნაშავეების — ციხის კომენდანტისა და გენერალ-
გუბერნატორის ბათუმიდან გაძევებას, ქაზაკთა ჯარის ბათუმიდან
დაუყოვნებლივ გაყვანას. იმ შემთხვევაში თუ მთავრობა ხალხის ამ
კანონიერ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, საჭირო იყო სახალხო
შეიარაღებული რაზმების შედგენა, რომელსაც იარაღის ძალით უნ-
და განეხორციელებინა ეს დადგენილება.

ბათუმის ახლომახლო სოფლების მოსახლეობამ ცარიზმის წი-
ნააღმდეგ ბრძოლა ნოემბრის სისხლიანი დღეების შემდეგ უფრო
გააძლიერა. 19 დეკემბერს სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა
ფონ-პარკაუმ ბათუმის ოლქში საგანგებო საალყო მდგომარეობა
გამოაცხადა.[1]

1905 წლის ნოემბრის დამლევს მოწვეულ იქნა რსდმპ კავკა-
სიის კავშირის მე-4 კონფერენცია, რომელზედაც, საქართველოს სხვა
ორგანიზაციებთან ერთად, ბათუმის კომიტეტის დელეგატებიც მო-
ნაწილეობდნენ, კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდა ი. ბ.
სტალინი. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული
აჯანყების მოწყობის შესახებ. ბოლშევიკებმა ენერგიული ბრძოლა
გააჩაღეს ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად. მენშევიკე-
ბის აგიტაციას — იარაღისათვის ხელი არ მოეკიდათ — რევოლუ-
ციური მასები ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ.

თბილისის პროლეტარიატმა დეკემბრის შუა რიცხვებიდან
დაიწყო ძლიერი საბარიკადო ბრძოლები. თბილისის ქუჩებში
სისხლისმღვრელი ბრძოლა 26 დეკემბრამდე გაგრძელდა. 1905
წლის დეკემბრის პირველი რიცხვებიდანვე მთელი დასავლეთი სა-
ქართველო შეიარაღებულმა აჯანყებამ მოიცვა. პარტიზანული
რაზმების საბრძოლო წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ჯარის-
კაცთა რევოლუციური განწყობილება.

ბათუმის მუშებს, ნოემბრის ბოლო რიცხვებში საბარიკადო
ბრძოლების შემდეგ, დეკემბრის გადამწყვეტ დღეებში აჯანყება არ
მოუწყვიათ, მაგრამ ისინი გაბედული გამოსვლებით აქტიურად
ეხმარებოდნენ თბილისელ მშრომელებს.

1 დასახელებული წყარო, გვ. 486,487, 518.

ნაძალადევში (თბილისი) რევოლუციონერი მუშების დარბევისადმი პროტესტის ნიშნად ბათუმის მუშებმა 20 დეკემბერს მძლავრი დემონსტრაცია მოაწყვეს. ფაბრიკა-ქარხნებმა მუშაობა შეწყვიტეს, ააფრიალეს სამი წითელი დროშა და ერთად გაემართნენ ბარცხანისაკენ. დემონსტრაციის დროს, რომელშიც 3.500 კაცი მონაწილეობდა, გაისმოდა რევოლუციური ლოზუნგები, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ ფურცლებსა და პროკლამაციებს. პოლიციამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.[1]

1906 წლის დამდეგს მოვიდა ცნობა მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შესახებ. რეაქციის ძალებმა დამსჯელი ექსპედიციები მიუსიეს სოფლებსა და ქალაქებს. თბილისის პროლეტარიატის ბრძოლა მარცხით დამთავრდა. ალიხანოვ-ავარსკის ჯარებმა ბრძოლით გადმოლახეს სურამის უღელტეხილი და ცეცხლის ალში გაახვიეს მშრომელთა სახლ-კარი. დაიწყო რეაქციის გააფთრებული შემოტევა.

ლეგალური გაზეთების უმრავლესობა დახურეს და დაარბიეს. არალეგალური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების საქმე შეფერხდა.

1906 წლის 15 აპრილს პოლიციამ აღმოაჩინა ავლაბრის არალეგალური სტამბა — არალეგალური ლიტერატურის მძლავრი ბაზა.

გაჩხრეკის შემდეგ მეფის ჟანდარმერიამ ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობა ააფეთქა, ხოლო აღმოჩენილი საბუთები ძიებისათვის თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს გადასცა.[2]

სტამბის აღმოჩენას თბილისში და მთელ საქართველოში გაძლიერებული ჩხრეკა მოჰყვა. სტამბის წინააღმდეგ იერიშის მიტანით განსაკუთრებით თავი ჰსახელა ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ, რომელმაც გასცა განკარგულება კერძო სტამბების დახურვის შესახებ. სტამბის მუშები ქუჩაში გარეკეს. ბეჭდვით სიტყვაზე სასტიკი კონტროლი დაწესდა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ბათუმის ბოლშევიკები მაინც ახერხებდნენ პროკლამაციების ბეჭდვასა და გავრცელებას.

---

1 საქ. ცსსა, ფ. 102, აღწ. № 168, საქმე 39; ფურც. 2; ი. გ. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, სახელგამი, 1955 წ., გვ. 366-367.

2 ზ. გეგეშიძე, ავლაბრის არალეგალური სტამბა, სახელგამი, 1954 წ., გვ. 58.

1906 წლის 4 იანვარს „მოლოდაია როსსიაში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატია „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში“, სადაც ბელადი იძლეოდა მითითებას იმის შესახებ, რომ „საჭიროა შეეგროვოთ ახალი, პროლეტარიატის მომხრე ძალები. საჭიროა „დავაგროვოთ გამოცდილება“ რევოლუციის ორი დიადი თვისა (ნოემბერი და დეკემბერი). ხელახლა უნდა შევეგუოთ აღდგენილ თვითმპყრობელობას, უნდა მოვახერხოთ ყველგან, სადაც კი საჭიროა, ისევ ჩავძვრეთ იატაკქვეშ. საჭიროა უფრო გარკვეულად, პრაქტიკულად დავაყენოთ ახალი აქტიური გამოსვლის კოლოსალური ამოცანები, ვემზადოთ მისთვის უფრო მტკიცედ, უფრო სისტემატურად, უფრო შეუპოვრად და, რამდენადაც შესაძლებელია, დავზოგოთ საგაფიცვო ბრძოლით დაღლილი პროლეტარიატის ძალები.“[1]

ლენინური სტრატეგიით შთაგონებული ბათუმელი ბოლშევიკები მთლიანად არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ, მენშევიკები კი შემთანხმებლობისა და გამყიდველობის გზას დაადგნენ.

ბათუმის პროლეტარიატმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე რევოლუციური სკოლა გაიარა და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ბათუმელი მუშები 1905-1907 წლების რევოლუციაში თავიანთი თბილისელი და ბაქოელი თანამებრძოლების გვერდით საპატიო ადგილზე აღმოჩნდნენ.

---

[1] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 10, 1950 წ., გვ. 99.

მოკლე დასკვნები

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ამის შემდეგ მეფის რუსეთმა თანდათანობით შემოიერთა დასავლეთ საქართველოს სამეფო — სამთავროებიც. ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ამ პროგრესულ ისტორიულ მოვლენას თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებმა სასტიკი წინააღმდეგობით უპასუხეს. შავ ზღვაზე ბატონობისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის ბრძოლა „აღმოსავლეთის საკითხის“ გართულებასთან ერთად სულ უფრო მწვავდებოდა. 1801 წლიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, ეს ურთიერთობა უფრო გაუარესდა.

დიდი სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე ნაცადგური ბათუმი ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. საქართველო საკუთარი ძალებით მის დაბრუნებას ვერ ახერხებდა. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ თურქებისაგან ქალაქ ბათუმის განთავისუფლება და მისი შემოერთება მეფის მთავრობის სამხედრო გეგმაში ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად იყო აღიარებული. მრავალი ცდის მიუხედავად რუსეთმა სოხუმში, ყულევსა და ფოთში ვერ მოახერხა ახალი პირობების შესაფერისი ძლიერი ნავსადგურების გაშენება. კავკასიის საქონელს მსოფლიო ვაჭრობაში ჩასაბმელად საზღვაო გზა სჭირდებოდა, რომელიც ბათუმიდან გადიოდა. მეფის რუსეთს შორეული, უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიც ჰქონდა, ის ცდილობდა ბათუმის ხელში ჩაგდების შემდეგ კონსტანტინოპოლისაკენ შემდგომი შეტევა მოემზადებინა. მე-19 საუკუნეში ბათუმს ოსმალეთისათვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვიდრე მანამდე. ბათუმის დაკარგვის შემთხვევაში თურქეთი შავ ზღვაზე, ფაქტიურად ჰკარგავდა ბრძოლის მნიშვნელოვან პლაცდარმს. მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთს შორის ომები შავ ზღვაზე, მნიშვნელოვანწილად ბათუმისათვის წარმოებდა. ინგლისი, საფრანგეთი და სხვ. ევროპელი ომის გამჩაღებელი სახელმწიფოები „დაჩაგრულ“ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ამზადებდნენ. ინგლისი ცდილობდა დარდანელისა და ბოსფორის ხელ-

ში ჩაგდებას, რომელიც მას, აგრეთვე, გზას გაუხსნიდა შავი ზღვისაკენ, ბათუმისაკენ და აქედან მთელ კასპიისპირეთის წინა და შუა აზიის სანტრანზიტო და სავაჭრო გზებისაკენ, მდიდარი ბაზრებისა და სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმებისაკენ. მოპირდაპირე მხარეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ „კასპიის ზღვასთან მისვლა მხოლოდ შავი ზღვით შეიძლებოდა“. თურქეთმა და მისმა ევროპელმა „მოკავშირეებმა“ ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნის მიზნით კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს 1806—1812, 1828-1829, 1853—1856 წლებში, მაგრამ ერთის მხრივ ოსმალეთის სისუსტისა, „მოკავშირეთა“ შინაგანი წინააღმდეგობის, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის არმიის მაღალი საბრძოლო თვისებისა და ამიერკავკასიის ხალხთა მრისხანე წინააღმდეგობის შედეგად მრავალი დამარცხება იგემეს. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთის ხელიდან ბათუმის გამოხსნა ვერ მოხერხდა, მაგრამ ბათუმსა და მის მიდამოებში ოსმალთა ბატონობის დღეები დათვლილი იყო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ახალ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში ბათუმის საკითხი რუსეთის სარდლობის სტრატეგიული გეგმის ცენტრში იდგა. რუსეთისა და საქართველოს ნორჩი ბურჟუაზია ნაციონალური ინტერესებით გაიჟღინთა და „ნაციონალური ბაზრისათვის“ იბრძოდა არც სხვა კლასები და წოდებანი დარჩენილან გულცივად თურქი მოძალადეების წინააღმდეგ გამოსვლებში. მიუხედავად კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობისა და სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანებისა, მშობლიური მიწა-წყლისათვის ბრძოლა საერთო ლოზუნგად იქცა, ხოლო ბათუმიდან თურქთა განდევნა სანუკვარ ოცნებად.

ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აჭარის მოსახლეობის მისწრაფება, დაბრუნებოდა დედა სამშობლოს. ეს მისწრაფება განსაკუთრებით ძლიერდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. აჭარლებს დედა სამშობლოსთან არასოდეს არ გაუწყვეტიათ კავშირი, მათ რუსი ხალხის დახმარებით პროგრესის გზაზე დამდგარ საქართველოსთან ეროვნული, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობა ამოძრავებდათ.

არსებული სიტუაციიდან თავიდანვე კარგად ჩანდა, რომ ოსმალეთს ამიერკავკასიის ფრონტზე არახელსაყრელი მდგომარეობა ექმნებოდა. აქ რუსეთის არმიის ზურგი ისე ძლიერი იყო, როგორც

არასდროს. კავკასიის ხალხები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ოსმალეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. თურქეთმა დახმარება თხოვა თავის ისტორიულ „მეგობრებს“ ინგლისსა და საფრანგეთს. „მოკავშირეებს“ მალე გვერდში ამოუდგა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური სახელმწიფოც.

ციხისძირ—ბათუმის მიმართულებით საომარმა ოპერაციებმა გააფთრებული ხასიათი მიიღო. რუსებთან ერთად ბრძოლაში გმირული თავდადება, ეროვნული სიყვარული, სიმტკიცე და დისციპლინის საუკეთესო მაგალითი გამოამჟღავნა ქართულმა სახალხო ლაშქარმა. განდიდების მანიით შეპყრობილი მთავარსარდლის მიხ. რომანოვის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად 1878 წლის 18 იანვარს დაწყებული უტაქტო შეტევა მარცხით დამთავრდა, მაგრამ რუსეთის წარმატებებმა ბალკანეთსა და აზიის თურქეთში ოსმალები აიძულა ზავი ეთხოვა.

ოსმალეთისა და ინგლისის მმართველი წრეები ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ, რათა რუსეთის წინააღმდეგ აჭარა-ლაზეთის მოსახლეობა აეჯანყებინათ, მაგრამ ეს ვერაგული გეგმები ჩაიფუშა. ბერლინის კონგრესზე (1878 წ.) ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლობა იძულებული იყო უკან დახეულიყო. ბათუმი რუსეთის საკუთრებად გამოცხადდა.

ბათუმის რუსეთის საკუთრებად გამოცხადება, რომელმაც ხალხებს ომი ააცილა თავიდან, ბერლინის კონგრესზე მიღწეული მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო. რუს-ქართველთა გაერთიანებული კოლონა ზეიმით შევიდა ბათუმში (1878 წლის 25 აგვისტოს ძვ. სტ.).

ქართველმა ხალხმა ომის მძიმე შედეგებით კიდევ უფრო გაღატაკებულ, მრავალტანჯულ აჭარისა და ბათუმის მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდა, რამაც ემიგრაციის გამანადგურებელი ტალღა სავრძნობლად შეანელა. აჭარისა და კერძოდ ბათუმის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინების აღმნიშვნელი დიდი მოვლენა იყო.

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმი წარმოადგენდა ლაზისტანის საფაშოს მთავარ ქალაქს. რუსის ჯარის შემოსვლის დღიდან (1878 წ. 25 აგვისტო ძვ. სტ.) ბათუმში რუსული მმართველობა ინერგება. ახალი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით შეიქმნა ბათუმის ოლქი, ის შედგა ლაზისტანის სანჯაყის იმ ნაწილისაგან, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის იმპერიას ერგო. ბათუმის ოლქის გამგეობა მიენდო ბათუმის სამხედრო გუბერნატორს.

ოლქის მთავარ ქალაქად დამტკიცდა ბათუმი. ბათუმის ოლქი დაყოფილ იქნა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. წვრილმანი სამოქალაქო საქმეების გასარჩევად საოლქო და საოკრუგო სასამართლო ანუ მეჯლისი დაწესდა, რომელიც არავითარი დამოუკიდებელი უფლებებით არ სარგებლობდა. მეფის მთავრობამ ბათუმის სამხედრო გუბერნატორს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა. ბათუმის გენერალ გუბერნატორმა მოსახლეობის „მოსათვინიერებლად“ ჩამოაყალიბა ჩაფრების მრავალრიცხოვანი რაზმი (700 კაცი). ჩაფრების მოვალეობას შეადგენდა სიტყვაშეუბრუნებლად გაეტარებინა მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის ყველა მოთხოვნა და ცეცხლითა და შახვილით ჩაექრო თავისუფლებისადმი მისწრაფების ყოველი ცდა.

ცარიზმი რუსიფიკაციისა და ძალად ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდა. რუსიფიკატორებისაგან პატარა ერების „შეთხელებას“ სერიოზული ყურადღება ეთმობოდა. მოსახლეობა უკმაყოფილო იყო მკაცრი რეჟიმის დამყარებით. „წესრიგის დამრღვევთა“ რიცხვი მატულობდა. მეფის მთავრობა მდგომარეობის გამოსწორებას ადმინისტრაციული რეფორმის გზით შეეცადა. „ერთიანი“ ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად 1883 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს და შექმნეს ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. 1883 წლის ადმინისტრაციული რეფორმა გულისხმობდა სამხედრო მმართველობის გაუქმებას და სამოქალაქო საწყისზე გადასვლას, მაგრამ ეს ფაქტიურად არ მოხდა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუნარჩუნეს მართვა-გამგეობის ძველი წესები. ხალხის პოლიციური დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან ბათუმის პროლეტარიატმა ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ხელჩართული ბრძოლა გაშალა. მეფის მთავრობამ „ხელმძღვანელობის“ გაძლიერების მიზნით შეიმუშავა ბათუმის ოლქის აღდგენის პროექტი. 1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმის ოლქისაგან (ყარსისა და ბათუმის ოკრუგი) შეიქმნა გუბერნია, რომლის ცენტრი იყო ქ. ბათუმი. ბათუმში სამხედრო გუბერნატორი დანიშნეს. ცარიზმის ყველა ღონისძიება და კერძოდ 1903 წლის ადმინისტრაციული რეფორმა, უმთავრესად, ემსახურებოდა მიზანს — განხორციელებულიყო მხარის რუსიფიკაცია და გასწორებოდნენ რევოლუციურ მოძრაობას.

ბათუმი თავიდანვე იზიდავდა რუსეთისა და უცხო ქვეყნების კოლონისტებს. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ახლად დაპყრობილი მხარის ეკონომიურ-პოლიტიკურ ათვისებას. ცარიზმი ცდილობდა ბათუმში „საიმედო“ ელემენტები დაესახლებინა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის მთავრობისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო მიწაზე სახაზინო სახელმწიფო — საკუთრების დაცვა. ამ საქმეში იგი თურქულ ფორმალურ კანონმდებლობას იყენებდა. ცარიზმის კოლონიურ-აგრარული პოლიტიკა მიწის ფონდის გაზრდისა და მკვიდრთა მატერიალური შეეიწროებისაკენ წარიმართა. თავისი შედეგებით იგი დაბრკოლებას უქმნიდა ქ. ბათუმის სამრეწველო-ეკონომიური ცხოვრების ბურჟუაზიული გზით განვითარებას.

ბათუმი, პორტო-ფრანკოს მდგომარეობაში, დასავლეთ ევროპის ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოების ღია ბაზარს წარმოადგენდა. ბათუმიდან შემოჭრილი იაფფასიანი საქონელი რუსეთის ბაზარზე გაბატონდებოდა. ეს კი რუსეთის მრეწველობას მოშლიდა. პორტო-ფრანკოსთან დაკავშირებული რეჟიმის შედეგად, მოსახლეობასა და ახალ რუსულ ადმინისტრაციას შორის, კიდევ უფრო მწვავდებოდა ისედაც დაძაბული ურთიერთობა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და პორტო-ფრანკოს დაწესებასთან დაკავშირებული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი ტოვებდა სამშობლოს და თურქეთში გარბოდა. 1886 წლის 23 ივლისს მეფის მთავრობამ პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოაცხადა. რუსეთის ნაციონალურმა ბურჟუაზიამ ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებით მორიგ გამარჯვებას მიაღწია. ხოლო ქ. ბათუმს რამდენადმე დამოუკიდებელი სამრეწველო-ეკონომიური განვითარების საშუალება მიეცა. ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ახალი საფეხური ბათუმის ეკონომიური განვითარების ისტორიაში.

ბათუმი რუსეთის მფლობელობაში გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური და ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის უკანასკნელი სადგური იყო. ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმის პირობითი საზღვარი იწყებოდა ნავსადგურთან და გრძელდებოდა მდინარე ანგისამდე, მაგრამ მოჭალაქეთა დასახლება მხოლოდ „ნურიე-გელი“-ის (ახლანდელ პიონერთა პარკში) ტბამდე აღწევდა, რადგან ამას იქით ადგილი დაფარული იყო ტბებითა და ჭაობებით.

ოსმალებს ბათუმის საქალაქო ტერიტორია დაყოფილი ჰქონდათ 4 უბნად. რუსული სახელმწიფო მართვა-გამგეობის დამყარების შემდეგ ბათუმს კიდევ ერთი ახალი კვარტალი მიემატა, რომელსაც „სარი-სუ“ (ახლანდელი „გოროდოკი“) ეწოდებოდა.

ქალაქის ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად საყურადღებოა 1878 წელს რუსი კარტოგრაფების მიერ შესრულებული ბათუმის ჰქემატური გეგმა, სადაც დაახლოებით ნაჩვენებია, ე. წ. პორტო-ფრანკოს საზღვრები, საბაჟოთა საგუშაგო ადგილები, სამხედრო და სხვ. ნაგებობანი. ირკვევა, რომ ბათუმს ტერიტორიის დამტკიცებული გეგმა არ გააჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წ.) და საქალაქო მშენებლობისათვის ძირითადად იყენებდნენ 1878 წელს პორტო-ფრანკოსათვის დაწესებულ ტერიტორიას. ბათუმის ტერიტორიის დაღგენაში, მის დაგეგმვასა და მშენებლობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა კაპიტალისტური საქალაქო მეურნეობისათვის საყოველთაოდ დამახასიათებელმა მოვლენებმა. მშენებლობა მეტწილად უწესრიგოდ, თვითნებურად მიმდინარეობდა.

ოსმალო დამპყრობლების ხელში ბათუმი აზიური, ჩამორჩენილი ფეოდალური სახელმწიფოს ტიპიურ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მიწათმოქმედებას მისდევდა. დამპყრობთაგან განთავისუფლების დროიდან იწყება ბათუმის კაპიტალისტური განვითარების პერიოდი. ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდება, რაც კაპიტალისტური განვითარების შედეგად მიღწეული დიდი ეკონომიური და სოციალური მოვლენების პირდაპირი შედეგი იყო.

ბათუმის ვაჭრობა და მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქალაქი რკინიგზის შტოთი სამტრედიამდე, ამიერკავკასიის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდა, ხოლო 1886 წელს ლიკვიდირებულ იქნა პორტო-ფრანკო, — ინგლისური სისტემის ეს ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადა.

ბათუმის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ისტორია ბაქოსთან მისი ურთიერთობის ფონზე განიხილება. ბათუმმა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი სატარო მრეწველობის განვითარებითა და მსოფლიოს ბაზრებზე ნავთობის ექსპორტის სისტემატური ზრდის შედეგად შეინარჩუნა. ბათუმს ბურჟუაზიული განვითარების გზაზე თან ახლდა კაპიტალისტური წარმოების წესზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი წინააღმდეგობა (წარმოების საზოგადოებრივ ხასიათისა და მითვისე-

ბის ინდივიდუალურ ფორმას შორის), რომელიც ბათუმის მრეწველობის ცალმხრივი განვითარების პირობებში მიმდინარეობდა. გაჩაღდა ულმობელი კონკურენცია წვრილ და მსხვილ მწარმოებლებს შორის. ბრძოლაში დაიღუპნენ მრავალი წვრილი მწარმოებლები. მე-20 საუკუნის დამდეგს ბათუმის მრეწველობა ისწრაფვოდა მონოპოლისტური გაერთიანებისაკენ.

ბათუმში უმთავრესად ნავთობის სატარო-საექსპორტო წარმოება ვითარდებოდა. 1890 წლიდან ნავთობის გადასხმის წესით გაგზავნის დანერგვის მიუხედავად, ექსპორტის საერთო გადიდებასთან დაკავშირებით, განუხრელად იზრდებოდა სატარო მრეწველობის პროდუქცია. იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და მცირდებოდა პროდუქციის ფასები.

ბურჟუაზიული ბათუმის მრეწველობამ 1882 წლიდან მოკლე დროის განმავლობაში სამი ეტაპი განვლო. მან თავისი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ბათუმის მრეწველობაში წარმოების მექანიზაციას, როგორც მოსალოდნელი იყო კაპიტალისტური საერთო ეკონომიური სისტემის პირობებში, მოჰყვა სასაქონლო პროდუქციის ღირებულების გაიაფება, წარმოების დეპრესიულობა და ეკონომიური კრიზისი.

რუსეთის ბაზარი განვითარების დაბალ დონეზე იდგა, მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა შეუმჩნეველად იზრდებოდა, ამიტომ ბათუმისათვის, ნავთობის საერთო ექსპორტში, მას ერთობ მცირე ადგილი ეკავა, 1902-1903 წლებში მსოფლიო სამრეწველო კრიზისის პერიოდში, ბათუმიდან ნავთობის გაზიდვამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ბათუმიდან ნავთობის გატანას კრიზისული მოვლენების გავლენა გარკვეულ პერიოდში არ შეჰხებია. მიუხედავად ამ სპეციფიკური მდგომარეობისა, როდესაც 1903 წელს დამთავრდა სამრეწველო კრიზისი და დაიწყო დეპრესია, ამერიკელმა მენავთეებმა მსოფლიოს განაწილებისათვის ბრძოლაში გამოიწვიეს ბათუმის ნავთობის სავაჭრო კომპანიები. იწყება ე. წ. „მენავთეების ომი“. რუსეთის მენავთეებმა ამერიკელების გამოწვევა მიიღეს, მაგრამ ბაქო-ბათუმის ნავთობის ფირმებმა ამერიკელებთან უთანასწორო ბრძოლაში მარცხი განიცადეს. საერთოდ, 1905-1906 წლისათვის სავსებით გარკვეული გახდა, რომ ბათუმის ნავთობს ევროპის ექსპორტში უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი პატარა უპრეტენზიო ადგილი. ნავთობის მაგნატებთან კონკურენციაში განსაკუთრებით დაზარალდა ბათუმის სატარო მრეწველობა და ვაჭრობა. ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობა დაიხურა.

ბათუმში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან შესაბამისი მოვლენები ხდებოდა საბანკო-საკრედიტო ურთიერთობაშიც. მოკლე დროში ბათუმში ხუთი სხვადასხვა საბანკო განყოფილება ჩამოყალიბდა. ეს ბანკები ასეულ მილიონ კაპიტალს ატრიალებდნენ, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის საერთო დაცემასთან ერთად ფინანსიური ოპერაციებიც შემცირდა და ბანკების ძლიერებაც დაეცა. საქალაქო მეურნეობა კი შესამჩნევად შეფერხდა.

ბათუმში სატარო მრეწველობის განვითარებამ მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატი წარმოშვა. მეტად მძიმე იყო ბათუმის მუშათა კლასის ცხოვრების პირობები; აქ მე-19 საუკუნის 90-იან წლებიდანვე შრომის ხელფასი ისე დაეცა, რომ კვალიფიციურ მუშასაც კი ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეეძლო. ბათუმის მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერება მრეწველობაში მონოპოლისტური ხასიათის ახალი მოვლენების წარმოშობით იყო გამოწვეული.

კაპიტალისტები ბათუმში ფართოდ იყენებდნენ ქალთა, მოზარდთა და თვით ბავშვთა შრომასაც, ისინი ცდილობდნენ მუშათა შორის (განსაკუთრებით სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის) შეექმნათ უნდობლობა და კონკურენცია. კაპიტალისტებმა მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით შექმნეს მუშათა არტელები. მუშები ნახევარდღიურ სამუშაოზე გადაყავდათ და სხვ.. ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონეები მუშებს აიძულებდნენ უხელფასოდ ემუშავათ გარკვეული დროის მონაკვეთში. მუშებს ხშირად აჯარიმებდნენ სრულიად დაუმსახურებლად. ფაბრიკა-ქარხნებში სრული ანტისანიტარია სუფევდა, სადაც მუშები 10 — 12 საათს მუშაობდნენ. ხშირი იყო მუშათა ნაადრევი სიკვდილიანობა და დასახიჩრების შემთხვევები.

1906 წლიდან, მუშათა მასობრივ უმუშევრობასთან დაკავშირებით, ბათუმში მკვეთრად შემცირდა მშრომელთა საარსებო მინიმუმი, რომელსაც თან სდევდა ეპიდემიურ ავადმყოფობათა გავრცელება და მუშათა სიკვდილიანობის მასობრივი შემთხვევები. კაპიტალისტებმა ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით „იწყეს ზრუნვა მუშებზე“, მაგრამ ამ საქველმოქმედო ორგანიზაციას მხოლოდ თვალთმაქცური მიზნები ამოძრავებდა.

ქ. ბათუმში რევოლუციური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთსა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის საერთო მსვლელობასთან.

ბათუმში არალეგალური ხალხოსნურ-რევოლუციური ლიტერა-

ტურის მიმღები და გამავრცელებელი ბაზა ადრევე (1875-1876 წ.წ.) არსებულა. რევოლუციონერ ხალხოსნებს ერთმანეთთან წერილობითი ურთიერთობის დასამყარებლად შეუმუშავებიათ საიდუმლო ანბანი. ისინი მკაცრად იცავდნენ პარტიულ კონსპირაციას, მაგრამ პოლიციამ ნაროდნიკების ბათუმის ჯგუფს ბოლოს მაინც მიაგნო და 1876 წელს დაარბია იგი. როგორც ყველგან, ბათუმშიც ნაროდნიკული მოძრაობა შესცვალა მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ.

ბათუმის პროლეტარიატმა კაპიტალისტური მონობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მე-19 საუკუნის 90 იანი წლებიდან_ვე ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა. რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობის შედეგად ბათუმის მშრომელებმა განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ენერგიული გამოსვლები გააჩაღეს, რომელიც საბარიკადო ბრძოლებში გადაიზარდა. ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება ბათუმში 1905 — 1907 წლების რევოლუციაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და უმაღლესი საფეხური იყო. ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ბათუმელი მუშები, თბილისელი და ბაქოელი თანამებრძოლების გვერდით, საპატიო ადგილზე აღმოჩნდნენ.

ბათუმის ქუჩების
ძველი და ახალი სახელწოდება

1. ბელეარის — ნინოშვილის
2. სმეკალოვის — რუსთაველის
3. ბაღის — კლდიაშვილის
4. მარინეს — სტალინის
5. ბაზრის — ასათიანის — გორკის
6. ვორონცოვის — გორკის
7. ბებეთოვის — ტელმანის
8. ბარიატინის — ცხაკაიას
9. ლერმონტოვის — ლერმონტოვის
10. პუშკინის — მახარაძის
11. ოლტროვსკის — საბჭოს
12. ტურგენევის — ტურგენევის
13. ვოზნესენსკის — ენგელსის
14. ელადიკავკავის — ტელმანის
15. ეოლგინის — ცხაკაიას
16. აკლოის — კალინინის
17. პეტერბურგის — ჯავახიძის
18. გოიბოედოვის — გოიბოედოვის
19. ოდესის — პუშკინის
20. ყარსის — კიროვოკანის
21. ზღვის — კიროვის
22. შეპელიოვის — მარქსის
23. შერემეტიევის — ჯაფარიძის
24. კომაროვის — შაუმიანის
25. სობოროს — კომკავშირის
26. თბილისის — ბარათაშვილის
26. თბილისის — თბილისის
27. არტანის (არდაგანის) — პუშკინის
28. უახარმის — თბილისის 1 შესახვევი
29. ნადეჟდინის — კალიაევის
30. ეკატერინეს — ჯორჯიაშვილის

31. დუნდუკოვ-კორსაკოვის — ლენინის
32. ერისთავის — ლიბკნეხტის
33. მიხაილოვის — ორჯონიკიძის
34. ჭუთაისის — ჭუთაისის
35. სვიატოპოლკ-მირსკის — კამოს
36. ოგლობჟიოს — ლუქსემბურგის
37. ლორის-მელიქოვის — სვერდლოვის
38. ბერძნების — ტელმანის
39. კათოლიკების — ცხაკაიას
40. გიორგიევის — კალინინის
41. ლაზარევის — ბუდიონის
42. სასაფლაოს — ფრუნზეს
43. ბაქოს — სანაპიროს
44. ქარხნის — ნავთობის ჩიხი

Выпись из Берлинского трактата[1].

Ст. LIX, Его величество императоръ Всероссийской объявляетъ, что его намерение сделать Батумъ порто-франко по преимуществу коммерческимъ.

. . . . . .

Въ Берлине, 1 июля тринадцатаго дня тысяча восемьсот семьдесять восьмого года.

Подписали: (М. П.) Горчаковъ, Шуваловъ, П. Убри.
(М. П.) Ф. Бисмаркъ, Б. Бюловъ, Гогенлоэ.
(М. П.) Андраши, Каройи, Геймерлэ.
(М. П.) Ваддингтонъ, Сенъ-Валье, Г. Декре.
(М. П.) Биконсфильдъ, Салисбери, Одо-Россель.
(М. П.) Л. Корти, Лонэ.
(М. П.) Ал. Каратеодори, Мехемедъ-Али, Садуллахъ.

---

1 თარგმანი. მუხ. მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ მისი განზრახვაა გადააქციოს ბათუმი პორტო-ფრანკოდ, უპირატესად კომერციულად.

. . . . . .

ბერლინი. ივლისის მე-13 დღესა ათას რვაას სამოცდათვრამეტსა წელსა. სელი მოაწერეს: (ბ. ა.) გორჩაკოვი. შუვალოვი. პ. უბრი.
(ბ. ა) ფ. ბისმარკი. ბ. ბიულოვი, გოგენლოე.
(ბ. ა.) ანდრაში, კაროლი, გეიმერლე.
(ბ. ა.) ვადდინგტონი, სენ-ვალე, გ. დეკრე.
(ბ. მ.) ბიკონსფილდი, სალისბერი, ოდო-როსსელი.
(ბ. ა.) ლ. კორტი, ლონე.
(ბ. ა.) ალ. კარატეოდორი. მეხმედ-ალი, სადულახი.
(«Батум и его окрестности», 1906 г., стр. 3).

1876 г. ноября 4. — Отношение прокурора Тифлисской Судебной палаты Андреева начальнику Главного управления наместника Кавказского о революционной литературе, обнаруженной у проживавшего в Батуми Мчедлова, № 208.

Из производящегося по Кутаисской губернии дознания о тайном обществе с преступной целью обнаружилось, между прочим, что 1.600 экземпляров книг революционного содержания, предположенных к перевозу в Закавказский край для распространения, находятся у некоего Мжедлова или Мчедлова в Батуме; так как в настоящее время нельзя ожидать, чтобы книги эти были ввезены из заграницы, то представляется крайне необходимым отобрать эти книги в Батуме у вышеупомянутой личности вместе с адресами, по которым эти книги назначены к отсылке, а также распросить эту личность о том, что ему известно об этих книгах, о цели их препровождения в Россию и о лицах, по распоряжению и на счет коих они высылаются.

Вследствие этого имею честь покорнейше просить распоряжения вашего превосходительства о сношении с Российским консульством в Батуме по этому предмету.

Прокурор Судебной палаты Андреев.

ЦГИА Груз. ССР, фонд 5-ый, дело № 8419 — (4583) л. 1. Подлинник рукописный.

1876 г. ноября 12. — Отношение начальника Главного управления Наместника Кавказского императорскому Консулу в Трапезунде о революционной литературе, обнаруженной у проживающего в Батуми гражд. Мчедлова, № 160.

Прокурор Тифлисской Судебной Палаты от 4-го сего ноября за № 208 сообщил в Главное Управление Наместника следующее... (далее предложение неразборчиво).

...По докладу мною о сем государю великому князю наместнику, его императорское высочество изволил изъявить согласие на приведение в исполнение вышеизъясненного требования прокурора Судебной палаты.

Имею честь покорнейше просить ваше высокородие предложить вице-консулу нашему в Батуме сделать соответственное в настоящем случае распоряжение и о последующем меня уведомить.

ЦГИА Груз. ССР, фонд 5-ый, дело № 8419 — (4583) л. 2.

1876 г. ноября 23. — Отношение российского императорского консула в Трапезунде Тимофеева начальнику Главного управления Наместника Кавказского П. Н. Клушину о распоряжении отобрать революционную литературу, обнаруженную у Мчедлова в Батуме.

Мил. гос. Павел Николаевич! Вследствие секретного отношения вашего высокопревосходительства от 12 ноября за № 160, я предложил нашему вице консулу в Батуме отобрать у Мчедлова, имеющиеся у него книги революционного содержания, предположенныя к перевозу в Закавказский Край и честь имею представить при сем в подлиннике ответное донесение Г. Джуджи по сему предмету.

С истинным почтением и совершенною преданностью имею честь быть —

Милостивый государь
Вашего высокопревосходительства
всепокорнейшим слугою

Н. Тимофеев.

Центральный Государственный Исторический Архив Груз. ССР, фонд № 5-й, дело № 8419, л. 3.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

წინასიტყვაობა 3

შესავალი 7

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ბათუმის რუსეთთან შეერთება

1. რუსეთ-თურქეთის ომები მე-19 საუკუნეში და ბრძოლა ბათუმისათვის 22

2. ბათუმის შემოერთება და ქართველი საზოგადოება 63

3. რუსელი მართვა-გამგეობის დამყარება ბათუმში 75

4. ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა. პორტო-ფრანკოს რეჟიმის არსი. მეჯაყრობა 85

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბათუმის სოციალურ-ეკონომიური განვითარება რუსეთთან შეერთების შემდეგ

1. ბათუმის ტერიტორია, მოსახლეობა და სოციალური შემადგენლობა 103

2. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში (1878 — 1907 წლები) 117

3. მუშათა კლასის მდგომარეობა ბათუმში 169

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ბათუმის მშრომელების ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ 200

დასკვნები 262

დოკუმენტები და ილუსტრაციები 271